

F 13.404  
3

ပ. အော်ဆရာတော်, ဒ. ချော်စံဂါရိ



# အသိမျက်နှာ

၁၃၄၀၆ ၁၉၁၁ ၂၀၁၁  
ကဗျာများ အနေဖြင့် အမြတ် အမြတ်

19

၀ ၈ ၀ ၅ ၀ ၆ ၀

52

ა. ჯანაშვილი, ნ. კუტუგიაძე



# ქვეყნარეავლების საჩვევლი

F 13.404  
3



სტალინის სახელის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომღერა

19

თ ბ ი მ ი ს 0

52

## ჩერქეზობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყოველივე სარკვევი წარმოადგენს სახელმძღვანელოს იმათთვის, ვინც ღაინტერესებულია ცხოველთა ან მცენარეთა სამყაროთი. შესწავლისამი ინტერესი მატურობს მაშინ, როგორც შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ცხოველის ზუსტი სახელწოდების დაღვენა. ამიტომაცაა, რომ სარკვევი საჭიროა როგორც მეცნიერ მუშავთათვის, სტუდენტთათვის, მასწავლებელთათვის, ექიმთათვის, მხარეთმცოდნეთათვის, ისე იმათთვისაც, რომელიც ამა თუ იმ სახით ღაკავშირებული არიან ბუნებასთან.

ქართულ ენაზე დღემდე სარკვევის უქონდობა ღიღ ხარვეზს წარმოადგენდა. ეს ხარვეზი შეავსეს. ა. ჯანაშვილმა და ღ. კუტუბიძემ, რომელმაც შეაღგინეს ქართულ ენაზე „ქვეწარმავლების სარკვევი“, რომელშიც განხილულია საქართველოში გავრცელებული ფორმები.

ქვეწარმავლები გარეგნული შეხერცებით, ფარული ცხოვრების ნირით აღამიანში იწვევენ ინტერესს და ამავე ღროს შიშისაც. ეს უკანასკნელი გამოწვევულია იმით, რომ გვხვდება შხამიანი გვერდები, რომელსაც, რასაკვირველია, უნდა ვერიდოთ. საერთოდ კი ამან შექმნა ქვეწარმავლების შესახებ მრავალი არასწორი, ყაღბი წარმოგენა, რომელიც ხშირად სრულიად ეშინააღმდეგება იმას, რასაც გვასწავლის ზოოლოგია—მეცნიერება ცხოველთა შესახებ. ორივე ავტორი ზოოლოგი მეცნიერი მუშავია. ისინი კრიტიკულად მიუღწენ საკითხს და გვაცნობენ მხოლოდ იმას, რაც იცის მეცნიერებამ და რასაც გვასწავლის მეცნიერება. აი, ამიტომაც ამ სარკვევის გამოყენება უნდა ვუწიოთ ყველა იმათ, რომელთაც სურთ შეისწავლონ ჩვენი ქვეყნის ფაუნა.

ამ სარკვევში მკითხველი იპოვის როგორც ქვეწარმავალთა კდასიფიკაციას, კოდექცინირების მეთოდებს, ისე საქართველოში გავრცელებული ქვეწარმავლების მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით რკვევის მეთოდებსა და ამ ცხოველთა ცხოვრების ნის (კვლევითი).

რასაკვირველია, ყოველივე ეს ღასაწყისია ჩვენი ქვეყნის ქვე-  
ნარმავაღთა ფაუნის შესწავლის საქმეში და ამ მხრივ ღარძა-  
რება უნდა აღმოგვიჩინოს ყველამ, ვინც ღაინტერესებულია. ამ  
საკითხით.

სარკვევით სარგებლობისათვის ავტორებს აურჩევიათ ყველაზე  
მარტივი და ყველაზე მეტად გავრცელებული შვედური სისტემა.

პროფ. ვ. როსტომბეგოვი

25. X. 52.

## ნინასიზყვარბა

ქართულ ენაზე ქვეწარმავლების შესახებ ლიტერატურა თითქმის სრულიად არ მოგვეპოვება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რიგ ნაშრომებს, რომლებიც ეხება საქართველოს ზოგიერთი რაიონის ქვეწარმავლების სახეობრივი შემადგენლობისა და გავრცელების შესწავლას. საყურადღებოა, რომ რუსულ ენაზეც მცირე ლიტერატურაა საქართველოს ჰერბეტოფაუნისადმი მიძღვნილი. საქართველოში გავრცელებული ქვეწარმავლების შესახებ ცნობები შეიძლება მოვიძოთ ისეთ ნაშრომებშიც, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირის ან, კერძოდ, კავკასიის ქვეწარმავლების მიმოხილვას.

ჩენ მიერ წარმოდგენილი „ქვეწარმავლების სარკვევი“, რომელშიც მხოლოდ საქართველოში გავრცელებული სახეობებია განხილული, პირველი წარმოწყებაა ქართულ ენაზე ასეთი სახის სახელმძღვანელოს გამოცემისა.

საქართველოს ჰერბეტოფაუნა საქმაოდ მრავალფეროვანია. საბჭოთა კავშირის ფარგლებში გავრცელებული ქვეწარმავლების 158 სახეობიდან საქართველოში მოიპოვება 48. ამასთან, საქართველოში მობინადრე ქვეწარმავლებს ერთგვარი სიჭრელე ახასიათებს. აქ გვხვდება რიგი სახეობებისა, რომლებიც ირანისა და შუა აზიისა-თვისაა დამახასიათებელი, რიგი კი—საქართველოში ევროპიდანაა შემოსული, ხოლო ზოგიერთი სახეობა აფრიკის ჰერბეტოფაუნის ელემენტს წარმოადგენს. ამ საკითხს დაწვრილებით განხილვას აქ არ შევუდგებით, რადგან წიგნის მოცულობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა.

ქვეწარმავლების ზოგიერთი სახეობის მიმართ არაა დაზუსტებული მისი გეოგრაფიული გავრცელება. ზოგი სახეობის საქართველოში მოპოვების შესახებ ლიტერატურაში მხოლოდ მწირი და ზოგადი ცნობებია, რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ საქმარისი რაოდენობის კოლექციები არ მოიპოვება მუზეუმებსა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ლაბორატორიებსა და კაბინეტებში. ზოგ შემთხვევაში ქვეწარმავალთა კოლექციების მცირე რაოდენობით შეგროვება გამოწვეულია გველების, ზოგჯერ ხვლიკე-

ბის შიშით და სხვ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში გავრცელებული გველებიდან ადამიანისათვის სახითათოა მხოლოდ ოთხი სახეობა, რომელთა გამოცნობა არც ისე ძნელია, ხოლო ხვლი კებიდან შეამიანი და საშიში ფორმები სრულიად არა გვხდება. საჭიროა, რაც შეიძლება მეტი მასალები შევაგროვოთ და დავამუშავოთ, რითაც ხელს შევუწყობთ ქვეწარმავალთა ფაუნის შესწავლის საქმეს.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ საქართველოს მრავალ ადგილას, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი რაიონების ველებზე, ჯავახეთის ზეგანზე, აჭარაში შესაძლებელია მოპოვებულ იქნას ისეთი ფორმები, რომლებიც დღემდე საქართველოსათვის არ იყო ცნობილი, მაგრამ დასახელებული ადგილების მახლობლად მოსაზღვრე ქვეყნებში მოიპოვება. საქართველოში ზოგიერთი ფორმის გავრცელება ტექსტში კითხვის ნიშნის ქვეშაა მოქცეული, რასაც შემდგომი დაზუსტება ესაჭიროება.

„ქვეწარმავლების სარკვევი“ განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის, საშუალო სკოლის ზოოლოგიის მასწავლებლთა და ბუნებისმეტყველთათვის. წიგნი შედგენილია იმ ვარაუდით, რომ მისი გამოყენება შეეძლოს არა მარტო სპეციალისტ ზოოლოგს, არამედ ზოოლოგიის მოყვარულსაც.

წიგნის მოცულობის განსაზღვრულობის გამო ჩვენ ვერ შევძლით მოვგეცა ცალკეულ სახეობათა ვრცელი ბიოლოგია და დავკავყოფილდით მხოლოდ მცირე ცნობებით. სახეობის გეოგრაფიული გავრცელების მიმოხილვისას შეძლებისდაგარად დაწვრილებით მოცემულია ცნობები საქართველოს ფარგლებში მისი მოპოვების შესახებ, შემდეგ ზოგადად მოხაზულია ამ სახეობის გავრცელება საბჭოთა კავშირის ფარგლებში (საქართველოს გარდა) და კავშირგარეშე ქვეყნებში.

ცნობები ზოგიერთი სახეობის ბიოლოგიისა და გეოგრაფიული გავრცელების შესახებ შევსებულია ახალი მონაცემებით, რომლებიც პირად დაკვირვებათა და საქართველოს ზოგიერთი რაიონის ფაუნისტური ექსპედიციების შედეგადაც დაგროვილი.

„ქვეწარმავლების სარკვევის“ შედეგენისას გამოყენებულია რუსულენაზე არსებული ძირითადი ლიტერატურა, რომლის სია წიგნის ბოლოსაა დართული. ამ მხრივ უფრო მეტი სამსახური გაგვიწია პ. ვ. ტერენტიევისა და ს. ა. ჩერნოვის შრომამ „Определитель пресмыкающихся и земноводных“ (1949), რომლიდან ზოგიერთი ადგილი თავისუფალი თარგმანის სახითაა გაღმოცემული ჩვენს წიგნში.

სამწუხაროდ, დღემდე დამუშავებული ზოოლოგიური ტერმინო-  
ლოგია არ მოგვეპოვება, რაც ზოგ შემთხვევაში ართულებდა მუ-  
შაობას. რიგი ტერმინი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
სატერმინოლოგიო განყოფილებასთან შეთანხმებით, ახლადაა დად-  
გენილი.

ტექსტში მოცემული სურათები ნასარგებლია ლიტერატურული  
წყაროებიდან.

ავტორებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ, როგორც პირველი წამო-  
წყება ქართულ ენაზე ასეთი სახის შრომის გამოცემისა, წიგნი არ  
იქნება დაზღვეული ზოგიერთი ნაკლისაგან, რომელთა შესახებ საქ-  
მიან მითითებებს ავტორები სიამოვნებით შიძლებენ და გაითვა-  
ლისწინებენ მათ ამ წიგნის შემდგომი გამოცემისას.

ავტორების თხოვნაა, რომ ყოველგვარი შენიშვნა და მითითება  
გადმოგვიგზავნოთ შემდეგი მისამართით: თბილისი, უნივერსიტეტის  
ქ., 11, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრა.

ავტორები

20 აგვისტო  
1952 წელი

## შ ე ს ე ა ც ა ლ ი

მეორეარი მითითებანი

შემთხვევა მარტინ მარტინი

მეტად მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო (*regnum animalium*), რომელიც ტიპებად (*phylum*) იყოფა. ტიპი თავის მხრივ იყოფა კლასებად (*classis*), კლასი—რიგებად (*ordo*), რიგი—ოჯახებად (*familia*), ოჯახი—გვარებად (*genus*), ხოლო გვარი—სახეობებად (*species*). ამგვარად, სისტემატიკის ერთეულს სახეობა წარმოადგენს. ხშირად ამ სისტემატიკურ კატეგორიებს ქვედანაყოფებადაც ჰყოფენ ხოლმე. მაგალითად, ქვეტიპი (*subphylum*), ქვეკლასი (*subclassis*), ქვერიგი (*subordo*), ქვეოჯახი (*subfamilia*), ქვეგვარი (*subgenus*) და ა. შ.

ყოველი ცხოველი აუცილებლად უნდა გაირკვეს და მიეკუთვნოს ამა თუ იმ სახეობას, რომელიც შემდეგ გაერთიანდება საონადო გვარში, ოჯახში, რიგში, კლასშა და ტიპში.

წინამდებარე შრომის მიზანია მოპოვებული ქვეწარმავლის, მისი უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით, ამა თუ იმ სახეობისადმი მიკუთვნება. თითოეული სახეობის მიმართ გამოიყენება სათანადო სისტემატიკური ნომენკლატურა, რომელსაც ახასიათებს რიგი ზუსტად დადგენილი საერთაშორისო სავალდებულო წესები.

თანამედროვე სისტემატიკური ნომენკლატურის ფუძემდებლად გამოჩენილი შვედი მეცნიერი კ. ლინე (K. Linné, 1707—1778) ითვლება. მან თავის ცნობილ წიგნში „*Systema Naturae*“ („ბუნების სისტემა“) მოგვცა იმ დროისათვის ცნობილ ცხოველთა ყველა რიგის, ოჯახის, გვარისა და სახეობის მოკლე დიაგნოზი. ამასთან, თითოეული სახეობა ორი სახელით აღნიშნა, რომელთაგან პირველი გვარის აღნიშვნელია, ხოლო მეორე—სახეობისა. ცხოველთა (ასევე მცენარეთა) სახეობების ამგვარ აღნიშვნას „ბინარული“, ანუ ორმაგი ნომენკლატურა ეწოდება. ცხოველთა სამყაროს ყველა კატეგორიის, დაწყებული სახეობიდან ვიდრე ტიპმდე, სახელწოდება იწერება ლათინური სიტყვებით. სახეობის სახელწოდების შემდეგ იწერება გვარი იმ ავტორისა, რომელმაც ეს სახეობა პირვე-

ლად აღწერა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გვარის და უფრო სახეობის ამწერი ავტორის ვინაობა შეიძლება დაიწეროს მთლიანად ან შემოკლებულად. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა დაცულ იქნას ის ნორმები, რომლებიც საერთაშორისოდაა მიღებული.

უნდა გვახსოვდეს, რომ გვარის და უფრო მაღალი კატეგორიების სახელწოდებანი იწყება ასომთავრულით, ხოლო სახეობისა — ჩვეულებრივი ასოთი, თუნდ იგი მკვლევარის გვარის გამომხატველიც იყოს. ასე, მაგალითად, *Vipera kaznakowi* Nikolsky (კავკასიის გველგესლა), პირველი სიტყვა (*Vipera*) გვარის გამომხატველია, მეორე (*Kaznakowi*) — სახეობისა, ხოლო მესამე (*Nikolsky*) იმ ავტორის გვარია, რომელმაც ეს გველგესლა პირველიდ აწერა. ჩვეულებრივ, ავტორის გვარის შემდეგ წერენ. იმ წელსაც სახეობა პირველად აიწერა. ჩვენს მაგალითში უნდა მიეწეროს „1910“, რაც იმის გამომხატველია, რომ ამ წელს მკვლევარმა ნიკოლსკიმ პირველად აწერა ეს სახეობა. სახეობის (ან გვარის) ამწერის გვარი აგრეთვე ასომთავრულით იწყება. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ცხოველის სახეობის სახელწოდება და ავტორის გვარი განსხვავებული შრიფტით იწერება, ასე, მაგალითად, *Natrix natrix* Laurenti (ჩვეულებრივი ანკარა), *Elaphe hohenackeri* Strauch (ამიერკავკასიის მცურავი), *Vipera ammodytes* Linnaé (ცხირჩქოსანი გველგესლა) და ა. შ. ზოგჯერ ავტორის გვარი ფრჩხილებშია ჩასმული; ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ავტორს ეს სახეობა აღწერისას მიკუთვნებული ჰქონია სხვა გვარისათვის, ხოლო შემდეგ მკვლევართ იგი შესაფერისი გვარისათვის მიუკუთვნებით. ასე, მაგალითად, ველის მახრჩბელას ლინე აკუთვნებდა ბოხმეჭას (*Anguis*) გვარს და მას *Anguis jacutus*-ს უწოდებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოხმეჭა ხელიკების რიგს ეკუთვნის, მაშინ როდესაც ველის მახრჩბელა გველების რიგის წარმომადგენელია. შემდეგში (კერძოდ 1803) მკვლევარ დაუდინის მიერ დადგენილ იქნა ააალი გვარი მახრჩბელა (*Eryx*), რომელსაც სხვა მახრჩბელებთან ერთად მიეკუთვნა ველის მახრჩბელაც, რის შედეგადაც მისი სახელწოდება დადგინდა *Eryx jacutus* (Linnaé). ამასთან, უნდა ითქვას, რომ ეს წესი არაა სავალდებულო, ამიტომ ფრჩხილები ყოველთვის არ გამოიყენება. გვარის და მასზე მაღალი კატეგორიის სახელწოდებანი თითო სიტყვით იწერება; ასე, მაგალითად, გვარი — *Lacerta* (ხვლიკი), *Anguis* (ბოხმეჭა), *Vipera* (გველგესლა) და ა. შ.; ოჯახი — *Lacertidae* (ხვლიკები), *Anguidae* (ბოხმეჭები), *Viperidae* (გველგესლები) და ა. შ.

ზოგჯერ ლიტერატურაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, რო-  
დესაც ერთი და იგივე სახეობა რამდენიმე სახელითაა ხოლმე აღ-  
ნიშნული. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება „პრიორიტეტის წესი“  
რომლის მიხედვით ცხოველს უნდა დარჩეს ის სახელწოდება, რო-  
მელიც მას პირველად მიენიჭა. ცხოველისათვის პირველად დარქ-  
მეული სახელწოდების გამოსარკვევად ძიება უნდა ჩატარდეს 1758  
წლამდე. ეს გარემოება იმით აისწება, რომ 1758 წელს გამოვიდა  
ლინეს ზემოაღნიშნული „ბუნების სისტემის“ მეათე გამოცემა, რო-  
მელშიც მან ბინარული ნომენკლატურა მთელი სიზუსტით გამოი-  
ყენა და მის მიერ ამ გამოცემაში ცხოველისათვის დარქმეული სა-  
ხელი სამუდამოდ დარჩა. ცხოველის ყველა ლათინური სახელწო-  
დება, რომელიც ამა თუ იმ ავტორის მიერ მანამდეა დადგენილი,  
მხედველობაში არ მიიღება. ამგვარად, ყველა იმ ცხოველს, რომე-  
ლიც 1758 წლის შემდეგაა, აღწერილი, უნდა ეწოდოს ის სახელი,  
რომელიც მას ავტორმა პირველად დაარქვა, ხოლო ყველა დანარ-  
ჩენი სახელწოდება გადადის სინონიმად. თუ ცხოველს ამა თუ იმ  
ავტორმა დაარქვა სახელი და მას გარკვეული აღწერილობა (დიაგ-  
ნოზი) არ წარუმდგარა, მაშინ ასეთ სახელს „nomen nudum“  
(„ტიტველი სახელი“) ეწოდება და მას მეცნიერული ლირებულება-  
არა აქვს. მხედველობაში არ მიიღება და პრიორიტეტით არ სარ-  
გებლობს აგრეთვე სახეობის ისეთი სახელწოდებაც, რომელიც მის-  
თვის, შესაძლებელია, ქრონოლოგიურად უძველესიც იყოს, მაგრამ  
იგი მანამდე სხვა ცხოველს ერქვა. ასეთ მოვლენას „nomen prae-  
occupatum“ („დაკავებული სახელი“) ეწოდება.

ცხოველისათვის ერთხელ მიკუთხნებული სახელწოდების შეცვლა  
არ დაიშვება, თუნდაც ეს სახელწოდება მას არ შეფერებოდეს.  
დასაშვებია მხოლოდ ზოგიერთი ორთოგრაფიული ხასიათის შეს-  
წორებათა შეტანა.

ზოოლოგიის იმ დარგს, რომელიც ქვეწარმავლებს შეისწავლის,  
ჰერპეტოლოგია (ბერძნული: „ჰერპეტოს“ — ქვეწარმავალი, და  
„ლოგოს“ — სიტყვა, მოძღვრება) ეწოდება. წარსულში ჰერპეტოლო-  
გიის სახელით ქვეწარმავლებთან ერთად ამფიბიებსაც გულისხმობ-  
დნენ, რადგან მკლევარნი ამ უკანასკნელთ წარსულში ქვეწარმავლებ-  
თან ერთ კლასში აერთიანებდნენ; თუმცა უნდა ითქვას, რომ დღესაც,  
ზოგი ახლად დამწყები ბუნებისმეტყველი თითქმის ვერ არჩევს ქვე-  
წარმავალს ამფიბიისაგან, რის შედეგადაც ერთმანეთში ერევა-  
ხვლიკი და ტრიტონი ან სალამანდრა.

ამფიბიები ზოოლოგიის ცალკე დარგს — ბატრაქოლოგიას (ბერძ-  
ნული: „ბატრაქოს“ — ტიტველი მძრომი და „ლოგოს“ — სიტყვა, მოძ-

ლვრება) შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ზოგი სპეციალის ტი ჰერპეტოლოგი ქვეწარმავლებთან ერთად ამფიბიებსაც ანუ ბატრა-ქოფაუნასაც შეისწავლის, რაც ერთობ რთულ საქმეს წარმოადგენს.

ყოველ სახეობას წამძღვარებული აქვს ქართული სახელწილებაც მაგრამ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაკილებლად სავალ-დებულო მხოლოდ ლათინური, რადგან ზოგჯერ ერთსა და იმავე სახელს სხვადასხვა ცხოველს უწოდებენ ხოლმე, რაც ერთგვარ არევ-დარებას იწვევს. ასე, მაგალითად, გველხოკერას (*Ophisaurus apodus*) ზოგან „ზლოკს“ ან „ძლოკვს“ უწოდებენ, ხოლო „გველხოკერას“ სახელით ცნობილია ანკარა (*Natrix natrix*). „ანკარა“ კი, თავის მხრივ, მიკუთხნებული აქვს მცურავს (*Elaphe*), ხოლო ფსვენს (*Ere-mias*) „გველ-ჭიჭილას“ უწოდებენ და ა. შ.

შრომაში მოცემულია ამა თუ იმ სახეობის მოკლე აღწერა (სხე-ულის განაზომები, შეფერადება და სხვ.), გეოგრაფიული გავრცე-ლება, მოკლე ცნობები ცხოვრების ნირის შესახებ. საქართველოს ფარგლებში ამა თუ იმ სახეობის გავრცელების შესახებ შეძლებისდა გვარად მოცემულია დღემდე ცნობილი ყველა პუნქტი, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს სავსებით ამომწურავად. შემდეგი კვლევა, რო-მელიც ამ მიმართულებით ჩატარდება, დასმულ საკითხს უფრო გა-აღრმავებს. მეტად უმნიშვნელო ცნობები მოვცემოვება ქვეწარმავ-ლების ბიოლოგიდან, განსაკუთრებით მათი გამრავლებისა და ნა-შიერების ზრდა-განვითარების შესახებ.

ქვეწარმავლების რეგიონა, როგორც ითქვა, ნიშნავს, რომ უმთავ-რესი დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით დადგენილ იქნას ცხო-ველის ნამდვილი სახელწილება. ამისათვის შედგენილია თანმიმდევ-რული სარკვევი ტაბულები.

უპირველეს ყოვლისა უნდა გამოვარკვით ქვეწარმავლების რო-მელ ქვეკლასს ეკუთვნის მოპოვებული ცხოველი. შემდეგ კი რიგების სარკვევი ტაბულების საშუალებით ვარკვევთ რიგს. როდესაც ეს უკანასკნელი გამორჩეული იქნება, საჭიროა ჩვენ მიერ ჩატარებუ-ლი მუშაობის სისტორეში დავრწმუნდეთ, რისთვისაც უნდა გულ-დასმით წავიკითხოთ რიგის ზოგადი დახასიათება. როდესაც რიგის დამახასიათებელი ნიშნები დამაკმაყოფილებლად უპასუხებს ჩვენს მოთხოვნებს, რეგევს ვაგრძელებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მუ-შაობას თავიდან ვიწყებთ. შემდეგ იმავე წესით ვახდენთ ოჯახის, გვარისა და სახეობის რკვევასა და შემოწმებას.

ზოგჯერ ხდება ისე, რომ, რამდენიც უნდა ვეცადოთ, მოპოვე-ბული ეგზემპლარის სახეობის დადგენა არ ხერხდება, რაც შეიძლე-ბა შემდეგი მიხეზით იყოს გამოწვეული: ან მრკვეველი ჯერ კიდევ საქმიანდ ვერ დაეუფლა რკვევის ხერხებს და ამიტომ ვერ მიაღწია

მან სასურველ მიზანს, ან მას ხელთ აქვს ისეთი ცხოველი, რომელიც დღემდე საქართველოს ფარგლებიდან არ იყო ცნობილი, რის გამოც სარკვევ ტაბულაში არაა შესული. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში მისი გამორკვევაც შეუძლებელი იქნება. ასეთი ექსპონატები, არსებული წესით დამტავებული (იხ. ამის შესახებ ქვემოთ), უნდა გადაეგზავნოს სათანადო დაწესებულებას (მაგალითად, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრას, საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებას ან რომელიმე პედაგოგიური ინსტიტუტის ზოოლოგიის კათედრას), რომელიც შეძლებს მის გარკვევას. ასეთი ექსპონატი, სურვილის მიხედვით, უბრუნდება პატრონს.

სარკვევი ტაბულები შედგენილია შვედური სისტემით. ასეთი სახის სარკვევ ტაბულაში ყველა მონაცემი დაყოფილია ცალკ-ცალკე მუხლად, რომლებსაც „თეზა“, და „ანტითეზა“ ეწოდება. თი-თოვეულ მუხლს ანუ „თეზას“ აქვს თავისი ნომერი, რომლის გვერდით ფრჩხილებში ჩასმულია ანტითეზა. თუ თეზა, რომელ-საც ჩვენ გავეცანით, არ უპასუხებს ჩვენს ხელთ არსებული ცხოველის დამახასიათებელ ნიშნებს, მაშინ გადავდივართ იმ თეზაზე, რომელიც მითითებულია ფრჩხილებში მოცემული ციფრით. როდესაც რომელიმე მათგანი დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნას, შემდეგ გადავდივართ მომღევნო თეზის განხილვაზე და ა. შ. მანამდე ვაგრძელებთ ამ პროცესს, სანამ თეზას მიწერილი არ ექნება ცხოველის სახელი, რაც იმ ცხოველის სახელწოდება იქნება, რომელ-საც ვარკვევთ. ამასთან უნდა აღნიშნოთ, რომ როგორც თეზის, ისე ანტითეზის გულდასმით და ბოლომდე წაკითხვა აუცილებელია.

სარკვევით სარკვებლობის წესის ადვილად დაუფლების მიზნით ქარგი იქნება, განსაკუთრებით იმათვის, ვინც პირველად იწყებს სარკვევით მუშაობას, მრკვეველმა წინასწარ ივარჯიშოს და „გარკვიოს“ ნაცნობი ობიექტი, რაც მას შემდგომ მუშაობას გაუადვილებს. ასე მაგალითად, ჩვეულებრივი ანკარას [Natrix natrix (Linnaeus)] რკვევა შემდეგნაირად ხდება. ვიწყებთ ქვეწარმავლების ქვეკლასების სარკვევი ტაბულიდან.

(2) ცხოველის სხეული მოთავსებულია განიერ ძვლოვან ჯავშანში, რომელიც ზემოდან დაფარულია დიდი ზომის რქოვანი ფირფიტებით. კუდი ყოველთვის კარგადაა გამოხატული, თუმცა ზოგჯერ შეიძლება იყოს მეტად მოკლე.

(ამ თეზაში მოცემული ნიშნები ჩვენი ობიექტისათვის არაა დამახასიათებელი და ამიტომ გადავდივართ იმ ანტითეზაზე, რომელიც მითითებულია ფრჩხილებში ჩასმული (2) ციფრით).

2(1) ცხოველის სხეული ჯაფშანში არაა მოთავსებული. სხეული ზე-  
მოღან ქერცლებითაა დაფარული.

**ქვექლასი ქერცლიანები. Squamata (გვ. 42).**

(ამ თებაში მოცემული ნიშნები დამახასიათებელია ჩვენი ობიექტისათვის.  
ამის შემდეგ გადავდივართ ქერცლიანების ქვექლასის განხილვაზე, რომე-  
ლიც მითითებულია თების ბოლოს; გვ. 42).

ქვექლასის ზოგადი დახასიათების შემდეგ მივმართავთ რიგების  
სარკვევ ტაბულას (გვ. 42).

1(4) ფეხები აქვს. თუ ფეხები არა აქვს, მოძრავი ქუთუთოები მოე-  
პოვება.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები არაა დამახასიათებელი ჩვენი ობიექტი-  
სათვის, რის გამოც გადავდივართ ანტითებაზე).

4(1) ფეხები არა აქვს. მოძრავი ქუთუთოები არა აქვს.

**რიგი გველები. Serpentes s. Ophidia (გვ. 85).**

(ამ თებაში მოცემული ნიშნები ეთანხმება ჩვენ ხელთ არსებული ცხოვე-  
ლის ნიშნებს. ამიტომ გადავდივართ მითითებულ გვერდზე).

გველების რიგის ზოგადი დახასიათების გაცნობის შემდეგ, გა-  
დავდივართ გველების ოჯახების სარკვევი ტაბულის განხილვაზე  
(გვ. 100).

1(2) სხეულის დორსალური და ვენტრალური მხარე მსგავსი ქერც-  
ლითაა დაფარული. თვალები მცირე ზომის მუქი წერტილები-  
ვითაა, რომლებიც გამოსჭვივიან კანიდან. კუდის სიგრძე არ  
აღმატება სიგანეს.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები არაა დამახასიათებელი ჩვენ ხელთ არსებუ-  
ლი ობიექტისათვის. გადავდივართ შემდეგ თებაზე).

2(1) სხეულის დორსალური და ვენტრალური მხარეს საფარველი  
განსხვავებულია. თვალები ნორმალურადაა განვითარებული.  
კუდის სიგრძე მრავალჯერ ჭარბობს სიგანეს.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები დამახასიათებელია ჩვენი ობიექტისათვის.  
გადავდივართ შემდეგ თებაზე).

3(4) კლოაკის მარჯვნივ და მარცხნივ მოიპოვება ბრქყალისებრი-  
გამონაზარდის სახით უკანა კიდურების რუდიმენტები. ჩონჩხში  
მენჯისა და უკანა კიდურების რუდიმენტებია.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები არ ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათე-  
ბელ ნიშნებს. გადავდივართ შემდეგ ანტითებაზე).

4(3) კლოაკის მარჯვნივ და მარცხნივ უკანა კიდურების რუდიმენ-  
ტის ბრქყალისებრი გამონაზარდები არაა. ჩონჩხში მენჯისა  
და უკანა კიდურების რუდიმენტი არ მოიპოვება.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათებელ  
ნიშნებს. გადავდივართ შემდეგ თებაზე).

5(6) სხეული ქვედა მხრიდან დაფარულია ერთ გასწვრივ რიგად განწყობილი განიგი ფარებით. ორივე ყბა ერთგვაროვანი კბილებითაა აღჭურვილი, ზედა ყბა პორიზონტალურად მდებარეობს და ვერტიკალური მიმართულებით მოძრაობა არ შეუძლია. სასის ძვალს აქვს გვერდითი განშტოებანი.

### ოჯახი ანკარები. Colubridae (გვ. 106).

(ამ თებაში მოცემული ნიშნები ემთხვევა ჩვენს ხელთ არსებული ობიექტის ნიშნებს. გადავდივართ ანკარების ოჯახის განხილვაზე; გვ. 106).

ანკარების ოჯახის ზოგადი დახასიათების გაცნობის შემდეგ გადავდივართ ამ ოჯახის გვარების სარკვევი ტაბულის განხილვაზე. (გვ. 108).

1(8) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 17 ქერცლია.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები არ ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. გადავდივართ ანტიტებაზე).

2(1) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 ქერცლია.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. გადავდივართ შემდეგ თებაზე).

3(12) გუგა ვერტიკალურია. ანალური ფარი მთლიანია.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები არ ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. გადავდივართ ანტიტებაზე).

4(9) გუგა მრგვალია. ანალური ფარი, ჩვეულებრივ, გაყოფილია.

(ამ თებაში მოცემული ნიშნები ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. გადავდივართ შემდეგ თებაზე).

5(14) ქერცლზე მკვეთრად გამოხატული ტროპი.

გვარი ანკარა. *Natrix Laurenti* (გვ. 108).

(ამ თებაში მოყვანილი ნიშნები ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს. გადავდივართ გვარის განხილვაზე; გვ. 108).

ანკარას გვარის ზოგადი დახასიათების გაცნობის შემდეგ გადავდივართ გვარის სახეობათა სარკვევი ტაბულის განხილვაზე.

1(2) ცხვირსშორისი ფარები ცოტად თუ ბევრად ტრაპეციული ფორმისაა. ყბათაშორისსა და ცხვირსშორისს ფარებს შუა ნაკერი მოკლე არაა ზედა ტუჩის პირველ ფარსა და ყბათაშორისს ფარს შორის ნაკერზე. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა შეიდია. ზედა ტუჩის მესამე და მეოთხე ფარი ეხება თვალს. ჩვეულებრივი ანკარა. *Natrix natrix* (Linne).

(ამ თებაში მოცემული ნიშნები ემთხვევა ჩვენი ობიექტის ყველა დამახასიათებელ ნიშანს).

ვეცნობით ანტიოქეზასაც.

(2) ცხვირსშორისი ფარები ცოტად თუ ბევრად სამჯუთხელი ფორმისაა. ყბათაშორისისა და ცხვირსშორისს ფარებს შეუა ნაკერი მოკლეა ზედა ტუჩის პირველ ფარსა და ყბათაშორისს ფარს შორის ნაკერზე. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა (იშვიათად შვიდია). ზედა ტუჩის მეოთხე (ზოგჯერ მეხუთეც) ფარი ეხება თვალს.

### წყლის ანკარა. *Natrix tessellata* (Laur enti).

(ამ თეხაში მოცემული ნიშნები არ ემთხვევა ჩვენი ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს).

ამგვარად, ამ ორი თეხადან ვარჩევთ პირველს და ვასკვნით, რომ ჩვენს ხელთ არსებული გასარკვევი ობიექტი ყოფილა ჩვეულებრივი ანკარა—*Natrix natrix* (Linne). აქ ვწყვეტთ რკვევას და ვეცნობით გარკვეული ობიექტის (ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ანკარას) დახსიათებას, გეოგრაფიულ გავრცელებას, ბიოლოგიას და ამგვარად ვამთავრებთ ჩვენს მუშაობას ამ ობიექტის მიმართ.

ქვეწარმავლების რკვევის დროს საჭირო ხდება ცხოველის გაზომვა, რაც შეიძლება შესრულებულ იქნას სათანადო ხელსაწყო-იარაღით, სახელდობრ: საზომი ფარგლით, რომელზეც სათანადო დანაყოფებია (მილიმეტრები), უბრალო ფარგლით—ამ შემთხვევაში საჭიროა მასშტაბიან სახაზავზე მისი გადატანა და გამოთვლა. ზოგიერთი დიდი ზომის ქვეწარმავალი, როგორიცაა კუ, გველი და სხვ. შეიძლება გაზომილ იქნას საზომი ლენტითაც.

რკვევის დროს საჭიროა საპრეპარაციო ნემსები, რომლებიც შეიძლება თვითონვე დაგამზადოთ. ამისთვის ჩვეულებრივ მახასიათებენ კალმისტრისოდენა ჯონხე. გარდა ამისა, უნდა ვიქონიოთ ლუპა, რომლის გარეშე ხშირად შეუძლებელი ხდება ქერცლების დათვლა ან ერთიმეორისაგან მათი გარჩევა. უნდა ვიქონიოთ აგრეთვე პინცეტი, ლანცეტი, მაკრატელი, საპრეპარაციო აბაზანა.

რაც შეხება გასარკვევად აღებული ობიექტის შეფერადებას, საჭიროა იგი აიწეროს ქვეწარმავლის ფიქსატორში მოთავსებამდე, რადგან ფორმალინის და სპირტის ხსნარი ცვლის ცხოველის შეფერადებას, რის შედეგადაც ასეთ მასალაზე ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი შეფერადების აღდგენა მეტად ძნელდება და ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება. ამავე დროს მეტად მნიშვნელოვანია ფიქსატორში მოთავსებამდე ცხოველის დახატვა მისი ბუნებრივი ფერებით. საჭიროა ალინიშნოს ექსპონატის მოპოვების

ადგილი, თარიღი, საათი, ბიოტოპის თავისებურება, მოპოვების ლროს არსებული ტემპერატურა, ცხოველის სქესი, წონა, რაც სა-თანადო გამოსაყენებელი იქნება შემდგომი კვლევისას. უკაფუ ფერადი სალებავები იმ ხანად არ მოგვეპოვება, შეიძლება მოინიშ-ნოს და ჩაიწეროს ცხოველის სხეულის ცალკეული ადგილების ფე-რები და შემდეგ გადატანილ იქნას ფერებში.

სარკვევიში მასალის შეგროვება ხდება სხვადასხვა ხერხით. ქვეწარ-მავლების უმრავლესობა შესაძლებელია მოპოვებულ იქნას ხელით. მაგალითად, კუ, ხვლიკები, ზოგიერთი გველი (გარდა შხამიანები-სა!). ხვლიკებისა და გველებისათვის მეტწილად გამოიყენება სხვა-დასხვა სიგრძის პინცეტი (უმჯობესია 50 სმ სიგრძისა). გველების ჭრისას საჭიროა დიდი სიფრთხილე, განსაკუთრებით პირველი დამწყებთათვის, რადგან ხშირ შემთხვევაში ასეთი მკვლევარისათვის შხამიანი გველი უშხამოსაგან ძნელად გასარჩევია ხოლმე. შხამიან გველს, ჩვეულებრივ, შემტევნაირად იჭერენ: გველს აღებენ მოგრძო ჯოხს კისერზე ან მის მახლობლად და მას მიწაზე მჭიდროდ აბჯე-ნენ. თუ ჯოხი იმგვარადა დაბჯენილი, რომ გველი თავს ვეღარ ანძრევს, მაშინ ხელი უნდა მოვკიდოთ თავთან ახლოს კისერზე და ავწიოთ ზევით. იგი იწყებს ტანის ქნევას, ასეთ მდგომარეობაში იგი სრულიად უვნებელია, რადგან კბენას ვერ ახერხებს. შემდეგ კულით ქვემოთ ვათავსებთ სათანადო ჭურჭელში (იხ. ქვემოთ). შეი-ძლება გველს კულზე წავავლოთ ხელი და ავწიოთ ზევით. ასეთ შემთხვევაში იგი მაგრად უნდა დავიქნიოთ, რომ მას განძრევის საშუალება მოვუსპოთ. ამგვარად დაჭერილ გველს თავდაყირა ვა-თავსებთ ჭურჭელში. გველს იჭერენ პინცეტითაც. ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო, თუ საქმე შხამიან გველთან გვაქვს, რადგან თუ მას კულზე წავავლებთ პინცეტს და უხერხულად მო-ვექცევით, მაშინ ადგილი მოსალოდნებია, რომ გველმა გვიკბინოს. უმჯობესია პინცეტი წავავლოთ კისერზე და ისე ავწიოთ. ამ შემ-თხვევაშიც გველი წინასწარ ჯოხით უნდა მივაკრათ მიწაზე. ამ მიზ-ნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი ჯოხი დაახლოებით 1—1,5 მეტრის სიგრძისა, ან ასეთივე სიგრძის ჯოხი, რომელსაც ერთი ბოლო ორჯაში აქვს. ამ შემთხვევაში გველი უნდა მოვაქციოთ ამ ორჯაში და ამგვარად მოვიმწყვდიოთ იგი. გველებს იჭერენ კიდევ სპეციალური გრძელი მაშებით. პირველ დამწყებს უმჯობე-სია ვურჩიოთ, რომ გველი მოკლას ადგილობრივ, რისთვისაც ჯოხი ან სახრე უნდა დავკრათ ზურგში (და არა თავში, თავის დაზიანე-ბისას მეტად ძნელდება და ხშირად შეუძლებელიც ხდება ცხოვე-

ლის სახეობის დადგენა). ყოველ შემთხვევაში, მაინც უნდა ვერ-ლოთ შხამიანი გველის კისრით დაჭრას, რადგან აღნიშნულია შემ-თხვევა, როდესაც შხამიან გველს კანში ჩაუსვია კბილი, რომელსაც ქვედა ყბის გავლით მიუღწევია ხელამდე.

ხვლიაქებს იქერენ ხელით, პატარა ბალით (ზოგჯერ მწერბალი-თაც), პინცეტით. მუცელზე ხელის მოჭერისას ზოგი ხვლიკი იკბი-ნება, მაგრამ მის კბენას ადამიანისათვის ზიანის მიუენება არ შეუ-ძლია.

უნდა გვახსოვდეს, რომ ხვლიკების უმრავლესობას ახასიათებს კუდის ავტოტომიის უნარი და უხერხულად დაჭრის შემთხვევაში შესაძლებელია ქუდი მოსწყდეს. ასეთი ექსპონატი ხშირად, როგორც საკვლევი ობიექტი, ლირებულებას, ჰკარგავს. ამიტომ ყოველთვის უნდა ვეცადოთ, რომ ხვლიკს ხელი მოვკიდოთ კისერზე, ან ტანზე მაინც, და არა კუდზე.

ექსკურსიის დროს მოპოვებული ქვეწარმავლების მოსათავსებ-ლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ტილოს პარკი (40—50 სანტიმეტრის სიგრძის), საექსკურსიო ვედრო, საკომიანი მინის ქილა. უკანასკნელს მეტად ფრთხილად უნდა მოვექტეთ განსაკუთ-ხებით იმ შემთხვევაში, როდესაც მასში შხამიანი გველი იმყოფება. პარკში შხამიანი გველის მოთავსებისას (კულით ქვემოთ, ან თავდა-ყიდო) საკიროა ჩაუქშათ იგი შიგ, სწრაფად მოვაცალოთ ხელი და ასევე სწრაფად მოვუკრათ პირი. გველებიანი პარკი (თუნდ შხამი-ანიც იყოს შიგ) შესაძლებელია მხარზე ან ცალ გვერდზე გადავი-კიდოთ, ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ზედ არ დავჯდეთ ან მაგრად არ შევეხოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია კბენა. საექსკურსიო ვედრო ყოველმხრივ მოსახერხებელია, მაგრამ რამდენადმე ძნელდება მისი ტარება. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ვედროს თავსახურავი მჭიდროდ უნდა დავახუროთ ან დავაბათ ზედ ვედროზე, რადგან ზოგიერთი დიდი ზომის გველი აწვება რა მას შიგნილან, ხსნის თავსახურავს და ამიღის ზევით, მას შეიძლება ამოკვევს შხამიანი გველიც, რაც სახითათოა. ყველა სახის ხელიკი შესაძლებელია შეგროვილ იქნას ასეთსავე საექსკურსიო კურტელ-ში, მაგრამ უმჯობესია მცირე ზომის ხვლიკები ცალკე შევინახოთ, რადგან დიდი ზომის ექსპონატებს შორის ისინი ზიანდებიან, რის შედეგადაც საკვლევი და სამუხეუმო მასალის ლირებულებას კარ-გავენ.

ქვეწარმავლები შესაძლებელია სხვადასხვაგვარ პირობაში მოვი-მოვოთ. დასახული ამოცანის შესრულების გაადვილების მიზნით

წინასწარ დაწვრილებით უნდა გავეცნოთ ამ ცხოველთა ბიოლოგიას, რისთვისაც საჭიროა გამოყიყნოთ არა მარტო ამ წიგნში მოცემული ცნობები მათ შესახებ, არამედ, შეძლებისდაფვარად, გადავიყითხოთ რიგი ლიტერატურული წყაროც.

ქვეწარმავლები თავს აფარებენ ქვის ქვეშ, ქვის ყორეში, თივის ზენის ქვეშ, ბუჩქში, ხის ფულუროში, კლდის ნაპრალებში, სხვადასხვა ცხოველის, განსაკუთრებით მღრღნელების სოროებში და სხვა მსგავს აღვილებში. მათ მოსაპოვებლად ზოგჯერ საჭირო ხდება ქვების აშლა, კლდის მონგრევა, ან საკმაო სიღრმის ორმოს ამოთხრა. ამიტომ ექსკურსიის დროს საჭიროა თან ვიქონიოთ პატარა წერაქვი, ნიჩაბი.

ქვეწარმავლების შესაგროვებლად ყველაზე ხელშემწყობი დრო გაზაფხულია. ამ დროს ეს ცხოველები აქტიურნი არიან, ხშირად გამოღიან მზეზე და მრავალრიცხვნადაც გვხვდებიან. ზაფხულის პერიოდში, დიდი სიცხეების გამო, მრავალი მათგანი ან ზაფხულის ძილქუშს ეძლევა, ან იმალება და დღე-ლამის გარკვეულ დროს გამოღის, რაც ხშირად მკვლევარისათვის შეუმჩნეველი ხდება. შემოდგომაზეც მრავალი მათგანი უკვე ზამთრის ძილქუშს ეძლევა. ზოგი კი არახელსაყრელი პირობების გამო იმალება.

მოპოვებული ცხოველი, თუკი იგი ცოცხლად შესანახად არაა განკუთვნილი, უნდა ფიქსირებულ იქნას სათანადო ხსნარში. ამ მიზნით ჩვეულებრივ გამოიყენება ოთხპროცენტიანი ფორმალინი ან 75-პროცენტიანი სპირტი.

ფიქსატორში მოთავსებამდე ცხოველი მოკლული უნდა იქნას ქლოროფორმის ან ეთერის გამოყენებით. ამისათვის ქილაში ათავსებენ ქვეწარმავალს, შიგ აგდებენ ქლოროფორმში ან ეთერში დასველებულ ბაზბას და თავს მჭიდროდ დაუცობენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ქლოროფორმი საჭამლავია და ადამიანზეც მოქმედებს, ამის გამო საჭიროა სიფრთხილე (დიდხანს არ უნდა ვიყნოსოთ მისი ორთქლით). შეიძლება ქვეწარმავალი პირდაპირ ფიქსატორით სავსე ქილაში ჩავაგდოთ და თავი მჭიდროდ დავხუროთ. დახოცილ ქვეწარმავლებს მუკლის არეში ლანცეტით ან მაკრატლის წვერით რამდენიმე აღვილას სჭრიან, რათა ფიქსატორმა აღვილად შეაღწიოს შინაგან ორგანოებამდე. ამის შემდეგ ასეთ ცხოველს წყალში რეცხავენ, რათა მოცილებულ იქნას მიყენებული ჭრილობებიდან გამონადენი სითხე და შემდეგ ათავსებენ ქილაში, სათანადო წარწერით, რომელზეც ალნიშნული უნდა იქნას ცხოველის მოპოვების ადგილი, თარიღი და მომპოვებლის გვარი და სახელი. ეს წარწერა, რომელიც იწერება შავი ფანჯრით უბრალო ქალალდეჲ ან ტუშით

პერგამენტის ქაღალდზე, უნდა მოთავსდეს ცხოველთან ერთად ჭურჭელში. თუ ექსპონატი გამოსაფენადაა განკუთვნილი, მაშინ ჭურჭელს, რომელშიც იგი მოთავსებულია, გარედან უნდა ჯაუჭერდეს წირწერა მხოლოდ სახეობის აღნიშვნით.

შესაძლებელი

### ქანარმავლების მოვლა-შენახვა

ქვეწარმავლების შენახვა ცოცხალი კუთხის პირობებში შესაძლებელია სათანადოდ მოწყობილ საღვამში, რომელსაც ტერარიუმს უწოდებენ. ლითონის ან ხის ტერარიუმები, ჩვეულებრივ, შეიძლება შეძენილ იქნას თვალსაჩინოებათა მაღაზიებში ან აგებულ იქნას აღვილობრივ. ტერარიუმის აგებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მასში მოსათავსებულ ცხოველთა ზომა, რაოდენობა, ცხოვრების ნირი და თავისებურებანი. ამასთან, ტერარიუმი ისე უნდა ჰიერულის, რომ მისი დასუფთავების შემთხვევაში მასში მოთავსებული ცხოველები ნაკლებად გავაღინიანოთ ან ამ პროცედურის დროს ტერარიუმში მყოფი ცხოველი გარეთ არ გამოვიდეს. უმჯობესია, რომ ყოველი ტერარიუმი ორი განცოგილებისაგან შედგებოდეს. ერთი მათგანის დასუფთავების შემდეგ მასში გადაყვანილი უნდა იქნას ცხოველები და შემდეგ დალაგდეს მეორე განყოფილება. დასუფთავების სიადვილისათვის ტერარიუმის იატაკს აკეთებენ მოძრავს: საჭირო შემთხვევაში გამოაქვთ იგი გარეთ, წმინდენ, რეცხავენ და შემდეგ აბრუნებენ ისევ თავის აღვილას. ტერარიუმის იატაკის გამოსალები ისე უნდა გაკეთდეს, რომ მისი გამოლების აღვილი იკეტებოდეს, რათა შიგ მყოფ ქვეწარმავლებს გარეთ გამოსვლა არ შეეძლოთ. ტერარი- უმი იმგვარად უნდა აიგოს, რომ შესაძლებელი იყოს მასში მოთავსებულ ცხოველზე დაკვირვების ჩატარება ყოველი მხრიდან. ეს კი მოსახერხებელია, თუ ტერარიუმის მეტწილი კედელი და ჭირი მინებჩასმული იქნება და ორი ან სამი კედელი ბადე-გადაკრული; ზოგ შემთხვევაში კი ტერარიუმის ყველა კედელი შეიძლება ბადით იყოს დაფარული.

ტერარიუმი შეიძლება იყოს სხვადასხვა ზომის. სასწავლებლების პირობებში ჩვეულებრივ აწყობენ საშუალო ზომისას:  $60 \times 30 \times 31$ ;  $40 \times 36 \times 38$ ;  $25 \times 20 \times 25$  (ზომა სანტიმეტრობითაა) და სხვ.

ტერარიუმის იატაკზე დაყრილი უნდა იქნას სუფთა (გარეცხილი) ქვიშა, დალაგდეს რამდენიმე ქვა, დაიღვას პატარა ქოთანი, რომლის ქვეშ ან შიგნით ცხოველს თავის შეფარების შესაძლებლება შეიცეს. აგრეთვე ტერარიუმის ერთ კუთხეში უნდა დაიღვას წყლით სავსე პატარა ჭურჭელი. ტერარიუმი ყოველთვის სუფთად უნდა იქნას შენახული, რისთვისაც იგი დროდადრო უნდა გაიწმინდოს.

განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობა ესაჭიროება იმ ტერარიუმს, რომელშიც შხამიანი გველები ინახება. ასეთ ტერარიუმს არ უნდა ჰქონდეს ისეთი ხვრელები, რომლებიდანაც ცხოველს გასვლა შევძლება; დაუშვებელია კარის ხშირად გალება, იგი უნდა იყრებოდეს კლიტით, რომლის გასაღებიც გარკვეულ პირთან უნდა ინახებოდეს.

ერთ ტერარიუმში შეიძლება რამდენიმე ეგზემპლარის შენახვა, რაც ცხოველის სიღიდეზეა დამოკიდებული. ჩეილებრივ ვარაუდობენ ხოლმე თითოეული ცხოველისთვის 150—200 კვ. სმ ფართობს. მაგრამ ყოველთვის ამ ნორმის დაცვა არ ხერხდება.

მიზანშეწონილია ყოველ ტერარიუმში თითო სახეობის ქვეწარმალის შენახვა. მცირე ზომის ხვლიკები შეიძლება ერთად რამდენიმე სახეობაც შევინახოთ, ზოგ შემთხვევაში, გველები ჭამენ ხოლმე სხვა სახეობის ჭარმომადგენლებს. ასე, მაგალითად, მუცელყვითელი მცურავი ჭამს მის მონათესავე მუქმწვანე მცურავს, ანკარას, კონტიას და სხვ.

არაა მიზანშეწონილი ერთსა და იმავე ტერარიუმში განსხვავებული ასაკის ინდივიდთა შენახვაც, რადგან დიდი ზომის ეგზემპლარები მცირე ზომისას თავისი ტანით ჰყლეტავენ და ხოცავენ.

გამრავლების პერიოდში საჭიროა ხვლიკების განცალკევება, რათა თავიდან ავიცილოთ დაფებული კვერცხის განადგურება სხვა ინდივიდებისაგან.

ცოცხალ კუთხეში ცხოველთა მოვლა-შენახვისას ყველაზე რთულია კვების საკითხი, რადგან ხშირად ტყვეობაში მოხვედრილი ცხოველი დიდი ხნის, ზოგჯერ მრავალი ოვის განმავლობაში არ ჭამს საკვებს, მაგალითად, ჯოჯო, ზოგიერთი გველი და სხვ., ხოლო ზოგი ცხოველი აღილად ეგუება ტერარიუმის პირობებს და მიცემულ საკვებს ჭამს ტყვეობაში მოხვედრის დღიდანვე. ხვლიკების უმრავლესობა იმდენად ეგუება ტერარიუმის პირობას, რომ საკვებს ხელიდანაც კი ართმევს მომვლელს. ზოგიერთი გველი, მაგალითად, ანკარები, მცურავები და სხვ. ადამიანის სიახლოვის მოურიდებლად იჭერენ და ჭამენ მათოვის მიწოდებულ საკვებს.

ქვეწარმავლებისათვის შერჩეული საკვები მაღალხარისხოვანი უნდა იყოს. ქვეწარმავლები სხვადასხვაგვარი საკვებით იკვებებიან. ხმელეთის კუს უნდა მიეცეს კომბოსტო, სტაფილო, სალათა და ბალახოვანი მცენარეები. წყლის კუსა და ანკარას ეძლევა ცოცხალი ბაყაყები და მცირე ზომის თევზები. წყლის კუ შეიძლება ხორცითაც ვკვებოთ. ამ მიზნით ხორცს ჭრიან პატარ-პატარა ნაჭრებად და

უყრიან ცხოველს. მასვე შეიძლება მიეცეს თავკომბალები, მწერები. ველის მახრჩობელას საკვებად უნდა მიეცეს ხვლიკები, მცირე ზომის მღრღნელები (თაგვები, ზაზუნები, მემინდვრიები დასხვ.). მცურავებს საკვებად ეძლევა მცირე ზომის მღრღნელები, ხვლიკები, მცირე ზომის ფრინველები (ბეღურა, ლობემძვრალა და სხვ.). ასეთივე საკვებს აწვდიან შხამიან გველებსაც. გველხოკერას ეძლევა მწერები, ლოკოკინები (ნიჟარიანი), ფრინველის კვერცხი, ხოლო ხვლიკებს—სხვადასხვა მწერი და ჭიაყელა, პატარ-პატარა ნაგრებად დაჭრილი ხორცი. მიზანშეწონილია, რომ საკვები ცხოველს ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილას მიეცეს (ტერარიუმის ერთი კუთხე საამისოდ უნდა იქნას განკუთვნილი).

ქვეწარმავლების აქტიურობაზე და ეფექტურ კვებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ტერარიუმის ტემპერატურული პირობები, რაც შეძლებისლაგვარად მაღლალი (20—30°C) უნდა იყოს.

უზრადლება უნდა მიეცეს იმ გარემოებასაც, რომ ტერარიუმს მზის სხივები უხვად ეცემოდეს, მაგრამ უნდა ვერიდოთ დიდი ხნის განმავლობაში მათ პირდაპირ მოქმედებას, რადგან, თუ ასეთ პირობებში ცხოველს თავის შეფარების შესაძლებლობა არ აქვს, იგი მალე იღუპება.

### დაკვირვებათა ჩატარება

ქვეწარმავალთა ბიოლოგია არ შეიძლება სავსებით შესწავლილად ჩაითვალოს. უმეტესი მათგანის გამრავლების საკითხი, კვების თავისებურებანი და ქცევები ჯერ კიდევ შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს. ამიტომ ტერარიუმის პირობებში შესაძლებლობა იქმნება მრავალი დაკვირვების წარმოებისათვის. ამა თუ იმ სახეობის ქვეწარმავლის ყოველგვარი ქცევა ზუსტად უნდა იქნას რეგისტრირებული სეზონის მიხედვით და შემდეგ გაანალიზებული. საინტერესოა გამორკვეულ იქნას ცალკე სახეობების მიხედვით კვების თავისებურებანი. ინტერესმოკლებული არაა გამორკვეულ იქნას გამრავლების საკითხები: მაგალითად, შეულების ვადები ჩვენს პირობებში, დადებული კვერცხების საერთო რაოდენობა (ყველა კვერცხს ცხოველი დებს ერთდროულად თუ ხანგამოშვებით), გამოჩეკის ვადები, ცოცხლადმშობიარობის შემთხვევაში ნაშიერთა რაოდენობა, მათი ზომა, წონა, ახალი თაობის ზრდა-განვითარება. მიზანშეწონილია ანალოგიურივე დაკვირვებანი, შეძლებისდაგვარად, ჩატარდეს ბუნებრივ პირობებშიც. მიღებული შედეგები შედარებული უნდა იქნას ერთიმეორესთან.

ქვეწარმავლების ოოლი სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ შესწავლილი არაა. ამ მიზნით დაკვირვებანი შეიძლება ჩატარებულ იქნას ბუნებრივ პირობებში. უპირველეს ყოვლისა საკიროა ცალკე სახეობების მიხედვით დაგადგინოთ მათი საკვების შემაღენლობა. ამ მიზნით მოპოვებულ ქვეწარმავალს მაშინვე კლავენ, აჭრიან კუჭს, ინახავენ მას 70-პროცენტიან სპირტში და შემდეგ ახდენენ კუჭის შიგთავსის ანალიზს, რის შედეგადაც დაღვენილი უნდა იქნას ქვეწარმავლის მიერ შეჭმულ ცხოველთა შემაღენლობა და რაოდენობა. ამის მიხედვით შესაძლებელია მსჯელობა ამა თუ იმ სახეობის ოოლის შესახებ სოფლის მეურნეობაში.

შესაძლებელია ჩატარებულ იქნას ფენოლოგიური დაკვირვებანი ჩვენს პირობებში ცალკეული სახეობის დაზამთრებისა და გამოზამთრების ვადების დაზუსტების მიზნით.

დღელამური ცხოვრების ნირი ნაკლებაა შესწავლილი. ამ საკითხის დადგენა და დაზუსტება მნიშვნელოვანი ამოცანაა ქვეწარმავლთა ბიოლოგიის შესწავლისას.

---

## ქვენარმავლები. REPTILIA

ქვეწარმავლების კლასში გაერთიანებულია ხმელეთის ნამდვილი ხერხმლიანი ცხოველები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მათგანის სიცოცხლე წყლის გარემოსთანაა დაკავშირებული, რაც მეორეულ მოვლენას წარმოადგენს. ყველა ქვეწარმავალი სუნთქვას ფილტვებით, ამიტომაა, რომ წყალში მცხოვრები ფორმებიც დრო და დრო თავს ამოსწევენ ხოლმე წყლის ზედაპირზე და ჩაისუნთქავენ ჰაერს.

ქვეწარმავლებისათვის, წინააღმდეგ წყლის ხერხმლიანებისა, დამახსიათებელია ჩანასახის ორი გარსი: ამნიონი (amnion) და ალანტოისი (allantois), რომლებიც ქვეწარმავლებში წარმოადგენს ხმელეთის გარემოსადმი შევუძნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. ამ ნიშნის მიხედვით ქვეწარმავლებს, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებთან ერთად, ამნიონიანების (Amniota) ჯგუფში აერთიანებენ.

ქვეწარმავლები ცივსისხლიანი ცხოველებია: მათ სხეულს მუდმივი ტემპერატურა არა აქვთ; მათი სხეულის ტემპერატურა დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე და იცვლება უკანასკნელის ცვალებადობასთან დაკავშირებით.

ქვეწარმავლების სხეულის ფორმა სხვადასხვაგვარია: წაგრძელებული (გველები, ხვლიკები, ნიანგები), მომრგვალებული (კუები) და სხვ. ქვეწარმავალთა სხეული იყოფა ხუთ ნაწილად: თავი, კისერი, ტანი, კუდი და კიდურები. უკანასკნელთა რაოდენობა ქვეწარმავლებში, ჩვეულებრივ, ორი წყვილია, მაგრამ არის ისეთი ფორმებიც, რომელთაც მხოლოდ წინა კიდურები აქვთ და ისიც ნაწილობრივ განვითარებული (ქიროტი — Chirotes), ზოგს მხოლოდ უკანა კიდურები მოეპოვება რუდიმენტის სახით (პითონი, ბოა, გველხოკერა და სხვ.), ხოლო გველების უმრავლესობას და ზოგიერთ ხვლიკს (ბოხმეჭას — Anguis) კიდურები სრულიადაც არ უვითარდება. კიდურები ხუთთითიანი ტიპისაა. ზოგიერთ კუს კიდურები საცურავ ფარფლებად აქვს გადაქცეული. თითები მთავრდება წვეტიანი ან ბლაგვი ბრჭყალებით.

ქვეწარმავლების კანი დაფარულია რქოვანი ქერცლებით, ფარებით ან სხვა სახის რქოვანი წარმოქმნებით (გამონაკლისს, წარმოადგენენ რბილი კუები — *Trionychoidea*). კანში ჯირკვლები არაა.

ქვეწარმავლების კანში ხშირად ვითარდება ძვლოვანი წარმოქმნები, რომლებიც ზოგ ფორმაში უდიდეს ზომებს აღწევს. ასე, მაგალითად, ბოხმეჭას (*Anguis fragilis*) ქერცლებს ქვეშ მოეპოვება მცირე ზომის ძვლოვანი ფირფიტები; ნიანგს რქოვანი ქერცლების ქვეშ განლაგებული აქვს მასიური ძვლოვანი ფირფიტები. კუებში ასეთი ძვლოვანი წარმოქმნები მკვრივ ჯავშანს ქმნიან. ამ ჯავშნის ზედა ნახევარი — ბაკანი (*carapax*) დაკაგშირებულია მალების ზედა რკალებთან და ნეკნებთან.

ქვეწარმავლების ჩონჩხი ძვლოვანია და ქორდა მთლიანად გამოდევნილია. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ ახალ ზელანდიაზე მცენორები ჰატერია (*Sphenodon punctatum*), რომელსაც სიცოცლის მთელ მანძილზე ქორდა აქვს შენარჩუნებული.

ქვეწარმავლების ხერხემალი (*columna vertebralis*) იყოფა შემდეგ განცოფილებებად: კისრის (*pars cervicalis*), მკერდის (*p. thoracalis*), წელის (*p. lumbalis*), გავის (*p. saeralis*) და კუდის (*p. caudalis*). ტიბიობრივი მაღალა პროცელური (წინიდან შეზნექილი, ხოლო უკანა მხრიდან ამოქნექილი), ამფიცელური (ორმხრივ შეზნექილი) ან ოპისთოცელურია (უკანა მხრიდან შეზნექილი). მალების რაოდენობა 20 — 450-მდე აღწევს. უკელაზე მცირე რაოდენობის მაღები კუდს მოეპოვება, ხოლო ყელაზე მრავალრიცხოვანი — გველებს, განსაკუთრებით დიდი ზომის ფორმებს. კისრის მალების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში რვაა. დამახასიათებელია, რომ კისრის მალების უმეტესობას გააჩნია ნეკნებიც. მაგალითად, ნიანგის კისრის პირველ მაღალასაც კი აქვს ნეკნები. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კისრის ნეკნები მკერდის ძვლამდე ვერ აღწევენ.

მკერდის მალებს უკაგშირდება ნეკნები (*costae*), რომლებიც მკერდის მიღამოში ესახსრება მკერდის ძვალს იმ ქვეწარმავლებში, რომლებსაც ასეთი გააჩნია. მკერდის მალების რაოდენობა ცვალებადია სახეობის მიხედვით. ასევე განსხვავებულია სახეობების მიხედვით წელის მალების რაოდენობაც. ასე, მაგალითად, ხვლიკის მკერდის განცოფილებაში 5 მაღალა, წელის განცოფილებაში — 12, ხოლო გავის მალების რაოდენობა ქვეწარმავლებში, ჩვეულებრივ, ორია. გამონაკლის წარმოადგენს პრიმიტული ჰატერია, რომელსაც მხოლოდ გავის ერთი მაღალა გააჩნია. კუდის მაღალათა რაოდენობა დამოკიდებულია ქვეწარმავლის კუდის სიგრძეზე.

კიდურების ჩონჩხი წარმოდგენილია თავისუფალი კიდურებისა და სარტყლების ჩონჩხით. წინა კიდურები შედგება: მხრის (humerus), ნიდაცისა (ulna) და სხივის (radius) ძვლისა და მტევნისაგან (manus), რომელიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია მაჯის (carpus), ნების (metacarpus) ძვლებისა და თითების ფალანგებისაგან (phalanges digitorum). ანალოგიურად უკანა კიდური შედგება: ბარძაყის (femur), წვივის დიდი (tibia) და მცირე (fibula) ძვლებისა და ტერფისაგან (pes), რომელიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია უკანა ტერფის (tarsus) და წინა ტერფის (metatarsus) ძვლებისა და თითების ფალანგებისაგან (ph. digitorum).

ტიპობრივი მხრის სარტყელი შედგება ბეჭის (scapula), კორაკოიდისა (coracoideum) და ლავიჭის (clavicula) ძვლებისაგან, ხოლო მენჯის სარტყელი შეიცავს ოქმს (ilium), საჯდომისა (ischium) და ბოქვენის (pubis) ძვლებს.

ისეთ ქვეწარმავლებს, რომელთაც კიდურები სრულიად არ გააჩნიათ ან რუდიმენტის სახით მოქმედებათ, სარტყელებიც შესაბამისად ან არ მოქმედებათ, ან რუდიმენტების სახითაც წარმოდგენილი.

ქვეწარმავლების ქალა (cranium) კისრის პირველ მალას — ატლასს (atlas) უკავშირდება ერთი შესასახსრებელი როკით (condylus occipitales). ქალა ატლასითურთ მოძრაობს კისრის მეორე მალის — ეპისტროფეუსის (epistropheus) კბილისებრ მორჩებ (proc. odontoideus), რითაც ხორციელდება ქვეწარმავლების თავის მეტად მრავალმხრივი და რთული მოძრაობანი.

ქალა შედგება ტვინის ქალასა (neurocranium) და სახის ქალასაგან (splanchnocranium). ტვინის ქალა წარმოადგენს თავის ტვინისა და გრძნობათა ორგანოების საფარს, მაშინ როდესაც სახის ქალა გარს აკრავს და იცავს მომნელებელი სისტემის წინა განცყოფილებას. ქალას კეფის განცყოფილება შედგება ოთხი ძვლისაგან (basioccipitale, ორი exoccipitale და supraoccipitale), რომლებიც ქმნიან კეფის დიდ ხვრელს (foramen occipitale s. magnum). სმენის მიღამოში განვითარებულია სმენის წინა ძვლი (prooticum), ხოლო ზოგიერთ ფორმას, მაგალითად, კუებს, მოებოვება ყურის უკანა ძვალიც (opisthoticum). ქალას ძვლებიდან აღსანიშნავია: თხემის (parietalia), შუბლის (frontale) და ცნობირის (nasalia) ძვლები.

ამ უკანასკნელს უკავშირდება ყბათაშორისი ძვლები (praemaxillaria), მათ გვერდზეა ზედაცბის ძვლები (maxillaria), საცრემლე ძვლები (lacrimalia) და სხვ. ტვინის ქალას ფუძეს ქმნის ძირითადი სოლისებრი ძვლი (basisphenoides), რომელსაც უკავშირდება ფრთისებ-

რი მკალი (pterygoideum), განივი ძვლები (transversum), რომლებიც მხოლოდ ქვეწარმავლებისათვისაა დამახასიათებელი, სასისი (vomer) და სხვ.

ქვედა ყბა შედგება წყვილი კბილის (dentale), კუთხური (angulare), სასახსრე (articulare) და გვირგვინის (coronare) ძვლები-საგან.

ასლანიშვნავია, რომ გველების სასახსრე ძვალი კვადრატულ ძვალს მეტად მოძრავად უკაშირდება, რითაც უზრუნველყოფილია პირის დიდად გაშლის უნარი, რაც ხელს უწყობს ქვეწარმავალს გადაყლაპოს მის თავთან შედარებით უფრო დიდი ზომის ცხოველი.

ქვეწარმავლების ნერვული სისტემა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე დგას. თავის ტვინი იყოფა ხუთ ნაწილად: წინა ანუ დიდი ტვინი (telencephalon), შუამდებარე ტვინი (diencephalon), შუა ტვინი (mesencephalon), ნათხემი (metencephalon s. cerebellum) და მოგრძო ტვინი (myelencephalon s. medulla oblongata). ამ უკანასკნელით თავის ტვინი უკავშირდება ზურგის ტვინს. თავის ტვინიდან გამოდის ნერვების ორომეტრი წყვილი.

ქვეწარმავლების გრძნობათა ორგანოები განვითარების მხრივ გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე ამფიბიებისა.

შეხების გრძნობის ორგანოები სუსტადაა განვითარებული, რაც გამოწვეულია კანის საფარველების საერთო გარქოვანების შედეგიდ.

გემოვნების ორგანოებად თვლიან ენისა და სასის ლორწოვან გარსზე არსებულ ბოლქვისებრ უჯრედებს.

ყნოსვის ორგანო გარეთ იხსნება წყვილი ნესტოთი, ხოლო პირის ღრუში — ქოანებით. ზოგ ქვეწარმავალს (გველებსა და ხელი-კებს) მოეპოვება ე. წ. იაკობსონის ორგანო, რომელიც პირის ღრუსთან მიღითაა დაკავშირებული. ორგორც ჩანს, ამ ორგანოთი ცხველი შეიგრძნობს პირის ღრუში მოქცეული საკვების სუნს.

სმენის ორგანო შედგება შიგნითა და შუა უურისაგან; ზოგ ფორმას (ნიანგებს) აქვს გარეთა უურის ჩანასახიც. ზოგიერთ ქვეწარმავალს (გველები, ზოგი ხელიკი) არ მოეპოვება დაფის აპკი.

თვალები შედარებით დიდი ზომისაა. ხელიკებსა და გველებს სკლერაში განვითარებული აქვთ სკლეროტიკული ბეჭედი, რომელიც ძვლრვანი ფირფიტებისაგანაა შექმნილი.

ქვეწარმავლებს აქვთ ზედა და ქვედა ქუთუთო (membrana palpebrae). მათ შორის მეტადაა განვითარებული ქვედა ქუთუთო, რომელიც ხშირად თვალს მთლიანად ფარავს. გველებისა და გემოვნების ზედა და ქვედა ქუთუთო ურთიერთთან შეზრდილია და გამ-

ქვეწარმავლე აპქსა ქმნის. ზოგ ქვეწარმავლს (ხვლიკებს, ნიანგებს, კუებს) აქვს მესამე ქუთუთოც (membr. nicticans).

ქვეწარმავლების სუნთქვის ორგანოებს წარმოადგენენ ფილტ-ვებს, რომლებიც პარკისებრია და ტიხტების საშუალებით შრავალ განყოფილებადაა დაყოფილი. განსაკუთრებით ეს ითქმის კუებისა და ნიანგების მიმართ. ყველაზე მარტივი აგებულების ფილტვები აქვს ჰატერიას. ზოგიერთი ქვეწარმავლის ფილტვები ნაწილობრივ რედუქციას განიცდის. მაგალითად, ზოგიერთ გველს მხოლოდ ერთი ფილტვი მოეცვება, ხოლო მეორე შერჩენილი აქვს რუდიმენტის სახით (Eryx, Coluber), ან აღარ გააჩნია (Viperidae). სუნთქვის მექანიზმი უფრო სრულყოფილია, ვიდრე ამფიბიებისა, რაც ძირითადად დაკავშირებულია გულმკერდის ყაფაზის განვითარებასთან.

ქვეწარმავლების სისხლის მიმოქცევის სისტემა შეესაბამება ხმელეთზე ცხოვრების პირობებს და მასთან დაკავშირებულ ფილტვებით სუნთქვას. სისხლის მიმოქცევის ცენტრალური ორგანო — გული უდაბლეს ქვეწარმავლებში (ხვლიკები, გველები) სამგანყოფილებიანია (ორი წინაგული და ერთი პარკუჭი), ხოლო უმაღლეს ფორმებში (ნიანგები, კუები) პარკუჭი ტიხტის საშუალებით იყოფა ორ ნაწილად და ამგვარად გული ოთხგანყოფილებიანად იქცევა. არტერიული კონუსი რედუცირებულია; ნიანგებში ვენური სინუსი ნაწილობრივ რედუქციას განიცდის. არტერიული კონუსის რედუქციასთან დაკავშირებით არტერიული რკალები უშუალოდ პარკუჭს უკავშირდება. სისხლის მიმოქცევა ორი — დიდი და მცირე — წრით გამდინარებას. დიდი წრე ემსახურება ორგანიზმის სისხლით მომარაგებას, ხოლო მცირე წრეში ხდება სისხლის დაეანგვა. სისხლის წითელი სხეულაკები (ერითროციტები) ოვალური ფორმისაა და შეიცავს ბირთვებს.

ელენთა ყოველთვის კარგადაა განვითარებული და კუჭის მახლობლად მდებარეობს.

მომნელებელი სისტემა იწყება პირის ხერელით, რომელიც საქმაოდ დიდი მოცულობის პირის ღრუში იხსნება. ქვეწარმავლების ენა სხვადასხვა ფორმისაა. იგი გველებსა და ხვლიკებს ორად აქვთ გაყოფილი და გრძელი შოლტების სახით შესაძლებელია გარეთ იქნას გამოწეული. ქამელეონის ენა ხორცოვანია და ცხოველი მას პირის ღრუდან გარეთ საკმაოდ დიდ მანძილზე ისვრის. კუებსა და ნიანგებში ენა ბრტყელი და მოკლეა, რის გამოც პირის სილუურის ფარგლებს არ ცილდება. ენა გვმოვნების ორგანოს ფუნქციას ასრულებს. გველებსა და ხვლიკებში ენას შეხების გრძნობის

ორგანოს ფუნქცია აქვს, ხოლო ქამელეონი ენას იყენებს მწერების დასაჭრად, რაც მის ძირითად საკვებს შეაღენს.

ქვეწარმავლების კბილები უმთავრესად ყბებსა და ყბათაშორის ძვლებზეა განწყობილი. ჰატერიას კბილები მოეპოვება სახნისის, სა-სისა და ფრთისებრ ძვლებზედაც, ხოლო კუს კბილები სრულიად არ გააჩნია. ქვეწარმავლების კბილები არაა დიფერენცირებული. კუჭი კარგადაა გამოხატული და შეიცავს მძლავრ კუნთებს. მოეპოვებათ ბრძანა ნაწლავის ჩანასახი, რომელიც ხმელეთის კუებს კარგად აქვთ განვითარებული. ღვიძლს დართული აქვს ნაღვლის ბუშტი, რომ-ლის საღინარები იხსნება ნაწლავში, დაახლოებით იმ ადგილას, სა-დაც იხსნება კუჭსქვედა ჯირკვლის საღინარი.

ქვეწარმავლები ძირითადად ზოოფაგებია. უმრავლესობა ჭამს ცოცხალ ცხოველებს, ზოგი ეტანება მძორსაც (მტაცებელი კუები). ხმელეთის კუები. მცენარეებით იკვებებიან. საყურადღებოა, რომ გველები მსხვერპლს წინასწარ კლავენ და ყლაპავენ მთლიანად. ნიანგები და მტაცებელი კუები კი გლეჯენ თავიანთ საკვებს.

ქვეწარმავლების გამომყოფი ორგანოები წყვილ თირკმელს წარ-მოადგენს; ისინი განწყობილი არიან მენჯის არეში ხერხემლის ქვეშ და მრავალწილაკოვან სხეულებს წარმოადგენენ. თითოეული თირკმლიდან იწყება თითო შარდსაწვეთი, რომელიც კლავას დორ-სალური მხრიდან დამოუკიდებლად უკავშირდება. ვენტრალური მხრიდან კლოაქასთან დაკავშირებულია საშარდე ბუშტი. ნიანგებ-ში, გველებსა და ზოგიერთ ხვლიკში საშარდე ბუშტი განუვითარე-ბელია. ამ ცხოველების შარდი ფაფისებურია და ძირითადად შედ-გება შარდის მფავასგან. თირკმლების ფორმა განსხვავებულია სახეო-ბების მიხედვით, მაგალითად, ხვლიკებისა—წაგრძელებულია, გვე-ლებისა—თასმისებრი, კუების—მომრგვალო და ა. შ.

ქვეწარმავლები განსხვავებულსქესიანებია. გარეგანი სქესობრივი დიმორფიზმი უმნიშვნელოა. უზეტეს შემთხვევაში იგი გამოხატულია მარის დიდი ზომით, მკვეთრი შეფერადებით და სხვ. განაყოფიერება შინაგანია. ქვეწარმავლების უმრავლესობა კვერცხებს დებს, ზოგი შობს ცოცხალ ნაშიერს (გველგესლა, ბოხმეჭა და სხვ.). კვერცხის ნაჭუჭი განსხვავებული სიმკერივისაა. მაგალითად, გველებისა და ხვლიკების — რბილია, ნიანგებისა და კუების — მკვრივი და ფხვიერი. განვითარება ხდება მეტამორფოზის გარეშე.

მრავალ ორგანოს თვისებების მახსელვით ქვეწარმავლები უახ-ლოვდებიან ამომწყდარ ჯავშნოსან ამფიბიებს — სტეგოცეფალებს. საყურადღებოა, რომ უდაბლესი ქვეწარმავლები იმდენად ემსგავ-სებიან ამომწყდარ ჯავშნოსან ამფიბიებს, რომ ზოგიერთი მკვლე-

ვარი მათ ამ უკანასკნელებს აკუთვნებს. ქვეწარმავლების პალეონტოლოგიური ნამარხები ცნობილია ქვანახშირის პერიოდიდან. ოანამედროვე ქვეწარმავლებს შორის ყველაზე უძველეს ფორმას წარმოადგენს ამოწყდომის გზაზე მდგომი ჰატერია. ხვლიკები, ნიანგები და კუები გვხვდება ნამარხების სახით ტრიასულიდან, ხოლო ყველაზე გვიან წარმოშობილან გველები, რომელთა პალეონტოლოგიური ნამარხები ცნობილია ეოკენიდან.

ქვეწარმავლები გვხვდება სულ სხვადასხვაგვარ პირობებში, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ამ ცხოველების ორგანიზაციის განვითარების მაღალ ღონესთან, ეს კი განაპირობებს მათ განსხვავებულ სასიცოცხლო გარემოში არსებობას. ქვეწარმავლების ცხოვრებაში ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ის გარემოება, რომ მათ შესწევთ ხმელეთის მეტად მშრალი პირობების ატანის უნარი, არა მარტო ზრდასრულ პერიოდში, არამედ ემზრიონული განვითარების პერიოდშიც. პირველ შემთხვევაში, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, კანის ძლიერ გარჯოვანებასთანაა დამოკიდებული, ხოლო მეორე შემთხვევაში—კვერცხში ჩანასახის გარსების არსებობასთან. ქვეწარმავლების უმრავლესობა მოსახლეობს ხმელეთზე, სადაც ისინი ბინადრობენ კლდეებზე, ტყეებში, ველებზე, უდაბნოებში, ჭაობებში, ნიადაგის ქვეშ და ა. შ. უმრავლესობა. ეტანება ლია აღგილებს, სადაც უხვად ეცემა მჩის სხივები და მოძრაობას ხელს არ უშლის მცენარეულობა. ქვეწარმავლების ნაწილი ცხოვრობს მტკნარ წყალში (ზოგიერთი კუ და ზოგი გველი), უფრო მცირე ნაწილი გვხვდება ზღვაში (ზღვის კუები და ზღვის გველები).

ქვეწარმავლების მოძრაობის ხასიათი სხვადასხვაგვარია. ნიანგები და ხვლიკების ერთი ნაწილი დარბიან ტანაწეული, აგრეთვე ზოგი ხმელეთის კუც დაღის ტანაწეული. გველები და უფეხო ხვლიკები ნიადაგზე დახოხავენ.

ქვეწარმავლები სითბომოყვარული ცხოველებია. მათი გავრცელების ცენტრი ტრიასიულ სარტყელშია მოქცეული, ხოლო პოლუსებისაკენ ქვეწარმავლების სახეობათა რაოდენობა თანდათანიბით მცირდება. ალსანიშნავია, რომ გველები  $+10^{\circ}\text{C}$  ნაკლებ აქტიურნი ხდებიან,  $+6^{\circ}$ ,  $+8^{\circ}\text{C}$  პირობებში აღარ მოძრაობენ,  $+2$ ,  $+3^{\circ}\text{C}$  პირობებში გარინდულ მდგომარეობაში ვარდებიან, ხოლო სხეულის გაცივებისას,  $-4$ ,  $-6^{\circ}\text{C}$  შემთხვევაში, ისინი იხოცებიან.

ქვეწარმავლები გავრცელებული არიან მთელ მსოფლიოში. ისინი არ მოიპოვებიან მხოლოდ ზოგიერთ ოკეანურ კუნძულზე და პოლარულ

ქვეყნებში. ვერტიკალურად ყველაზე დიდ სიმაღლეს აღწევენ ცოცხლადმშობი ხვლიკი (*Lacerta vivipara*) და გველგესლა (*Vipera berus*).

ქვეწარმავლების ეკონომიკური მნიშვნელობა ჩვენს სახალხო მეურნეობაში არაა დიდი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეწარმავლის (კერძოდ, მრავალი ხვლიკის) სასოფლო-სამეურნეო ღირებულება დღემდე დადგენილი არაა. ცნობილია, რომ მრავალი მათგანი დიდი რაოდენობით სპობს მავნე მწერებს, ზოგიერთი გველი ანადგურებს მავნე მღრღნელებს (ზაზუნებს, მემინდვრიებს და ა. შ.), როთაც საგრძნობი სარგებლობა მოაქვს მინდვრის ნათესებისათვის. შხამიანი გველების კბენის შედეგად ხშირად იღუპება ზინაური საქონელი, ზოგიერთი სარეწაო ცხოველი და სხვ. ზოგი შხამიანი გველი სახითათვა ადამიანისათვისაც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ადგილას ჭამენ ვარანისა და კუს ხორცს.

თანამედროვე ქვეწარმავლების კლასი იყოფა ოთხ ქვეკლასად:

- 1 — პირველხვლიკები (*Prosauria*), 2 — ქერცლიანები (*Squamata*),
- 3 — ნიანგები (*Crocodilia*) და, 4 — კუები (*Chelonia*). მათგან საქართველოში გვხვდება წარმომადგენლები მხოლოდ ქერცლიანებისა და კუების ქვეკლასებიდან. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ჩვენ განვხილავთ მხოლოდ იმ სახეობებს, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული.

## ქვეწარმავლების ქვეკლასების სარკვევი განელა

1 (2) ცხოველის სხეული მოთავსებულია განიერ ძვლოვან ჯავშანში, რომელიც ზემოდან დაფარულია დიდი ზომის რქვანი ფირფიტებით. კუდი ყოველთვის კარგადაა გამოხატული, თუმცა ზოგჯერ მეტად მოკლე შეიძლება იყოს.

**ქვეკლასი კუები. Chelonia** (გვ. 30)


2 (1) ცხოველის სხეული ჯავშანში არაა მოთავსებული. სხეული ზემოდან ქერცლიანებითაა დაფარული.

**ქვეკლასი ქერცლიანები. Squamata** (გვ. 42)

## ქვეკლასი კუები. CHELONIA

კუები თანამედროვე ქვეწარმავლებს შორის წარმოადგენენ მეტად სპეციალიზებულ ჯგუფს. სხეულის აგებულება იმდენად თავისებურია, რომ ადვილად შესაძლებელი ხდება მათი გამოცნობა სხვა ქვეწარმავალთაგან. ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია ძვლოვანი ჯავშ-

ნის არსებობა, რომელშიც მოთავსებულია სხეული და რომელშიც კუ იფაროვს თავს, კიდურებსა და კუდს. მიუხედავად იმისა, რომ ჯავშანი საკმაოდ მძიმეა, იგი მეტად ეფექტური შეგუებითი საშუალებაა მტრებისაგან პასიური დაცვისათვის. ჯავშანი შედგება ორი ნაწილისაგან: 1) ზურგის ჯავშანი ანუ ბაკანი (carapax; სურ. 1) და 2) მუცლის ჯავშანი (plastron; სურ. 2). ბაკანი რამდენადმე ამობურცულია და შედგება ძვლოვანი ფირფიტებისაგან, რომლებთანაც შერწყმა არ არის.



სურ. 1. ჭაობის კუს (*Emys orbicularis*)  
ზურგის ჯავშანი (carapax).

1—ხერხემლის ფარები (scuta vertebralia s. neuralia), 2—ნეკნების ფარები (sc. costalia), 3—ჭინა კიდურების გვერდითი კიდის ფარები (sc. margino-brachialia), 4—გვერდითი კიდის ფარები (sc. margino-lateralia), 5—უკანა კიდურების გვერდითი კიდის ფარები (sc. margino-femoralia), 6—ქეჩის ფარი (sc. nuchale), 7—კუდისხდა ფარი (sc. supracaudalia).

ყმულია მალების წვეტიანი მორჩები და ნეკნები. ბაკნის რქოვანი ფირფიტები ერთიმეორესგან განსხვავდება ფორმითა და ზომით. თითოეული მათგანი ატარებს გარკვეულ სახელწოდებას და, ამასთან, ეს ფირფიტები მეტად მნიშვნელოვან ტაქსონომიურ ნიშნებს წარმოადგენს.

სურ. 2. კასპიის კუს (*Clemmys caspica*) მუცლის ჯავშანი (plastron).

1—ყელის ფარები (sc. gularia), 2—მხრის ფარები (sc. brachialia), 3—მეცრდის ფარები (sc. pectoralia), 4—მუცლის ფარები (sc. abdominalia), 5—ბარძაყის ფარები (sc. femoralia), 6—ანალური ფარები (sc. analia), 7—იღლიის ფარები (sc. axildaria), 8—ბოჭვენის ფარები (sc. inguinalia).

მუცლის ჯავშანი (plastron), რომელიც აგრეთვე შექმნილია კანის წარმოშობის ოთხი წყვილადი და ერთი კენტი ძვლისაგან, დაფარულია სხვადასხვა ზომისა და ფორმის რქოვანი ფირფიტებით. ამ ფირფიტების განწყობას, ურთიერთთ ანარდებას, ფორმას ტაქსონომიური მნიშვნელობა აქვს.

წინა კიდურების სარტყელი განწყობილია ნეკნებს ქვეშ და შედგება ბეჭის ძვლებისაგან, რომელიც მყესებითაა დაკავშირებული ბაქნის შიდა ზედაპირთან, და კორაკოიდებისაგან, რომელიც თავისუფლად ბოლოვდება. ლავიწი და მკერდი შერწყმულია მუცლის ბაკანთან და დამოუკიდებელი ძვლების სახით აღარ გვხვდება. მენჯის ძვლები ზურგის ჯავშანთან მყესებითაა მიმარტებული ან მასთან მთლიანად შერწყმულია.

კუების ქალას აგებულებაში დამახასიათებელია ყვრიმალის რკალის არსებობა; რომელიც, ისე როგორც ძუძუმწოვრებში, შექმნილია ქიცვისებრი და ყვრიმალის ძვლებისაგან. კვალრატული ძვალი უძრავადა შეზრდილი სხვა ძვლებთან. კუებს განივი ძვალი არ მოეპოვებათ. მეორეული ძვლოვანი სასა მეტნაკლებადაა გამოხატული. კბილები არ უვითარდებათ. ისინი ფუნქციონალურად შეცვლილია რქოვანი შალითთ, რომლითაც დაფარულია ყბებისა და ყბათაშორისი ძვლები. კლოკის ხერელი განივია. მამრების საკოპულაციო ორგანო კენტია. ტანის კუნთეულობა, ჯავშნის არსებობასთან დაკავშირებით, სუსტადა განვითარებული, ხოლო კისრის, კუდისა და კიდურების კუნთეულობა — კარგად. თავისებურია სუნთქვის მექანიზმი. ჰაერის შესუნთქვა წარმოებს პირის ღრუს მეშვეობით. უკანასკნელის ფსკერი ხან ეშვება დაბლა და ხან იწევს მაღლა, რის შედეგადაც ხორციელდება სუნთქვის პროცესი. ჰაერი ნესტონებით პირის ღრუში გადაღის და აქედან ფილტვებში იღევნება.

კუები კვერცხისმდებლებია. კვერცხი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაფარულია მყრივი და ფხეიერი ნაჭუჭით. განაყოფიერება შინაგანია.

კუები ძირითადად გავრცელებულია თბილ ქვეყნებში. გვხვდება ტენიან ტროპიკებსა და ცხელ უდაბნოებში. ზომიერ სარტყელში კუების სახეობათა რაოდენობა მცირეა. კუები ცხოვრობენ სტეპებში, ველებზე, ტყეებში, ჭაობიან აღგილებში, ტბებსა და ზღვებში.

ზოგ ადგილას კუს ხორცს და კვერცხს მოსახლეობა საკვებად იყენებს, განსაკუთრებით ისეთ უზარმაზარ ფორმებს, როგორიცაა, მაგალითად, ზღვის მწვანე კუ (*Chelone mydas*), რომლის წონა 400 — 450 კილოგრამამდე აღწევს; ასევე ითქმის ტრიონიქსების

(Trionyx) შესახებ, რომელთა წონა 100 კილოგრამს აღემატება. შორეულ აღმოსაფლეთში არსებობს სათანადო სარეწები, რომელიც ამ სახეობის კუს ამზადებენ. გამოყენება აქვს აგრეთვე კუს ჯავშანსაც.

თანამედროვე კუებს ყოფენ ოთხ რიგად, რომელთაგან საქართველოში წარმომადგენლები გვხვდება მხოლოდ ერთი რიგიდან.

კუების რკვევის დროს, როგორც აღვნიშნეთ, საჭიროა ზოგიერთი გაზომვის ჩატარება. ქვემოთ მოცემულია ძირითად განაზომთა განმარტება.

### განაზომების სქემა

პირობითი აღნიშვნა	დასახელება	განმარტება
L. car.	Longitudo carapax (ზურგის ჯავშნის სიგრძე)	იზომება ქეჩის ფარის წინა კიდიდან კუდისზე ფარის კველაზე გამოწეულ წერტილამდე და კუდისზედა ფარებს-შორისი ნაკერის ბოლომდე. გაზომვა ხდება ზურგის ჯავშნის შუა ჩაზის გაყოლებით.
Lt. car.	Latitudo carapax (ზურგის ჯავშნის სიგანე)	ზურგის ჯავშნის უდიდესი სიგანე.
Al. t.	Altitudo corporis (ტანის სიმაღლე)	ტანის სიმაღლე, დაწყებული სიბრტყიდან, ომელსაც მუცელის ჯავშნი ეყრდნობა, ვიდრე ზურგის ხელაპირის კველაზე მაღალ წერტილამდე.
L. ed.	Longitudo caudalis (კუდის სიგრძე)	იზომება კლოკის ხვრელის წინა კიდიდან კუდის წერტილის მდგრადი.

### ასეზ ვარეულისრიანი ქვები. CRYPTODIRA

ფარულკისრიანი კუების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები მოცემულია კუების ქვექლასის განხილვისას. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მათი ჯავშანი მთლიანად გაძვალებული და გარედან რქოვანი ფირფიტებითაა დაფარული. ზურგის ჯავშნის გეერდითი კიდის ფირფიტები უკავშირდება ნეკნებს. კუები კისერს, ჯავშანში მისი დამალვისას, ვერტიკალურ სიბრტყეში S-ის მსგავსად ხრიან. ამასთან დაკავშირებით კისრის მალებს განიგი მორჩები არ მოეპოვება ან მეტად უმნიშვნელოდაა განვითარებული. მენჯი

ჯავშანთან არაა დაკავშირებული. კიდურების აგებულება, ცხოველის ხმელეთის ან წყლის გარემოში ცხოვრებასთან დაკავშირებით, განსხვავებულია. ამ ჩიტი გაერთიანებულია ხმელეთის ყველა სახეობა და მნიშვნელოვანი რაოდენობის წყლის ფორმებით. ფარული კუნძულის კუნძულის რიგი შეიცავს ხუთ ოჯახს, რომელთაგან საქართველოს ფარგლებში წარმომადგენლები გეხვდება მხოლოდ ერთი ოჯახიდან.

## ოჯახი ხელუათის კუნძული. Testudinidae

ხმელეთის კუნძულის ოჯახში გაერთიანებულია ორგორც ხმელეთზე მცხოვრები, ისე ნახევრად წყლის ფორმები. თავი და კისერი ჯავშანში მთლიანად იმაღლება. ზურგის ჯავშანი მკაფიოდაა ამობურ-ცული, განსაკუთრებით ეს შესამჩნევია ხმელეთის სახეობებში. ამ ოჯახის სახეობები გავრცელებულია ცხელი და ზომიერი სარტყლების ქვეყნებში, გარდა ავსტრალიისა. ოჯახი აერთიანებს 33 გვარს, რომელთაგან საქართველოს ფარგლებში ბინადრობს მხოლოდ სამი.

## კუნძულის გვარების სარჩევი განულა

1 (2) უკანა კიდურები ბოძისებურია; თითებს შორის საცურავი აპკი არაა; თითები შერწყმულია; თავი ზემოდან ფარებითაა დაფარული; კუდისხედა ფარი ერთია.

ხმელეთის კუ. *Testudo* Linne

(გვ. 38)

2 (1) უკანა კიდურები არაა ბოძისებური; თითებს შორის საცურავი აპკია. თითები არაა შერწყმული; თავი ზემოდან ფარებით არაა დაფარული; კუდისხედა ფარი ორია.

3 (4) ანალურ ფარებს შორისი საგიტალური ნაკერის სიგრძე მნიშვნელოვნალ მოკლეა ბარძაყის ფარებს შორისი ნაკერის სიგრძეზე. კისრის გასწვრივ ნათელი, წერილი შავი ხაზებით შემოვლებული, ზოლებით (სურ. 3). ზურგის ჯავშანი მუცლის ჯავშანთან უძრავადა დაკავშირებული.

კასპიის კუ. *Clemmys* Ritgen

(გვ. 35)

4 (3) ანალურ ფარებს შორისი საგიტალური ნაკერის სიგრძე უფრო მეტია, ვიდრე ბარძაყის ფარებსი შორის ნაკერის სიგრძე. კისრის გასწვრივ ნათელი ზოლები არაა. კისერზე ლია

ფერის წინწკლებია. ზურგის ჯავშანი მუცლის ჯავშანთან  
მოძრავადა დაკავშირებულა.

ჭაობის ანუ მდინარის კუ. *Emys Dumeril*

(გვ. 36)

### 28260 ქახბის კ. *Clemmys Ritgeni*, 1828

ხერხემლის ფარები (*sc. neuralia*) ექვსკუთხოვანია, რომელთა  
წინა მხარე მოკლეა. ბოქეენისა და იღლის ფარები შეფარდებით  
დიდი ზომისაა. კუდისზედა ფარი წყვილია. ზურგისა და მუცლის  
ჯავშნები ურთიერთთან მტკიცედა დაკავშირებული. თავის ზედა  
მხარე კანითაა დაფარული და ფარებს მოკლებულია. თითები ერთი-  
მეორესთან მკაფიოდ გამოხატული საცურავი აპკითაა დაკავში-  
რებული. კუდი შედარებით გრძელია.

კასპიის კუს გვარის წარმომადგენლები მოიპოვება ჩრდილო-  
დასავლეთ აფრიკაში, სამხრეთ ეკროპაში, მცირე აზიაში, კავკა-  
სიაში, სირიაში, პალესტინაში, ირანში, შუა აზიაში, სამხრეთ ჩინეთ-  
ში, ჩრდილო ამერიკაში.

ამ გვარიდან ცნობილია ათი სახეობა, რომელთაგან საქართვე-  
ლოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ერთი.


### კახბის კუ. *Clemmys caspica* (Gmelin, 1774)

ზურგის ჯავშანი ოდნავ ამოზნექილია. მის თხემზე კარგადაა გა-  
მოხატული ტროპი. ზურგის ჯავშნის სიგრძე 22 სანტიმეტრამდე  
აღწევს. მოზარდებს გვერდებზე ემჩნევა ნეკნების განივი ამალე-  
ბანი, რომლებიც ცხოველის ზრდასთან ერთად თანდათანბით ის-  
პობა. ხერხემლის თითოეული ფარის სიგანე სიგრძეს ჭარბობს და  
თითქმის უდრის ნეკნის თითოეული ფარის სიგანეს. ზურგის ჯავშან-  
ზე მოყვითალო ხალები ან ზოლებია. მუცლის ჯავშანი განიერია.  
მამრის მუცლის ჯავშანი ოდნავ ჩაზნექილია, ხოლო მდედრისა—  
შრტყელი ან ოდნავ ამობურცული. მუცლის ჯავშანი ყვითელი ან  
მუქი-მოყვითალოა. ზურგისა და მუცლის ჯავშანი ურთიერთ შორის  
უძრავადა დაკავშირებული. ანალურ ფარებს შორისი ნაკერის სიგრ-  
ძე მნიშვნელოვნად უფრო მოკლეა, ვიდრე ბარძაყის ფარებს შორისი  
ნაკერის სიგრძე. იღლის ფარი შესამჩნევად უფრო მცირეა, ვიდრე  
ბოქეენისა. ქეჩოს ფარი რამდენადმე ფრჩხილისებური ფორმისაა.  
ჩვეულებრივ, მისი უდიდესი სიგანე სიგრძეს აღემატება. კისერზე  
და თავზე ემჩნევა გასწრივი ღია ფერის ზოლები (სურ. 3); ასეთივე  
ზოლებია ფეხებზედაც. თითები ერთმანეთთან მკაფიოდ გამოხატუ-

ლი საცურავი აპეითაა დაკავშირებული. თავი ოქონებს მოკლებულია და მთლიანად კანითაა დაფარული.

საქართველოს ფარგლებში კასპიის კუ გვხვდება კუშისის ტბაში, მლაშე ტბების („თბილისის ზღვის“) მიდამოებში, კავთისხევთან, ჩოჩეთან, მეტეხთან, ხანდაკთან, სართიჭალის მახლობლად (ივრის სანაპირო ჭაობებში).

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, კასპიის კუ მოიპოვება სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში და სამხრეთ-დასავლეთ თურქეთში.



სურ. 3. კასპიის კუს  
(*Clemmys caspica*) თავი.

კავშირგარეშე ქვეყნებში ამ სახეობის კუს გავრცელება მოცემულია გვარის დახასიათებისას.

კასპიის კუ ბინადრობს ტბებში, მდინარეებში, რუებში და სხვა მსგავს წყალსატევებში. ხმელეთზე იგი წყალსატევის სანაპიროს დიდი მანძილით არ სცილდება.

კასპიის კუ იკვებება თევზებით, ბაყაყებით, თავკომბალებით, წყლის მწერებით და მათი მატლებით, ჭიებით, ლოკოინებით. ზოგჯერ ჭამს წყლის სანაპიროზე მობუდარი ფრინველების ბარტყებსა და კვერცხებს. აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ამ სახეობის კუს გამოუსრავს მწიფე ნესვი. ტყვეობისას საკვებად ეძლევა ხორცი, ჭიაყელები, მწერები.

კასპიის კუ შემოდგომის დამლევს ეფლობა წყალსატევის ფსკერის შლამში და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს თებერვლის დამლევს, ხოლო მარტში მიმდინარეობს შეულლება. ღებს 9 — 12 კვერცხს; უკანასკნელის სიგრძე 33 — 44 მმ-მდე აღწევს.

ზოგ ადგილას (სამხრ. ეგროპაში) კასპიის კუს ხორცს საკვებად იყენებენ. თევზების, განსაკუთრებით მათი ლიფსიტების, განადგურებით ამ კუს თევზმეურნეობისათვის ერთგვარი ზიანი მოაქვს.

### გვარი ჰაობის კუ. *Emys Duméril, 1806*

ხერხემლის ფარები ექვსკუთხიანია. ბოქვენისა და იღლის ფარები სუსტადა განვითარებული. კუდის ზედა ფარი წყვილია. ზურგისა და მუცლის ჯავშნები ურთიერთ შორის მოძრავადა დაკავში-


რებული. თავის ზედა ნაწილი კნითაა დაფარული და ფარებს მოქლებულია. ზურგის ჯავშანზე ემჩნევა მოყვითალო წინწკლები და ხაზები. კისერზე ყვითელი წინწკლებია. ასეთივე წინწკლები მოეპოვება ფეხებსა და კუდზე. თითები ერთმანეთთან საცურავი აპკითაა დაკავშირებული. კუდი ზომიერი სიგრძისაა.

ჭაობის კუს გვარის წარმომაღვენლები მოიპოვება ევროპაში, დასავლეთ აზიაში, ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში, ჩრდ. ამერიკაში (აღმოსავლეთ შტატებსა და სამხ.-აღმოსავლეთ კანადაში).

ამ გვარიდან ცნობილია ორი სახეობა, რომელთაგან საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ერთი.

### ჭაობის კუ. *Emys orbicularis* (Linne, 1758)

ზურგის ჯავშანი ოდნავ ამობურცული და ოვალურია (უკანა მხარეზე ფართოვდება). მისი სიგრძე 19 სანტიმეტრამდე აღწევს.



სურ. 4. ჭაობის კუ (*Emys orbicularis*).

მოზარდებს ზურგის ჯავშნის თხემზე ემჩნევა უმნიშვნელო ქედი. ქედის ფარის სიგრძე შესამჩნევად ჭარბობს სიგანეს. ნეკნის მეორე ფარის სიგანე ხერხემლის მეორე ფარის სიგანეს ჭარბობს. ზურგის ჯავშანზე მოყვითალო წერტილები და ხაზებია. ანალურ ფარებსშორისი ნაკერი შესამჩნევად უფრო გრძელია, ვიდრე ბარძაყის ფარებსშორისი ნაკერი. თითები ერთმანეთთან დაკავშირებულია საცურავი აპკით, რომელიც ბრჭყალებამდე აღწევს. თავი ზედა მხრიდან მურა ან შავია, ზედ მრავალი ყვითელი წინწკალი აყრია (სურ. 4).

საქართველოს ფარგლებში ჭაობის კუ (ანუ მდინარის კუ. ომ-გორც მას ხშირად უწოდებენ) გავრცელებულია თბილისის მიდანებში, ლისის ტბაში, ქორქის ტბაში, ახალდაბის ტბაში, კუმისის ტბაში, ვერის ხეობაში, ბეთანიაში, ავჭალაში, მცხეთაში, ნატახტართან, ალაზნის ველზე (ბაიმათთან, ხირსაში), ლაგოდებში, ჭიათურში, ბუღიონოვეკაში, ყვარელთან, თელავის მიდამოებში, ქობულეთში, ციხის ძირში; ჩაქვში, მწვანე კონცხთან, ბათუმის მახლობელ ტბებსა და ჭაობებში, საყულიასა და ტყაჩირში (ქუთაისის რაიონი), ჯაბა-ნაში, რიონის შესართავთან, პალიასტომის ტბაში, ჭალადიდში, გუდაუთში, ახალ ათონში, გაგრაში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ჭაობის კუ გვხდება ბელორუსიაში, სმოლენსკის ოლქში, დონის ზედა დინებაში, შუა ვოლგისპირეთში, ჩრდილო კავკასიაში, უკრაინაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებში ჭაობის კუს გავრცელება აღნიშნულია გვარის დახასიათებისას (ეს სახეობა არ მოიპოვება ჩრდ. ამერიკაში).

ჭაობის კუ ბინადრობს ტბებში, ჭაობებში, რუებში და სხვა სახის წყალსატევებში. ხმელეთზე წყალსატევის სანაპიროს ღიღი მანძილით არა სცილდება. იკვებება თევზებით, ამფიბიებით, კიბოებით, ჭიებით, რბილ სხეულიანებით, მწერებით. იშვიათად ჭამს მცნარეებს და მათ ნაყოფებს. ტყვეობისას საკვებად ეძლევა ხორცი, მწერები, ჰიაყელები.

ჭაობის კუ შემოდგომის დამლევს ეფლობა წყალსატევის ფსკერის შლამში და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს აღრე გაზაფხულზე — თებერვლის დამლევს. მარტში ან აპრილში ხდება შეულლება. კვერცხებს (3—12-მდე) დებს წინასწარ მის მიერვე ამოთხრილ ორმოში. კვერცხის სიგრძე 29,5—38,5 მმ-მდეა. ნაშიერები იჩეკება აგვისტოს დამლევიდან ოქტომბრამდე.

ზოგ ადგილას (დასავ. ევროპაში) ჭაობის კუს ხორცს საკვებად იყენებენ. ზოგიერთ ადგილას ამ კუს ზიანი მოიქვს თევზმეურნეობისათვის დიდი რაოდენობით თევზების, უფრო მეტად მათი ლიუსიტების განადგურებით.

### გვარი ხევლეთის ჯ. Testudo Linne, 1758

ხერხემლის ფარები (sc. neuralia), ჩვეულებრივ, მორიგეობით ოთხეუთხიანი და რვაკუთხიანია, ზოგჯერ კი — ექვსკუთხიანი; ნერის ფარები (sc. costalia) მორიგეობით ზოგი განიერი და ზოგი ვიწროა;


ქუდისჭედა ფარი (sc. supracaudalia), ჩვეულებრივ, ერთია. ზურგის ჯავშანი ამობურცულია და მუცლის ჯავშანთან უძრავადაა დაგანშირებული. ბოძისებური ფეხები დაფარულია მსხვილი ბორცვოვანი ფარებით.

ხმელეთის კუს გვარის წარმომადგენლები მოიპოვება მთელ მსოფლიოში, გარდა ავსტრალიის ზოოგეოგრაფიული ოლქისა და ცივი სარტყლებისა. ზოგიერთი მათგანი (სპილოს კუ, გრანტური კუ და ა. შ.) უჩარმაზარ ზომას აღწევს.

ამ გვარში გაერთიანებულ მრავალ სახეობიდან საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ერთი.

### საბერძნეთის კუ. *Testudo graeca* Linne, 1758

ზურგის ჯავშნის სიგრძე 28 სმ-მდე აღწევს. ზურგის ფარის სიმაღლე მის სიგრძეში თავსდება თითქმის ორზე უფრო ნაკლებჯერ. ზურგის ჯავშნის უკანა კიდე ლინეა ამობორცუნებულია ზემოთ. ქეჩის ფარი ვიწრო და წაგრძელებულია. კუდისზედა ფარი



სურ. 5. საბერძნეთის კუ (*Testudo graeca*).

არაა გაყოფილი. ხერხემლის ფარის სიგრძე სიგრძეს ჭარბობს. ზურგის ჯავშანი მუცლის ჯავშანთან უძრავადაა შეერთებული. ბოძისებური ფეხების თითები შერწყმულია ურთიერთთან და მხოლოდ ბრჭყალებია თავისუფალი. წინა კიდურები შებრტყელებულია გვერდებიდან და დართულია 5 — 5 ბრჭყალით. თავი ზემოდან დაფარულია რქოვანი ფარებით (სურ. 5).

საქართველოს ფარგლებში საბერძნეთის კუ მოიპოვება ძირითადად აღმოსავლეთ ნაწილში და დასავლეთით ქართლ-იმერეთის ქედს

არა სცილდება. კერძოდ იგი გვხვდება: შირაქის ველზე, ელდარში, ალაზნის ველზე (ყარალჯში, ხირსაში, წნორში, ძველ ანაგაში), ლაგოდეხის მიდამოში, ჭიათურში, ყვაირლის რაიონში, თელავის მიუღამებში, გურჯაანის მიდამოებში, საგარეჯოს მახლობლად, სართო-ჭალაში, უდაბნოში, გარეჯის მონასტრის ნაგრევებთან, სამგორში, გარდაბანში, ვაზიანში, ლისის ტბასთან, კუს ტბასთან, მლაშე ტბებთან („თბილისის ზღვასთან“), ლრმა-ლელეში, ვერის ეობაში, წყნეთ-თან, ბაგებთან, დილმის მიდამოებში, ნახშირგორაზე, დელისში, ოქროყანაში, წავკისში, კოჯორში, სოლანლულთან, შულავერთან, ბოლნისის, მარნეულის და თეთრი წყაროს რაიონებში, ავჭალის მიდამოებში, მცხეთის, საგურამოს, ნატახტარის, მუხრანის მიდამოებში, ქსოვრისთან, უფლისციხეში, გრავალში, კასპში, მეტებში, გორის რაიონში, ხაშურის მიდამოებში. თუმცა სურამის მახლობლად არაა ცნობილი.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, იგი გავრცელებულია დაღესტანში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ადლერის მიდამოებში.

კავშირგარებები ქვეყნებში იგი გვხვდება ჩრდ.-დასავლეთ აზრი-კაში, სამხ. ესპანეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, სირიაში, ირანში.

საბერძნეთის კუ ვერტიკალურად ვრცელდება 1150 მეტრამდე ზღვის დონეს ზევით.

საბერძნეთის კუ ბინადრობს ველებზე, ბუჩქნარებში, ტყეებში, მდელოებზე. იგი გარემოს უფრო მშრალ პირობებთანაა შეგუებული, რითაც აიხსნება ძირითადად მისი აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელება.

იკვებება მცენარეულობით, ზოგჯერ იჭრება ნათესებში და ზიანს აყენებს კულტურულ მცენარეულობას. უნდა აღინიშნოს, რომ ხმელეთის კუს საერთო რაოდენობა არაა დიდი, რის გამოც მის მიერ სოფლის მურნეობისათვის მიყენებული ზარალი უმნიშვნელოა. ზოგჯერ კამს ჭიებს, ლოკოკინებს და მწერებს.

კუს დიდი რაოდენობით ესევა სხვადასხვა სახეობის ტკიბი, რომლებიც, თავის მხრივ, მრავალგვარი ინფექციურ ავაღმყოფობათა გადამტანი არიან.

ოქტომბრის დამლევს კუ იმაღება ნიაღაში და ეძლევა ზამთრის ძილქუშს. ადრე გაზაფხულზე, ხშირად თებერვლის დამლევს, იგი იღვიძებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დაზამთრება და ზამთრის ძილისაგან გამოღვიძება დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე: თუ ზამთარი ნააღრევია, მაშინ იგი იძინებს ადრე, ხოლო თუ გვი-

ანი — მაშინ უფრო გვიან. შესაბამისად ზამთრის ძილიც დამოკიდებულია ზამთრის ხაგრძლიობაზე.

შეუღლება მიღდინარეობს აპრილ-მაისში. მაისის დამლევს ან ივნისის დასაწყისში პატარა ორმოში, რომელსაც თვითონვე თხრის, 2—5 კვერცხს დებს. ორმოს, მასში კვერცხის დადების შემდეგ, აყრის მიწას და ტკებნის, რისთვისაც მთელი სხეულით ზედ ეხეობდა. კვერცხის სიგრძე 32—42 მმ-მდეა, ხოლო სიგანე — 27—35 მმ-მდე აღწევს.

---

## ქვეკლასი ქარცლიანები. SQUAMATA

ქერცლიანების ქვეკლასში გაერთიანებული ქვეწარმავლების სხეული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქერცლებით, ფარებით, ბორცვებითა და ხორჯლებითაა დაფარული. ზოგიერთ სახეობას რქმანი საფარველის ქვეშ უკითარდება ძვლოვანი ფარები. მხრის სარტყელი, თუკი იგი მოიპოვება, ნეკებს ზემოდან მდებარეობს. კვადრატული ძვალი ტვინის ქალასთან მოძრავადაა დაკავშირებული. მეორეული ძვლოვანი სასა არ გააჩნიათ. ფრთისებრი ძვალი სახნისთან არაა დაკავშირებული. კბილები შერწყმულია ყბების ძვლებზე. გავის ძვლების რაოდენობა ორზე მეტი არაა. საკოპულაციო ორგანო კლოვის წყვილი პარკისებული გამონაზარდის სახითაა. კლოვის ხვრელი განივია.

თანამედროვე ქვეწარმავლებიდან ქერცლიანების ქვეკლასში ყველაზე მეტი რაოდენობის სახეობაა გაერთიანებული. ქერცლიანები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში; ისინი ცხოვრობენ სხვადასხვა-გვარ პირობაში: ქვიშიან, ლორლიან, კლდოვან ნიაღაგზე, ჭაობებში, ტყეში, ველზე, ბუჩქნარში, ზღვაში და სხვ. ქერცლიანების საგრძნობ ნაწილს სარგებლობა მოაქვს,—ისინი დიდი რაოდენობით ანადგურებენ მაგნე მწერებს. ზოგი მათგანის, როგორც, მაგალითად, შხამიანი გველების, კბენა სახითათოა ცხოველებისა და ადამიანისათვის.


ქერცლიანების ქვეკლასი იყოფა სამ რიგად—ხვლიკები (Sauria), ქამელონები (Chamaeleontes) და გველები (Ophidia s. Serpentes). მათგან საქართველოს ფარგლებში წარმომადგენლები გვხვდება ხელიკებისა და გველების რიგებიდან. ქამელონების რიგიდან საქართველოში მხოლოდ სამი ეგზემპლარია მოპოვებული.

### ქარცლიანების რიგების სტრუქტურა განვითარება

- 1(4) ფეხები აქვს. თუ ფეხები არა აქვს, მოეპოვება მოძრავი ქუთუთოები.
- 2(3) კუდი არაა მოსაჭიდებელი.

რიგი ხვლიკები. Sauria

(გვ. 43)



3(2) ქუდი მოსაჭიდებელია.

რიგი ქაშელეონები. Chamaeleontes

(გვ. 84)

4(1) ფეხები არა აქვს. მოძრავი ქუთუთოები არა აქვს. პილოტობის

რიგი გველები. Serpentes

(გვ. 85)

## I. რიგი ხვლიქები. SAURIA


ხვლიქების რიგში გაერთიანებულია მეტად მრავალფეროვანი სახეობები, რომელთა უმრავლესობას ახასიათებს ზომიერად წაგრძელებული სხეული, კარგად გამოხატული კისერი და გრძელი და მოძრავი კუდი. ხვლიქების უმრავლესობას წინა და უკანა კიდურები კარგად აქვს განვითარებული. კიდურების ფორმა შეიძლება განსხვავებული იყოს. იგი ზოგ სახეობაში რეღუცირებულია, ხოლო ზოგს სრულიად არ მოეპოვება. ასეთი ხვლიქები გარეგნულად გვილებს მიემსგავსებიან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უფეხო ხვლიქებს შერჩენილი აქვთ მკერდი, კიდურების სარტყლები და აქვთ მოძრავი ქუთუთოები.

ზედა ყბის ძვლები ქალასთან უძრავადაა შესახსრებული. ქვედა ყბის მარჯვენა და მარცხენა ძვლები ურთიერთთან შეზრდილია. ტყინის ქალას წინა განყოფილება მთლიანად არაა გაძვალებული. უმეტესობას მოეპოვება ქალას სვეტი (columella eranii). ხვლიქებს აქვთ საშარდე ბუშტი. მათი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია კუდის აუტოტომიისა და რეგენერაციის უნარი.

სხეული დაფარულია ოქოვანი ქერცლებით, რომელთა აგებულებას, ზომას, ურთიერთ განლაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოველის რკვევის დროს.

მეტად მცირე ზომის ქერცლებს უწოდებენ მარცვლებს (gramulae), ხოლო დიდი ზომისას —ფარებს (scutae). ფარები განსაკუთრებით ძლიერაა განვითარებული თავზე. თავის ზედა ნაწილზე არჩევენ შემდეგი სახის ფარებს (სურ. 6): ყბათაშორისი (rostrale), ცხვირის (nasalia), ცხვირის უკანა (postnasalia), შუბლ-ცხვირის (fronto-nasale s. internasale), შუბლის წინა (praefrontalia), შუბლის (frontale), თვალსწერა (supraocularia), წაწვამსზედა (supraociliaria), შუბლ-თხემის (fronto-parietalia), თხემსშორისი (interparietale), თხემის (parietalia), კეფის (occipitale), ყვრიმალის წინა (frenale s. loreale), ყვრიმალის უკანა (frenoocularia s. postlorealis), თვალსქვედა (suboculare) და თვალსუკანა (postocularia). ზოგ ფორმას კარგად აქვს გამოხატული საფეთქლის (temporalia), საფეთქლის ცენტრალური (massetericum), დაფისა (tympanale) და საფეთ-

ქლისზედა (supratemporalia) ფარები. თხემთშორისი ფარის ან თხემის ქერცლის შუაზე მოიპოვება ნათელი ხალი, რომელიც თხემის ორგანოს—რუდიმენტულ თვალს წარმოადგენს. თავის ქვედა მხრიდან ვამჩნევთ შემდევი სახის ფარებს: ნიკაპის ფარს (mentale), რომლის უკან განწყობილია ქვედაყბის ფარები (submaxillaria s. inframaxillaria; სურ. 7). ქვედა ყბის პირის ნაპირები დაფარულია ქვედატუჩის



სურ. 6. ხელიჭის (Lacerta) თავის ფარები. I ზემოდან; II გვერდიდან.

- 1—ყბათაშორისი; 2—ცხვირის; 3—შუბლ-ცხვირის; 4—შუბლისჭინა; 5—შუბლის; 6—თვალსზედა; 7—შუბლ-თხემის; 8—თხემის; 9—თხემთშორისი; 10—კეფის; 11—ყვრისალის წინა; 12—ყვრიმალის უკანა; 13—ზედა წამწაპის; 14—ყვრის; 15—ზედა ტუჩის; 16—თვალის ქვეშა.


ფარებით (sublabialia). ყელზე ემჩნევა ყელის ნაოჭი (sulcus s. plica gularis) და საყელო (collare; სურ. 7). ზოგიერთ ხელიქს ანალურ ხვრელთანაქვს ანალური ფარი (anale), რომლის წინ ხშირად მცირე ზომის ანალურსჭინა ფარებია (praeanalalia) განწყობილი. მრავალ ხელიქს ბარძაყის შიგნით ზედაპირზე აქვს ბარძაყის ფორები (pori femorales), რომელთაგან თითოეული თითო ფარზეა განწყობილი (სურ. 8). თუ ბარძაყის ფორების რაოდენობა 1—2 არ აღემატება, მაშინ მათ ბოჭვენის ფორებს (p. inguinales) უწოდებენ. ზოგჯერ ფორები მოიპოვება კლოაკის ხერელის წინ—ანალური

ფორები (p. anales), ხოლო ზოგჯერ კუდის ფუძეზე მოიპოვება ანალურსუქანა ფორები (p. postanales).


ხვლიყების სხეულის განაზომების ჩატარებისათვის ესაჭიროა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი სქემით.

განაზომების სქემა და პირობითი ნიშანები

შემოქმებული აღნიშვნები	დასახელება	აღწერა
L.	Longitudo corporis (სხეულის სიგრძე)	იზომება დინგის წვერიდან კლიაკის ხვრელის წინა კიდემდე (ამ შემთხვევაში ცხოველი გშლალმა გაჰქიმულ უნდა იყოს).
L.ed.	Longitudo caudalis (კუდის სიგრძე)	იზომება კლიაკის ხვრელის წინა კიდედან კუდის წვერამდე (რეგუნერირებული კუდი მხედველობაში არ მიიღება).
G.	Squamae gulares (ყელის ქერცლები)	ქერცლებისა და მარცვლების ოაოდენბა საყველოს შუასა და ნიკაპის ფარს შორის ხაზის გაყოლებით.
Sq.	Squamae dorsales (ზურგის ქერცლები)	ქერცლების ოაოდენბა სხეულის შუანაწილის ირგვლივ ერთ განვი რიგში (მუცლის ფარები, თუ ასეთი მოიპოვება; არ ითვლება).
P.fm.	Pori femorales (ბარძაყის ფორები)	ბარძაყის ფორების ოაოდენბა ერთ კიდურზე.
P.an.	Pori anales (ანალური ფორები)	ანალური ფორების საერთო ოაოდენბა.



სურ. 7 ზოლებიანი ხელიკის (Lacerta strigata) თავის ქვემოდან. 1—ქვედა ყბის ფარები; 2—ყელის ნაკვე; 3—საყველო.



სურ. 8. მდელოს ხელიკის (Lacerta praticola) კლიაკის მიდამო. 1—ბარძაყის ფორები; 2—ანალური ფარი; 3—კლიაკის ხერცლი; 4—მუცლის ფარები.

ხვლიკები გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში. მათი უმრავლესობა ტროპიკებში ბინადრობს, ხოლო ზოგიერთი წარმო მაღალ ბინადრობს, სცილდება. ხვლიკები ვერტიკალურად 4000 მეტრამდე აღწევენ. ბინადრობენ სხვადასხვაგვარ გარეშემოში. ზოგი ეწევა მეხეურ ცხოვრებას. იშვიათად ნახევრად წყალში ცხოვრობენ. გვხვდებან ველზე, ბალებში, ტყეში, ბუჩქნარში, კლდეებზე, ალპურ ველებზე.

ხვლიკების ორგი შეიცავს დაახლოებით 2000 სახეობას, რომლებიც მრავალ ოჯახშია გაერთიანებული. საქართველოს ფარგლებში წარმომადგენლები გვხვდება მხოლოდ ოთხი ოჯახიდან (Agamidae, Scincidae, Lacertidae, Anguidae). ერთი ოჯახის (Gekkonidae), სახეობის საქართველოში გავრცელების საკითხი საბოლოოდ არაა დაზუსტებული.

## ხვლიკების ოჯახების საკეთები გაგულა

1(2) ფეხები არა აქვს.

**ოჯახი ბოხმეჭები. Anguidae**

(გვ. 53)

2(1) ფეხები აქვს.

3(6) თავი ზევიდან დაფარულია ქერცლით ან მრავალრიცხოვანი მცირე ზომის უსწორო-მრავალწახნაგოვანი ფარებით.

4(5) ზურგის მფარავი ქერცლის ზომა უფრო მეტია, ვიდრე თავის მფარავი ქერცლისა. მოძრავი ქუთუთოები არა აქვს, ან თუ აქვს მაშინ მხოლოდ რუდიმენტის სახითაა და თვალს მთლიანად არ ფარავს. სხეული რამდენადმე ცილინდრულია. გუგა ვერტიკალურია.

**ოჯახი გეკონები. Gekkonidae**

(გვ. 47)

5(4) ზურგის მფარავი ქერცლის ზომა უფრო ნაკლებია, ვიდრე თავის მფარავი ფარისა. აქვს კარგად განვითარებული მოძრავი ქუთუთოები. სხეული გაბრტყელებულია. მუცლის ქერცლი თხეუთხოვანი და სადაა. თვალის გუგა ოვალურია. უკანა კი დურის მესამე თითო ამავე ფეხის მეოთხე თითხე მოკლეა.

**ოჯახი ჯოჯოები. Agamidae**

(გვ. 48)

6(3) თავი ზევიდან დაფარულია დიდი ზომის წესიერად განლაგებული ფარებით.

7(8) ზურგის ქერცლები როგორც ზომით, ისე ფორმით მეტნაკლებად მიემსგავსება მუცლის ქერცლებს. ქერცლი სხეულზე კრამიტიკითაა განლაგებული. ქერცლი, ჩვეულებრივ, სადა და კიდეში მომრგვალებულია. რქოვანი ქერცლების ქეეშ ძვლოვანი ფარებია. ბარძაყისა და ანალური ფორები არა აქვს. გუგა მრგვალია.

**ოჯახი სცილდები. Scincidae**

(გვ. 59)

8(7) ზურგის ქერცლები ზომით და ფორმით არ მიემსგავსება მუც-  
ლის ქერცლებს. ზურგის ქერცლი მარცვლოვანია, ანდა თუ  
კრაშიტისებურია, მაშინ ბოლო წაწვეტებულია. მუცლის ფა-  
რები რომბულია. ოქოვანი ქერცლების ქვეშ ძვლოვანი ფარები  
არაა. ბარძიაყისა და ბოქვენის ფორმები მოეპოვება. კიდურები  
კარგადაა განვითარებული.

ოჯახი ხელიკები. *Lacertidae*

(გვ. 61)

### ოჯახი გეკონები. *Gekkonidae*

გეკონების ოჯახი აერთიანებს პრიმიტულ ხელიკებს. თავი ზე-  
მოდან დაფარულია მარცვლოვანი ქერცლებით ან მრავალუთხო-  
ვანი ფარებით. ოქოვანი საფარვლის ქვეშ ძვლოვანი ფირფატები  
არ ვითარდება. მოძრავი ქუთუთოები არაა, თუ არის, მაშინ იგი  
რუდიმენტულია. კუდი აღვილად ტყდება, მაგრამ სწრაფად აღდგე-  
ბა ხოლობ.

უმრავლესობა კვერცხისმდებელია. ზოგი შობს ცოცხალ ნაში-  
ერებს (ახალზელანდიური ფორმები). იკვებებიან მწერებით; იშვია-  
თად ჭამენ მცირე ზომის ხელიკებს.

გავრცელებულია უდაბნოებში, ტროპიკებსა და სუბტროპიკულ  
ქვეყნებში; ზოგი ფორმა გახვდება ზომიერ სარტყელშიც. ბინად-  
რობენ წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულზეც.

ოჯახი აერთიანებს 80-მდე გვარს, რომელთაგან საქართველოს  
ფარგლებში შესაძლებელია შეგვხვდეს მხოლოდ ერთი გვარი.

### გვარი თითოიტიელი გეკონი. *Gymnodactylus* Spix, 1825

თითების წვერები არაა გაფართოებული. თითები რამდენადმე  
დაგრეხილია და ქვემოდან ერთ რიგად განლაგებული განივი ფირ-  
ფიტებითაა დაფარული. ტანი განსხვავებული ქერცლებითაა და-  
ფარული, გუგა ვერტიკალურია.

გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში (არაა პირინეის  
ნახევარკუნძულზე), ყირიმისა და კავკასიის სამხრეთ ნაწილის ზავი  
ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, სამხრეთ დასავ-  
ლეთსა და სამხრეთ აზიაში (არაა სამხ. ჩინეთსა და ინდოჩინეთის  
ნახევარკუნძულზე), შუა აზიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ აშერიკაში,  
წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

ამ გვარში გაერთიანებულ 90-ზე მეტი სახეობიდან საქართვე-  
ლოში შესაძლებელია შეგვხვდეს ერთი სახეობა.

ხმელთაშუა ზღვის თითოეული გეკონი. *Gymnodactylus kotschyi colchicus* Nikolsky, 1902

თითტიტველი გეკონი მცირე ზომის ქვეწარმავალია. მისი ტანის სიგრძე 4,9 სანტიმეტრამდე აღწევს, კუდისა—4,9—7 სანტი-მეტრამდე.

ტანი და თავი ზურგ-მუცლის მიმართულებით გაბრტყელებულია. თავი ზევიდან დაფარულია მცირე ზომის მრავალი მრავალკუთხოვანი ფირფიტით. დინგის სიგრძე ქარბობს თვალსა და ყურის შორის მიღამოს. ყურის ხვრელი მცირე ზომის ოვალური მრყვანილობის ნაპრალია; იგი თითქმის ვეტრიკალურად მდებარეობს. ამ ხვრელის ღიამეტრი თვალის სიგრძის ნახევარზე ნაკლებია. ნესტო-ებს შორის 3—4 მრავალკუთხოვანი ფარია. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა 6—9 აღწევს; ქვედა ტუჩის ფარების რაოდენობა 6—8-მდე, ნიკაბის ფარი ხუთკუთხოვანია. მოებოვება მეტად სუსტად გამოხატული 2—4 ანალური ფორი.

თითტიტველი გეკონი გვხვდება საქართველოს მოსაზღვრე არტანისა და არტანუჯის მიღამოებში. შესაძლებელია იგი მოპოვებულ იქნას აჭარაში.

ეს გეკონი ცხოვრობს მთიან ადგილებში, სადაც თავს აფარებს კლდეებში, შენობების ნანგრევებში, ბუჩქნარით დაფარულ ქვა-ლორლიან აღგილებში. მისი ბიოლოგია არაა შესწავლილი.

### ოჯახი ჯოჯოები. Agamidae

ჯოჯოების ოჯახში გაერთიანებული ხელიკებისათვის დამახასიათებელია რამდენადმე ზურგ-მუცლის მიმართულებით გაბრტყელებული სხეული, მოქნილი გრძელი კუდი, რომელსაც აუტოტომიის უნარი არა აქვს. ჯოჯოებს ბარძაყის ფორები არ მოებოვებათ; რქოვან ქერცლებს ქვეშ ძვლოვანი ფირფიტები არაა. გუგა მრგვალია, ენა მოკლეა და განიერი; იგი ზემოდან დაფარულია ძაფისებრი დერილებით. ენას წინა მხარეზე ემჩნევა ოდნავ გამოხატული ნაჭდევი; თავის მფარავი ქერცლები საღაა; ყურის ხვრელის სიგანე თითქმის უდრის თვალბუდის დიამეტრს. კბილები აკროდონტულია (მიმაგრებულია ყბების ზედა კიდეზე), ყბათაშორისი ძვალი ერთია, ცხვირის ძვლები—წყვილი, მალები პროცესურია.

ჯოჯოების ოჯახის წარმომადგენლები გავრცელებულია აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, სამხრეთ-დასავლეთს, შუა, ცენ-

ტრალურსა და სამხრეთ აზიაში, აგსტრალიაში და წყნარი ლკენის  
ზოგიერთ კუნძულზე. ჯოჯოების ოჯახი აერთიანებს 30-ზე მეტ  
გვარს, რომელთაგან საქართველოში გვხვდება მხოლოდ ორი გვარი.

## ჯოჯოების გვარების სარქვევი ჩაბული

1(2) თითებზე რქოვანი კბილაკების არშია არაა. ყურის ხერელი  
მკაფიოდაა გამოხატული. ხერხემლის გასწვრივ განლაგებულია  
მოდიდო ქერცლები. კუდის ქერცლების რკალები, წინა ნახე-  
ვარში მაინც, სეგმენტებადაა განლაგებული (თითოეულში ორ-  
ორი რკალი; სურ. 9). ყელისა და მკერდის ქერცლს კარგად  
გამოხატული ტროპი აქვს, რომელიც ალაგ-ალაგ ქიცვივითაა.  
გვარი ჯოჯო. *Agama Daudin* (გვ. 49)

2(1) თითებზე რქოვანი კბილაკების არშიაა. ყურის ხერელი დაფა-  
რულია ქერცლოვანი კანით და გარედან არ მოჩანს. ხერხემ-  
ლის გასწვრივ მოდიდო ქერცლებისაგან შემდგარი ქედი არაა.  
თვალსა და თვალს შორის 20 ქერცლზე მეტია. კისერზე (ზე-  
და მხრიდან) ემჩნევა კანის განივი ნაოჭი. უკანა ფეხის მესამე  
თითის ორივე მხარეზე კარგად გამოხატული ქიცვისებრი ქერც-  
ლებია (სურ. 11).

გვარი მრგვალთაგა. *Phrynocephalus Kaup* (გვ. 51)

## გვარი ჯოჯო. *Agama Daudin*, 1802

სხეული მეტნაკლებად დორსოვენტრალურად გაბრტყელებულია.  
ურგის ქედი ოდნავ შესამჩნევია ან სრულიად არაა. კუდი ცილინ-  
დრულია. ყელის ნაოჭი მკვეთრადაა გამოხატული. ბარძაყის ფორე-  
ბი არა აქვს. მამრებს აქვთ ანალური ფორები. დაფის აპკი ქერც-  
ლებით არა დაფარული.

გვარი გავრცელებულია ეკროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში, აფ-  
რიკაში.

ჯოჯოს გვარში გაერთიანებულია 50-ზე მეტი სახეობა. მათგან  
საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა.

## კავკასიის ჯოჯო. *Agama caucasica* (Eichwald, 1831)

კავკასიის ჯოჯოსთვის (სურ. 10) დამახასიათებელია საკმაოდ  
წაგრძელებული, ზურგ-მუცლის მიმართულებით გაბრტყელებული  
სხეული. ტანის სიგრძე 15 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა  
18—30 სანტიმეტრამდეა.

კუდის სიგრძე თითქმის ორჯერ ჭარბობს ანალურ ხვრელსა და ყელის ნაოჭს შორის მანძილს.

სხეულის გვერდები უმნიშვნელოდ დანაოჭებულია. კუდი ცილინდრულია. თავის სიმაღლე მის უდიდეს სიგანეზე 1,5 ჯერ ნაკლებია. ნესტონები დინგის ორივე მხარეზე განწყობილი. ყბათაშორისი ფარის ზომა და ფორმა ცვალებადია. დაფის აპკი ქერცლებით არაა დაფარული. თავის მფარავი ქერცლები გლუვია. კიდურების მფარავ ქერცლებს მკაფიოდ გამოხატული წახნაგები აქვს. კუდის ქერცლები წესიერ რგოლებადა განლაგებული. ასეთი რგოლების თითო წყვილი ქმნის თითო სეგმენტს, რომელიც კუდის თითოეულ მაღალია შეესაბამება. კუდის ზედა მხარის მფარავ ქერცლებს აქვს მოკლე ქიცვები (სურ. 9).



სურ. 9. კავკასიის ჯოჯოს კუდის ქერცლები

ასეთივე ქიცვები აქვს ბარძაყისა და წვივის მფარავ ქერცლებსაც. უკანა კიდურის მეოთხე თითი მესამეზე შესამჩნევად გრძელია, ხოლო პირველი თითი მეხუთეზე მოკლეა. წინა კიდურის მეოთხე თითი მესამეზე ოდნავ გრძელია, ხოლო პირველი თითი ოდნავ მოკლეა მეხუთეზე.

სხეული ზურგის მხრიდან რუხია და მომწვანო ან მურა ელფერი გადაჰქრავს, ზოგჯერ თავზე ემჩნევა მცირე ზომის შავი წინ-წელები. ცოცხალი მდედრის მუცლის მხარე გარდა კუდის ქერით მშენების პერიოდში მუცლის მხარე მოშავო-მოლურჯო აქვთ.

საქართველოს ფარგლებში ჯოჯო გვხვდება მხოლოდ ქართლიმერეთის ქედის აღმოსავლეთით. კერძოდ, იგი მოიპოვება თბილისის, ავჭალის, მცხეთის, ძეგვის, გრაკლის, უფლისკიბის, გორის, ბორჯომის, აწყურის, კასპის, მეტების, ხიდისთავის, გორიჯვრის, ატენის, წყნეთის, ახალდაბის, კოჯირის, ტაბახმელის, წავისის, ნორიოს, ლილოს, სამგორის, ვაზიანის, უჯარმის, საგარეჯოს, ხაშურის, აბასთუმნის, მეჯვრისხევის, ლაგოდეხის მიდამოებში, გარეჯის მონასტრის ნანგრევებთან.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, კავკასიის ჯოჯო გვხვდება დაღესტანში, აზერბაიჯანში, სომხეთში, სამხრეთ თურქმენეთში, სამხრეთ უზბეკისტანში და სამხრეთ ტაჯიკეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ჩრდილო-აღმოსავლეთ ოსმალეთიდან, ირანიდან და აღლანისტანიდან.

ვერტიკალურად ვრცელდება 3000 მეტრამდე ზღვის დონის  
ზევით.

კავკასიის ჯოჯო ცხოვრობს მთაგორიან ალგილებში; სადაც  
კლდის ნაპრალებში და ნაშალი ლოდების ქვეშ ბინადრობს. ზოგ  
ჯერ ვხვდებით ბალებსა და ეჭვების ქვის უორებებში. საკვების მო-  
საპოვებლად გამოდის დღისით. იქვებება სხვადასხვა მწერით და  
მათი მატლებით, ობობებით და სხვა ფეხსახსრიანებით. ზოგჯერ  
კამს მცენარეთა ყვავილებსაც.



სურ. 10. კავკასიის ჯოჯო (*Agama caucasica*)

შემოდგომის დამლევს ზამთრის ძილქუშს ეძლევა, იღვიძებს ადრე  
გაზაფხულზე. კვერცხის დებას იწყებს ივნისში. დებს 8—14 კვერცხს,  
ნაშიერები იჩეკება აგვისტო-სექტემბერში.

### 38560 მდგრადთავა. *Phrynocephalus* Kaup, 1826

თავი რამდენადმე მომრგვალებულია. ყურის ხერელი დაფარუ-  
ლია ქერცლოვანი კანით და გარედანი მოჩანს. ზურგის გასწვრივ

მოდიდო ქერცლები არაა. კისერზე ზედა მხრიდან ემჩნევა განივი  
ნაოჭი. უკანი ფეხის მესამე თითის ორივე მხარეზე ქიცვისებრი  
წაგრძელებული ქერცლებია (სურ. 11).

გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, შუა და ცენტ-  
რალურ აზიაში, ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთში, ავღა-  
ნისტანში, ირანში, არაბეთში, ერაყში, ამიერკავკასიაში.

ამ გვარში გაერთიანებულია ოცამდე სახეობა, რო-  
მელთაგან საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი.



სურ. 11.  
მრგვალთაგა: ს  
თითი (ქვედა  
მხრიდან).

### მრგვალთაგა. *Phrynocephalus helioscopus* (Pallas, 1776).

მრგვალთაგას ტანის სიგრძე 5,9 სანტიმეტრამდე  
აღწევს, ხოლო კუდისა 5,4—9,8 სანტიმეტრამდე.

თავი რამდენადმე მომრგვალებულია, ზევიდან ნეს-  
ტოები არ მოჩანს. ზურგის ქერცლი ოდნავ მოდიდოა,  
გლუვია ან ოდნავ გამოხატული ტროპი აქვს. ქერცლე-  
ბის დიდი ნაწილი (ტანზე, კუდზე) გასქელებულია და  
ბორცვების სახე აქვს. კისრის ზედა მხარეზე მკაფიოდ  
მოჩანს ნაოჭი. თავისა და მუცლის ქერცლები ტროპს  
მოკლებულია. კუდი რამდენადმე გაბრტყელებულია დასაწყისში,  
ხოლო წვერში მრგვალია. უკანი ფეხის მესამე და მეოთხე თითის  
გვერდებზე კარგად გამოხატული გრძელი ქიცვებია.

მრგვალთაგას შეფერადება მეტად მეტყველია — უფრო ხშირად  
გვხვდება რუხი, მუქი-მურა, ყავისფერ-მურა. ზოგჯერ ემჩნევა მუქი-  
მურა, ყავისფერი ან შავი ხალები. თავის ზედა მხარეზე ორი მოგარ-  
დისფრო ან მოწითალო ხალია, კუდის ქვედა მხარე მოცისფროა.

მრგვალთაგა (სურ. 12) საქართველოს ფარგლებიდან, ლიტე-  
რატურული წყაროების თანახმად, ცნობილია მხოლოდ აღმოსავ-  
ლეთ ნაწილიდან, მაგრამ ფაქტიური მასალის მიხედვით გავრც-  
ლების არეალი დაზუსტებული არაა.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, მრგვალ-  
თაგა გვხვდება ევროპული ნაწილის სამხრეთ-დასავლეთში, შუა აზია-  
ში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, სამხრეთ სომხეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ჩრდილო-დასავლეთ  
თურქეთიდან, ჩრდილო ირანიდან, მონღოლეთიდან.

მრგვალთაგა ბინადრობს თიხნარსა და ქვა-ლორობიან ნახევრად-  
უდაბნოებსა და უდაბნოებში, ველებზე, ქვიშიან აღგილებში, მშრალ  
ნამდინარებში, ხევებში. ხშირბალახოვან აღგილებს ერიდება. თავს  
აფარებს მღრღნელების სოროებში, ზოგჯერ ქვის ქვეშ.

შემოდგომის დამლევს (ან მეორე ნახევარში) ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს აღრე გაზაფხულზე, ხშირად მარტში.

კვერცხს დებს მაისის ბეორე ნახევარში. როგორც ჩანს, წლის განმავლობაში მრგვალთავა რამდენჯერმე დებს კვერცხს. თითოეულ ჯერზე დებს 2—5 კვერცხს, რომელთა სიგრძე 10—12 მმ-მდე აღწევს.


მრგვალთავას ძირითად საკვებს შეადგენს სხვადასხვა მწერი. იგი ჭამს კალიებს, ხოჭოებს, ბუზებს, ჭიანჭველებს და მათ მატლებს, ზოგჯერ ობობებსაც.

საქართველოს ფარგლებში გვხვდება განსაკუთრებული ფორმა — *Phrynocephalus helioscopus persicus* de Filippi, 1863.

## ოჯახი ბოსხებები.

### Anguidae

ბოსხებების ოჯახში გაერთიანებული ფორმების სხეული გველისებურია. თავი დაფარულია მსხვილი, სიმეტრიულად განლაგებული ფარებით. კეფის ფარი დიდი ზომისა. ქუთუთოები კარგადაა განვითარებული და მოძრავია. გუგა მრგვალია. ენა მოკლეა და



სურ. 12. მრგვალთავა (*Phrynocephalus helioscopus*).

ორადაა გაყოფილი. ქერცლები კრამიტისებურადაა განლაგებული და მათ ქვეშ ვითარდება მცირე ზომის ძვლოვანი ფირფიტები. ზურგის ფარები ფორმითა და ზომით ოდნავ განსხვავდება მუცლის ფარებისაგან. ბოხმეჭებს კილურები არა აქვთ. ზოგიერთ სახეობას კიდურები შერჩენილი აქვს მხოლოდ რუდიმენტის სახით.

ცხვირის ძვლები წყვილია. სასის ძვლები ერთიმეორისაგან და-ცილებულია. კბილები შეიძლება ჰქონდეთ როგორც სასის, ისე ფრთისებურ ძვლებზე. კბილები პლეუროდონტულია (ე. ი. ისინი მიმაგრებული არიან ყბების ზედაპირზე).

ბოხმეჭების ოჯახის წარმომადგენლების არეალი შეიცავს ჩრდ. აფრიკას, ევროპას, აზიის უმეტეს ნაწილს, აშშ, ცენტრალურ აფ-რიკას, ვესტინდიას და სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს.

ბოხმეჭების ოჯახში გაერთიანებულია 7 გვარი, რომლებიც შეი-ცავს 60-მდე სახეობას. საქართველოს ფარგლებში გვხვდება ამ ოჯა-ხის მხოლოდ ორი გვარი.

## ბოხმეჭების გვარების სარქვევი გაბულება

1(2) სხეულის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე, კისრიდან კლოვის ხვრელამდე, გასდევს კანის დიდი ნაოჭი. ქერცლი რომბულია; კუდის ქერცლზე ტროპია.

**გვარი გველხოკერა. *Ophisaurus* Daudin (გვ. 54)**


2(1) სხეულის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე კანის ნაოჭი არაა. ქერცლი მომრგვალებული და გლუვია.

**გვარი ბოხმეჭა. *Anguis* Linne (გვ. 56)**


## გვარი გველხოკერა. *Ophisaurus* Daudin, 1804

სხეული გველისებურია. მოეპოვება რუდიმენტული კიდურები, რომლებიც კლოვის ხვრელის მარჯვნივ და მარცხნივ მცირე ზო-მის გამონაზარდების სახითაა გამოხატული. დაწყებული თავიდან ვიღრე კლოვის ხვრელამდე, ტანს მარჯვნივ და მარცხნივ გასდევს კანის ღრმა ნაოჭი. ქერცლი რომბულია, რაც ზრდასრულ ინდივი-დუებში უფრო მეტიონდაა გამოხატული.

ამ გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია ჩრდ.-დასავ. აფ-რიკაში, სამხ.-აღმ. ევროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში, ჩრდ. ამერი-კაში. გველხოკერას გვარში გაერთიანებულია 6 სახეობა, რომელ-თაგან საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი.



გველხოკერას სხეული გველისებურად წაგრძელებულია. მისი სიგრძე 110 სანტიმეტრამდე აღწევს, რომლიდან კუდზე 65 სანტიმეტრი მოდის. კისრიდან კლოაკის ხერელამდე თითოეულ მხარეზე თითო ლრმა ნაოჭი გასდევს. კისრისა და ტანის დიამეტრი განსხვავებული არაა. კლოაკის ხერელთან მოეპოვება რუდიმენტული უკანა კიდურები, რომელთა სიგრძე არ აღემატება 1 მილიმეტრს, ხოლო წინა კიდურების ნაშთიც კი არაა შერჩენილი. კუდი წვრილი და წაწვეტებულია. სხეულის ქერცლები რომბულია. ზურგის ქერცლები განლაგებულია 12—14 გასწვრივ რიგად. ზურგის ქერცლზე მკვეთრად გამოხატული ტროპია, რაც მოზარდებს უფრო მკაფიოდ ემჩნევა. მუცლის ქერცლები 10 გასწვრივ რიგადაა განლაგებული. ეს ქერცლები ზრდასრულს გლუვი აქვს, ხოლო მოზარდს — ტროპიანი. კუდის როგორც ზედა, ისე ქვედა მხრის ქერცლები ტროპიანია.



სურ. 13. გველხოკერა (*Ophisaurus apodus*)

გველხოკერა (სურ. 13) ჩალისფერ-მოყვითალოა. იგი ზურგის მხრიდან მუქია, ხოლო მუცლის მხრიდან რამდენადმე უფრო ღია ფერისაა. მოზარდს ემჩნევა მუქი-მურა ხალები და განივი ზოლები, რაც ზრდასთან ერთად ისპობა.

საქართველოს ფარგლებში გველხოკერა მოიპოვება შირაქის, ელდარის, ალაზნისა და სამეორის ველზე; გარდა ამისა, გარდაბანში, თბილისისა და სოლანლულის მიდამოებში, საგარეჯოს, კაჭრეთის, გურჯაანის, ახმეტის, ლაგოდეხის, თელავის რაიონებში, ერწო-თიანეთში, მცხეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ბორჯომის,

ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვეკის, ბოლნისის რაიონებში და  
სამხრეთ ოსეთში. ზოგიერთი ლიტერატურული წყაროს მიხედვით  
გველხოკერა გავრცელებულია აგრეთვე ფოთის რაიონში, აგრძაში.  
სა და აჭარაში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, საქართველოს გარდა, გველ-  
ხოკერა გვხედება სამხრეთ ყირიმში, სამხრეთ თურქეთში, სამხ.  
და დასავლეთ უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და ყაზახეთში.

ვერტიკალურად იგი აღწევს 2100 მეტრამდე ზღვის დონის  
ზევით.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ბალკანეთის ნახევარ-  
კუნძულიდან, მცირე აზიიდან, სირიიდან, პალესტინიდან, ერაყიდან,  
ირანიდან.

გველხოკერა ბინაღრობს ბალებში, ვენახებში, მინდვრებში, სა-  
თიბებში, ყანებში, ბუჩქნარებში, ტყეში. უფრო მეტად ეტანება  
ბალახოვანი და ბუჩქნარი მცენარეებით დაფარულ მიღამოს. ქაო-  
ბიან ადგილებს ერიდება. თავს აფარებს მღრღნელებისა და სხვა  
ცხოველთა სორიებში, ქვების, თივის ზეინისა და ხის ფესვებს  
ქვეშ და სხვა მსგავს ადგილებში.

შემოდგომის დამლევს გველხოკერა იმაღება თავშესაფარში და  
ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს აღრე გაზაფხულზე. მაის-ივ-  
ნისში დებს 6—10 კვერცხს. კვერცხის სიგრძე 32—46 მმ-დეა. ნაში-  
ერები იჩეკება აგვისტოში. კანს იცვლის აღრე გაზაფხულზე, გამო-  
ღვიძებისთანავე და შემდეგ, როგორც ჩანს, ყოველ ორ თვეში  
ერთხელ.

გველხოკერა საკვებისათვის გამოდის მხოლოდ დღისით. მის ძი-  
რითად საკვებს შეადგენს რბილსხეულიანები, განსაკუთრებით უნი-  
ჟარო ფორმები, ჭამს ლოკოკინებს (Helix), მწერებს, მეტ წილად  
კალიებს, ფუნაგორიებს, შავტანიანებს, პეპლებს, ბუზებს, ობობებს,  
ზოგჯერ ხელიკებსა და მათ კვერცხებს, მცირე ზომის ფრინველებს,  
მათ ბარტყებსა და კვერცხებს, მღრღნელებს, ბიგებს.

გველხოკერას სარგებლობა მოაქვს ჩვენი მეურნეობისათვის დი-  
დი რაოდენობით მავნე მწერებისა და ლოკოკინების განადგურებით.  
ის უქნებელია და არ იქმინება.

### გვარი გოხევა. *Anguis* Linné, 1758

სხეული გველისებრია, ფეხები არა აქვს. გვერდებზე კანის ნაოჭი  
არა აქვს. ქერცლი გლუვი და რამდენადმე მომრგვალებულია, სხე-


ულხე ის კრამიტივითაა განლაგებული. ენის წვერობზე ოდნავი ნაჭ-დევი ემჩნევა.

ბოხმეჭას გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია აღმურიშვილის ევროპის უმეტეს ნაწილში. დასავლეთ აზიაში.

ეს გვარი შეიცავს მხოლოდ ერთ სახეობას.

### ბოხმეჭა. *Anguis fragilis* Linne, 1758

ბოხმეჭას ტანის სიგრძე 26,5 სმ-მდეა, ხოლო კუდისა—20-34 სმ-მდე. სხეული გველისებური და კიდურებს მოკლებულია. ქერცლი (სურ. 14) გლუვია და ზედ ტროპი არა აქვს. ყურის ხვრელი მცირეა და არ აღმატება ნესტოს ზომას. ეს უკანასკნელი განწყობილია ცხვირის ფარის უკანა ნაწილზე. შუბლის ფარი განიერია. თვალსწირის ფარების რაოდენობაა 5 ან 6. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 23—36 ქერცლია.



მოზარდის სხეულის ზედა მხარე მოვერც სურ 14. ბოხმეჭას (*Anguis fragilis*) ზურგის ნაწილში ორი გასწვრივი მოშავო-მურა ან ქერცლები. შავი ხაზი ვასდევს; გვერდები და მუცლის მხარე შავი ან მოშავო-მურა. ზრდასრული—ინდივიდის ზურგის მხარე მურა ან ბრინჯაოს ფერი ელფერითაა. გვერდების შეფერა-დება ზურგისაზე მუქია. კუდი აღვილად ტყდება.

საქართველოს ფარგლებში ბოხმეჭა (სურ. 15) გვხვდება თითქმის ყველგან. ცნობილია იგი შემდეგი ადგილებიდან: ხულოდან, ბათუმიდან, ცწვანე კონცხიდან, ჩაქვიდან, ციხისძირიდან, ქობულეთიდან, ნატანებიდან, მახარაძიდან, ქუთაისის მიდამოდან (სალორიიდან, საფიჩხიიდან), ფოთიდან, ლათიდან, ტირიცხიდან, ახალი ათონიდან, წებელიდან, ხარაგოულიდან, კვალითიდან, სვანეთიდან, ბორჯომიდან, აბასთუმნიდან, ბაქურიანიდან, ფასანაურიდან, მლეთიდან, სურამის მიდამოდან, თბილისიდან, მცხეთიდან, ავჭალიდან, წყნეთიდან, ღილმიდან, კოჯრიდან, მანგლისიდან, ლისიდან, ტანას ხეობიდან, ატენის მიდამოდან, ახმეტის, თელავის, საგარეჯოს, ლაგოდების, სილანის მიდამოებიდან, საცხენისიდან, უჯარმიდან, მუხროვანიდან, ნატახტრიდან, საგურამიდან.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ბოხმეჭა მოიპოვება სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში. ჩრდი-


ლოეთით იგი ვრცელდება ჩრდ. განედის  $61^{\circ}$ -მდე, ხოლო აღმოსაფლეთით — მდ. ტობოლამდე.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი გვხვდება დასავლეთ ევროპაში მცირე აზიაში, ჩრდილო ირანში.

ბოხმეჭა ვერტიკალურად ვრცელდება 2200 მეტრამდე ზღვის დონის ჟევით.

ბოხმეჭა უმეტეს ნაწილად ცხოვრობს ტყეში, ბალებში, ველებზე, მდელოებზე, მინდვრებში. თავს აფარებს ქვის, ნაყარ ხეებისა და ფოთლების ქვეშ.

შემოღვომის დამლევს ნიაღაგში ლრმად ჩადის და იქ ზამთრის ძილებუშს ეძლევა. ილვიძებს აღრე გაზაფხულზე და ამავე პერიოდში



სურ. 15. ბოხმეჭა (Anguis fragilis).

ხდება შეულლება. ივლისში, ზოგჯერ აგვისტოში ან სექტემბერში, ზომის ცოცხალ ნაშერებს, რომელთა რაოდენობა ერთ ყრაში 5—26 მდე აღწევს, თუმცა ნაშერების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში 8—12-მდეა ხოლმე.

ბოხმეჭა იკვებება ჭიაყელებით, სხვადასხვა მწერით, მრავალ-ფეხებით, ობობებით, რბილსხეულიანებით. უკანასკნელთა შორის ძირითადად ეტანება უნივერს ფორმებს.

ბოხმეჭას ჩვენს სახალხო მეურნეობისათვის შესამჩნევი სარგებლობა მოაქვს დიდი რაოდენობით მავნე მწერების განადგურებით.

## ოჯახი სფინქსი. Scincidae



სცინკების ოჯახში გაერთიანებული სახეობების უმრავლესობა  
შეგუებულია ნიადაგში ცხოვრებას, ზოგი ბინადრობს ქვიშიან ად-  
გილებში, ხოლო ზოგიერთი — კლდეებზე. სხეულზე ქერცლები კრიმი-  
ტებივითაა განლაგებული. ზურგისა და მუცლის მხარის ქერცლები  
მსგავსია. თავი დაფარულია სიმეტრიულად განლაგებული მსხვილი  
ფარებით. ტანის მფარავი ქერცლები მომრგვალო-რომბულია. რქო-  
ვანი ქერცლების ქვეშ ძვლოვანი ფარებია. ბარძაყისა და ანალუ-  
რი ფორმები არა აქვთ. ენა მოკლეა; მის წვერზე უმნიშვნელო  
ნაჭლევი ემჩნევა და ზევიდან ქერცლისებური დვრილებითაა დაფა-  
რული. კუდი აღვილად წყლება. მოწყვეტილი კუდის რეგენერაცია  
სწრაფად ხდება. გუგა მრგვალია. ქუთუთოები კარგადაა განვითა-  
რებული. სცინკებს ტანზე გვერდის ნაოჭები არა აქვს.

კბილები კონუსისებურია. ისინი ყბების შიგნითა ზედაპირზეა  
მიმაგრებული და ოდნავ უკანაა გადაზნექილი.

სცინკები მოიპოვებიან თითქმის მთელ მსოფლიოში. ყველაზე  
მცირე რაოდენობით გვხვდებიან ეკროპასა და ამერიკაში. ხოლო  
ყველაზე მრავალრიცხოვანია ავსტრალიაში, წყნარი ოკეანის კუნ-  
ძლებზე, სატინდისასა და აფრიკაში.

სცინკების ოჯახი შეიცავს 50-მდე გვარს, რომლებიც აერთია-  
ნებენ 700-მდე სახეობას. საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხო-  
ლოდ ერთი გვარი.

### გვარი ფეხსრული სცინკი. Eumeces Wiegmann, 1834

ქუთუთოები ნორმალურადაა განვითარებული, დაფარულია ქერ-  
ცლებით და მოძრავია. ღაფის აპკი მკაფიოდ მოჩანს, მაგრამ რამ-  
დენადმე ღრმად მდებარეობს. ნესტოები განწყობილია ცხვირის  
ფარებს შორის. იგი ზოგჯერ მხოლოდ ერთი ფარიდან გამოდის,

ამ გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია ჩრდ. და ცენტრ.  
ამერიკაში, აფრიკაში, სამხ.-დასავლ. და ჩრდ.-აღმ. აზიაში.

### ფეხსრული სცინკი. Eumeces schneideri (Daudin, 1802)

ფეხსრული სცინკის ტანის სიგრძე 16,5 სანტიმეტრამდეა. კუ-  
დის სიგრძე 25—30 სანტიმეტრამდე იღწევს.


ტანის ქერცლი გლუვია. ზურგის ცენტრალურ ნაწილს გასდევს  
რამდენადმე განიერი ქერცლების ორი გასწვრივი ჩიგი. ასეთივე

ქერცლების ერთი გასწორივი რიგია კუდის ქვედა მხარეზე. კლაკის ხვრელის წინ ორი დიდი ზომის ფარია. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა (იშვიათად 7 ან 9). ტანძის შუა ნაწილის ირგვლივ 20—28 ქერცლია. თვალზედა ფარების რაოდენობა ოთხია. ცოცხალი სცინკი ზემოდან მიხავისფერი, მიხავისფერ-რუხი ან მომწვანო-რუხია, მოყვითალო, ნარინჯისფერი, ვარდისფერი, მოწითალო წინ-წილებით. მას ასეთივე ფერის თითო ზოლი გასდევს გვერდებზე. მუცლის მხარე მოყვითალო ან მოყვითალო-ნარინჯისფერია. მოზარდს ზურგის მხარეზე ემჩნევა მუქი და ნათელი წინწკლები.

საქართველოს ფარგლებში ფეხებრძელი სცინკის გავრცელება აღნიშნულია მდ. იორის სანაპიროზე, ხოლო ზოგი ავტორის (ტერენ-ტიევი და ჩერნოვი) მითითებებით, იგი ვრცელდება აზერბაიჯანში „დასავლეთით საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებამდე“.

საქართველოს ფარგლებში აღნიშნული სცინკი შესაძლებელია ბინადრობდეს საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონების აღმოსავლეთ უბნებზე.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ფეხებრძელი სცინკი მოიპოვება შუა აზიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.



სურ. 16 ფეხებრძელი სცინკი (Eumeces schneideri)

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ჩრდილო აფრიკიდან, კუნძ. კიბროსიდან, სამხ.-აღმოს. მცირე აზიიდან, წინა აზიიდან, ავღანისტანიდან და ჩრდ.-დასავ. ინდოეთიდან.

ფეხებრძელი სცინკი ვერტიკალურად ვორცელდება 1500 მეტრამდე ზღვის დონეს ზევით.

ბინადრობს მთაგორიან აღგილებში. საცხოვრებლად ირჩევს როგორც თხებანსა და ლიოსიან ნიადაგებს, აგრეთვე ქვა-ლორ-ლიან ადგილებს. თავს აფარებს ქვების ქვეშ, სხვადასხვა ცხოველის სოროში და ა. შ. ზოგჯერ იგი თვითონვე თხრის სოროს,

რომელიც ნიადაგში პორიზონტალურადაა მიმართული. კვერცხებს დებს ივლისში.

სცინკის უმთავრეს საქვებს შეაღენს მწერები, ობობები და ლოკოკინები. ზოგჯერ ჭამს მცირე ზომის ხელიკებსაც.

## ოჯახი ხვლიკები. *Lacertidae*

ამ ოჯახში გაერთიანებულია ნამდვილი ხელიკები. მათი კიდურები ყოველთვის კარგადაა განვითარებული; კიდურები ორი წყვილია და ხუთთითიანი. კუდს ახასიათებს აუტოტომიისა და რეგენერაციის უნარი. რეგენერირებული კუდი მაღებს მოკლებულია, მცირე ზომისაა და ნორმალური კუდისაგან ფერითაც განსხვავდება.

უმრავლესობისათვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული მოძრავი ქუთუთოები. დაფის აპკი გარედან მყაფიოდ მოჩანს. თავი ზემოდან დაფარულია სიმეტრიულად განწყობილი დიდი ზომის ფარებით, ხოლო ტანი მარცვლოვანი ან კრამიტისებრი ქერცლითაა დაფარული. რქოვანი ფარების ქვეშ ძვლოვანი ფირფიტები არ ვითარდება. ბარძაყის ან ბოქვენის ფორები კარგადაა გამოხატული. ენა ბრტყელია, წაგრძელებული და ორადაა გაყოფილი. იგი ზევიდან ქერცლისებური დგრილებით ან განივი ნაოჭებითაა დაფარული.

თხემის ძვალი ერთია. თხემის ხვრელი მოიპოვება. განივი ძვალი არის. ქალას სვეტი განვითარებულია. ქბილები განწყობილია ყბების შიგნითა ზედაპირზე. ქბილები შეიძლება იყოს ფრთისებრ ძვალზეც.

ნამდვილი ხელიკების უმრავლესობა ბინადრობს სტეპებში, ნახევრად-უდაბნოებში, უდაბნოებში, მთის პირებში, ხოლო ტყის ზოლში ისინი ეტანებიან მშრალსა და სილიან ნიადაგებიან უბნებს. სითბო, სიმშრალე და მზის სხივების სიუხვე წარმოადგენს განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებს ხელიკების ამა თუ იმ უბანზე არსებობისათვის. ამიტომაა, რომ მათ ყველაზე მეტად ვხვდებით სამხრეთ ექსპოზიციებზე. ზოგი მათგანი, როგორიცაა, მაგილითად, ცოცხლადმშობი ხელიკი (*Lacerta vivipara*), ამ მხრივ გამონაკლისია, რაღაც იგი ბინადრობს ნოტიო და ჩრდილიან ტყეებში.

ნამდვილი ხელიკების ოჯახის წარმომადგენლები საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული; ისინი მოიპოვებიან ევროპაში, აზიასა და აფრიკაში. ეს ოჯახი აერთიანებს 22 გვარს, რომელთაგან საქართველოში გვხვდება სამი გვარი.

ԵՅԼՈՎԵԿՑՈՒՍ ՑՅԱՀԵՑՈՒՍ ՏԵՐԿԵՑՑՈ ՑԱԽԵԼԱ



- 1(2) მოძრავი, ქუთუთოები არა აქვს (ქუთუთოები შეზრდილია). ქვედა ქუთუთოს შეა ნაწილში დიდი ზომის გამჭვირვალე დრეკოა. ზურგის ქერცლს ძლიერ განვითარებული ტროპი აქვს. ქერცლი კრამიტისებურადაა განლაგებული. ქერცლის უკანა კიდე ძლიერ წაწვეტებულია. ბარძაყის ფორმების რაოდენობა შვილი ან მეტია.

ဒုက္ခန်း ဒုက္ခလွှာ. *Ophisops Ménétries*

(33. 77)

- 2(1) მოძრავი ქუთხოთოები აქვს; ზურგის ქერცლები მარცვლოვანია.  
3(4) ნესტო მდებარეობს ბორცვის წვეროზე და ყოველთვის გა-  
მოყოფილია ზედა ტუჩის პირველი ფარისაგან. თავის ჟედა ნა-  
წილზე გასწვრივი ღარებია. ანალური ხვრელის წინ რამდენიმე ფ-  
ორია, რომელთა ზომა ტოლია ან ცოტა მეტია კუდის ფუ-  
ძის ქვედა მხრის ქერცლებზე.

გვარი ფსვენი. Eremias Wiegmann

(23. 79)

- 4(3) ნესტო არ მდებარეობს ბორცვაკზე. ნესტო ირგვლივ არსებული ქერცლების დონეზეა. იგი ზედა ტუჩის პირველი ფარისაგან გამოყოფილია მეტად ვიწრო ხილით, ზოგჯერ ეხება კიდეც ზედა ტუჩის ან ყბათაშორის ფარის. თავის ზედა ნაწილზე ღრები არაა. ანალური ხვრელის ჭინ ერთი მეტად დიდი ზოშის მრავალწახნავობანი ან ნახევრადმრგვალი ფარია.

### გვარი ხვერდი. *Lacerta* Linné

(33. 62)

885m0 684030. *Lacerta* Linné, 1758


- სხეული წაგრძელებულია. ზოგ შემთხვევაში იგი ზურგ-მუცლის მიმართულებით ოდნავ გაბრტყელებულია. თავი პირამიდულია, ოდნავ გაბრტყელებული და გვერდებიდან ვერტიკალურად ეშვება. კისერი თავისა და ტანისაგან მკაფიოდაა გამოყოფილი. კუდის სიგრძე ყოველთვის კარბობს ტანის სიგრძეს. კუდი წვეროს მიმართულებით თანდათანობით წვრილდება. იგი განივ განაკვეთში მრგვალია. თავი და მუცლის მხარე დაფარულია სიმეტრიულად განლაგებული ფარებით, ხოლო ზურგის მხარე, ყელი და კუდი — ქერცლებით. ფარები ზომით შესამჩნევად კარბობს ქერცლებს. ქერცლების ქვეშ ძვლოვანი ფირფიტები არაა. შუბლის ფარი განიერია. კეფის ფარი უმეტეს შემთხვევაში არის. ნესტოები განლაგებულია 2—4 ფარს

შორის, ეხება ზედა ტუჩის ფარს ან მისგან ვიწრო ბოკირითაა გამოყოფილი. ყელის ნაოჭი და საყელო (სურ. 7) კარგადაა გამოხატული თითების რაოდენობა ხუთ-ხუთია და აღმურვილია შვეტიანი, მოხრილი ბრჭყალებით, რომლებსაც გვერდებზე რქოვანი კბილებია არ ემჩნევა. მოეპოვებათ ბარძაყის ფორები.

ხვლიკის გვარის წარმომაზენლები გავრცელებულია ეკროპაში, ზომიერსა და დასავლეთ აზიაში, ჩრდილო და ტროპიკულ აფრიკაში. ამ გვარში გაერთიანებული დაახლოებით 40 სახეობიდან საქართველოს ფარგლებში მოიპოვება 7 სახეობა.

## სვლიკის სახეობათა სარქვევი გაგულა

- 1(4) ბარძაყის ფორების რიგი მუხლის მოსახრელამდე არ აღწევს.
- 2(3) ცხვირის უკანა ფარი ორია; ყბათაშორისის ფარი ნესტოს ეხება; ზურგის ქერცლზე ტროპი კარგადაა გამოხატული. ბარძაყის ფორების რაოდენობა 11—16 აღწევს (სურ. 17). ფო-



სურ. 17. საშუალო ხვლიკის ბარძაყის ფორები  
1—ბარძაყის ფორების რიგი; 2—ანალური ფარი.


რების ზომა მუხლის მინართულებით თანდათანობით მცირდება. მოხარდებს ზურგზე ემჩნევა ხუთი კარგად გამოხატული გასწვრივი ზოლი. ზრდასრული ინდივიდები მშვანეა და სხეულზე მცირე ზომის შავი წინწკლები აყრია. სხეულის შუა ნაწილის გარშემო 48—50 ქერცლია.

**საშუალო ხვლიკი.** *Lacerta media* Lantz et Cyrén (გვ. 67)

3(2) ცხვირისუკანა ფარი ერთია. ყბათაშორისი ფარი ნესტოს არ ეხება. ზურგის ქერცლი მოკლებულია ტროპს ან იგი ოდნავაა განვითარებული. ბარძაყის ფორების რაოდენობა 6—12% არ წევს (სურ. 18). სხეული მურა-მიხაკისფერია. გვერდებზე მუქი ზოლები გასდევს. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 35—48 ქერცლია.

**დერიუგინის ხელიკი.** *Lacerta derjugini* Nikolsky (გვ. 70)

4(1) ბარძაყის ფორების რიგი მუხლის მოსახრელამდე აღწევს ან თითქმის აღწევს.



სურ. 18. დერიუგინის ხელიკის ბარძაყის ფორები.

ლია პრეანალური ფარების ერთი რიგით. უკინა კილურის მეოთხე თითის ქვედა მხარეზე 27—32 ფირფიტაა.

**შუცელყვითელი ხელიკი.** *Lacerta chlorogaster*

Boulenger (გვ. 76)

5(13) ცხვირსუკანა ფარი ნესტოს ეხება.


6(8) ყბათაშორისი ფარი ნესტოს ეხება ან მასთან ძლიერ ახლოსაა.

7(10) თვალსზედა და წამჭამსზედა ფარებს შორის მარცვლების მთლიანი რიგია. ანალური ფარი წინიდან შემოკლებუ-

ლია პრეანალური ფარების ერთი რიგით. უკინა კილურის მეოთხე თითის ქვედა მხარეზე 27—32 ფირფიტაა.

10(7) თვალსზედა და წამჭამსზედა ფარებს შორის 3—19 მარცვალია, რომლებიც მთლიან ან არამთლიან რიგსა ჰქმნიან. ანალური ფარი შემოკლებულია პრეანალური ფარების ერთი ან ორი რიგით. ტერფი თავზე გრძელია.

**კლდის ხელიკი.** *Lacerta saxicola* Eversmann (გვ. 73)



11(9) ზურგის ქერცლი წაგრძელებულია და აქვს კარგად გამოხატული ტროპი.

12(15) დაფის ფარი ყოველთვის კარგადაა გამოხატული მანალურობის ფარის წინა მხარეზე პრეანალური ფარების ერთი რიგია. ამ ფარების რაოდენობა 8—10 აღწევს. უკანა კიდურის მეოთხე თითის ქვედა მხარეზე 20—25 ფირფიტაა. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 32—43 ქერცლია. ბარძაყის ფორების რაოდენობა 9—14-მდეა.

**მდელოს ხვლიკი.** *Lacerta praticola* Eversmann (გვ. 71)

13(5) კრეირსუკანა ფარის რაოდენობა ორი ან სამია.

14(16) ყბათაშორისი ფარი ნესტოს არ ეხება.

15(12) დაფის ფარი უმეტეს შემთხვევაში არ მოიპოვება. თვალსწერდა და და წამჭამსხედა ფარებს შორის მარცვლები არაა, თუ არის, მაშინ მხოლოდ ერთია. კლოაკის ხვრელის ირგვლივ არსებულ ფარებიდან ორი გამოირჩევა თავისი ზომით. საფეთქლის ზედა ორი ქერცლი თითქმის ერთნაირი ზომისაა. ბარძაყის ფორების რაოდენობა 10—21 აღწევს. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 33—54 ქერცლია.

**მარდი ხვლიკი.** *Lacerta agilis* Linnaé (გვ. 68)

16(14) ყბათაშორისი ფარი ხშირად ეხება ნესტოს. ბარძაყის ფორების რაოდენობა 15—21 აღწევს. მათი რიგი თითქმის აღწევს მუხლის მოსახრელამდე. ბარძაყის ყველა ფორი თანატოლია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 38—46 ქერცლია. მოზარდს კეფის გასწვრივ ნათელი ზოლი ემჩნევა. ტანჩე გასდევს 5 გასწვრივი ზოლი.


**ზოლებიანი ხვლიკი.** *Lacerta strigata* Eichwald (გვ. 65)

**ზოლებიანი ხვლიკი.** *Lacerta strigata* Eichwald, 1831

ზოლებიანი ხვლიკის ტანის სიგრძე 11 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდის სიგრძე 18—26 სანტიმეტრამდე.

გარეგნობით იგი რამდენადმე მარდ ხვლიკს (*L. agilis*) მიემსგავს ბაგრამ მისგან განსხვავდება მეტად დამახასიათებელი ნიშნებით. ყბათაშორისი ფარები ეხება ნესტოს და, ჩვეულებრივ, მნაწილეობას იღებს მის შექმნაში. კრეირსუკანა ფარების რაოდენობა ორია. ყვრიმალის ფარი ერთია. თვალსქვედა ფარის წინ

ზედა ტუჩის ოთხი ფარის (იშვიათად 3 ან 5). თვალსწედა და ჭამ-ჭამსწედა ფარებს შორის ხშირად მოიპოვება რიგი მარცვლებისა, რომელთა რაოდენობა მერყეობს 2—11-მდე. შუბლის ფარი კეთი საზე განიერია. დაფის ფარი კარგადაა გამოხატული. საფეთქლები დაფარულია ღიდი ზომის ბრტყელი ფარებით. საფეთქლის ორი დიდი ფარი ეხება თხემის ფარს. ყელის კანის ნაოჭი კარგადაა გა-მოხატული. საყელო შედგება 7—12 დაკბილული ფარისაგან. ზურ-გის ქერცლი ოვალურ-ექვსკუთხოვანი ან რომბულია და იქვს ტრო-პი. მუცლის ფარები 6 გასწვრივ რიგადაა განლაგებული. ანალუ-რი ფარი გარსშემოკრულია ორი ნახევრადმრგვალი ვიწრო ფირ-ფიტით. ანალური ფარის სიგანე სიგრძეს მნიშვნელოვნად ჭარბობს. ანალური ფარის წინ 7—10 პრეანალური ფარია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების რაოდენობა 38—46 იღწევს. ბარ-ძაყის ფორების რაოდენობა 15—21-მდე; მათი რიგი მუხლის მო-სახრელამდე აღწევს. ფორები ზომით ერთმანეთისაგან არ განირჩე-ვა. უკანა კიდურის მეოთხე თითს ქვემოდან 23—30 ფირფიტა აქვს.



სურ. 20. ზოლებიანი ხვლიკი (*Lacerta strigata*).

მოზარდის სხეული მიხაკისფერ-მომწვანოა და ზურგს 5 გასწ-ვრივი ნათელი ზოლი გასდევს. ეს ზოლები ზრდასრულსაც (განსა-კუთრებით მდედრებს) დიდხანს ენახება (სურ. 20). მუცლის მხარე მომწვანო-მოყვითალოა.

საქართველოს ფარგლებში ზოლებიანი ხვლიკი გვხვდება შემდეგ ადგილებში: ქუთაისთან, გელათთან, მოწამეთასთან, აჯამეთში, ხა-რაგოულთან, აბაშისთან, ფოთთან, წებელდაში, აჭარაში (ქედა, ბათუმი), აბასთუმანში, ბორჯომის ხეობაში, ხაშურთან, სურამთან, გორის რაიონში, კასპის მიდამოში, მცხეთასთან, ავჭალასთან, თბი-ლისის მიდამოში, ჭყნეთში, კოჯორში, კუმისის ტბასთან, ლი-

ლოსთან, სამგორის ველზე, მუღანლისთან, სართიჭალის მიღამოში, ალაზნის ველზე, შირაქში, სიღნალის მიღამოებში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოს, ეს ხვლი კი ბინადრობს აზერბაიჯანში, სომხეთში, წინა კავკასიაში, ჩრდილო კავკასიასა და დაღესტანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან ზოლებიანი ხვლიკი ცნობილია მცირე აზიდან, სირიიდან, პალესტინიდან, ტრანსიორდანიდან, ერაყიდან და ირანიდან.

ზოლებიანი ხვლიკი ვერტიკალური და ვრცელდება 3000 მეტრამდე ზღვის დონეს ზევით.

საცხოვრებლად ირჩეს ბალახოვან საფარიან აღგილებს, სტეპებს ან მთიან სტეპის მცენარეულობიან აღგილებს. გვხვდება აგრეთვე ჭალის სანაპირო ზოლში. ქვიშიანსა და ქვა-ლორლიან ნახევრად უდაბნო აღგილებს ერიდება.

შემოდგომის დამლევს, იმალება რა თავშესაფარში, ზამთრის ძილებში ეძლევა. იღვიძებს ძირე გაზაფხულზე, ზოგჯერ თებერვლის მეორე ნახევარში, რაც კლიმატურ პირობებთანაა დაკავშირებული. კვერცხის დება ხდება ივნისში, ზოგჯერ მაისის დამლევს. დებს 6—9 კვერცხს, რომელთა სიგრძე 15 მმ-მდეა. ნაშიერები ივლისის დამლევს ან აგვისტოს დასაწყისში იჩეკება.

ზოლებიანი ხვლიკი იკვებება სხვადასხვა სახეობის მწერებითა და ობობებით. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ანადგურებს იგი ბუზებს, ხოჭოებს, კალიებს, რითაც ჩვენი მეურნეობისათვის შესამჩნევი სარგებლობა მოაქვს.


### საშუალო ხვლიკი. *Lacerta media* Lantz et Cyrén, 1920

საშუალო ხვლიკი საქართველოში გავრცელებულ ხვლიკებს შორის ყველაზე დიდი ზომისაა. მისი ტანის სიგრძე 17 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა—28—33 სანტიმეტრამდე. ცხვირსუკანა ფარი ორია. ყბათაშორისი ფარი ეხება ნესტოს. ყვრიმალის ფარი ერთია, ყურსუკანა ფარი—ორი, ზედა ტუჩის ფარი ოთხია. ყელის ფარების რაოდენობა 17—23-მდეა. საფეხქლის ზედა ფარების რაოდენობა ორია, მათვან მეორე პირველზე მცირეა. თვალსზედა და წამწამსზედა ფარებს შორის მარცვლების მთლიანი რიგია. ამ მარცვლების რაოდენობა 4—12-მდეა. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 44—56 ქერცლია. ანალური ფარის წინ 7—10 პრეანალური ფარია, მათგან შუა წყვილი დანარჩენებზე დიდია. ანალური ფარის სიგანე სიგრძეს ჰარბობს. ბარძაყის ფორმების რაოდენობა 11—16-მდეა. ბარძაყის

ფორების რიგი მუხლის მოსახრელამდე არ აღწევს. ფარების დია-  
მეტრი კლებულობს მუხლის მოსახრელის მიმართულებით.

ზრდასრული ინდივიდი მწვანე ფერისაა. ტანჩე მეტად მცირე-  
ზომის შავი წინწერები ემჩნევა. მოზარდებს სხეულის გასწვრივ  
მკაფიოდ გამოხატული 5 ლია ზოლი მოეპოვება. საერთო შეფერა-  
დება მუქი მიხაკისფერია. ზრდასთან ერთად ასეთი შეფერადება  
თანდათან იცვლება. მამრის ყელი და გვერდები ცისფერია, ხოლო  
მუცლის მხარე — ყვითელი. მდედრის მუცლის მხარე მოთეთრო-მო-  
ყვითალოა (სურ. 21).

საქართველოს ფარგლებში საშუალო ხვლიკი გვხვდება თბილი-  
სის მიღამოებში, სამგორის ველზე, გორის რაიონში, სურამთან,  
აფხაზეთში.



სურ. 21 საშუალო ხვლიკი (*Lacerta media*), მდედრი.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, იგი  
გვხვდება სომხეთში, დასავლეთ აზერბაიჯანში, სამხ.-დასავლეთ და-  
ლესტანში და ხოვთონსისკთან.

კავშირგარეშე ქვეყნებში იგი ცნობილია ბულგარეთიდან, მცირე  
აზიიდან, ჩრდ. ერაყიდან.

საშუალო ხვლიკი ვერტიკალურად ვრცელდება 2500 მეტრამდე.

საშუალო ხვლიკი ბინადრობს ბუჩქნარისა და ნახევრალბუჩქნარ  
ადგილებში. ჩვეულებრივ, ქსეროფიტულ ბიოტოპებს ეტანება,  
გვხვდება ტყეშიც.

შემოდგომის დამლევს ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს ადრე  
გაზაფხულზე. ივნისში დებს 8—9 კვერცხს.


საშუალო ხვლიკი იკვებება მწერებით, მცირე ზომის ლოკოკი-  
ნებით. მავნე მწერების განალგურებით მას სარგებლობა მოაქვს  
სოფლის მეურნეობისათვის. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სა-  
რგებლობა ნაკლებ ეფექტურია ამ ხვლიკის არა მასობრივად გავ-  
რცელების გაშო.

მარდი ხვლიკი. *Lacerta agilis* Linne, 1758



მარდი ხვლიკი საქმაოდ მოზრდილი ხვლიკია. მისი ტანის სიგრძე  
11 სანტიმეტრს აღწევს, ხოლო კუდის სიგრძე 14—21 სანტიმეტ-  
რამდეა.

ყბათაშორისი ფარი უმეტეს შემთხვევაში არ ეხება ნესტოს. ცხვირსუჟანა ფარების რაოდენობა ორია, იშვიათად — ერთი. ყვრი-  
მალის ფარების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში ერთია, ზოგ-  
ჯერ ორი, ხოლო ზოგჯერ სრულიადაც არაა. თვალსწედა და წამ-  
წამსწედა ფარებს შორის მარცვლები არაა. თუ მოეპოვება, მაშინ  
მათი რაოდენობა ხუთზე მეტი არაა. ყელის ქერცლების რაოდე-  
ნობა 14—23-მდეა. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 40—54 ქერ-  
ცლია. ანალური ფარის წინ ნახევარწრიულად გაწყობილია პრე-  
ანალური ფარები. მათ შორის შუათანა ორი დანარჩენზე დიდია.  
ანალური ფარის სიგანე შესამჩნევად ჭარბობს სიგრძეს. ბარძაყის  
ფორების რაოდენობა 11—21-მდეა. ფორების რიგი მუხლის მოსა-  
ხრელამდე აღწევს. უკანა კიდურის მეოთხე თითის ქვედა მხარეზე  
16—23 ფირფიტაა.



სურ. 22. მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*).

მარდი ხვლიკის შეფერადება მეტად ცვალებადია. ზრდასრული  
მარი უმეტესად მწვანე ფერისაა, ასეთივე ფერისა აქვთ ყელიც.  
მდედრის მუცლის მხარე და ყელი მოთეთროა. კეფის უკან ზურგს  
თხემის გაყოლებით გასდევს ვიწრო ნათელი ზოლი; ზურგის გვერ-  
დებზე უფრო განიერი და ნათელი თითო ზოლია და ორი ასეთი—  
30 ნათელი ზოლი გასდევს გვერდებზე. ზრდასთან ერთად ეს ზო-  
ლები ისპობა. მოზარდს ყოველთვის ემჩნევა ზურგის გასწერივ სამი  
ნათელი ზოლი, ხოლო გვერდებზე ღია ფერის წინწკლების 3—4  
გასწროვი რიგი გასდევს.

საქართველოს ფარგლებში მარდი ხვლიკი გვხვდება აჭარაში, აფხაზეთში, ფოთის მიღამოში, ქუთაისთან, აჯამეთში, ხარაგოულში, მოლითში, მუხრანში, მანგლისში, თეთრწყაროში და ტებერდის ნაკრძალში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, მარდი ხვლიკი გავრცელებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდ. კავკასიაში, ჩრდილოეთით ვრცელდება ჩრდ. სიგანედის  $60^{\circ}$ , ხოლო ციმბირში ჩრდ.-სიგანედის  $54^{\circ}$ . აღმოსავლეთით ვრცელდება სამხრეთი მიერბაიკალამდე; მოიპოვება შუა აზის საბჭოთა რესპუბლიკებში (ტაჯიკეთის უმეტეს ნაწილსა და კოპეტ-დალში არა გვხვდება).

კავშირგარეშე ქვეყნებში იგი მოიპოვება ჩრდილო და შუა ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ჩრდ.-აღმოსავლეთ თურქეთში, ჩრდ.-დასავლეთ ირანში, ჩრდ. მონგოლეთში.

მარდი ხვლიკი ვერტიკალურად ვრცელდება 2100 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

მარდი ხვლიკი ისეთ აღგილებში ბინადრობს, საღაც უხვად ეცემა მზის სხივები. უფრო მეტად მას ვხვდებით ველზე, მდელოზე, ახოში, ტყეში, კალებში, ბალებსა და ხევებში.

მარდი ხვლიკი შემოდგომის დამლევს იმალება თავშესაფარში და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს აღრე გაზაფხულზე, თებერვალის დამლევს. მაისში დებს 3—15 კვერცხს, რომლის სიგრძე 12—18-მმ-ს, ხოლო სიგანე 7—10 მმ-ს აღწევს. ნაშიერები იჩეკება ივლის-აგვისტოში.

მარდი ხვლიკი იკვებება ხოჭოებით, ბუზებით, სწორფრთიანებით, პეპლებით, ლოკოკინებით, მწერების მატლებით. ზოგჯერ ჭამს მოზარდ ხვლიკებსაც.

მარდ ხვლიკის ბავნე მწერების განალგურებით სოფლის მეურნეობისათვის მცირეოდენი სარგებლობა მოაქვს.

საქართველოს ფარგლებში მოიპოვება მარდი ხვლიკის ერთერთი ფორმათაგანი *Lacerta agilis exigua* Eichwald 1831. რომლის დახასიათებაა მოცემული ზემოთ.

### დერიუგინის ხვლიკი. *Lacerta derjugini* Nikolsky, 1898

დერიუგინის ხვლიკის ტანის სიგრძე 6,4 სანტიმეტრამდეა, ხოლო კუდისა — 9,5 — 11,2 სანტიმეტრამდე.

ცხეირსუკანა ფარი თითქმის ყოველთვის ერთია. ყბათაშორისი ფარი არ ეხება ნესტოს. ყვრიმალის ფარი ერთია. თვალსქვედა ფარის წინ ზედა ტუჩის 3—4 ფარია. დაფის ფარი ყოველთვის

ქარგადაა გამოხატული. წამწამსზედა ფარების რაოდენობაა 4—7. ამ უკანასკენელებსა და ოვალსზედა ფარს შორის მიღამოში მარცვლების რიგით, რომელშიც 2—12 მარცვალია (უმეტესად 3—7). წინა საფეხქელსზედა ფარები დიდია. ზურგის მხარის ქერცლი წაგრძელებულ-ეჭვსკეთხიანი ან მრგვალია; უმეტეს შემთხვევაში გლუვია ან უმნიშვნელოდ გამოხატული (განსაკუთრებით სხეულის უკანა ნაწილში) ტროპი ემჩნევა. ყელის ნაოჭი მეტოდადა გამოხატული. ყელის ქერცლების რაოდენობა 16—22 აღწევს. საყელო 4—7 დიდი ზომის ფარისაგან შედგება, წვივის ზედა ქერცლი რომბულია, აქვთ ტროპი და შესამჩნევად უფრო მცირეა, ვიღრე ზურგის ქერცლი. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 35—48 ქერცლია. მუცლის ფარები 6 გასწვრივ რიგადაა განლაგებული. ანალური ფარის წინ 7—10 პრეანალური ფარია, რომლებიც ერთ ან, იშვიათად, ორ რიგადაა განლაგებული. ანალური ფარის სიგანე შესამჩნევად ჭარბობს სიგრძეს. ბარძყის ფორების რაოდენობა 6—12-მდეა. მათი რიგი მუხლის მოსახრელამდე არ აღწევს (სურ. 17). უკანა კიდურის მეოთხე თითის ქვემოდან 21—25 ფირფიტაა.

ზედა მხრიდან მომწვანო-რტხი ან მურა-მიხაელისფერია, ზედ მცირე ზომის შავი წინწკლები ემჩნევა. გვერდები შავია და ეს ფერი ზოლივით გადადის კუდზეც. ქვედა მხრიდან მომწვანო, მოწითალო ან მოლურჯოა. მამრებს მუცლის ფარების განაპირა რიგებზე მოცისფრო წინწკლები ემჩნევათ.

საქართველოს ფარგლებში დერიუგინის ხვლიკი გვხვდება აბათუმანში, ბაკურიანში, ბორჯომში, მდ. ტანას ხეობაში, ლაგოდებში, სანისლოში (ქუთაისის რაიონი), აფხაზეთში (იშალაშართან).

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს ხვლიკი მოიპოვება აზერბაიჯანის დასავლეთ ნაწილში, კრასნოდარის მხრის მთიან მხარეში.

დერიუგინის ხვლიკი ვერტიკალურად ვრცელდება 1700 მეტრამდე ზღვის დონის ზევით. ცხოვრობს მთის ტყეებში.


ამ ხვლიკის ბიოლოგია დამაქმაყოფილებლად არაა შესწავლილი.

### მდელოს ხვლიკი. *Lacerta praticola* Eversmann, 1834

მდელოს ხვლიკი საშუალო ზომისაა. მისი ტანის სიგრძე 6,5 სანტიმეტრიმდე აღწევს, ხოლო კუდის 9—13 სანტიმეტრამდეა. ამ ხვლიკისათვის დამახასიათებელია რამდენიმედ მობლაგებული დინგი. ყბათაშორისი ფარი ნესტოს არ ეხება (იშვიათად ეხება). ყვრიმალის ფარი ერთია. შუბლსწინა ფარი ორია; ცხვირსუკანა

ფარი, ჩვეულებრივ, ერთია. თვალბუდის ქვედა ფარების წინ ზედა  
ტუჩის 4 ფარია (იშვიათად 3 ან 5). თვალსწედა და წამწამსწედა  
ფარებს შორის მარცვლების რიგია, ოომელშიც 1—12 მარცვალია,  
დაფის ფარი ყოველთვის მოიპოვება. ორი ან სამი მოზრდილი სა-  
ფეთქლის ზედა ფარია. ზურგის ფარი ექვსკუთხები ან ოომბულია.  
ძერცლის სიგრძე სიგანეს ჭარბობს (განსაკუთრებით ზურგის შუა  
ნაწილზე). ამ ქერცლებზე ტროპი კარგადაა გამოხატული. გვერდე-  
ბის ქერცლები ზურგისაზე მცირეა. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ  
32—43 ქერცლია. ყელის ქერცლების რაოდენობა 16—22-მდეა.  
მუცლის ფარები განლაგებულია ექვს გასწროვ რიგად. ანალური  
ფარის წინ 8—10 მცირე ზომის პრეანალური ფარია, ოომლებიც  
ერთ რიგადაა განლაგებული. ანალური ფარის სიგანე სიგრძეზე  
თითქმის ორჯერ მეტია. ბარძაყის ფორების რაოდენობა 9—14-მდეა,  
ამ ფორების რიგი მუხლის მოსახრელამდე აღწევს. უკანა კიდურის  
მეოთხე თითის ქვედა მხარეზე 20—25 ფირფიტაა.

მდელოს ხვლიკის შეფერადება ზურგის მხრიდან ლია მურა-  
მწვანე ან მუქი-მწვანეა. ზურგს გასდევს ვიწრო მუქი-მურა ზო-  
ლი. მურა ან მუქი-მურა განიერი ზოლი მოეპოვება აგრეთვე  
გვერდებზედაც. მამრის მუცლის მხარე მომწვანოა, ხოლო მდედ-  
რიხა-მოყვითალო.



სურ. 23. მდელოსხვლიკის (*Lacerta praticola*) თავი.

საქართველოს ფარგლებში მდე-  
ლოს ხვლიკი გვხვდება ლაგოდებ-  
ში, არაგვის ხეობაში, მეჯვრის-  
ხევთან, სურამის მიდამოში, სვა-  
ნეთში, აფხაზეთში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში,  
გარდა საქართველოსი, ეს ხვლი-  
კი გვხვდება სომხეთში, აზერბაი-  
ჯანში, კრასნოდარის მხარეში, ჩრდილო კავკასიაში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ჩრდილო-დასავლეთ  
ირანიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, უნგრეთიდან და იუგო-  
სლავიდან.

მდელოს ხვლიკი ვერტიკალურად ვრცელდება ტყის სარტყლის  
ზედა ხაზამდე.

მდელოს ხვლიკი ბინადრობს ფოთლოვან ტყეებში, მდელოებზე,  
ბალახით დაფარულ ველებზე, მდინარეთა ხეობებში.

შემოდგომის დამლევს ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს ად-  
რე გაზაფხულზე. მაის-ივნისში დებს 4—6 კვერცხს, რომლის სიგრძე  
10 მმ, ხოლო სიგანე 6,5 მმ აღწევს.

მდელოს ხვლიკის ძირითად საკვებს შეადგენს სხვადასხვა ხოჭო, უწორფრთიანები, პეპლები, ორფრთიანები და ობობები. ეს ხვლიკი მაგნე მწერების განადგურებით იძლევა უმნიშვნელო სარგებლობას.

საქართველოს ფარგლებში ბინადრობს მდელოს ხვლიკის ორი ქვესახეობა—*L. praticola* *praticola* Ewers, 1834, ომელიც გვხვდება რესპუბლიკის აღმოსავლეთ მხარეში, და *L. pr. pontica* Lantz et Cyrén, 1919, ომელიც მოიპოვება რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში.

### კლდის ხვლიკი. *Lacerta saxicola* Eversmann, 1834.

კლდის ხვლიკის ტანის სიგრძე 8 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდის სიგრძე 14,8—17,7 სანტიმეტრამდეა.

ყბათაშორისი ფარი ნესტოს არ ეხება. ცხვირსუკანა ფარი ერთია; ერთია აგრეთვე ყვრიმალის ფარიც. თვალსქედა ფარის წინ ზედა ტუჩის ოთხი ფარია (იშვიათად 3 ან 5). თვალსქედა და წამწამსზედა ფარებს შორის მარცვლების რიგია. მათი რაოდენობა 3—19 აღწევს. დაფის ფარი მოიპოვება. კეფის ფარი თხემთშორის ფარზე განიერია. ზურგის ქერული მრგვალი, მარცვლოვანი და გლუვია ან ოდნავ ემჩნევა ტროპი. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 38—69 ქერულია. ყელის ქერულების რაოდენობა 16—36-მდე აღწევს. მუცულის ფარები 6—8 გასწვრივ რიგადაა განლაგებული. ანალური ფარის წინ 1 ან 2 რიგად განლაგებული პრეანალური ფარებია. ანალური ფარის სიგანე სიგრძეს 1,5—2,3-ჯერ ჭარბობს. ბარძაყის ფორების რაოდენობა 12—27-მდეა. ფორების რიგი მუხლის მოსახრელამდე აღწევს. უკანა კიდურის მეოთხე თითის ქვედა მხარეზე 24—31 ფირფიტაა.

კლდის ხვლიკის შეფერადება მეტად განსხვავებულია ქვესახეობების მიხედვით. ზურგის მხრიდან მეტწილად მუქ-მწვანე, მომწვანო ან მურა ფერისაა. გვერდებზე ემჩნევა შავი წინწერები, რომლებიც ზოგ ფორმაში გასწვრივ ზოლს ქმნის. ზურგის შუა ნაწილში მცირე ზომის შავი წინწერებია. მუცულის მხარე თეთრი, ყვითელი, წითელი ან მომწვანო ფერისაა.

საქართველოს ფარგლებში კლდის ხვლიკი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული (დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, კლდის ხვლიკი გავრცელებულია ყირიმში, ახერბაიჯანში, სომხეთში, ჩრდ. კავკასიაში და სამხრ. თურქმენეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებში იგი მოიპოვება მცირე აზიაში, ირანში.

ევრტიკალურად ეს ხვლიკი ვრცელდება 3000 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

კლდის ხვლიკი ბინადრობს ძირითადად კლდოვან ალგილებში.  
სადაც თავს აფარებს კლდეთა ნაპრალებში, ლოდებს ქვეშ.

შემოღომის დამლევს ზამთრის ძილუშს ეძლევა. ილვიძებს აღ-  
რე გაზაფხულზე. მაის-ივნისში დებს 2—4 კვერცხს, რომელთაგან ნა-  
შეირები აგვისტოში ან სექტემბრის დასაწყისში იჩეკება. ახლად  
გამოჩეკილის სიგრძე 25 მმ აღწევს.

კლდის ხვლიკის ძირითად საკვებს შეადგენს სხვადასხვა მწერი,  
ობობები.

კლდის ხვლიკის სახეობის შიგნით არჩევენ ქვესახეობებს, რო-  
მელთა უმრავლესობა მოიპოვება საქართველოშიც.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში გავრცელებულ ქვესახეობა-  
თა სარკვევი.

## კლდის ხვლიკის ქვესახეობათა სარკვევი გაგელა

1(4) ბარძაყის ზედა მხრის ქერცლი ზურგის ქერცლზე დიდია და-  
ძლიერ განვითარებული ტრობი აქვს.

2(3) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 39—50 ქერცლია.

წერილი კლდის ხვლიკი. *Lacerta saxicola rudis*

Bedriaga

(გვ. 75)

3(2) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 46—60 ქერცლია.

შუქი კლდის ხვლიკი. *Lacerta saxicola obscura*

Lantz et Cyrén

(გვ. 75)

4(1) ბარძაყის ზედა მხარის ქერცლი ზურგის ქერცლის ტოლია  
ან მასზე მცირეა. იგი გლუვია ან ოდნავ გამოხატული ტრო-  
ბი აქვს.

5(6) ცხვირსუკანა ფარი, ჩვეულებრივ, ცხვირსშორისი ფარისაგან  
დაცილებულია. ყელის ქერცლების რაოდენობა 16—26 აღწევს.  
კავკასიის კლდის ხვლიკი. *Lacerta saxicola*

caucasica Méhely

(გვ. 75)

6(5) ცხვირსუკანა ფარი, ჩვეულებრივ, ეხება ცხვირსშორის ფარს.  
ყელის ქერცლების რაოდენობა 20—35 აღწევს.

7(10) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების რაოდენობა  
44—58-მდეა.

8(9) პრეანალური ფარი არაა.

9(8) თვალსზედა და წამწამსზედა ქერცლებს შორის არსებული  
მარცვლების რიგი თითქმის ყოველთვის წყვეტილია. ზედა  
საფეთქლის პირველი ფარი მოკლეა.

ნარევი კლდის ხვლიკი. *Lacerta saxicola mixta*

Méhely

(გვ. 76)

- 10(7) სხეულის შუა ნაწილის ორგვლივ 50—69 ქერცლია.
- 11(12) პრეანალური ფარი თითქმის ყოველთვის მოიპოვება.  
პორჩინსკის კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola*  
portschinskii Kessler (გვ. 76)
- 12(11) პრეანალური ფარი თითქმის ყოველთვის არაა.
- 13(14) პირველი ზედა საფეთქლის ფარი მოკლეა, უკნიდან წაწვეტებულია. მამრის ზურგის მხარე მიხაისფერი ან რუხია, იშვიათად მწვანე.
- მცირე კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola parvula*  
Lantz et Cyrén (გვ. 76)
- 14(13) პირველი საფეთქლისზედა ქერცლი გრძელია, უკნიდან არაა წაწვეტებული. მამრის ზურგის მხარე მკვეთრი მწვანეა.
- 15(16) ცხეირსშორისი ფარი ხშირად ეხება ყბათაშორის ფარს.  
ბრაუნერის კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola*  
brauneri Méhely (გვ. 76)
- 16(15) ცხეირსშორისი ფარი იშვიათად ეხება ყბათაშორის ფარს.  
ჩეგულებრივი კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola*  
saxicola Eversmann (გვ. 76)

წვრილი კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola rudis*  
Bedriaga, 1886

საქართველოს ფარგლებში ეს ხელიკი გავრცელებულია კავკა-სიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე ლაგოდეხილან სვანე-თამდე და აჭარაში.


მუქი კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola obscura*  
Lantz et Cyrén, 1936

საქართველოს ფარგლებში მუქი კლდის ხელიკი მოიპოვება ბორჯომის მიდამოებში, ატენის ხეობაში.

კავკასიის კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola caucasica*  
Méhely, 1909

კავკასიის კლდის ხელიკი საქართველოში გვხვდება კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში. კერძოდ, იგი ცნობილია მღეთიდან, ყაზბეგიდან, ლარსიდან, არაგვის ხეობიდან, აღაიხიდან, გუდაურიდან, ფასანაურიდან, ლაგოდეხიდან და მანგლისიდან.

ნარევი კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola mixta*  
Méhely, 1909



საქართველოს ფარგლებში ყს ხელიკი ცნობილია აბასთუმნიდან  
და ბორჯომის მიდამოებიდან.

პორჩინსკის კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola portschinskii*  
Kessler, 1878

პორჩინსკის კლდის ხელიკი საქართველოს ფარგლებში გვხვდება  
თბილისის მიდამოებში, აფშალაში, მცხეთის მახლობლად.

მცირე კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola parvula*  
Lantz et Cyrén, 1913

მცირე კლდის ხელიკი საქართველოში გვხვდება აჭარაში, სუ-  
რამის მიდამოებში, კასპის რაიონში (კერძოდ ჯავახეანთ კიხის  
მახლობლად), ატენის ხეობაში, გორიჯვრის მიდამოში და გორის  
მიდამოში. საქართველოს გარეშე ეს ხელიკი ბინაღრობს ოსმალეთში.

ბრაუნერის კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola brauneri*  
Méhely, 1909

საქართველოს ფარგლებში ბრაუნერის კლდის ხელიკი მოიპოვე-  
ბა აფხაზეთში. აქ იყი ცნობილი გაგრიდან, პსეაშხოდან, ბაგდო-  
მიდან, კანშარაშიდან (კოდორის ხეობა), ლათიდან, გვანდრიდან.  
საქართველოს გარეშე იგი გვხვდება კრასნაია პოლიანაში.

ჩვეულებრივი კლდის ხელიკი. *Lacerta saxicola saxicola*  
Eversmann, 1834

საქართველოს ფარგლებში ჩვეულებრივი კლდის ხელიკი გვხვდე-  
ბა ქლუხორის რაიონში. საქართველოს გარეშე იგი ცნობილია ყი-  
რიმიდან, ყუბანის ხეობიდან.

მუცელყვითელი ხელიკი. *Lacerta chlorogaster*  
Boulenger, 1908

მუცელყვითელი ხელიკის ტანის სიგრძე 6,5 სანტიმეტრამდე,  
ხოლო კუდისა 12,5—13 სანტიმეტრს აღწევს. ყბათაშორისი  
ფარი ეხება ნესტოს ან, თუ არ ეხება, მაშინ მეტად ახლოსაა  
მასთან. ყვრიმალის ფარი ერთია. ოვალბუდის ქვედა ფარის

წინ ზედა ტუჩის 4 ფარია. თვალსზედა და წამწამსზედა ფარებს შორის მარცვლების მთლიანი რიგაა. ზურგის ფარები წაგრძელებული და ტროპიანია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 42—52 ქერცლია. ყელის ქერცლების რაოდენობა 19—27-მდე ოლწევს. მუცლის ფარები 6 გასწვრივ რიგადაა განლაგებული. ანალური ფარის წინ ერთ რიგად გაწყობილი პრეანალური ფარებია. ანალური ფარის სიგანე შესაძნევად ჭარბობს სიგრძეს. ბარძაყის ფორების რაოდენობა 12—19 ოლწევს. მათი რიგი მუხლის მოსახრელამდე გრძელდება. უკანა კიდურის მეოთხე თითის ქვედა მხარეზე 27—32 ფირფიტაა.

ზურგის მხრიდან მომწვანოა ან მუქ-მწვანე მურაა. გვერდებზე შავი ზოლი გასდევს. მუცლის მხრიდან მოყვითალო-მწვანე ან მოლურჯო-მომწვანოა. ხშირად კუდის მახლობლად შავი წინწელები აყრია.

საქართველოს ფარგლებში ამ ხვლიკის გავრცელების შესახებ მხოლოდ ერთი მითითებაა, რომ იგი გვხვდება ლაგოდებში, რაც ერთგვარ ეჭვს იწვევს; ეს საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, იგი გვხვდება სამხრეთ აღმოსავლეთ აზერბაიჯანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან მუცელმწვანე ხვლიკი გვხვდება ჩრდილოანთა ირანში.

ბინადრობს ტყიან ადგილებში. ცხოვრობს ხეებზე. ლია ადგილებსა და კლდეებზე არ გვხვდება.

მუცელმწვანე ხვლიკის ძირითად საკვებს მწერები შეადგენენ. ამ ხვლიკის ბიოლოგია არაა ჯეროვნად შესწავლილი.

### გვარი გველთაგა. *Ophisops* Ménétries, 1832


ქუთუთოები უძრავია; ზედა და ქვედა ქუთუთო ურთიერთან შეზრდილია და გამჭვირვალე აპკადაა გადაქცეული. სხეული დაფარულია საქმაოდ მსხვილი ქერცლებით. თავის ფარები, ისევე რიგორუც ხვლიკებს (*Lacerta*), ნორმალურად აჭვს განვითარებული. შუბლის ფარის სიგანე თვალსზედა ფარის სიგანეზე თითქმის ორჯერ ნაკლებია. ნესტო მდებარეობს 2—4 ცხვირის ფარს შორის. ზედა ტუჩის ფარები არ ეხება ნესტოს. კეფის ფარი ჩვეულებრივ განვითარებულია. ზურგის ქერცლები ხასიათდება კარგად გამოხატული ტროპით. საყელო ემჩნევა მხოლოდ კისრის გვერდებზე. მუცლის ფარებს ტროპი არ გააჩნია, დიდი ზომისაა და გასწვრივ სწორი რიგებადაა განლაგებული. თითები გვერდებიდან შებრტყელებულია, კუდი მრგვალია. ბარძაყის ფორები მოეპოვება.

გველთავას გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია ჩრდილო აფრიკაში, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე, მცირე აზიაში და ინდოსტანში. ამ გვარში გაერთიანებული 5 სახეობიდან საქართველოსათვის აღნიშნულია მხოლოდ ერთი სახეობა.

### ბოხდენილი გველთავა. *Opisops elegans* Ménétries, 1832

ამ თავისებური ხვლიკის ტანის სიგრძე 6,2 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდის 10,0—15,5 სანტიმეტრამდე.

თავის ზედა ნაწილზე დაწყებული ცხვირშებლის ფარიდან და დამთავრებული შუბლის ფარის მეორე ნახევრამდე გრძელდება კარგად გამოხატული გასწვრივი ლარი. თავის მთარავი ფარები გლუვია. შუბლის წინა ფარები ორია. თვალზედა და წამწამსხედა ფარებს შორის მარცვლების რიგია. თვალის ქვედა ფარი ეხება პირის კიდეს. დათვის ფარი დიდია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 23—24 ქერცლია. ყელის ქერცლების რაოდენობა 15—23-მდეა. მუცლის



სურ. 24. მოხდენილი გველთავა (*Opisops elegans*).

ფარები 6 გასწვრივ რიგადაა განლაგებული. კუდის ქერცლზე ტროპი ბეკვეთოდაა გამოხატული. ბარძაყის ფორების რაოდენობა 9—13-მდეა და მათი რიგი შუბლის მოსახრელამდე აღწევს.

მოხდენილ გველთავას შეფერადება ზურგის მხრიდან მომწვანო-რუხი ან მომწვანო-მინაკისფერია. ზურგის თხემს გასდევს ნათელი 2 ზოლი. ასეთივე ზოლებია გვერდებზეც. ნათელ ხალებს შორის შეგი ქარცი ან მოწითალო-ნარინჯი წინწელებია (სურ. 24).

ამ ხვლიკის გავრცელება მითითებულია, ლიტერატურული წყაროების (ნიკოლასკი და სხვ.) მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოსა-

თვის. სათანადო მასალის უქონლობის გამო მისი გავრცელების დაწვრილებითი არეალის დადგენა შეუძლებელი ხდება.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოს, მიმდევად გვხდება სამხრეთ სომხეთში, აზერბაიჯანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან ეს ხელიკი ცნობილია ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილიდან, ეგეოსის ზღვის ზოგიერთი კუნძულიდან, კუნძულ კრეტადან, მცირე აზიიდან, წინა აზიიდან, აღმოსავლეთით კრეტედა პენჯაბამდე (აღმოსავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში არ მოიპოვება).

ცხოვრობს უმთავრესად თიხნარსა და ქვიან ნახევრად-უზაბნო-ებში, ზოგჯერ გვხდება ქვიშიან აღგილებშიც.

შემოდგომის დამლევს ეძლევა ზამთრის ძილქუში. იღვიძებს აღრე გახაფხულზე. მაისის მეორე ნახევარში დებს 4—6 კვერცხს.

მოხდენილ გველთავას ძირითად საკვებს მწერები და მათი მატ-ლები შეადგენენ, ჭამს ობობებსაც.

ამ ხელიკის ბიოლოგია დამაქმაყოფილებლად შესწავლილი არაა.

### გვარი ფხვენი. *Eremias* Wiegmann, 1834

თვალის ფარები ნორმალურია. შუბლის ფარი ვიწროა. მისი სი-განე ყველაზე ვიწრო ადგილის თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე თვალსზედა ფარის ყველაზე განიერი ადგილის სიგანე. ნესტო განწყობილია 3—4 ცხვირის ფარს შორის. ნესტო დაცილებულია ზედა ტუჩის ფარებიდან. მუცლის ფარები ოთხკუთხოვანი, გლუვი და ტროპებს მოკლებულია. საყელო ცოტად თუ ბევრად მკაფიოდა გამოხატული. ზურგის ქერცლი მცირე ზომისაა. ბარძა-ყის ფორები მოიპოვება. კუდი მრგვალია.

ფსვენის გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ეკროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში.

ამ გვარში გაერთიანებული დაახლოებით 45 სახეობიდან საქართველოს ფარგლებში ცნობილია მხოლოდ ორი.

### ფსვენის სახეობათა სარკვევი განულა

1(2) თვალსქვედა ფარი ეხება პირის კიდეს. ბარძაყის ფორების რიგებს შორის მანძილი ვიწროა. ეს მანძილი თითოეული რი-გის სიგრძეში, ჩვეულებრივ, 5-ჯერ და მეტად თავსდება. ბარ-ძაყის ფორების რიგებს შორის 2—4 ქერცლია.

ბარდი ფხვენი. *Eremias velox* (Pallas)

(გვ. 80)

2(1) ოვალსქვედა ფარი არ ეხება პირის კიდეს. ბარძაყის ფორების რიგებსშორისი მანძილი განიერია. ეს მანძილი თითოეული რიგის სიგრძეში თითქმის ორჯერ და უფრო ნაკლებად ავსდება. ბარძაყის ფორების რიგებს შორის 6—11 ქერცლია. ფერადი ფსვენი. *Eremias arguta* (Pallas) (გვ. 82)

### ბარდი ფსვენი. *Eremias velox* (Pallas, 1771)

ბარდი ფსვენის ტანის სიგრძე 8,2 სანტიმეტრამდე, ხოლო კუდის სიგრძე 13—15 სანტიმეტრამდე აღწევს.


ყბათაშორისი ფარი ეხება ცხვირსქვედა ფარს. ცხვირშუბლის ფარის სიგანე სიგრძეს ჭარბობს. თვალსზედა და შუბლის ფარს შორის მარცვლები არაა. შუბლის ფარზე კარგად გამოხატული ღარია. წვივის ქვედა ზედაპირის განაპირობა რიგის ფარების სიგანე გაცილებით ჭარბობს მეზობელ ფარებისას. კუდის ზედა მხრის ქერცლებს კარგად გამოხატული ტროპები აქვს (თუმცა ამ უკანასკნელთა სიმაღლე უმნიშვნელოა). კუდის მეცხრე-მეათე რგოლის ირგვლივ 23—33 ქერცლია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების რაოდენობა 46—66 აღწევს. ყელის ქერცლების რაოდენობა 23—25-მდეა. ბარძაყის ფორების რიგებს შორის მანძილი მეტად ვიწროა. ეს მანძილი ბარძაყის ფორების თითოეულ რიგში თავსდება ხუთჯერ და უფრო მეტად. ბარძაყის ფორების რიგებს შორის 2—4 ქერცლია. ბარძაყის ფორების რაოდენობა 14—24-მდეა. ზურგის ქერცლი მარცვლოვანი, მრგვალი და გლუვია. მუცლის ფარები განლაგებულია ირიბ რიგებად, რომელთა რაოდენობა 29—34 აღწევს.

მოზარდი ფსვენის ზურგს გასდევს მოშავო-მურა ან მუქი-მურა გასწვრივი სამი ზოლი, რომელთაგან შუათანა კისერთან ორადაა გაყოფილი. ასეთივე თითო ზოლი, რომლებზეც თეთრი წინწლებია, გასდევს გვერდებზე. კუდის ქვედა მხარე წითელი ან მოწითალონარინჯისფერია. ხშირად ასეთივე შეფერადებისაა ბარძაყისა და წვივის ქერცლებიც. ზრდასრული ინდივიდის საერთო შეფერადება მორუხოა და ზედ მომწვანო ან მურა ელფერი გადაჰქიანებს. მთლიანი ზოლების ნაცვლად ემჩნევა ხალებისაგან შექმნილი ხაზები. გვერდებზე ღია ფერის ხალებია, რომლებიც სხეულის წინა ნაწილში (უპეტესად მამრებს) მოცისფრო აქვთ. მუცლის მხარე და ყელის შეფერადება თეთრია (სურ. 25).

საქართველოს ფარგლებში მარდი ფსვენი მოიპოვება გორის რაიონში, კერძოდ, უფლისციხესა და კვერნაკის მთაზე. ლიტერატუ-

რული ცნობებით გვხვდება ლაგოდეხისა და თბილისის მიღამოებში.  
უკანასკნელ ორ უბანში ამ სახეობის გავრცელება ფაქტიური მასა-  
ლით ჯერჯერობით დადასტურებული არაა.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, მარდი  
ფსვენი გავრცელებულია აზერბაიჯანში, აღმოსავლეთ წინა აზიაში,  
ასტრახანის ოლქში, სტალინგრადის ოლქის სამხრეთ რაიონებში  
და შუა აზიის რესპუბლიკებში.



სურ. 25. მარდი ფსვენი (*Eremias velox*).  
მარცნივ—ახალგაზრდა, მარჯვნივ—ზრდასრული.


კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი გვხვდება მონგოლეთის სახალ-  
ხო რესპუბლიკაში, ჩრდ.-დასავლეთ ჩინეთში, ირანში.

მარდი ფსვენი ვერტიკალურად 1600 მეტრამდე აღწევს ზღვის  
დონის ზევით.

მარდი ფსვენი ბინადრობს ქვიშიან, ქვიან ადგილებში, სადაც  
ცოტად თუ ბევრად განვითარებულია ბალახოვანი მცენარეულობა.  
ზოგჯერ ეტანება თიხნარ აღვილებს, წყლის სანაპირო მიღამოებს,

ტუგაებს და სხვა ამგვარ ალგილებს. თავს აფარებს სხვადასხვა ცხოველის სოროში, ქვის ქვეშ, ქვის ყორეში, ნიაღავის ნაპრალში; ზოგჯერ სოროს თვითონვე თხრის.

შემოდგომის დამლევს ზამთრის ძილქუშს ეძლევა. ილვიძებს ზამთრის ძილქუშიდან აღრე გაზაფხულზე, ჩვეულებრივ, თუ თბილი



სურ. 26. მარდი ფსვენი (*Eremias velox*).

ზამთარია, თებერვლის დამლევს. კვერცხებს დებს მაისში. დადებული კვერცხების რაოდენობა 4—12 აღწევს (უფრო მეტად — 4—5). კვერცხის სიგრძე 14—16 მმ. ნაშიერები იჩეკება ივლისში.

ფსვენის ძირითად საკვებს სხვადასხვა მწერი შეადგენს. მის კუჭში აღმოჩენილია ხოჭოები, ჭიანჭველები, კალიები, ბუზები, პეპლები, მწერების მატლები, ობობები.

საქართველოში მოიპოვება ამ სახეობის განსაკუთრებული ფორმა — კავკასიის მარდი ფსვენი (*Eremias velox caucasica* Lantz, 1928), რომელიც განტილულია ზემოთ მოცემულ ტექსტში.

### ფერადი ფსვენი. *Eremias arguta* (Pallas, 1773)


ფერადი ფსვენის ტანის სიგრძე 10 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუჭის სიგრძე 9,9—14 სანტიმეტრამდეა.

ცხირიშუბლის ფარი ერთია. შუბლის ფარს კარგად გამოხატული ლარი ემჩნევა. თვალსქვედა ფარი არ აღწევს პირის კიდემდე. თვალსზედა ქერცლები არაა დაცილებული შუბლის ფარისაგან. წვივი ქვედა მხრიდან დაფარულია 2—3 გასწვრივ რიგად განლაგებული ფარებით. კუდის ზედა მხარის ქერცლები ფუძესთან გლუვია, ხოლო წვერისაკენ ოდნავ გამოხატული ტრობები მოეპოვება. ბარძაყის ფორების რიგებს შორისი მანძილი განიერია. იგი თითოეულის რიგის სიგრძეში თავსდება ორჯერ და უფრო ნაკლებად. ბარძაყის ფორების რიგებს შორის 6—11 ქერცლია. ბარძაყის ფო-

რების რაოდენობა 7—15 ალწევს. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 41—61 ქერცლია, ხოლო ყელის რიგში — 22—37 ქერცლი.

ცხოველის ზურგის მხარე რუხია და ზედ მუქი-მწვანე, მურა-  
მიხავისფერი, ან მომწვანო ელფერი გაღაპერავს და ზედ შავი ან  
მოშავო განვითარები ან ზოლები ემჩნევა (სურ. 27). ფეხები  
ქვედა მხრიდან თეთრია, ხოლო ზედა მხრიდან მოშავო-ნათელი  
ხალები აყრია.

საქართველოს ფარგლებში ფერადი ფსვენის გავრცელება ზოგი  
ავტორის (ტერენტიევი და ჩერნოვი და სხვ.) მიერ მითითებულია



სურ. 27. ფერადი ფსვენი (*Eremias arguta*).

ზოგადად „აღმოსავლეთ საქართველო“, სამწუხაროდ, არაა ნაჩვე-  
ნები სახელდობრ რომელ რაიონში გვხვდება იგი. მასალისა და  
ცნობების უქონლობის გამო ამ ცხოველის საქართველოში გავრცე-  
ლების ან მოპოვების შესახებ ჯერხნობით არაფრის თქმა არ შეი-  
ძლება.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს ფსვე-  
ნი ცნობილია მოლდავეთიდან, უკრაინიდან, რსფსრ-ის ევროპული  
ნაწილის სამხრეთ რაიონებიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან,  
აღმოსავლეთ სომხეთიდან.

კავშირგარეშე ქვეყნებს შორის იგი გვხვდება აღმ. რუმინეთში,  
ჩრდილო ირანში, ჩრდ.-აღმოსავლეთ ოსმალეთში, ჯუნგარიასა და  
კაშგარიაში.

ფერადი ფსვენი ვერტიკალურად 2200 მეტრამდე აღწევს. იგი  
ბინადრობს თიხნარიან, ლიოსიან, ქვიან, ქვიშნარიან და ლორობიან  
ნიადაგზე.

შემოღვომის დამლევამდე, ხშირად სექტემბერსა და ოქტომბერ-ში, თავს აფარებს სამალავში და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვი-ძებს შედარებით გვიანა—საკმაოდ მაღალი ტემპერატურის დამყარე-ბისას. დებს 3—11 კვერცხს.

ფერადი ფსვენის ძირითად საკვებს შეადგენს ხოჭოები, კალი-ები, ბუჩქები, ჭიანჭველები, პეპლები, მწერების მატლები, ობობები, ნამის ჭიები და სხვ.

## 2. რიგი ქამელოონები. CHAMELEONTES

ქამელეონების რიგში გაერთიანებული არიან ხელიკისებრი ქვეწარ-მავლები, რომლებიც ხასიათდებიან სხეულის ორგანიზაციის მაღალი სპეციალიზაციით. სისტემატიკურად ისინი ყველაზე მეტად ჯოჯოებს უახლოვდებიან. ქამელეონები ტიპობრივ მეცენატ ცხოველებს წარ-მოადგენენ. სხეული გვერდებიდან რამდენადმე შებრტყელებულია. ზურგზე ემჩნევა წვეტიანი ტროპი. კისრის მალების რაოდენობა სა-მია. კიდურები ხუთითიანია. მათგან ორი წინაა მიმართული და დაბირისპირებულია დანარჩენი სამი თითისადმი. კიდურები მოსა-ჭიდებელია. კუდი გრძელია და სპირალურად იხვევა, რაც ხელს უწყობს ხის ტოტზე მოჭიდებაში. კუდს აუტოტომიის უნარი არ ახასიათებს. თვალების ამოძრავება შეუძლიათ ერთი-შეორისგან და-მოუკიდებლად, ე. ი. შეუძლიათ ერთდროულად მარჯვენა და მარ-ცხენა თვალით სხვადასხვა მიმართულებით ცქერა. ქუთუთოები დი-დი ზომისაა. დამახასიათებელია გრძელი ენა, რომელსაც ცხოველი პირის ღრუდან გარეთ საკმაოდ დიდ მანძილზე გამოყოფს ხოლმე. კანი დაფარულია პიგმენტით, რომლის მარცვლების ადგილის შე-ნაცვლების შემთხვევაში (რაზეც ზეგავლენას ახდენს სინათლე, ტემპერატურა, შიში და სხვ.) ცხოველი იცვლის შეფერადებას. ეს რიგი შეიცავს ერთ რჯახს.

## ოჯახი ქამელოონები. Chameleontidae

ქამელეონების ოჯახის წარმომადგენელთათვის დამახასიათებე-ლია იგივე ნიშნები, რაც აღნიშნულია რიგის მიმართ.


ქამელეონები გავრცელებულია აფრიკაში, კუნძულ მაღაგასკარზე, მცირე აზიასა და სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. სახეობათა უმრავ-ლესობა მოსახლეობს ტყეებში; ისინი უმეტეს დროს ხეებზე ატა-რებენ. დებენ 25—40 კვერცხს, რომელთაც მიწაში ფლავენ. ოჯახი აერთიანებს სამ გვარს.

## გვარი ქამელონი. Chameleon

ქამელონის გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ ეკროპაში, მცირე აზიაში, სინიაში, არაბეთში, ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე. ცნობილია ოცამდე სახეობა.

### ჩვეულებრივი ქამელონი. Chameleon vulgaris Daud

საქართველოს ფარგლებიდან ჩვეულებრივი ქამელონის გავრცელება აღნიშნულია მხოლოდ სამი პუნქტისათვის, კერძოდ, ამ ქვეწარმავლის თითო ეგზემპლარი მოპოვებულია ბათუმის მახლობლად



სურ. 28. ქამელონი.

(1937 წელს), ფოთის მიღამოებში (1938) და ქობულეთის მახლობლად (1950 წელს). საქართველოს ქვეწარმავალთა ფაუნაში ქამელონი შემთხვევით ელემენტს წარმოადგენს.

### 3. რიში გველები. OPHIDIA s. SERPENTES

გველები ცხოველთა სამყაროს მეტად თავისებურიად სპეციალიზებულ ჯგუფს ქმნიან. გარეგანი შეხედულებით ძლიერ მიემსგავსებიან უფეხო ხელიკებს, მაგრამ მათგან არსებითი ნიშნებით განსხვავდებიან, სახელდობრ, გველებს არა აქვთ მოძრავი ქუთუთოები, საშარდე ბუშტი და მხრის სარტყელი.


გველების სხეული მკაფიოდ მხოლოდ სამ ნაწილად იყოფა: თავალ, ტანად და კუდად. თავი, უმეტეს შემთხვევაში, ტანთან შეფარდებით მცირე ზომისაა; ზოგიერთ სახეობაში იგი შეკვეთრად არაა

გამოყოფილი კისრისა და ტანისაგან. თავი ოდნავ გაბრტყელებულია, ოვალური ან სამკუთხოვანია. პირის ხვრელი საკმაოდ ფართოა, კისერი მხოლოდ ზოგიერთ ფორმას აქვს კარგად გამოხატული. თავისუფალი კიდურები და მათი ჩონჩხი გველებს არ მოეპოვება. მხოლოდ მახრიბელებს აქვთ ოდნავ შესამჩნევი უკანა კიდურების რუდიმენტები. კერძოდ, მათ შერჩენილი აქვთ ბარძაყისა და თეძოს ძვლების რუდიმენტები. ბრუცას (*Typhlopidae*) შერჩენილი აქვს აგრეთვე მენჯის რუდიმენტი. კუდი, ჩვეულებრივ, ტანის საერთო სიგრძეზე შესამჩნევად ნაკლები და მასზე უფრო წვრილია.

გველის სხეული დაფარულია რქოვანი ქერცლებით, რომლებიც თავისებური ფორმისაა და სხეულის სხვადასხვა ნაწილზე განსხვავებულადაა განლაგებული. ზურგზე და გვერდებზე განლაგებული ქერცლები შედარებით უფრო დიდებია, ვიღრე სხეულის სხვა ნაწილების მფარავი ქერცლები. ზურგის ქერცლები ხშირად წაგრძელებულია და მათ გასწვრივი ტროპი აქვთ. ზოგი ქერცლი გაფართოებულია და ექვსკუთხოვანია. მუცლის მხარე დაფარულია მსხვილი განივი ფარებით.

გველების რკვევისას დიდი მნიშვნელობა აქვს თავის მფარავი ფარების ფორმას, ზომას, ურთიერთშეფარდებას და ზოგიერთი მათგანის რაოდენობას.

გველის დინგი დაფარულია ყბათაშორისი ფარით (rostrale) (სურ. 29), რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ზემოდანაც კარგად ჩანს.




სურ. 29. გველის თავი (მარჯვნიდან მარცხნივ) ზემოდან,  
გვერდიდან და ქვემოდან.

1—ნიკაბის ფარი; 2—ქვედა ყბის ფარი; 3—ქვედა ტუჩის ფარი; 4—საფეთქლის ფარი; 5—თვალსუკანა ფარი; 6—თვალსწედა ფარი; 7—თვალსწინა ფარი; 8—ყვრიმალის ფარი; 9—ცვირის ფარი; 10—ყბათაშორისი ფარი; 11—ცვირსშორისი ფარი; 12—შუბლისწინა ფარი; 13—ზედა ტუჩის ფარი; 14—შუბლის ფარი.

თავი ზედა მხრიდან დაფარულია შემდეგი ფარებით (სურ. 29): ცხირისშორისი (internasalia), რომელიც ჩვეულებრივ წყვილია; შუბლსწინა (praefrontalia), შუბლის (frontale), რომელიც კინტია,

თხემისა (parietalia) და თვალსწედა (supraocularia), რომელებიც წყვილ-წყვილია. გველების რიგ ფორმას ამ ფარებიდან მოყვავება მხოლოდ ზოგიერთი, ან ფარი დაყოფილია რამდენიმე ფირფიტად, ზოგის თავი ზევიდან დაფარულია დაახლოებით ისეთივე ქერცლით, როგორიც ზურგზეა. გველგესლას (Vipera) დინგის ზედა ნაწილზე მოყვავება მრავალჯერ თოვეანი ფირფიტა, რომელიც ეხება ყბათა-შორის ფარს. ამ ფირფიტას აპიკალური ქერცლი ეწოდება. გვერდიდან გველის თავზე (სურ. 29) არჩევენ შემდეგი სახის ფარებს: ცხვირყბათაშორისი ფარი (nasorostrale), რომელიც მდებარეობს ყბათაშორისსა და ცხვირის ფარს შორის, ცხვირისა (nasalia), რომელიც ზოგჯერ წყვილია, მასზე მდებარეობს ნესტო. ცხვირის ფარის უკანა ყვრიმალის ფარი (frenale), ოვალსწინა (praeocularia), რომლის ქვეშაც ხშირად მოიპოვება თვალისქვედა ფარი (subocularis), ოვალსუკანა (postocularia), ზედა ტუჩის ფარები (supralabialia), რომელთა რაოდენობა მერყეობს სახეობის მიხედვით. თვალსუკანა ფარებს უკან განწყობილია პირველი რიგის საფეთქლის ფარები (temporalia), რომელიც უკან გასდევს მეორე რიგის საფეთქლის ფარები. ზოგიერთ სახეობას ამ სახის ფარები შეიძლება არ ჰქონდეს ან მათ ნაცვლად იყოს ქერცლები. ქვედა მხრიდან თავზე ვამჩნევთ შემდეგ ფარებს (სურ. 29): ნიკაპის (mentale), ქვედა ტუჩის (infralabialia), ქვედა ყბის წინა (inframaxillaria anteriores) და ქვედა ყბის უკანა (inframaxillaria posteriores). ზოგი ამ ფართაგანი ზოგიერთ სახეობას შეიძლება არ გააჩნდეს. ბრუცებში ფარების ფორმა და განლაგება თავისებურია (იხ. გვ. 100). ამასთან, უკანასკნელთა სხეული დაფარულია ერთგვაროვანი ქერცლებით, მაშინ როდესაც სხვა გველების სხეულის საფარველები ზურგისა და მუცლის მხარეზე განსხვავებულია. ზოგ შემთხვევაში მუცლის ფარების




სურ. 30. ჩვეულებრივი ანკარას (Natrix natrix) ქლოაქის მიღამო და კუდი ქვედა მხრიდან.

1—მუცლის ფარები; 2—ორად გაყოფილი ანალური ფარი; 3—კუდის ქვედა ზედაპირის ფარები.

რაოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს გველების რკვევისათვის. კლოაქის ხვრელის წინ მდებარეობს ანალური ფარი (anale), რომელიც ზოგ სახეობას ორად აქვს გაყოფილი (სურ. 30). კუდის

ქვედა მხარე დაფარულია კუდის ქვედა ფარებით (subcaudalia), ორ მონაცემიც ზოგ ფორმაში შეიძლება ორ რიგად იყოს განლაგებული. ტანის მფარავი ქერცლი სხვადასხვაგვარია: იგი შეიძლება იყოს გლუვი ან ჰერნიული განსხვავებული და გამოხატული ტროპი. ქერცლის უკანა ნახევარში, ჩვეულებრივ, მოიპოვება აპიკალური ღრმულები, რომლებიც წარმოადგენს ნათელ ორმოებს. ამ ღრმულების უკეთ მოსაძებნად საჭიროა გამოყენებულ იქნას ლუპა. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების საერთო რაოდენობა მეტად განსხვავებულია სახეობების მიხედვით, რასაც გველების რკვევისას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ქერცლების დათვლა ხდება ქვემოთ მითითებული სქემის მიხედვით (სურ. 31).



სურ. 31. მუცელყვითელი მცურავის (*Coluber jugularis*) ქერცლები. შავი ხაზი მიუთითებს, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს ქერცლების აღრიცხვა.

როგორც ამ სქემიდან ჩანს, ამა თუ იმ სახეობის სხეულზე ქერცლები უნდა გადავითვალოთ ზურგის შუა ნაწილამდე და შემდეგ გავყვეთ მუცლის მხრისაკენ. გადათვლა ხდება ერთი მხრის მუცლის ფარიდან მეორე მხრის მუცლის ფარამდე. შესაძლებელია გადათვლისას გატყვევა პირდაპირი ხაზით და, ამგვარად, მივაღწიოთ მეორე მხრის მუცლის ფარამდე, ამ შემთხვევაშიც ქერცლების იმავე რაოდენობას მივიღებთ.

გველების კანი ჯირკვლებს მოკლებულია. თუმცა უნდა ალინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარის მიერ ზოგი ანკარას კისრის მიდამოში აღმოჩენილია ჯირკვლების კომპლექსი, რომლებიც გამომყოფ მიღებს მოკლებულია.

გველების კანის ცვლა მეტად თავისებურად მიმდინარეობს. კანის ძველი ზედაპირული შრე ყბებს ცილდება და სხეულს ძვრება,

მსგავსად ხელთათმანის თითისა. კანის ცვლის დროს ცილდება ურ-  
თიერთშეზრდილი ქუთუთოების ზედა შრეც.

გველები გვხვდება სხვადასხვა ფერისა: შავი, ყვითელი, წითელი,  
რუხი, მომწვანო, ჭრელი და ა. შ. გველის სხეულის შეფერადება  
უმეტეს შემთხვევაში შეხამებულია მის საცხოვრებელ გარემოსთან.  
ასე, მაგალითად, უდაბნოს ფორმებს შორის ჭარბობს მოყვითალო  
და რუხი ფერები; ტროპიკული გველები უმეტესწილად მწვანე ფე-  
რისაა; ზღვის გველები, ჩვეულებრივ, მოლურჯო ან პრიალა-ლურ-  
ჯია. ზოგ გველს ახასიათებს ზურგისა და მუცლის მხრის განსხვა-  
ვებული შეფერადება.

გველების ქალას აგებულება მეტად თავისებურია და მთელი  
რიგი შეგვებითი ნიშნები ახასიათებს. ყბების აპარატისა და მასთან  
დაკავშირებული სასის ფრთისებრი და ქერცლისებრი ძვლები მოძ-  
რავადაა ურთიერთშორის შესახსრებული. ეს თავისებურება უზრუნ-  
ველყოფს დიდი ზომის ცხოველის მთლიანად ყლაპვას. მსხვერპლის  
გადაყლაპვის მექანიზმი ხორციელდება ქვედა ყბის მარჯვენა და  
მარცხენა ნახევრების მორიგეობით თანმიმდევრული მოძრაობით.

შხამიანი და უშხამო გველების ქალა ერთმანეთისაგან მკვეთრად  
განსხვავდება. უშხამო გველების ქალაში სასა-ფრთისებრი რეალი  
მოკლე განივი ძვლის საშუალებით უერთდება ყბის გრძელ ძვლებს,  
რომლებზეც კბილებია მოთავსებული.


შხამიანი გველების ქალაში ყბების ძვლები შემოკლებულია.

გველების ხერხემალი შეიცავს 200—450 მალას. მალების მეტნა-  
კლებობა დამოკიდებულია ცხოველის სხეულის საერთო სიგრძეზე.  
ტანის ყველა მალას, გარდა კისრის პირველი მალისა, აქვთ ნეკნი.  
ნეკნი წვეროთი ებჯინება კუნთების შრეს, რომელიც, თავის მხრივ  
გარეგან ქერცლებთანაა დაკავშირებული. ნეკნების მოძრაობა უზ-  
რუნველყოფს ცხოველის უფრო სრულყოფილ მოძრაობას, განსაკუთ-  
რებით მაშინ, როდესაც გველი ვიწრო სოროში ძერება. ნიადაგის  
წელაპირზე ხოხვისას მთავარი მნიშვნელობა ენიჭება კუნთების ტალ-  
ლისებურად მოძრაობას.

გველებს თავისებურად აქვთ აგებული შინაგანი ორგანოები.  
გველებსლებსა და ანკარებს არ მოებოვება მარცხენა ფილტვი;  
საყლაპავი მილი წაგრძელებული და კუნთოვანია; კუჭი სხეულის  
გასწერივაა მოთავსებული; თირქმლები და სასქესო ორგანოები  
ძლიერად წაგრძელებული.

გველების გრძობათა ორგანოები განსხვავებულადაა განვითა-  
რებული სახეობების მიხედვით. მათ რამდენადმე სუსტი აქვთ სმე-  
ნისა და ყნოსვის ორგანოები, ხოლო უფრო უკეთ განვითარებული

აქვთ შეხების გრძნობის ორგანო, რომლის ფუნქციასაც, უმთავრესად, ენა ასრულებს, გველების ენა ორადაა გაყოფილი და მისი საშუალებით ცხოველი აგნებს ადგილმდებარეობას, თავის მსხვერპლს სრულიად უმართებულოდ გველის ენას ხალხში „ნესტარს“ უწოდებენ, თითქოს გველი ენით იკინებოდეს. მხედველობის ორგანოები სხვა ორგანოებთან შედარებით უკეთაა განვითარებული, მაგრამ მაინც სუსტია. ნიაღაგში მცხოვრები ფორმები (ბრუცა) ბრმებია. გველების მხედველობა იმდენად სუსტია, რომ ისინი ხშირად ვერ ამჩნევენ იმ საგნებსაც კი, რომლებსაც თვითონვე თავს ესხმიან. თვალი დაფარულია გამჭვირვალე კანით, რომელიც ზედა და ქვედა ქუთუთოების შეზრდის შედეგადაა წარმოქმნილი. განსაკუთრებით ცუდად ხედავს გველი მაშინ, როდესაც იგი კანს იცვლის. ამ დროს ქუთუთოსაც სძრება ზედაპირული ფენა. კანის მოცვლის შემდეგ გველი კვლავ ნორმალურად ხედავს.



სურ. 32. გველგესლას შხამიანი აპარატი.

- 1—შხამიანი კბილი; 2—შხამიანი ჯირკვალი; 3—სას.; 4—ხორხი; 5—ნესტო; 6—თვალი; 7—ზერგის მუქი ზოლი; 8—ენა.

გველებისათვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული კბილები, რომლებიც უშხამო და შხამიან ფორმებს შორის განსხვავებულია. უშხამო გველების კბილები ყველა ერთნაირია და წვეროებით უკანაა მიმართული. მათ ძირითად ფუნქციას პირის ღრუში საკვების შეკავება შეადგენს. შხამიან გველებს, გარდა ასეთი ერთვაროვანი მცირე ზომის კბილებისა, ზედა ყბაზე მოეპოვებათ შედერებით მსხვილი, გრძელი და რამდენადმე უკანა მიმართულებით მოხრილი შხამიანი კბილები, მათი რაოდენობა ორია (თითო-თითო მხარეზე) (სურ. 32). შხამიანი კბილი მკვრივი, ფხვიერი და ნემსივით წვეტიანია. ამიტომაა, რომ იგი რბილ საგნებს ადგილად ხვრეტს. მკვრივი საგნებიდან სხლტება, ზოგჯერ ტყდება კიდეც. უნდა აღინიშნოს,

რომ შხამიანი კბილი ტყუდება არა პარტო მკვრივ საგანზე მოხვე-დრით, არამედ უხერხულად კბენის შემთხვევაშიც. გატეხილი კბილის ნაცვალად ამოდის ახალი კბილი, რომლის განვითარება საქმიანობა სწრაფად მიმდინარეობს.

შხამიანი კბილები ორგვარია: მიღანი და ღარიანი (სურ. 33). პირველი ტიპის კბილს მთელ სიგრძეზე, გარდა წვეროს მცირე მონაკვეთისა, აქვს მილი, ხოლო მეორეს გარეგან სიმრუდეზე მოებოვება კარგად გამოხატული ღარი. საქართველოში გავრცელებული შხამიანი გველებისათვის დამახა-სიათებელია მიღიანი კბილები, ხოლო გამონაკლისის სახით კატის გველებს მოებოვებათ ღარიანი კბილები. უკანასკნელებს შხამიანი კბილები გაწყობილი აქვთ ყბებზე უკანა რიგში, რომელთა წინ უშხამო კბილებია, მაშინ როდე-საც გველგესლებს მიღიანი კბი-ლები ყბების წინა ნაწილში აქვთ მოთავსებული. შხამიანი კბილების სიგრძე განსხვავებულია სახეობების მიხედვით. საქართველოში გა-ვრცელებული ფორმების შხამიანი კბილის სიგრძე 3—5 მილიმეტ-რამდეა, ხოლო სამხრეთ ამერიკის შხამიანი გველის სურუკუკუს ასეთი კბილის სიგრძე 25 მილიმეტრამდე აღწევს. შხამიანი კბილი ზედა ყბაზე მოძრავადაა გაწყობილი.

ზედა ყბაზე, შხამიანი კბილის


უკან, თითოეულ მხარეზე მოთავ-

ებულია შხამის გამომყოფი თითო ჯირკვალი (სურ. 32), რომელიც შხამიან კბილთან განსაკუთრებული სადინარითაა დაკავშირებული.

ეს ჯირკვალი შესაძლებელია იყოს ნეშტრისებური, ოვალური, წაგ-

რელებული და ა. შ. შხამიანი ჯირკვალი გარსშემოკრულია შემა-კროებელი ქსოვილით და კუნთეულობას მოკლებულია. ჯირკვლი-

დან შხამის გამოყოფა ხდება შემდეგნარია: როდესაც გველს პი-რი მოკუმული აქვს, მაშინ შხამიანი კბილი ზედა ყბაზე კვემოდან გასწვრივად დევს; პირის დაღებისას კბილის ამშევი განსაკუთრე-ბული კუნთის შეკუმშვის შედეგად შხამიანი კბილი იწევს მაღლა.



სურ. 33. გველების შხამიანი კბილები (ზევით განაკვეთია მოცემული).  
ა—ღარიანი შხამიანი კბილი; ბ—მიღიანი შხამიანი კბილი; ც—უშხამო სადა კბილი.

როდესაც გველი კბენს, კბილის მძლავრად სხეულზე დარტყმის გამო, კბილი იწევს უკან, აწვება შხამიან ჯირკვალს, რომლიდანაც გამოყოფა შხამი, რომელიც კბილის მიღით (ან ლარით) ქსოვილამდე აღწევს. შხამიანი ჯირკვალი, თავის ზომასთან შეფარდებით, ერთ ჯერზე უმნიშვნელო რაოდენობის შხამს გამოყოფს. მაგალითად, სათვალიანი გველის შხამიანი ჯირკვალი 0,08 გ სითხეს გამოყოფს, გიურჩასი—0,06 გ, ველის გველგესლასი—0,01 გ, ეფასი—0,02 გ, დინგფაროსისა—0,04 გ.

კბენის დროს გველი შხამის მარაგის მხოლოდ ნაწილს (40—75%) გამოყოფს. ყველაზე მეტი რაოდენობის შხამს გამოყოფს პირველი კბენის დროს; შხამის რაოდენობა და მასთან მისი მოქმედების ძალაც შემდეგ თანდათან კლებულობს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, გიურჩას მერვე, მეცხრე ნაკბენიც კი სასიკვდილოა თავისიათვის. აღნიშნულია ისიც, რომ მშიერი გველი გამოყოფს უფრო ნაკლები რაოდენობის შხამს, ვიდრე მაძღარი; შხამის რაოდენობას ამცირებს კანის ცვლაც. შხამის გამოყოფის რაოდენობა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზეც, ისევე როგორც ცხოველის ზომაზე. მაგალითად, ეფა კბენის დროს ჭრილობაში უშვებს დაახლოებით 12 მგ შხამს, დიდი ზომის გველგესლა—70 მგ, სათვალიანი გველი—200 მგ-მდე. ხელოვნურად ყველაზე მეტი რაოდენობის შხამი ერთი ინდივიდიდან მიღებულია ჩხრიალა გველიდან (*Crotalus cinereus* Hall), რაც 1145 მილიგრამს შეადგენს. საყურადღებოა, რომ ცხოველის მოშხამვისათვის საკმარისია სრულიად უმნიშვნელო რაოდენობის შხამი. ასე, მაგალითად, ძალის (წონით 20 კგ.) მოსაკლავად საკმარისია 0,016 გ სათვალიანი გველის შხამი, ხოლო კროლიკისათვის (ერთი კგ წონით)—0,0005 გ. გველის შხამი წარმოადგენს გამჭვირვალე სითხეს, რომელიც ჩალისფერი, მომწვანო ან უფერულია. წყალში იძირება (მისი ხვედრითი წონა 1,008—1,108 ალწევს), არა აქვს სუნი და გემო, ხმება ნელა, არის სუსტი მეუკვე. რეაქციის, გამხმარ მდგომარეობაში ინახება და მოშხამვის თვისებას ინარჩუნებს 30 წელზე მეტ ხანს. ასეთივე უნარს ინარჩუნებს გველის შხამი ცხოველის ხანგრძლივად ფორმალინში შენახვის შემთხვევაშიც. გველის შხამი წყალში ადგილად იხსნება. შხამის წყლიან ხსნაზე რენტგენის და ულტრაისფერი სხივების მოქმედება მის მოშხამველ ძალას ამცირებს, ხოლო მეთილენის ლურჯი შლის მას. ქლორიანი წყალი სათვალიანი გველის შხამს თავის თვისებებს უკარგავს. ასევე შლის შხამის შემადგენლობას მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებაც. მაგრამ ტემპერატურის მოქმედება განსხვავებულია გველის სახეობის მი-

ხედვით. ასე, მაგალითად, მრავალი გველის შხამი არ იცვლება  $100^{\circ}\text{C}$  მოქმედების დროსაც, ხოლო სათვალიანი გველის შხამი 20 წუთის გან-  
მავლობაში  $98^{\circ}\text{C}$  გათბობისას იშლება და თავის თვისებას კარგავს.

გველის შხამი საკმაოდ რთული ქიმიური შემადგენლობისაა. წყლის გარდა იგი შეიცავს ალბუმინებს, გლობულინებს, პენტოზას, მუცინს, ალბუმინზას, ცხიმებს, ფერმენტებს (კინაზას, ლეტიცინაზასა და სხვ.), მარილებს (კალციუმისა და ამონიუმის ქლორიდებსა და ფო-  
სფატებს), მაგნეზიას და ა. შ. მიღებული ნივთიერება ოფიოტოქსინი  
( $\text{C}_{17}\text{H}_{26}\text{O}_{10}$ ), რომელიც ახლო საპონინთან, იწვევს ნერვული სისტე-  
მის დამბლას. ფიქრობენ, რომ გველის შხამში მომშხამველი თვისება  
აქვს ცილოგან ნივთიერებას, რომელსაც ტოქსალბუმინი ეწოდება.

ერთი და იგივე გველის შხამის მოქმედება სხვადასხვა სახეობის  
ცხოველზე განსხვავებულია. ასე, მაგალითად, გამორკვეულია, რომ  
ამერიკის ჩხრიალა გველის ერთი და იგივე რაოდენობის შხამი კლავს  
10 გველს ან 24 ძალს (წონით 25 კგ. თითოეული), ან 25 ხარს,  
ან 60 ცხენს, ან 600 კროლიკს ან 800 ვირთაგვას, ან 2000 ზღვის  
გოჭს, ან 300000 მტრედს. სათვალიანი გველის ერთი გრამი შხამი  
კლავს 50 ძალს, ან 1000 კროლიკს ან 2500 ვირთაგვას, ან 1500  
ზღვის გოჭს, ან 400000 თაგვს, ან 200 ცხენს. ცდებით დამტკიცე-  
ბულია, რომ სათვალიანი გველის 0,00005 მილიგრამი შხამი ზღვის  
გოჭს ჰქლავს 3 საათისა და 75 სეკუნდში. ამ დოზის შემდეგი მატე-  
ბა სიკვდილიანობის დაჩქარებას არ იწვევს. გიურზას მიერ დაკე-  
ნილი ვირთაგვა (წონით 200 გ) კვდება 45 სეკუნდში, ხოლო კრო-  
ლიკი (წონით 2 კგ) კვდება დაკენილან 3 საათის შემდეგ.

გველის შხამისაგან სწრაფად იღუპებიან ხვლიკები. აღსანიშნა-  
ვია, რომ იღუპებიან აგრეთვე შხამიანი გველებიც, რომლებიც სხვა  
სახეობის გველებისაგან არიან დაკბენილი. შხამის ღიდი დოზა  
კლავს ამავე სახეობის გველსაც. ასე, მაგალითად, ჩვეულებრივი  
გველგესლა (*V. berus*) იღუპება მის კანქეშ იმავე სახეობის გველ-  
გესლას 100—300 მილიგრამი შხამის შეშხაპუნებისას. ანკარაზე გველ-  
გესლას შხამი სრულიად არ მოქმედობს; ძუძუმწოვრებს შორის  
ზღარბი, თხუნელა, ქრცინი ადვილად იტანენ ამ სახეობის გველგეს-  
ლას შხამის ზემოქმედებას. ბაყაყზე გველის შხამის მოქმედება გაცი-  
ლებით უფრო ნაკლებია ვიდრე კროლიკზე. ასე, მაგალითად, ბაყაყის  
კანქეშ გველის შხამის ისეთი რაოდენობის შეშხაპუნებისას, რო-  
მელიც კროლიკს კლავს 10 წუთში, ბაყაყი ცოცხლობს 30 საათის განმა-  
ვლობაში. გველის შხამით სწრაფი მოწამელა ხდება მაშინ, როდესაც  
გველი თავის მსხვერპლს უშუალოდ ვენაში კდენს. ამ შემთხვევაში  
შხამი სისხლის საშუალებით ორგანიზმში სწრაფად ვრცელდება.

გველგესლას ნაკბენ ადგილზე ემჩნევა ნემსის წვერით დაჩხვლეტოლის მსგავსი ორი პატარა წერტილი—ესაა შხამიანი კბილების კვალი. ამ წერტილებს მოსდევს უფრო მცირე ზომის წერტილები—უშხამო კბილების კვალი, თუმცა ეს უკანასკნელი ზოგ შემთხვევაში მეტითოდ არ მოჩანს. იგრძნობა ძლიერი წვე და ტკივილები. დაკბენილი ადგილი ნელნელა სივდება და მძიმე შემთხვევაში გადაღის ტანზეც.

გველისაგან დაკბენილ ავადმყოფს ძილი სძლევს, გული მისდის, გული ერევა ან, პირიქით, გადაჭარბებული აგზება ემჩნევა: გულის კოვზის ქვეშ გრძნობს ტკივილებს, აკანკალებს, გულის მოქმედება ჩქარდება. სხეულის ტემპერატურა თანდათან დაბლა იწევს, აქვს ქოშინი, შარღში სისხლი ურევია.

არასასიკვდილო მოშხამევისას გულის მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. სხეული თბება, სიმსიგნე კლებულობს, მაგრამ ადამიანი სისუსტეს 2—3 თვის განმავლობაში მაინც გრძნობს, მძიმე შემთხვევებში ავადმყოფი კვდება დაკბენიდან 12 საათიდან 7—8 დღემდე. არასასიკვდილო მოშხამევს ქრონიკული ავადმყოფობა მოსდევს, რასაც, შესაძლებელია, უსინათლობა დაერთოს.

გველგესლას შხამი შეიცავს ჰემორაგიის, რომელიც იწვევს გულის დამბლას ან სისხლის ჩაჭკვევას. გიურტას ნაკბენის ადგილას ქსოვილი მოშხამევის შედეგად კვდება და ცილდება ძვლებს და ამგვარად იქმნება განიერი მეტად მტკიცნეული ჭრილობა.

სათვალიანი გველის შხამი შეიცავს ნეიროტოქსინს, რომელიც ნერვულ სისტემას, კერძოდ სუნთქვის ცენტრებს, აღამბლებს. ამ გველის მიერ დაკბენილი ადგილის მიღამო ში მწვავე ტკივილები არ იგრძნობა; აქ ხდება ქსოვილების უმნიშვნელოდ დარღვევა, ჩნდება პატარა სიმსივნე, ჭრილობა ან წყლული. ნაკბენი ადგილი ცივდება, ავადმყოფს ემჩნევა დაღლილობა, გადაულახავი ძილიანობა. შემდეგში თანდათანობით გრძნობიერება სუსტდება, სუნთქვა ძნელდება, გულის მოქმედება სუსტდება, პირიდან მოდის ნერწყვი, პირღებინება ემართება, უნებლივით გამოიყოფა შარდი და განაგალი. ავადმყოფი დაკბენის მომენტიდან 2—7 საათის შემდეგ გრძნობას კარგავს და კვდება.

ალსანიშნავია, რომ შხამიანი გველის სისხლიც შხამიანია, თუმცა იგი თვისობრივად განსხვავდება გველის შხამისაგან. სისხლი 68° გათბობისას შხამიანობის თვისებას ჰყარგავს.

შხამიანი გველისაგან დაკბენილს შეიძლება გაეწიოს შემდეგი სახის დახმარება:

უპირველეს ყოვლისა მიღებული უნდა იქნას ზომები, რომ გველის შხამი დაკბენილი აღგილიდან სხეულში შორს მანძილზე არ გავრცელდეს. რადგან უმეტეს შემთხვევაში დაკბენა ხდება კილურზე (ფეხზე ან ხელზე), ამიტომ დაკბენისთანავე, იმ აღგილიდან რამდენადმე დაცილებით, ავადმყოფს უნდა დაყაღოთ ლიგატურა ე. ი. გადაეუჭიროთ თასმა, თოკი, ქამარი, კანაფი, ცხვირსახოცი და ან მსგავსი რამ. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ლიგატურის გადაჭრა არ უნდა გაგრძელდეს ნახევარ საათზე მეტ ხანს, რადგან შეიძლება სისხლის მიმოქცევის შეჩერების შედეგად გამოწვეულ იქნას დაზიანებული აღგილის განგრენა. შემდეგ ბასრი დანით ან სამართლებლით (რომელიც წინასწარ უნდა გავაცხელოთ; უკეთესია თუ სპირტს ან არავს გაღავავლებთ) დაკბენილ აღგილს სერავენ და სისხლს აღენენ, რომ სისხლთან ერთად შხამიც გარეთ გამოვიდეს. შეიძლება ნაკბენის ამოწვა, რისთვისაც უნდა გამოყენებულ იქნას სისხლის ამოწვევი.

დაკბენილ აღგილზე უშხაპუნებენ მანგანუმმჟავა კალიუმის ერთ-3 როცენტიან წყლიან ხსნარს, ან ქლორიან ოქროს ერთპროცენტიან წყლიან ხსნარს. კანქვეშ 3—4 აღგილის შეყავთ ამ ნივთიერების 0,5 კუბ. სმ, ან იოდის ხსნარს 0,6 გ, ან იოდოვანი კალიუმის 1,8 გ 30 გრამ წყალთან. უფრო კარგ შედეგს იძლევა კანქვეშა ქრომის მჟავას ერთპროცენტიანი ხსნარის შეშხაპუნება.

ეს ნივთიერებანი შლის გველის შხამს; ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ გულის ცემის შესუსტების საწინააღმდეგოდ ავადმყოფს აძლევენ ალკოჰოლის დიდ დოზას, რაც, თვის მხრივ, გულის აჩქარებულ მოქმედებას იწვევს; ზოგჯერ ავადმყოფს კანქვეშ უშხაპუნებენ ქაფურს, აღრენალინს, კოკაინს და სხვ. ასმევენ ცხელსა და მუქ ჩიის ან ცხელ ყავას.

სათვალიანი გველის დაკბენის შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ ზომებთან ერთად, შესაძლებელია ადამიანს სარგებლობა მოუტანოს ხელოვნურმა სუნთქვამ, რომელიც უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ თირკმლების საშუალებით შხამი შარდოვან ნივთიერებებთან ერთად გარეთ გამოვიდოდეს, რაც 1—2 დღემდე გასტანს ხოლმე.

გველის შხამის წინააღმდეგ გამოიყენება სპეციალური შრატი, რომელსაც ამზადებენ წინასწარ საგანგებოდ მოშხამული ცხოველის სისხლიდან. კერძოდ, ამ მიზნისთვის გამოიყენება ცხენი. საყურადღებოა, რომ ყოველივე სახეობის შხამიანი გველის შხამის საწინააღმდეგოდ სპეციფიკური, მისთვის შესაბამისი, შრატი მზადდება. თუმცა უკანასკნელ ხანებში მიღებულია სათანადო ზომები უნივერსალური

შრატის მოსამზადებლად. შრატი 10 კუბ. სმ. მოცულობით ვანქვეშ შეყავთ მუცლის ან ზურგის არეში. მძიმე შემთხვევებში ავადმყოფს ვენაში უშხაბუნებენ შრატს, რაც ზღუდავს შხამის მოქმედებას, და ამის შედეგად ავადმყოფი მალე იკურნება.

შხამიანი გველებისაგან ადამიანის დაკბენის ყველაზე მეტი შემთხვევა ტროპიკულ ქვეყნებშია. კერძოდ ბრაზილიაში ყოველწლიურად გველი კბენს დაახლოებით 24000 ადამიანს, რომელთაგან 4800-მდე კვდება, ხოლო ინდოეთში ყოველწლიურად გველისაგან დაკბენილი 20000 კაცზე მეტი კვდება.

გველის შხამს ერთგვარი გამოყენებაც ჰქონდა სხვადასხვა დროს. ასე, მაგალითად, ჰოტენტოტები (აფრიკის ტომები) გველის შხამში ლესავდნენ შუბისა და ისრის წვერებს საბრძოლველად გამგზავრების წინ. ძველს ეგვიპტეში ასპიტებს იყენებდნენ სიკვდილის მისჯაილთათვის. ამ უკანასკნელთან საკანში უშვებდნენ რამდენიმე ასპიტს, რომელთაგან დაკბენის შემდეგ ადამიანი სწრაფად კვდებოდა.

უკანასკნელ ხანებში წარმოებს ცდები და სათანადო მუშაობა გველის შხამის სამკურნალო მიზნებისათვის გამოსაყენებლად. მაგალითად, ცდილობდნენ კეთრის მკურნალობას ჩხრიალა გველის შხამით. ალმოჩნდა, რომ კეთროვანი ადვილად იტანდა დოზას, რომელიც ჯანმრთელ ადამიანს კლავდა. ამავე გველის შხამს იყენებდნენ ეპილეფსის სამკურნალოდაც. იყო ჩატარებული ცდები გველის შხამის ცოფის საწინააღმდეგოდ გამოსაყენებლად, მაგრამ დამაკმაყოფილებელი შედეგები არა მიღებული. ცდილობენ გველის შხამის კიბოს საწინააღმდეგოდ გამოყენებას. სათვალიანი გველის შხამის მინიმალური რაოდენობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც ტკიფილების გამაყუჩებელი ნივთიერება. დინგფაროსნის შხამი იწვევს სისხლის შედედებას. ამიტომაცაა, რომ ამ გველის შხამი გამოიყენება ფილტვებიდან სისხლის დენის შესაჩერებლად და ჰემოფილის წინააღმდევება.

გველები იკვებებიან მხოლოდ ცხოველებით; ამასთან, ჭამენ მხოლოდ იმ ინდივიდებს, რომლებსაც თითონვე კლავენ. ძირითად საკვებს შეაღენს ძუძუმწოვრები, ფრინველები, ქვეწარმავლები, ამფიბიები, თევზები, მწერები, ობობები და სხვ. გველი თავის მსხვერპლს წინასწარ ახრჩობს, რისთვისაც თავისი სხეულით გარს ეხვევა მას და შემდეგ ყლაპავს (მახრჩობელები), ან კბენს და მოშხამეის შემდეგ მომკვდარს ყლაპავს (შხამიანი გველები), ან ყლაპავს ცოცხალს (ანკარები, მცურავები და ა. შ.). ჩაყლაპული მსხვერპლის ზომა-წო-

ნა მერყეობს რამდენიმე მილიგრამიდან (მწერები) 30—40 კილოგრა-  
მამდე (მაგალითად, გვჭები, ირმის ნუკრი, შველი, ციკანი და ა. შ.  
რომელთაც დიდი ზომის მახრინბელები ყლაპავენ). საკვების მოსა-  
პოვებლად გველი ჩასაფრდება ხოლმე ან ეპარება მსხვერპლს, რო-  
მელსაც თავს ესხმის დიდი სისწრაფით; კბენს ან გარს ეხვევა და  
ახრჩობს.

გველების უმრავლესობა კვერცხის მდებელია. დადებულ კვერ-  
ცხების რაოდენობა ერთ ჯერზე 10—20 ოწევს. ზოგი შობს ცო-  
ცხალ ნაშიერებს. გველის ნაშიერს, ჩვეულებრივ, „გველის წიწილას“  
უწოდებენ.

გველების სხეულის საერთო სიგრძე განსხვავებულია სახეობების  
მიხედვით. ზოგის სხეულის სიგრძე 30—40 სანტიმეტრს აღწევს  
(ბრუცა და სხვ.), ხოლო ზოგიერთი გიგანტის სიგრძე 10 მეტრამ-  
დება (ინდოეთის პითონი და სხვ.), უკანასკნელთა წონა 120 კილო-  
გრამს აღემატება.

გველების შესახებ დარჩენილია მრავალი ზოაპარი, ლეგენდა  
და უმართებულო შეხედულება. გველები უძველეს დროში ითვლე-  
ბოდნენ სისწრაფის, ცბიერების, სამხედრო ხელოვნების, სიბრძნის,  
ეშმაკობისა და სხვათა სიმბოლოდ. ზოგ ადგილას გველს თაყვანს  
ცემდნენ, ხოლო ზოგან გველი გამომხატველი იყო მაცდურობის,  
გამყიდველობისა და სხვ. მაგალითად, ინდოეთში სწამო, რომ შხა-  
მიანი გველის მოკვლისთანავე კვდება მისგან დაკბენილი აღამიანიც.  
სარდინიაში დღემდე შენახულია ჩვეულება, რომ დიასახლისები  
გულმოდვინეთ ეპყრობიან გველებს. განსაკუთრებით ხარობენ მა-  
შინ, როდესაც გველი მათ სახლში დაბინავდება. ეს მოვლენა სი-  
კეთისა. და ბეღნიერების მომასწავებლად ითვლება. სახლში და-  
ბინავებულ გველებს დიასახლისები საკვებსაც კი აწვდიან ხოლმე.

ძველად სჯეროდათ, რომ თითქოს გველს ჰიპნოზის უნარი შეს-  
წევდა: იგი აბრუებდა, ერთ ადგილას აჩერებდა ან თავისკენ მიიზი-  
დავდა თავის მსხვერპლს, რა თქმა უნდა, ეს სრულიად არ შეესა-  
ბამება სინამდვილეს.

გადაჭირებებულად აღნიშნავდნენ აგრეთვე გველის შხამის მოქ-  
მედებასაც: თითქოს შხამიანი გველისაგან მარტო ენის შეხე-  
ბით, დასუნთქვით ან მხოლოდ შეხედვით იხოცებოდნენ ცხო-  
ველები (მონაღირე ძალები, თაგვები და სხვ.). გადაჭრით უნ-  
და ითქვას, რომ ცხოველის სიკვდილი შეიძლება გამოწვეულ  
იქნას მხოლოდ გველის დაკბენის შედეგად. მართალია, მრავალი  
გველი, მით უმეტეს შხამიანი, ზოგჯერ მეტად მყრალ სუნს უშვებს

როგორც პირიდან, აგრეთვე მთელი სხეულიდან, მაგრამ ამ მოვლენას ცხოველების სიკედილთან საერთო არაფერი აქვს.

ზოგის აზრით, თითქოს შხამიანი გველი წყალში არ იკინება, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი შხამიანი გველი წყალში იწვიათ ჩადის. მაგრამ ისინი წყალში ისევე ეფექტურად იკინებიან, როგორც ხმელეთზე. საყურადღებოა, რომ ყველაზე შხამიანი გველების ზოგიერთი სახეობა წყალში, კერძოდ, ზღვაში ცხოვრობს.

ზღაპრულ ამბად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ თითქოს გველს შეეძლოს კუდზე შემდგარი სრიალი. გველს თავის აწევა ზევით შეუძლია მხოლოდ თავისი სხეულის საერთო სიგრძის არაუმეტეს ერთი მესამედისა.

გავრცელებული იყო ასეთი ამბავიც, ისიც საკუთარი თვალით ნახული, თითქოს გველი ძროხას ან თხას „წოვდა“. უნდა გვახსოვდეს, რომ გველს წოვის უნარი არ შესწევს, თუმცა ზოგიერთი გველი სვამს რძეს (და არა წოვს).

ზოგჯერ ამტკიცებდნენ იმასაც, თუ როგორ „პარსავდა“ გველი თავისი ენით მძინარე ადამიანის თავს, რომ შემდეგ ამ გაპარსული ადგილიდან თავში შემხვრალიყო. მოგვითხრობდნენ, აგრეთვე იმასაც, თუ როგორ ჩაუძერა გველი მძინარე ადამიანს პირში და აქედან შემდეგ კუჭში ჩავიდა. უკანასკნელიდან ცოცხალი გველი სხვადასხვა საშუალებით ამოაძრინეს გარეთ და სხვ.

ყოველივე აღნიშნული გველის ზებუნებრივი უნარის შესახებ ადამიანის გადაჭარბებული ფანტაზიის შედეგია, ბნელით მოცულ წარსულის გაღმონაშოთ და ყველა ეს შეხედულება და ცრურ-წმენა ქარწყლდება გველების ბიოლოგიის დაწვრილებით შესწავლის შედეგად.

გველები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ჩრდილოეთით ისინი პოლარულ წრემდე აღწევენ. ევროპის ზოგ ადგილას ამ ხაზს ცილდებიან. სამხრეთით გეხვდებიან სამხრეთ ამერიკის უკიდურეს სამხრეთ კიდემდე. არ მოიპოვებიან გველები ახალ ზელანდიაზე, ცეცხლოვან მიწაზე და რიგ ოქეანურ კუნძულებზე. ყველაზე მეტი რაოდენობის სახეობები წარმოდგენილია ინდო-მალაიის ზოოგეოგრაფიული ოლქის ფარგლებში, ხოლო ყველაზე უმნიშვნელო რაოდენობის სახეობები გვხვდება პალეარქტიკაში.

გველები გვხვდება სულ სხვადასხვაგვარ ეკოლოგიურ პირობებში: ტყეში, ველზე, უდაბნოში, მთებზე. უმრავლესობა მიწაზე ცხოვრობს, ზოგი მეხეურ ცხოვრებას ეწევა, ზოგი კი ბინადრობს წყალში.

გველების რიგში გაერთიანებულია დაახლოებით 2000 სახეობა. მათგან საქართველოს ფარგლებში მხოლოდ 23 სახეობა მოიპოვება, რომელთა შორის შეამიანია ხუთი. უკანასკნელთაგან ორ სახეობას (კატის გველსა და ხვლიკის გველს) შეამიანი კბილები ყბების უკანა ნახევარზე აქვს გაწყობილი და ამიტომ იგი უკნებელია.

გველების სისტემატიკა მეტად რთულია და ამდენად მათი სახეობების რევეზა რიგ სიძნელებს ელობება, რისთვისაც საჭირო ხდება წინასწარ ზოგი სარკვევი ხერხის დაუფლება.

სახეობათა ა.ღ წერისას მიღებულია შემდეგი განაზომები  
და შემოკლებანი

პირობითი აღნიშვნა	განაზომის დასახელება	განმარტება
L.	Longitudo corporis (ტანის სიგრძე)	იზომება დინგის წვერიდან კლოაკის ხვრელის წინა კიდემდე (ჩველი უნდა იქნას გულალმა გაჭიმული).
L.ed.	Longitudo caudalis (კუდის სიგრძე)	იზომება კუდის წვეროდან კლოაკის ხვრელის წინა კიდემდე.
Sq.	Squamae (ტანის ქვერცლები)	ქვერცლების საერთო რაოდენობა ტანის ზუა ნაწილის ირგვლივ, არ ითვლება მუცელის ფარები (თუ ასეთი ცხოველს მოებრვება). ცხოველის ზუა ნაწილის დადგნისას კუდი მხედველობაში არ მიიღება.
Vent.	Sc. ventralia (მუცელის ფარები)	ყვლის პირველი ფარიდან ვიდრე ანალურ ფარამდე (უკანასკნელი სათვალავში არ მიიღება).
A.	Anale (ანალური ფარი)	ფარი კლოაკის წინ.
Sed.	Sc. subcaudalia (კუდქვეშა ფარები)	ითვლება კლოაკის ხვრელის უკან მდებარე პირველი ფარიდან (უკეთუ კუდქვეშა ფარები ერთ რიგადა გაწყვეტილი), ან კუდის ზუაზე ურთიერთთან შეხებით მდებარე პირველი წყვილი ფარიდან (თუ კუდქვეშა ფარები ორ რიგადა გაწყობილი).
Lab.	Sc. supralabialia (ხედა ტუჩის ფარები)	ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა ერთ მხარეზე.
Temp.	Sc. temporalia (საჭუთქლის ფარები)	ფარების რაოდენობა პირველსა და მეორე რიგში.

## გველების ოჯახების სარკვევი ვაგულა



1(2) სხეულის დორსალური და ვენტრალური მხარე მსგავსი ქარცის—ლითაა დაფარული, თვალები—მცირე ზომის მუქი წერტილებივით, რომლებიც კანიდან გამოსჭვივის. კუდის სიგრძე არ აღემატება სიგანეს.

### ოჯახი ბრუცები. *Typhlopidae*

(გვ. 100)

2(1) სხეულის საფარველი დორსალურსა და ვენტრალურ მხარეზე განსხვავებულია. თვალები ნორმალურადაა განვითარებული. კუდის სიგრძე მრავალჯერ ჭარბობს სიგანეს.

3(4) კლოაკის მარჯვნივ და მარცხნივ გაწყობილია ბრჭყალისებული გამონაზარდის სახით უკანა კიდურების რუდიმენტები. ჩინჩში მოიპოვება მენჯისა და უკანა კიდურების რუდიმენტები.

### ოჯახი შასრჩობელები. *Boidae*

(გვ. 103)

4(3) კლოაკის მარჯვნივ და მარცხნივ უკანა კიდურების რუდიმენტი არაა. ჩინჩში მენჯისა და უკანა კიდურების რუდიმენტი არაა.

5(6) სხეული ქვედა მხრიდან დაფარულია ერთ გასწვრივ რიგად გაწყობილი განივად გაფართოებული ფარებით. ორივე ყბა ერთგვაროვანი კბილებითაა აღჭურვილი. ზედა ყბა ჰორიზონტალურად მდებარეობს და ვერტიკალური მიმართულებით მოძრაობა არ შეუძლია. სასის ძვალს აქვს გვერდითი განშტოებანი.

### ოჯახი ანკარები. *Colubridae*

(გვ. 106)

6(5) კუდი ქვედა მხრიდან დაფარულია გასწვრივი ორ რიგად: განლაგებული ფარებით. ტანის ქერცლს მკვეთრად გამოხატული ტროპი ემჩნევა. ზედა ყბაზე ერთი წყვილი შხამიანი კბილია (დანარჩენებზე შესამჩნევად გრძელი). ზედა ყბის ძვალი მოძრავადაა დაკავშირებული ყბათაშორისა და განივ ძვალთან და ვერტიკალურ სიბრტყეში მოძრაობის უნარი შესწევს. სასის ძვალს გვერდითი განშტოებანი არა აქვს. გუგა ვერტიკალურია.

### ოჯახი გველველები. *Viperidae*


(გვ. 142)

### ოჯახი ბრუცები. *Typhlopidae*

მთელი ტანი დაფარულია ერთგვაროვანი გლუვი ქერცლებით, რომლებიც უკანა მხრიდან რამდენადმე მომრგვალებულია. თვი ტა-

ნისაგან სრულიად არაა გამოყოფილი. კუდი მეტად მოკლეა და მთავრდება მცირე ზომის ქიცვით. პირის ხვერელი ისსნება ვენტრალურ მხარეზე და მას ფართოდ გახსნის უნარი არ შეცემს. თვე ლები ქერცლებითაა დაფარული და მცირე ზომის შავი ხალებივით მოჩანს.

ქალას ძვლები ურთიერთთან მჭიდროთაა შეზრდილი (სურ. 34).



სურ. 34. ბრუცას (Typhlops) ქალა გვერდიდან.

1—ყბათაშორისი ძვალი; 2—ცხვირის ძვალი; 3—შუბლსწინა ძვალი; 4—ზედა ყბის ძვალი; 5—შუბლის ძვალი; 6—თხემის ძვალი; 7—ფრთისებრი ძვალი.

განივი ძვალი არ მოეპოვება. ზედა ყბაზე 2—5 კბილია. ქვედა ყბა მეტად მცირე ზომისაა, სასის ძვლები კბილებს მოკლებულია. ფრთისებრი ძვალი მოკლე და ვიწროა და აგრეთვე კბილებს მოკლებულია. ქვედა ყბას არ აქვს გვირგვინის ძვალი. ჩონჩხზე მარჯვნივ და მარცხნივ მოიპოვება მენჯის ჩანასახი თითო ძვლის სახით. მაღა მოკლებულია წვეტიან მორჩის.

ბრუცები გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში.


ბრუცების ოჯახში ერთიანდება 2 გვარი, რომელთაგან საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ერთი.

### გვარი ბრუცა. *Typhlops* Oppel, 1811

თავი ზევიდან და გვერდებიდან ერთგვაროვანი დიდი ზომის ფარებითაა დაფარული (სურ. 35). შუბლის წინა ფარი ერთია და პატარა. ასე-თივეა შუბლის ფარიც. ცხვირის ფარი დიდია.


გავრცელებულია თითქმის მთელ მსოფლიოში.

ამ გვარში გაერთიანებული დახლოებით 150 სახეობიდან საქართველოში მოიპოვება მხოლოდ ერთი.



სურ 35. ბრუცას (Typhlops vermicularis) თავი გვერდიდან.

**ბრუცა. *Typhlops vermicularis* Mérrem, 1820**



მცირე ზომის გველია. მისი ტანის სიგრძე არ აღმატება მნიშვნელოვანი კუდის სიგრძე აღწევს 0,7—0,9 სანტიმეტრს. კუდის სიგრძე სიგანეს არ აღმატება.

სხეული ცილინდრულია. თავი და კუდი ტანისაგან მკაფიოდ არაა გამოყოფილი. გარეგნულად რამდენადმე ჭიას მიემსგავსება. სხეული დაფარულია ერთგვაროვანი გლუვი ქერცლებით, რომლებიც თევზისას მიემსგავსება. ცხვირის ფარი დიდია და ქვედა განკუთხილებაში ორადაა გაყოფილი (სურ. 35). ყბათაშორისი ფარი განიერია, მისი სიგანე თითქმის უდრის თავის სიგანის ერთ მესამედს. თვალსწინა ფარი ერთია და იგი ზედა ტუჩის მეორე და მესამე ფარს (სურ. 35) ეხება. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა ოთხია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 22—24 ფარია.



სურ. 36. ბრუცა (*Typhlops vermicularis*).

ზურგის მხარე მურა-მიხავისფერია. იშვიათად მოთეთროა ან შავი-მუცულის მხარე უფრო ღიაა, ხშირად მოყვითალო ელფერით.

საქართველოს ფარგლებში ბრუცა გვხვდება, წითელწყაროს, სილნალის, ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, ახმეტის, საგარეჯოს, მცხეთის, კასპის, გორის რაიონებში, აფხაზეთში, აჭარაში, ბეთანიასთან, ახალდაბასთან, წყნეთთან, გარდაბანთან, სამგორის ველზე, ბოლნისთან, თბილისის მიდამოებში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, იგი გხევდება ოურქმენთში, უზბეკეთში, სამხრეთსა და დასავლეთ ტუ-ჯიკეთში, დალესტანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი მოიპოვება ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე, საბერძნეთში, ეგვიპტეში, მცირე აზიაში, სირიაში, ირანში, ავღანისტანში, დასავლეთ ინდოეთში.

ვერტიკალურად ვრცელდება 1600 მეტრამდე ზღვის დ. ზევით.

ბრუკა ბინადრობს მშრალ, ქვიან, ქსეროფილურ მცენარეულობით დაფარულ ადგილებში. თავს აფარებს ქვის ქვეშ, სოროში, თიხის ბელტ-ქვეშ. ხშირად ვხვდებით ბალებში, ზოგჯერ სოფლის ეზოებშიც.

მის ძირითად საკვებს მწერები და მრავალფეხები შეადგენენ.

შემოდგომის დამლევს ექლევა ზამთრის ძილქუშს. იღვიძებს ადრე გაზაფხულზე. კვერცხის დების ვადა ზუსტად შემოწებული არაა. ფიქრობენ, რომ კვერცხის დება ხდება მაისში. დებს 4—8 კვერცხს, რომლებიც რამდენადმე წაგრძელებული ფორმისაა. კვერცხი თეთრი და რბილნაჭუჭიანია.


## ოჯახი მახრიბრდები. Boidae

ამ ოჯახში გაერთიანებულია თანამედროვე გველებს შორის ყველაზე უდიდესი წარმომადგენლები (პითონი, ანაკონდა და სხვ). მათთან ერთად ამავე ოჯახში გვხვდება ისეთი ფორმები, რომელთა სხეულის სიგრძე ერთ მეტრს არ აღემატება. მახრიბრდებებს მოეპოვებათ რუდიმენტული უკანა კიდურები, რომლებიც მცირე ზომის ორი გამონაზარდის სახით გაწყობილია კლოაკის მარჯვნივ და მარცხნივ (სურ. 37).

ტანი ზევიდან დაფარულია მცირე ზომის ექვსკუთხოვანი ქერცებით, ხოლო მუცულის მხარე—განივად გაფართოებული ფარებით. თვალი ნორმალურადაა განვითარებული. გუგა ვერტიკალურია. ფილტვები, ჩვეულებრივ, ორივეა.

ქალას ზოგიერთი ძვალი ურთიერთთან მოძრავადაა დაკავშირებული. განივი და საუეტქლის ზედა ძვალი მოიპოვება. ზედა ყბის ძვალი გრძელია. ფრთისებრი ძვალი აღწევს ქვალრატულ ძღლამდე. კბილები ორივე ყბებზეა, უმრავლესობას იგი მოეპოვება სასის ძვალზეც. ჩონჩხში შერჩენილია მენჯისა და ბარძაყის რუდიმენტები.

მახრჩობელას ოჯახი გავრცელებულია აღმოსავლეთ და დასავლეთ ნახევარსფეროების ცხელ ქვეყნებში. მხოლოდ ზოგიერთი ტარმომაღვენელი მოიპოვება შუა აზისა და კავკასიის სუბტროპიკებსა და უდაბნოებში. ტროპიკული ფორმები ძირითადად ტყეებში ბინადრობენ.



სურ. 37. მამრი მახრჩობელას (*Eryx*) კლაკის მიღამო (a), უკანა კიდურების რუდიმენტები (b) და კუდი (c).

1—მუცლის ფარები; 2—უკანა კიდურების გრძელისებური რუდიმენტები; 3—ანალური ფარი; 4—კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარები.

შუბლის ძვლები ცხვირის ძვლებზე მოკლეა. უკანასკნელთა უდიდესი სიგანე თვალბუდეთა შორის მიღამოზე ნაკლები არაა. ზედა და ქვედა ყბის წინა კბილების სიგრძე მეტია უკანა კბილებზე. ეს გვარი ცოცხლადმშობია.


წგავრცელებულია ჩრდილოეთსა და ჩრდ.-აღმოსავლეთ აფრიკაში, სამხ.-აღმოსავლეთ ევროპაში, აზიის უმეტეს ნაწილში.

ამ გვარში გაერთიანებული 9 სახეობიდან საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი.

### გელის მახრჩობელა. *Eryx jacutus* (Linnaé, 1758)

ველის მახრჩობელას ტანის სიგრძე 75 სანტიმეტრამდე, ხოლო კუდის სიგრძე 5—14 სანტიმეტრამდე აღწევს.

თვალები გვერდითაა მიმართული (სურ. 38). თვალებს შორის განივ ხაზზე 4—7 უსწორ-მასწორი ფორმის, მრავალკუთხოვანი ფარია. თვალებსშორისი მიღამო გაცილებით ჭარბობს მანძილს თვალის უკანა კიდიდან გიდრე პირის ხერელის უკანა კიდემდე. ზედა ტუჩის მესამე ფარი მეორეზე დაბალია. თვალის ირგვლივ 7—11 ფარია. ყბათაშორისი ფარის უკან დიდი ზომის ორი ცხვირს-შორისი ფარია, რომელთა უკან 2—3 შედარებით დიდი ზომის ფარია. თვალების წინ შებლი მრავალწახნაგოვანი ფარებითაა და-ფარული. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 45—54 ქერცლია. მუც-



სურ. 38. ველის მახრჩობელის (*Eryx jaculus*) თავი ზევიდან.

ლის ფარების რაოდენობა 161—205. კუდის ქვედა ზედაპირის მფა-რავი ფარების რაოდენობა 19—36 (განსხვავებული რაოდენობაა მდედრებსა და მამრებს შორის). ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა 7—11 ალწევს. ანალური ფარი მცირე ზომისაა. ტანის უკანა განყოფილების ქერცლს სუსტად განვითარებული ტროპი ემჩნევა, ხოლო კუდის ქერცლზე ტროპი უკეთაა გამოხატული. დანარჩენი ქერცლები გლუვია.

ზურგის მხარე მოყვითალო-მურა ფერისაა, უფრო ხშირად მო-ყვითალო-მორუხოა. ზურგის თხემზე ემჩნევა განივი შავი ხალები, რომლებიც მთელ სიგრძეზე ორ რიგადაა განლაგებული. გვერდებზე მუქი წინშეკლებია. შუცლის მხარე მოთეთროა მოყვითალო ელფურით.

საქართველოს ფარგლებში ველის მახრჩობელა გაერცელებულია მხოლოდ ქართლ-იმერეთის ქედის აღმოსავლეთით. აქ იგი გვხვდება გარდაბანთან, სამგორის ველზე, ლაგოდებში, ავჭალასთან, სო-ლინლულთან, კუმისის ტბასთან, უდაბნოში (საგარეჯოს რაიონი), თბილისის მიდამოებში, საღაც ივი მოპოვებულია თელეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, შავნაბადაზე, წინდისში, წავკისთან, ბორტანიკურ

ბალში, დელისის ველზე, ვეძისთან, ლისის ტბასთან, ქორქის ტბასთან, დილმის ველზე, მლაშე ტბებთან (თბილისის „ზღვასთან“).

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ველის მახრინბელა გვხვდება აზერბაიჯანში, სომხეთში, დალისტანში, გრიზნოს ოლქის სამხრეთ რაიონებში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ჩრდ.-აღმოსავლეთ აფრიკიდან, ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, მცირე აზიდან, ერაყიდან, ირანიდან.

ველის მახრინბელა ვერტიკალურად ვრცელდება 1500 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

ველის მახრინბელა ბინადრობს თიხნარსა და ქვიან ადგილებში, რომლებიც დაფარულია ველის ან ნახევრადულაბნოს მცენარეულობით. თავს აფარებს ქვის ყორეში, ლოდების ქვეშ, სოროსა და მსგავს ადგილებში.

იკვებება მცირე ზომის მღრღნელებით, რომლებსაც, ეხვევა რა ირგვლივ, ახრიმბს და შემდეგ ყლაპავს. მღრღნელების განადგურებით ერთგვარი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.

შემოდგომის დამლევს თავს აფარებს სოროში ან სხვა ხელშემწყობ აღილას და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს ადრე გაზაფხულზე. ნაშიერებს, რომელთა რაოდენობა ერთ ყრაზე 18—20 აღწევს, შობს აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დასაშუალებისში. ახლად-შობილი გველის წიწილას სიგრძე 13—14 სანტიმეტრამდე აღწევს.

## ოჯახი ანკარები. Colubridae

ანკარების ოჯახი აერთიანებს თანამედროვე გველების უმრავლესობას (1000 მეტ სახეობას), რომელთა შორის გვხვდება როგორც უშამო, ისე შხამიანი ფორმები.



ტანი მუცლის მხრიდან დაფარულია ერთ გასწვრივ რიგად განლაგებული განიერი ფირფაიტებით. კიდურები და მენჯის სარტყლის რუდიმენტები არა აქვთ. ქალის ზოგიერთი ძვალი მოძრავადაა შესახსრებული. განივი ძვალი კარგადა განვითარებული, მის წინა მხარეზე რამდენადმე გაფართოებულია და ეფარება ზედა ყბის უკანა დაბოლოებას. ფრთისებრი ძვალი კვადრატულ ძვლამდე ან ქვედა ყბამდე აღწევს. კბილები მოიპოვება ორივე ყბაზე. შხამიანი კბილები, თუკი ასეთი აქვს, ღარიანია და ყბის უკანა მხარეზეა გაწყობილი. სასის ძვალს აქვს გვერდითი გამონაზარდი. ქვედა ყბაზე გვირგვინოვანი ძვალი არაა. მოეპოვებათ მხოლოდ ერთი ფილტვი.

ოჯახი გაერცელებულია მთელ მსოფლიოში. სახეობების უმრავლესობა ბინადრობს ხმელეთზე, ზოგი ნახევრად წყალში ცხოვრება— საა შეგუებული.

ანკარების ოჯახში გაერთიანებულია დაახლოებით ორასი გვარი, რომელთაგან საქართველოს ფარგლებში მოიპოვება მხოლოდ შვიდი გვარი.

## ანკარების გვარების საჩვევლა

- 1(8) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 17 ქერცლია.
- 2(3) ნესტო მდებარეობს ერთ ფარზე. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა შვიდია.
- გვარი კონტია. *Contia* Braid et Girard (გვ. 134)**
- 3(2) ნესტო მდებარეობს ცვირის ორ ფარს შუა. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა 8 (იშვიათად 7 ან მეტი).
- 4(6) თვალსწინა ფარის ქვეშ მცირე ზომის თვალისქვეშა ფარია. ღინგის ზედა მხარე ბრტყელი ან ოდნავ ამობურცულია.
- 5(7) ყვრიმალის ფარი ერთია. ქვედა ყბის უკანა ფარებს შორის მცირე ზომის ქერცლებია.
- გვარი მცურავი. *Coluber* Linnaé (გვ. 114)**



- 6(4) თვალსწინა ფარის ქვეშ არაა თვალს-ქვეშა ფარი. ღინგის ზედა მხარე ძლიერ ჩაღრმავებულია ან გასწვრივი ღარითად.
- 7(5) ყვრიმალის ფარების რაოდენობა ორზე ნაკლები არაა. სხეულზე მუქი გასწვრივი ზოლები არაა.

## გვარი ხელიკის გველი. *Malpolon* Fitzinger (გვ. 140)

- 8(1) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 ქერცლია.
- 9(12) გუგა ვერტიკალურია. ანალური ფარი მთლიანია.
- 10(11) ზედა ტუჩის ფარები არა ნაკლებ ორისა ეხება თვალს. ცხვირსშორისი ფარი არაა ფრჩხილისებური და არაა შინგამოწეული.


სურ. 39. გველებსლას ნესტოს მდებარეობა.  
ა—ჩვეულებრივი გველებსლასი (*Vipera berus*);  
ბ—ველის გველებსლასი (*V. ursini*).

- 11(10) ზურგის თხემზე ქერცლი არაა გაფართოებული. ყვრიმალის ფარი ეხება თვალის კიდეს.  
გვარი კატის გველი. *Taraphis Fleischmann* (გვ. 138)
- 12(9) გუგა მრგვალია. ანალური ფარი ჩვეულებრივ გაყოფილია.
- 13(18) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 ქერცლია.
- 14(15) ქერცლებს აქვს მკვეთრად გამოხატული ტროპი.  
გვარი ანკარა. *Natrix Laurenti* (გვ. 108)
- 15(14) ქერცლი გლუვია (უტროპო).
- 16(17) თვალსწინა ფარის ქვეშ არაა თვალსქვედა ფარი. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა შვიდია. ყბათაშორისი ფარი ძლიერია შეჭრილი ცხვირაშორის ფარებს შუა.  
გვარი სპილენძა. *Coronella Laurenti* (გვ. 132)
- 17(16) თვალსწინა ფარის ქვეშ მცირე ზომის თვალსქვედა ფარია. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა 8—9, თუ შვიდია, მაშინ ყბათაშორისი ფარი ოდნავაა აწეული დინგის ზედა მხრიდან.  
გვარი მცურავი. *Coluber Linne* (გვ. 114)
- 18(13) სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 21 ქერცლია.
- 19(20) თვალი მცირე ზომის ფარებითაა გამოცალქევებული ზედა ტუჩის ფარებისაგან. ყვრიმალის ფარების რაოდენობა სამზე ნაკლები არაა. ანალური ფარი მთლიანია.  
გვარი მცურავი. *Coluber Linne* (გვ. 114)
- 20(19) თვალი ეხება ზედა ტუჩის ერთ ან ორ ფარს. ყვრიმალის ფარი ერთია. ანალური ფარი გაყოფილია.
- 21(22) თვალის წინ ორი თვალსწინა ფარია. თვალსქვეშა ფარი 1—4. შუბლის ფარის გვერდითი კიდეები შეზნექილია.  
გვარი მცურავი. *Coluber Linne* (გვ. 114)
- 22(21) თვალის წინ ერთი თვალსწინა ან ერთი თვალსქვეშა ფარია. შუბლის ფარის გვერდითი კიდეები არაა შეზნექილი.  
გვარი ცოცია მცურავი. *Elaphe Fitzinger* (გვ. 121)

გვარი ანკარა. *Natrix Laurenti*, 1768

სხეული ცილინდრული და ცოტად თუ ბევრად წაგრძელებულია. თავი კისრისაგან მკაფიოდაა გამოყოფილი. თვალის გუგა მრგვა-

ლია. ნესტონები რამდენადმე ზევითაა მიმართული. ტანის მფარავ ქერცლებს აქვთ მკეთრად გამოხატული ტროპები (სურ. 40). უტროპოა ან იგი ნაკლებაა გამოხატული მხოლოდ მუცლის ფარების გვერდით მდებარე პირველი რიგის ქერცლებზე. მუცლის შარის



სურ. 40. წყლის ანკარას (*Natrix tessellata*) ზურგის ქერცლები.

ფარები მომრგვალებულია. კუდის ქვეშა ფარები ორ რიგადაა განლაგებული. ანალური ფარი გაყოფილია ორად.

ზედა ყბაზე კბილების რაოდენობა 18—40-მდეა, რომლებიც წინიდან პირის სილრუის მიმართულებით თანდათან მატულობენ ზომაში. ქვედა ყბაზე კბილები ცოტად თუ ბევრად თანატოლია. ტანის ყველა მალას მოეპოვება ქვედა მორჩი.

ანკარას გვარი გავრცელებულია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში, ასტრალიაში.

ამ გვარში გაერთიანებული მრავალი სახეობიდან საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ორი სახეობა.

## ანკარას სახეობების სარქვევი განულენა

- 1(2) ცხვირსშორისი ფარები ცოტად თუ ბევრად ტრაპეციული ფორმისაა. ყბათაშორისსა და ცხვირსშორისს ფარებს შუა ნაკერი მოკლე არა ზედა ტუჩის პირველ ფარსა და ყბათაშორის ფარს შორის ნაკერზე. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა შვილია. ზედა ტუჩის მეორე და მეოთხე ფარი ეხება თვალს. ჩვეულებრივი ანკარა. *Natrix natrix* (Linnae) (გვ. 110)

- 2(1) ცხვირსშორისი ფარები ცოტად თუ ბევრად სამკუთხოვანია. ყბათაშორისსა და ცხვირსშორის ფარებს შუა ნაკერი მოკლეა ზედა ტუჩის პირველ ფარსა და ყბათაშორის ფარს შორის ნა-

ქერჩე. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა (იშვიათად შვილი). ზედა ტუჩის მეოთხე (ზოგჯერ მეხუთეც) ფარი ეხება თვალს.

წყლის ანკარა. *Natrix tessellata* (Laurenti)

კარიბები  
(გვ. 412) გვ. 412

### ჩვეულებრივი ანკარა. *Natrix natrix* (Linnaé, 1758)

ჩვეულებრივი ანკარა საკმაოდ გრძელი გველია. მისი ტანის სიგრძე 120 სანტიმეტრამდე იღწევს, ხოლო კუდის სიგრძე— 24—40 სანტიმეტრამდე. ყბათაშორისი ფარის სიმაღლე სიგანეზე ნაკლებია. ცხვირსშორისი ფარები ცოტად თუ ბევრად ტრაპეციული ფორმისაა. ამ ფარის სიგრძე სიგანეს უდრის. შუბლის წინა ფარის სიგრძე მეტია ცხვირსშორისი ფარის სიგრძეზე. ყბათაშორისსა და ცხვირსშორის ფარებს შუა ნაკერი არაა მოკლე ზედა ტუჩის პირველ ფარსა და ყბათაშორის ფარს შორის ნაკერზე. თვალსწინა ფარი ერთია, იშვიათად ორი. თვალსუკანა ფარების რაოდენობა სამია, იშვიათად 2 ან 4. საფეთქლის ფარების რაოდენობა პირველ რიგში ერთია, ხოლო მეორე რიგში 2, იშვიათად 3, ზედა ტუჩის ფარების რაოდენობაა 7, იშვიათად 6 ან 8, სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების რაოდენობაა 19. მუცლის ფარების რაოდენობა 153—193 აღწევს. ანალური ფარი გაყოფილია. კუდის ქვეშა ფარების რაოდენობა 50—58 წყვილია.

თავზე მარჯვნივ და მარცხნივ თითო მოზრდილი ხალია, რომელთა შეფერიდება შეიძლება იყოს თეთრი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მოყვითალო. ამ ხალებს უკან განიერი განივი მუქი ზოლი გასდევს. ზურგის მხარეს მურა, მუქი-მურა, რუხი-მოლურჯო, ზოგჯერ მომწვანო ელფერი გადაკრავს. მუცლის მხარე მოთეთროა. ზოგჯერ გვხვდება მოშავო ან შავი ეგზემპლარებიც.

საქართველოს ფარგლებში ჩვეულებრივი ანკარა ფართოდაა გავრცელებული. იგი გვხვდება ალაზნის ველზე, ლაგოდეხის რაიონში, გარდაბანთან, მარნეულთან, ბოლნისთან, საგარეჯოსთან, ხაშმთან, უჯარმასთან, მუხროვანთან, მუღანლოსთან (იორის), მანგლისთან, კოჯორთან, ბეთანიაში, წყნეთთან, წავკისში, თელეთში, შინდისში, რუსთავში, მლაშე ტბებთან, მარტყოფში, სამგორის ველზე, არაგვის ხეობაში, ნატახტართან, ნარეკვავში, წეროვანის ველზე, საგურამოში, ბაზალეთში, ავჭალაში, მცხეთაში, ძეგვში, კასპში, ახალქალაქში (კასპის რაიონი), გორთან, თემშის ხეობაში, ბოშურში (გორის რაიონი), სურამის მიდამოში, ალში

(ხაშურის რაიონი), ბორჯომში, ლიკანში, ახალციხეში, აბასთუმანთან, ახალ ათონში, სოხუმთან, წემბელდაში, გუდაუთთან, კოდორის ხეობაში, პალიასტომის ტბასთან, ქობულეთში, ციხისძირში, ჩაქვში, მწვანე კონცხთან, ბათუმის მიდამოებში, ქედაში, ნატანებში, შექვეთილაში, ჩოხატაურის რაიონში, სამტრედიაში, აბაშაში, ქუთაისის მიდამოში, ტყაჩირში (ქუთაისის რაიონი), რიონში, აჯამეთში, როკითში, სვირში, ზესტაფონში, მდ. ვერას ხეობაში, ლისის ტბასთან, თბილისის მიდამოში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს გველი გავრცელებულია საქმაოდ ფართოდ. სსრ კავშირის ეკრაბულ ნაწილში იგი ჩრდილოეთით ჩრდ. სიგანედის  $62^{\circ}$ , ხოლო სამხრეთით სახელმწიფო საზღვრამდე აღწევს. სსრ კავშირის აზიურ ნაწილში იგი ეშვება სამხრეთით, ხოლო აღმოსავლეთით ვრცელდება ბურიატ-მონგოლეთამდე და აღმოსავლეთ ყაზახეთამდე. გვხვდება სამხრეთასავლეთ თურქმენეთშიც.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი მოიპოვება დასავლეთ ევროპაში, ჩრდ.-დასავლეთ აფრიკაში, დასავლეთ აზიაში, სადაც აღმოსავლეთით ირანამდე, სპარსეთის სრუტემდე და პალესტინამდე ვრცელდება. გვხვდება აგრეთვე ჯუნგარიასა და ჩრდ.-დასავლეთ მონგოლეთში.

ჩვეულებრივი ანკარა ვერტიკალურად 2000 მეტრამდე აღწევს ზღვის დონეს ზევით.

ჩვეულებრივი ანკარას ცხოვრების ნირი მჭიდროდაა დაკავშირებული წყლის გარემოსთან და ამიტომ იგი წყალსატევების აბლო მიდამოებში ბინადრობს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, წყალსატევიდან მნიშვნელოვნად დაშორებითაც შეიძლება შეგხვდეს.

ჩვეულებრივი ანკარას ძირითად საკვებს შეადგენს ამფიბიები, კერძოდ, ბაყაყები, ტრიტონები, იშვიათად გომბეშოები. ზოგჯერ ჭამს ხვლიკებს, მცირე ზომის მლრღნელებს, თევზებს, განსაკუთრებით მათ ლიფსიტებს, მწერებს.

შემოდგომის დამლევს, ზოგჯერ ნოემბრის შეორე ნახევარში, თავს აფარებს სორიებში, სადაც ხშირად რამდენიმე ეგზემპლარი შეიძლება იყოს ერთად, და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. მაგალითად, თბილისის ზოოპარკის ტერიტორიაზე ახალი შენობისთვის მიწის გათხრისას ერთად აღმოჩენილი იყო 20 ეგზემპლარი. იღვიძებს აღრე გაზაფხულზე. თბილისის მიდამოებში იგი აღნიშნულია თებერვლის პირველ ნახევარში. შეულლება ხდება აპრილის დამლევს ან მაისში. ანკარა დებს 15—36 კვერცხს. როგორც დაკვირვებიდან ჩანს, ახალგაზრდა ინდივიდები დებენ უფრო ნაკლები რაოდენობის

კვერცხს (15—20), ხოლო ხანში შესული — უფრო მეტს (25—36). კვერცხის ნაჭუჭი რბილია. კვერცხის სიგრძე 25—28 მილიმეტრამდეა, ხოლო სიგანე — 12—22 მილიმეტრი. ზოგჯერ ერთსა და იმავე აღგილას რამდენიმე ანკარა დებს კვერცხს. ასე, მაგალითად, აღნიშნულია შემთხვევა, როდესაც პატარა ფართობზე (140×90 სმ) აღმოუჩენიათ ამ გველის 1200 კვერცხი. ნაშეირები იჩეკება კვერცხის დადებიდან დაახლოებით ორი თვის შემდეგ. ახლად გამოჩეკილი გველის წიწილას სიგრძე 11,5—19,5 სანტიმეტრამდეა.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ფარგლებში გვხვდება ამ სახეობის ორი ფორმა: ჩვეულებრივი ანკარა *Natrix natrix natrix* (Linne, 1758) და სპარსეთის ანკარა *Natrix natrix persa* Pallas.

პირველი მათგანის დამახასიათებელი ნიშნები ზემოთაა მოცემული. ხოლო სპარსეთის ანკარასიათვის დამახასიათებელია სხეულის მარჯვნივ და მარცხნივ არსებული გასწვრივი მოყვითალობრივი. ამ ფორმის გველი მოპოვებულია თბილისის მიდამოებში. იგი უფრო მეტადაა დაკავშირებული წყალთან, ვიდრე ჩვეულებრივი ანკარა. ამასთან დაკავშირებით მათი საკვების შემადგენელი კომპონენტებიც რამდენადმე განსხვავებულია.

### წყლის ანკარა. *Natrix tessellata* (Laurenti, 1768)

წყლის ანკარას სხეული საქმაოდ გრძელია. მისი ტანის სიგრძე 110 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდის სიგრძე 25—32 სანტიმეტრამდეა.


ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეზე მეტია. ცხვირის ფარები, ჩვეულებრივ, ნახევრამდეა გაყოფილი. ცხვირსშორისი ფარის სიგანე მის სიგრძეს უდრის. ცხვირსშორისი ფარი სამკუთხოვანია. მისი სიგრძე თითქმის უდრის შუბლისწინა ფარის სიგრძეს. ყბათაშორისისა და ზედა ტუჩის პირველ ფარსშორისი ნაკერის სიგრძე შესამჩნევად გრძელია ყბათაშორისი და ცხვირსშორისი ფარებს შუა ნაკერის სიგრძეზე. ზედა ტუჩზე რვა ფარია, იშვიათად 7. მათგან მეოთხე (იშვიათად მეხუთეც) ეხება თვალს. თვალსწინა ფარების რაოდენობა ორი ან სამია (იშვიათად ერთი); თვალსუკანა ფარების რაოდენობა უდრის 3 ან 4 (იშვიათად 5) (სურ. 41).

საფეთქლის ფარების პირველ რიგში ერთი ფარია, მეორეში — 2. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 ქერცლია. მუცლის ფარების რაოდენობა 162—190-მდე მერყეობს. ანალური ფარი გაყოფილია.

კუდის ქვედა მხარის ფარების რაოდენობა 47—86 წყვილამდეა.  
კუდის ქერცლზე კარგად განვითარებული ტროპია.

საფეთქლის ფარების პირველ რიგში ერთი ფარია, შეკრული —  
2. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 ქერცლია. მუცელის ფარების  
რაოდენობა 162—190-მდე მერყეობს. ანალური ფარი გაყოფილია.  
კუდის ქვედა მხარის ფარების რაოდენობა 47—86 წყვილამდეა.  
კუდის ქერცლზე კარგად განვითარებული ტროპია.

წყლის ანკარას ძირითადი შეფერადება ზურგის მხრიდან მომწ-  
ვანო-მორუხოა, მომწვანო ან მომწვანო-მურაა. ზურგზე ემჩნევა  
მუქი ხალები. კეფაზე ხშირად კუთხური (Λ) მოყვანილობის ხალი  
აქვს. მუცელის მხარე მოყვითალო ან მოგარდისფრო-მოწითალოა.  
ემჩნევა სწორკუთხოვანი შავი ხალები. ზოგჯერ გვხვდება შავი ფე-  
რის ან საღა შეფერადების (ხალებს მოკლებული) ეგზემპლარები.



სურ. 41. წყლის ანკარას თავი ზევიდან (Natrix tessellata).

საქართველოს ფარგლებში წყლის ანკარა საკმაოდ ფართოდაა  
გავრცელებული. აქ იგი მოიპოვება ალაზნის ველზე, ლაგოდეხის,  
თელავის, ყვარლის, გურჯაანის რაიონებში, საგარეჯოსთან, სარ-  
თიქალასთან, ხაშუში, უჯარმასთან, მულანლოსთან, გარდაბანში,  
მარნეულში, ბოლნისში, სოლანლუღში, რუსთავთან, თბილისის მი-  
დამოებში, ლისის ტბაზე, ქორქის ტბაზე, ვერის ხეობაში, ავჭალაში,  
მცხეთასთან, ნატახტარში, საგურამოში, ბაზალეთის ტბასთან,  
კასპთან, გორის რაიონში, სურამის მიდამოში, ბორჯომის ხეობაში  
ახალციხესთან, ახალქალაქთან, ბათუმთან, მწვანე კონცხთან, ციხის-  
ძირში, ჩაქთან, ქობულეთში, ნატანებში, მახარაძეში, რონში,  
ქუთაისის მიდამოში, ჭალადიდში, პალიასტომის ტბასთან, ფოთის  
მიდამოში, სოხუმთან, ახალ ათონში. აღნიშნულ აღილებში იგი  
ბინადრობს თითქმის ყველა მტკნარწყლიან წყალსატევში: ტბებში,  
ჭაობებში, ტბორებში, მდინარეების სანაპიროებზე და სხვ.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, იგი  
მოიპოვება უკრაინისა და რსფსრ-ის სამხრეთ ნაწილებში, ყირიმში,

აზერბაიჯანში, სომხეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთსა და ყაზახეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებში იგი გვხვდება სამხრეთ-დასავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში, აღმოსავლეთით — ცენტრალურ აზიამდე, ჩრდ.-აღმოსავლეთ აფრიკაში, პალესტინაში, ერაყში, სპარსეთის სრუტის ჩრდილო სანაპიროზე და დასავლეთ ინდოეთში.

წყლის ანკარა ვერტიკალურად ვრცელდება 2700 მეტრამდე ზ. დ. ზევით.

წყლის ანკარას ცხოვრების ნირი უფრო მჭიდროთაა დაკავშირებული წყლის გარემოსთან, ვიდრე ჩვეულებრივი ანკარასი. დროის მეტ ნაწილს ეს გველი წყალსატევში ატარებს და სანაპიროს ზოგჯერ საკმაოდ დიდი მანძილით ცილდება. ხშირად ბინადრობს ზღვის სანაპიროებზე და იშვიათად მდინარეებიდან შესცურავს ხოლმე ზღვაშიც, სადაც სანაპიროს 5—6 კილომეტრით ცილდება.

წყლის ანკარას ძირითად საკვებს შეადგენს ბაყაყები, ტრიტონები, თავკომბლები, მცირე ზომის თევზები და მათი ლიფსიტები. ზოგჯერ ჭამს მცირე ზომის მღრღნელებსაც (უმთავრესად წყლის მემინდევრიის ნაშეირებს), წყლის ბიგებს.

შემოდგომის დამლევს წყლის ანკარა თავს აფარებს სამალავში და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. ილვიძებს ადრე გაზაფხულზე, ხშირად თებერვლის მეორე ნახევარში, ან უფრო აღრეც. მაის—ივნისში დებს 5—12 კვერცხს, რომელთა სიგრძე 30—45 მმ, ხოლო სიგანე—20—26 მმ. კვერცხის ნაჭუჭი რბილია.

### გვარი მცშრავი. *Coluber Linne*

სხეული წვრილი და წაგრძელებულია. თავი რამდენადმე წაგრძელებული და კისრიდან ცოტად თუ ბევრად გამოყოფილია. თითოვეული ნესტო მოთავსებულია ცხვირის ორ ფარს შორის. ქრისტი გლუვია ან ოდნავ გამოხატული ტროპი ემჩნევა და ბოლოზე აქვს ფორები (აპიკალური ფორები). კუდი გრძელია. კუდქეშა ფარები ორ გასწვრივ რიგადაპ განლაგებული. მუცლის მხარის ფარები ამობურცულია და გვერდებზე ოდნავ ზევითაა ახრილი ბლაგვი კუთხით. ცხვირსშორის ფარებს შორისი ნაკერი არა უმეტეს 1,5 ჯერ უფრო მოკლეა შუბლსწინა ფარებს შორის ნაკერზე. თვალები ზომიერი სიღილისაა. გუგა მრგვალია.

ზედა ყბაზე კბილების რაოდენობა აღწევს 12—20. კბილების ზომა მატულობს პირის სიღრუის უკანა მიმართულებით. უკანა ორი

კბილი დანარჩენებისაგან მცირე მანძილითაა დაცილებული. ქვედა ყბის კბილები თანაბარი ზომისაა, წინა კბილები ოდნავ დიდებია უკანა კბილებზე. შხამიანი კბილები არა აქვს, მაგრამ გამოუვალ მდგომარეობისას ეცემა ადამიანსაც კი და მტკიცნებულად იქინება. მცურავების ნაკეთი სახითო არაა.

მცურავების გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, ჩრდ. აფრიკაში, ზომიერსა და ტროპიკულ აზიაში, ჩრდილო და ცენტრალურ ამერიკაში.

მცურავის გვარის 7 სახეობიდან, ორმლებიც მოიპოვებიან სსრკ-ში, საქართველოში მხოლოდ სამი სახეობაა გავრცელებული.

## მშერავის სახეობების სარქვევი ზაგულა

- 1 (3) ტანის ქერცლებზე თითო აპიკალური ფორია.
- 2 (1) ქვედა ყბის უკანა კბილები წინაზე ვიწროა და, ჩვეულებრივ, ერთიმეორისაგან ცოტად თუ ბევრად დაცილებულია. ტანის წინა ნაწილში გვერდებზე მუქი, ხშირად თეთრზოლებიანი ხალებია. მუცლის ფარები მუცლის გვერდებზე ქმნიან კარგად გამოხატულ ქედს. თვალსწინა ფარი ერთია, თვალსუკანა—ორი. მუქმწვანე მცურავი. *Coluber najadum* (Eichwald) (გვ. 118)

- 3 (1) ტანის ქერცლებზე ორ-ორი აპიკალური ფორია.
- 4 (5) ქვედა ყბის უკანა კბილების სიგანე არ ჩამოუვარდება ან ოდნავ ჩამოუვარდება წინა კბილებისას; წინა მხარეზე კბილები ურთიერთთან მიჯრილადაა განლაგებული. ზრდასრულ ზედა მხარეზე ხალები არა აქვს. მოზარდებს ემჩნევა ვიწრო მუქი განივი ხალები. მუცლის ფარები მუცლის გვერდებზე ქმნის სუსტად გამოხატულ ქედს. თვალსწინა ფარი ერთია, ორმელიც, ზოგჯერ, ორადაა გაყოფილი. თვალსუკანა ფარი ორია, იშვიათად—სამი.

მუცლებულები მცურავი. *Coluber jugularis* Linneé (გვ. 116)


- 5 (4) თვალსწინა ფარების ორდენობა ორია. თვალსქვედა ფარი ერთია, ზოგჯერ 3—4. ზედა ტუჩის ფარები 9 (იშვიათად 8 ან 10). შუბლის ფარის გვერდითი კიღები შეზნექილია. შუბლის ფარის წინ არა პატარა ფარები. ყვრიმალის ფარი ერ-

თია. თვალი ეხება ზედა ტუჩის პირველსა და მეორე ფარს ანალური ფარი გაყოფილია.

ფერადი მცურავი. *Coluber ravergeri* (Ménétr.) (გვ. 120).

მუცელყვითელი მცურავი. *Coluber jugularis* Linnaé, 1758

მუცელყვითელი მცურავი საკმაოდ დიდი გველია. მისი ტანის სიგრძე 1,5 მეტრამდე აღწევს, ხოლო კუდის სიგრძე 43—57 სანტიმეტრამდეა. დინგის წევრი მომრგვალებულია. ყბათაშორისი ფარის სიგანე ოდნავ ჭარბობს მისივე სიგრძეს. თვალსწინა ფარი დიდია. იგი, ჩვეულებრივ, ერთია, იშვიათად ორი ან თითქმის ორადაა გაყოფილი. თვალსქვედა ფარი მცირე ზომისაა. იგი განწყობილია ზედა ტუჩის მესამე და მეოთხე ფარს შორის. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა, იშვიათად 7 ან 9. თვალი ეხება ზედა ტუჩის მეოთხე და მესუთე ფარს. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია. საფერებლის ფარების რაოდენობა პირველსა და მეორე რიგში ორია, იშვიათად მეორე რიგში სამი ფარია ხოლმე. ქერცლი გლუვია. თითოეულ ქერცლს დართული აქვს ორო აპიკალური ფორი.



სურ. 42. მუცელყვითელი მცურავის (*Coluber jugularis*) ქერცლები.

(სურ. 42). სხეულის შუანაწილის ირგვლივ 19 ქერცლია, იშვიათად შეიძლება იყოს 17. მუცლის ფარების რაოდენობა აღწევს 191—215-მდე. მუცლის ფარები ტანის გვერდებზე ქმნიან ოდნავ გამოხატულ ქედებს. ანალური ფარი გაყოფილია. კუდსქვეშა ფარების რაოდენობა 87—131 წყვილია.

მუცელყვითელი მცურავის სხეულის შეფერადება მეტად მერყვია. იგი მუქმწვანე-მორუხო, ჩალისფერ-მურა ან მოყვითალო-მომწვანო და თითოეულ ქერცლზე ნათელი გასწვრივი ზოლი გასდევს. მუცლის მხარე მოყვითალოა (*Coluber jugularis* Gm.), ან მოწითა-

ლო, ზოგჯერ წითელი, მიხავისფერ-მოწითალო, უოლისფერ-წითელი. ქერცლების კიდეები რამდენადმე ნათელია, მუცლის მხარე მოწითალო ან წითელია და ზედ სადაფისებურ-ვარდისფერი ელფერი გადაპერავს (*Coluber jugularis erythrogaster* Fischer).

თავის ზედა მხარეზე მუქი ხალები მოიპოვება. ახალგაზრდა ინდივიდებს ემჩნევა განივი ზოლები, რომლებიც კუდის მიმართულებით მცირდება. ასეთი ზოლიანობა აქვს ისეთ ინდივიდებს, რომლების სიგრძე ერთ მეტრს არ აღემატება (სურ. 43).

საქართველოს ფარგლებში მუცელყვითელი მცურავი მოიპოვება ოლაზნის ველზე (ხირსაში, ყარალაჯთან, სამთა წყაროსთან), შირაჭისა და ელდარის ველზე, გარდაბნის მახლობლად, სამგორის ველზე, რუსთავის მიდამოში, სართიშვალის მახლობლად, უღაბნოში (საგარეჯოს რაიონი), თბილისის მიდამოებში (დელისში, ვედისში, ნაბშირგორასთან), ლისის ტბასთან, მლაშე ტბასთან), დიღმის ველზე, შავნაბადას ქედზე, მდ. ვერას ხეობაში, სოლანლურთან, კოჯორთან, შულავერში, კუმისში, ბოლნისის მიდამოში, წყნეთან, მუხრანთან, გორის რაიონში, კასპთან. ავჭალაში, საგურამოში, ნატახტარში. ცნობილია იგი აგრეთვე კავკასიონის სამხრეთ კალთებიდან და შავი ზღვის სანაპიროებიდან.

აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ საქართველოს ფარგლებში მუცელყვითელი მცურავის ორი ფორმა ვკვედება—*C. jugularis caspius* Gmelin და *C. jugularis erythrogaster* Fischer, რომელთა ძირითადი განსხვავებული ნიშნები მოცემულია ამ მცურავის შეფერადების განხილვისას. პირველი მათგანი ბინადრობს შავი ზღვის სანაპირო ზოლში, ხოლო მეორე ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოშია გავრცელებული.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, მუცელყვითელი მცურავი მოიპოვება უკრაინაში, რსფსრ-ის სტეპების ზოლში და ჩრდილოეთით ჩრდ. სიგანედის  $49^{\circ}$  აღწევს, ყირიმში, სომხეთში, აზერბაიჯანში, დალესტანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ალბანეთიდან, იუგოსლავიიდან, უნგრეთიდან, სამალეთიდან, ირანიდან.

მუცელყვითელი მცურავი ვერტიკალურად ვრცელდება 1500 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

მუცელყვითელი მცურავი ბინადრობს ველებზე, ნახევრადუდუდნო აღვილებში, მინდვრებში, მდელოებზე, წყალსატევების ქვიან სანაპიროებზე, ტყეში, ბალებში, ვენახებში. უმეტეს ნაწილად თავს აფარებს მლრღნელების სოროებში, ქვის ქვეშ, თივის ზეინის ქვეშ

და სხვა მსგავს მოხერხებულ ადგილის. საკვების საშოვნელად დღისით გამოდის.

მუცელყვითელი მცურავის ძირითად საკვებს შეადგენს, სხვადასი სხვა სახეობის მცირე ზომის მლრნელები, ბელურები და მსგავსი მცირე ზომის ფრინველები, რომელთა მოსაპოვებლად ხშირად ბუჩქებზე და ხეებზეც ადის, ხვლიკები, სხვადასხვა გველი, მწერები. იშვიათად ჭამს ამფიბიებსაც.

შემოდგომის დამლევს სამალავში აფარებს თავს და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. ილვიძებს ადრე გაზაფხულზე, ჩვეულებრივ, ოქმერვლის დამლევამდე. მაისის დამლევს ან ივნისის პირველ ნახევარში, ზოგ ადგილას ამ თვის მეორე ნახევარში, დებს 7—11 კვერცხს. უკანასკნელის სიგრძე 50 მილიმეტრამდეა.

სხვა გველებთან შედარებით მუცელყვითელი მცურავი სწრაფად დახონავს. ამასთანავე იგი ყველაზე ავია. უკან გამოდევნებისას, თუ თავშესაფერი ვერ ნახა, მტერს თავს ესხმის და სისინით იმუქრება და ზოგჯერ იკბინება კიდეც, თუმცა მისი ნაკბენი სახითათო არაა.


### მუქმწვანე მცურავი. *Coluber najadum* (Eichwald, 1831)

მუქმწვანე მცურავის სხეული შვრილი და წაგრძელებულია. მისი ტანის სიგრძე 100 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდის სიგრძე — 35—50 სანტიმეტრამდე. დინგი რამდენადმე მობლაგვებულია. ყბათაშორისი ფარის სიგანე ოდნავ ჭარბობს სიმალლეს. ეს ფარი უმნიშვნელოდაა შეჭრილი ცხვირსშორისს ფარებს შუა. ცხვირსშორისი ფარების სიგრძე ტოლი ან რამდენადმე უფრო მცირეა შუბლისწინა ფარზე. თვალსწინა ფარი ერთია, მის ქვეშ განწყობილია თვალსქელი ფარი. თვალსუკანა ფარი ორია. ზედა ტუჩის ფარები რვაა (იშვიათად .7 ან 9); მათგან მეოთხე და მეხუთე (ან მეხუთე და მეექვსე) ეხება თვალს. ქვედა ყბის წინა ფარები უკანაზე განიერია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 ქერცლია. მუცლის მხრეზე 205—238 ფარია. ინალური ფარი გაყოფილია. კუდის ქვედა მხრის მფარავი ფარების რაოდენობა 98—135 წყვილამდეა. საფეხქლის ფარების წინა რიგში 2 ფარია, უკანაში—3, იშვიათად ორ-ორია, ან წინა რიგში ერთი და უკანაში სამია. ქერცლი გლუვია. თითოეულ ქერცლს თითო აპიკალური ფორი მოებოვება. ტანის გვერდებზე მუცლის ფარები შესამჩნევა ქედს ქმნიან.

ზურგის მხარე მუქმწვანეა, რომელსაც მიხავისფერი, მურა ან რუხი ელფერი გადაპროვს. კისრის მარჯვნივ და მარცხნივ და ტანის გვერდებზე ემჩნევა თითო გასწვრივი ზოლის სახით განლა-

გებული შავი არშიით შემოვლებული მუქი ხალები. ეს ხალები კისერზე ერთდება და, ამგვარად, საყელო წარმოიქმნება. მუცლის მხარე მოყვითალო-მოთეთროა ან მოყვითალოა, ხალები არა აქვთ (სურ. 43).

მუქმწვანე მცურავი საქართველოს ფარგლებში საკმაოდ ფართო-დაა გავრცელებული. იგი გვხვდება აჭარაში, ქუთაისის მახლობლად, აჯამეთში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე, თბილისის მიღა-მოებში, აფშალაში, მცხეთასთან, ნატახტართან, საგურამოში, კას-პისა და გორის რაიონში, ბორჯომში, ყვარლის მიღამოებში, სიღ-ნალის მახლობლად, ლაგოდეხში, რუსთავთან, სამგორის ველზე, გარდაბანის მიღამოში, კუმისში, წაკისთან.



სურ. 43. მუქმწვანე მცურავი (*Coluber nadjudum*).

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს მცუ-რავი გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილო კავკასიაში, თურქმენეთში.

კავშირგარენე ქვეყნებში იგი გვხვება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, აღრიატიკული ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, მცირე აზიაში, სირიაში, ერაყში, ჩრდილო ირანში.

მუქმწვანე მცურავი ვერტიკალურად ვრცელდება 1700 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

იგი ბინადრობს ქვიანს, ხშირად ბუჩქნარით დაფარულ მთის კალთებზე. ზოგჯერ გვხვდება ლია ველზეც, სათბობებში.

მუქმწვანე მცურავის ძირითად საკვებს სხვადასხვა სახეობის ხვლიკი შეადგენს. ჭამს ავრეთვე მწერებსაც, ზოგჯერ მცირე ზომის ძუძუმწოვრებს, ფრინველთა უსუსურ ბარტყებს.


შემოდგომის დამლევს თავს აფარებს სამალავს და ზამთრის ძილებზე ეძლევა. იღვიძებს აღრე გაზაფხულზე. ივნისში ან ივლისში დებს 5—6 მოგრძო კვერცხს.

### ფერადი მცურავი. *Coluber ravergeri* (Ménétries, 1832)

სხეული წვრილი და წაგრძელებულია. მისი ტანის სიგრძე 105 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა — 25 — 40 სანტიმეტრამდე.

თავი მკაფიოდაა გამოყოფილი კისრიდან. დინგის წვერი მომრგვალებულია. ყბათა-შორისი ფარის სიგანე მნიშვნელოვნად ჭარბობს სიგრძეს. ცხვირსშორისი ფარის სიგრძე ტოლია ან ოდნავ მცირეა შუბლისწინა ფარის სიგრძეზე. ყვრიმალის ფარი ერთია. მისი სიგრძე სიგანეს უდრის ან მასზე ოდნავ მეტია. თვალსწინა ფარების რაოდენობა ორია. საფეთქლის ფარები მეტად მცირე ზომისაა და ქერცლებს მიემსგავსება. მათი რაოდენობა წინა რიგში ორიდან ოთხამდე აღწევს. ამდენივეა მეორე რიგშიც. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა ცხრაა, იშვიათად შეიძლება იყოს 8 ან 10. მათ შორის მეოთხე და მეხუთე ეხება თვალს. ქერცლზე კარგადაა გამოხატული ტროპი. თითოეულ ქერცლს ორი აბიგალური ფორი აქვს. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 21—25 ქერცლია. მუცლის მხარეზე ქერცლების რაოდენობა 190—225-მდე აღწევს. ანალური ფარი გაყოფილია (ზოგჯერ მთლიანია). კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ქერცლების რაოდენობა 74—108 წყვილამდეა.

ფერადი მცურავი ზურგის მხრიდან რუხია და ზედ მურა ან მოყვითალო ელფერი გადაკრაგს. ზურგზე რომბბული მუქი (ზოგჯერ თითქმის შავი) ხალები ან ზოლები ემჩნევა. ზოგჯერ ზურგის მხარე მთლიანად ერთფეროვანია (ზოლები და ხალები არ ემჩნევა).



სურ. 44. ფერადი მცურავის (*Coluber ravergeri*)  
თავი

ზოგიერთის თავი მთლიანად შავია. თავის ქვეშ მუჭი ირიბი ზოლია. ასეთივე ზოლი გასდევს პირის კუთხიდან თვალიამდე (სურ. 44). კუდზე გასწროვ სამი ზოლია ან ხალების სამი რიგია. მუცელი ღია ფერისაა, ზოგჯერ თეთრი ან მოშავო ფერის ხალები აქვა.

საქართველოს ფარგლებში, ფერადი მცურავი მოიპოვება თბილისის მიდამოებში, თელეთის ქედზე, წყნეთის მახლობლად, დელისში, ლისთან, ქორქის ტბის მიდამოში, ბაგებთან, სოლანლულში, რუსთავის მიდამოში, სამგორის ველზე, გარდამნის მიდამოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ გველის გეოგრაფიული გავრცელება დაწვრილებით არაა შესწავლილი.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსა, იგი გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, შუა აზიაში.

კავშირგარეშე ქვეყნებს შორის იყი ბინადრობს ეგვიპტეში, მცირე აზის სამხრეთ ნაწილში, არტანუჯისა და არტაანის მიდამოებში. პალესტინაში, სირიაში, ერაყში, ირანში და აღწევს ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთამდე.

ფერადი მცურავი ვერტიკალურად ტყის ზედა ხაზამდე აღწევს.

ეს გველი ბინადრობს ქვიანსა და თიხნარიან ნახევრად უდაბნოებში, ხეობების ქვა-ლორლიან ფერდობებზე, ველებზე.

ფერადი მცურავის ძირითად საკვებს შეადგენს მცირე ზომის მლრღნელები, ბიგები, მცირე ზომის ფრინველები (ბელურები, ტოროლები) და მათი ბარტყები, ხვლიკები.

შემოღომის დამლევს იმალება ნიადაგში და ზამთრის ძილ-ქუშს ეძლევა. ილვიძებს ადრე გაზაფხულზე. ივლისში 40—50 მილი-მეტრის სიგრძის 5—10 კვერცხს დებს. გველის წიწილები იჩეკება აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დასაწყისში. ახლადგამოჩეკილი ნაშეერის სიგრძე 24 სანტიმეტრამდეა.

### გვარი ცოცია მცურავი. *Elaphe Fitzinger*

ამ გვარში ვაერთიანებული სახეობები ცოტად თუ ბევრად მიემსგავსებიან მცურავის (*Coluber*) გვარის წარმომადგენლებს, მაგრამ მათგან განსხვავდებიან რიგი დამახასიათებელი ნიშნებით.

სხეული წაგრძელებული და გვერდებიდან ოდნავ გაბრტყელებულია, თავი რამდენადმე წაგრძელებული და მკაფიოდაა გამოყოფილი კისრიდან. თავი ყოველთვის ფარებითაა დაფარული. ტანის მფარავი ქერცლები გლუვი ან ოდნავ ტროპიანია. ზედა ყბაზე 12—22 კბილია, რომლებიც განუწყვეტელი რიგის სახითაა განლა-

გებული და ცოტად თუ ბევრად თანაბარი ზომისაა. ქვედა ყბის  
წინა კბილები გაცილებით უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე სხვა-  
დანარჩენი.

გავრცელებულია სამხრეთსა და შუა ევროპაში, აზიაში, ჩრდი-  
ლო და ცენტრალურ ამერიკაში.

ამ გვარში გაერთიანებულია დაახლოებით ორმოცდათი სახეობა,  
რომელთაგან საქართველოს ფარგლებში გვხვდება მხოლოდ ხუთი  
სახეობა.

## ცოშია მცენავის სახეობების სარჩევი განალენი

1 (4) კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 90-  
წყვილზე მეტია.

2 (3) თვალსწერა ფარისა და შუბლის ფარს შორის არსებული  
ნაკერის შუადან პირის კუთხემდე საფეხქლის მიდამოში გას-  
დევს მკვეთრი შავი ზოლი. ტანის შუა ნაწილის ირგვლივ 27  
(იშვიათად 25) ქერცლია.

**ნალებიანი მცურავი. *Elaphe situla* (Linneé) (გვ. 123)**

3 (2) თუ საფეხქლის მიდამოში თავის მარჯვნივ და მარცხნივ  
მკვეთრად გამოხატული ზოლი მოიპოვება, გაშინ იგი თვალს-  
უკანა ქვედა ფარიდან იწყება. ტანის შუა ნაწილის ირგვლივ  
25 ქერცლზე მეტი არაა.

4 (1) კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 90-  
წყვილზე ნაკლებია.

5 (8) თვალსწინა ფარი ერთია.

6 (7) თვალსუკანა ქვედა ფარიდან პირის კუთხემდე თავის მარჯვნივ  
და მარცხნივ მკვეთრად გამოხატული შავი ზოლი გასდევს.  
თავზე მცირე ზომის შავი წინწკლებია. მუცლის გვერდები  
მომრგვალებულია. ტანი ზედა მხრიდან შავი ხალებითაა და-  
ფარული.

**აშიერკაფკასიის მცურავი. *Elaphe hohenackeri* (Strauch) (გვ. 125)**

7 (6) თავის მარჯვნივ და მარცხნივ მკვეთრად გამოხატული შავი  
ზოლი არაა (შესაძლებელია იყოს მხოლოდ არა მკაფიოდ  
გამოხატული მუქი ზოლი). თავის ზედა მხარეზე არაა მცირე  
ზომის შავი წინწკლები. მუცლის ფარები გვერდებზე ცოტად

თუ ბევრად გამოხატულ წევეტიან ქედს ქმნიან. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რგაზე ნაკლები არაა. ტანის შუანიში ლის ირგვლივ 23 (იშვიათად 21) ქერცლია. ქერცლა აპიკალური ფორი აქვს.

**ესკულაპის გველი. *Elaphe longissima* (Laurenti)**

(გვ. 126)

8 (5) თვალსწინა ფარი ორზე ნაკლები არაა (წევეულებრივ, თვალსწინა და თვალსქვედა ფარებია).

9 (10) თხემის ფარი არ ეხება ქვედა თვალსუკანა ფარს. თვალის წინ შავი არშიით შემოვლებული რკალური ზოლია. თხემის ფარებზე და თვალსუკანა ფარების უკანა ნაწილზე ორი მუქი ზოლია, რომელებიც ხშირად შუბლის ფარზე ერთმანეთთან დაკავშირებულია ხოლმე. თხემის ფარებს შორის ნაკერზე მუქი ზოლი გასდევს.

**სახეებიანი მცურავი. *Elaphe dione* (Pallas) (გვ. 130)**

10 (9) თხემის ფარი ეხება ქვედა თვალსუკანა ფარს. ყვრიმალის ფარის ქვემოდან 1—2 პატარა ფარია. ქერცლს ორი აპიკალური ფორი აქვს. მუცლის ფარები გვერდებზე არ ქმნიან ქედს. ზურგის გასწვრივ რომბული ან მომრგვალო ხალებია (ზრდასრულს გასდევს ოთხი გასწვრივი ზოლი).

**ოთხზოლიანი მცურავი. *Elaphe quatuorlineata* (Lacépède)**

(გვ. 128)


**ხალებიანი მცურავი. *Elaphe situla* (Linne, 1758)**

ხალებიანი მცურავის ტანის სიგრძე 90. სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა — 20—26 სანტიმეტრამდე.

ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეზე მეტია. ცხვირის ფარის სიგანე სიგრძეს ჭარბობს. შუბლის ფარის სიგრძე სიგანეზე შესამჩნევად მეტია. თვალსწინა ფარი ერთია. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია. თვალსქვედა ფარი არაა. საფეთქლის ფარები პირველსა და მეორე რიგში ორ-ორია ან, რაც მეტად იშვიათადაა, პირველ რიგში ერთი, ხოლო მეორეში სამი ფარია. მათ შორის პირველი რიგის ფარები მეორე რიგის ფარებზე თთოქმის ორჯერ მეტი სიგრძისაა. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა (იშვიათად 7 ან 9). მათ შორის მეოთხე და მეხუთე ფარი ეხება თვალს. ქერცლი გლუვია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 27 ქერცლია (იშვიათად შეიძლება

იყოს 25). მუცლის ფარების რაოდენობა 220—260 ალწევს. მუცლის ფარი კიდეში მომრგვალებულია და ქედს არა ქმნის. ანალური ფარი გაყოფილია. კუდის ქვედა მხარის მფარავი ფარების რაოდენობა 69—90 წყვილია.

ზედა მხრიდან რუხი, ღია-მურა ან მოჩალისფრო-მიხაკისფერია. ზურგზე ემჩნევა მუქი-მურა ან წაბლისფერი ხალები, რომლებიც გარსშემოვლებულია შავი არშით. თვალების წინა კიდეებს შორის ნახვარმთვარისებური შავი ზოლია. პირის უკანა კიდიდან იწყება ასეთივე შავი ზოლი, რომელიც შუბლის ფარსა და თვალსზედა ფარსშორისი ნაკერის შუამდე ალწევს. თვალის ქვეშ მუქი ხალია. შუბლის ფარიდან იწყება უკან მიმართული მუქი ზოლი, რომელიც კეფის ფარების მიდამოში ორად იყოფა, ხოლო შემდეგ კისერზე გადადის. მუცლის მხარე მოთეთრო ან ღია ფერისაა და ზედ შავი



სურ. 45. ხალებიანი მცურავი (*Elaphe situla*).

ხალები აყრია. ზოგჯერ სხეული მთლიანად შავი ან მოშავო-მურაა (სურ. 45).

საქართველოს ფარგლებში ხალებიანი მცურავი გავრცელებულია თბილისის მიდამოებში, ბოლნისის მიდამოებში, გარდაბნის ველზე, მარნეულის მახლობლად.

ეს მცურავი საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, მოიპოვება ყირიმში, კისლოვოდსკის მიდამოში, აზერბაიჯანში (სოფ. ზურნაბადთან).

კავშირგარეშე ქვეყნებში იგი გვხვდება სამხრეთ იტალიაში, კუნძ. სიცილიაზე, მალტაზე, კრეტაზე, ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში.

ხალებიანი მცურავი ბინადრობს ქვიან ადგილებში, რომლებიც ბუჩქნარითაა დაფარული, ზოგჯერ გვხვდება სტეპებშიც.

ხალებიანი მცურავი ძირითად საკვებს მცირე ზომის მღრღნელები და აგრეთვე მცირე ზომის ბელურასნაირები შეადგენს. თავის მსხვერპლს გარს ეხვევა, ახრჩობს და შემდეგ ყლაბავს.

ამ მცურავის ბიოლოგია დამაკმაყოფილებლად არაა შესწავლი-  
ლი. შუა ზაფხულში დებს 2—5 კვერცხს.



### ამიერკავკასიის მცურავი. *Elaphe hohenackeri* (Strauch, 1873)

ამიერკავკასიის მცურავის ტანის სიგრძე 75 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა—14—19 სანტიმეტრამდე.

თავი კისრისაგან უნიშვნელოდა გამოყოფილი. ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეზე მეტია. ცხვირსშორისი ფარის სიგრძე სიგანეზე ნაკლებია. შუბლის ფარის სიგანე სიგრძეს ოდნავ ჭარბობს. ყვრიმალის ფარის სიგანე სიმაღლეზე ოდნავ მეტია. თვალსწინა ფარი ერთია. თვალსუკანა ფარი ორია. საფეთქლის ფარების რაოდენობა პირველ რიგში ორია (იშვიათად 1 ან 3), ხოლო უკანა რიგში—3 (იშვიათად 2 ან 4). ამასთან პირველი რიგის ფარების ზომა მეორე რიგის ფარებისაზე ორჯერ ან ორნახევარჯერ მეტია. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა იშვიათად შეიძლება იყოს 7 ან 9, ისიც ერთ რომელიმე მხარეზე. მათ შორის მეოთხე და მეხუთე ფარი ეხება თვალს. ქვედატუჩის ხუთი ფარი ეხება ქვედა ყბის წინა ფარს. ეს უკანასკნელი ქვედა ყბის მეორე ფარზე დიდია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 23 ქერცლია (იშვიათად 25). მუცლის ფარების რაოდენობა 195—226-მდეა. ანალური ფარი გაყოფილია. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 57—74 წყვილია.

ქერცლი გლუვია ან ტროპი ოდნავაა გამოხატული.

ზურგის მხარე მიხაკისფერია ან ღია-მურაა, ან მორუხო. ზურგზე ემჩნევა გასწვრივ ზოლად განლაგებული ხალები. თავზე ზევიდან მცირე ზომის შავი ხალები და წინწკლებია. თვალის ქვემოდან ზავი ხალია. პირის ხერელის უკანა კიდიდან თვალსუკნა ფარის ქვედა კიდემდე შავი ზოლი გასდევს. კეფაზე ორად გაყოფილი (ფიჭალივით) ზავი ხალია.

მუცლის მხარე მორუხო-მოშავო ან მოყვითალო-მონარინჯისფერო, მოწითალო ხალებითაა.

საქართველოს ფარგლებში ამიერკავკასიის მცურავი საქმიანდ ფართოდა გავრცელებული. იგი გვხვდება თბილისის მიდამოებში (ქორქის ტბასთან, თელეთის ქედზე), ავჭალასთან, მცხეთასთან, ზედაზენში, მარტყოფში, ნატახტართან, საგურამოსთან, სამგორის-ველზე, მუხროვანთან, უჯარმის მიდამოში, რუსთავთან, გარდაბანთან, ლიქანთან, ქუთაისის მახლობლად.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, დალესტანში, გრიზნოს ოლქში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია აღმოსავლეთ თურქეთიდან.

ამიერკავკასიის მცურავი ვერტიკალურად ვრცელდება 2500 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

საცხოვრებლად ეტანება მთაგორიან ადგილებს, სადაც ბინადრობს ტყები, ბუჩქანით ან ხეებით დაფარულ ხეობებში, ბალებში, ვენახებში. ზოგჯერ იგი ცხოვრობს კლდოვან ადგილებშიც.

ამიერკავკასიის მცურავის ძირითად საკვებს მცირე ზომის მღრღნელები და მცირე ზომის ბელურასნაირნი ჟეალგენენ. ხშირად ჭამს ამ უკანასკნელთა უსუსურ ბარტყებს.


შემოდგომის დამლევს იგი ეფარება სამალავს და ზამთრის ძილ-ქუშს ეძლევა. იღვიძებს ადრე გაზაფხულზე. ზოგიერთი შკვლევარის ახრით, კვერცხს დებს ივნისში ან ივლისში. ერთ ჯერზე 3—7 კვერცხს დებს, რომლის სიგრძე 40 მილიმეტრამდე აღწევს.

### ესკულაპის გველი. *Elaphe longissima* (Laurenti, 1768)

ესკულაპის გველის სხეული საკმაოდ გრძელია. მისი ტანის სიგრძე 110 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა—23—32 სანტიმეტრამდე.

თავი აქვს პატარა, წაგრძელებული და კისრიდან ოდნავ გამოცალევებული. დინგი მომრგვალებულია. ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეს ჭარბობს. ცხვირსშორისი ფარის სიგრძე სიგანეზე ნაკლებია. შუბლის ფარის სიგრძე სიგანეს შნიშვნელოვნად ჭარბობს. ყვრიმალის ფარის სიგრძე სიგანეს ჭარბობს ან მისი ტოლია. თვალსწინა ფარი ერთია. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია. თვალსწერების ფარი არაა. საფეხქლის ფარები პირველ რიგში ორია, მეორეში—სამი. ზედა ტუჩის ფარებია 8 (გამონაკლის შემთხვევაში 9). მათ შორის მეოთხე და მეხუთე (ზოგჯერ მეხუთე და მეექვსე) ეხება თვალს. ქერცლი სხეულის წინა ნაწილში გლუვია, ხოლო კუდის მიმართულებით მას ოდნავ გამოხატული ტროპი ემჩნევა. სხეულის შეუძლის ირგვლივ 23 ქერცლია (იშვიათად 21). ქერცლს ორი აპიკალური ფორი აქვს. მუცლის ფარები მუცლის გვერდებზე ქმნიან მკაფიოდ გამოხატულ კუთხეს. მუცლის ფარების რაოდენობა 205—248-მდეა. ანალური ფარი გაყოფილია. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 60—91 წყვილია.

ესკულაპის გველი ზევიდან რუხი ან მომწვანო-მურა ფერისაა, ან თითქმის შავი და ზოგჯერ მოყვითალო-რუხი ფერის. ზოგიერთ ქერცლს თეთრი კიდეები ემჩნევა. ზედა ტუჩის ფარები მოყვითალოა თავის მარჯვნივ და მარცხნივ პირის ხერელის უკანა კიდიდან გასდევს არა მცველობის ხალი, რომელიც კეფამდე აღწევს. პირის ხერელის უკანა კიდიდან თვალის უკანა კიდემდე გასდევს შავი, უმეტესად ვიწრო ზოლი. თვალის ქვეშ, ხშირად, ვერტიკალურად მიმართული შავი ხალია (იგი შეიძლება ზოგჯერ არ იყოს გამოხატული). ზოგჯერ ზურგის გასწვრივ ოთხი ზოლია. მოზარდებს შეიძლება ჰერცონდეთ 4—7 განივი მუქი ზოლი. კეფაზე ორი ზოლია, რომლებიც წინა ნაწილში ერთად იკრიბებიან და კუთხეს ქმნიან. მუცლის მხარე მოყვითალო-მომწვანო ან მორუხოა და ზედ მუქი ხალებია. მუცლის კიდეებზე ზოგჯერ გასწვრივი ნათელი ზოლი გასდევს (სურ. 46).



სურ. 46. ესკულაპის გველის (Elaphe longissima) თავი.

საქართველოს ფარგლებში ესკულაპის გველი გვხვდება აჭა-ჟეთში (ბამბართან), სამეგრელოში, ბათუმთან, ხულოსთან, ტყი-ბულში, ქუთაისის რაიონში, თბილისის მიდამოში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს გველი ბინაღობს აზერბაიჯანში, კრასნოდარის მხარეში, სამხ.-დასავლეთ უკრაინაში, მოლდავეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან ესკულაპის გველი ცნობილია სამხრეთ-დასავლეთი და ცენტრალური ევროპიდან, მცირე აზიიდან, ჩრდ. ირანიდან.

ესკულაპის გველი ვერტიკალურად ვრცელდება 2000 მეტრამდე ზღვის დონის ზევით, იგი თავს აფარებს ბუჩქნარით ან ტყით და-ფარულ ადგილებს.

ამ გველის ძირითად საკვებს შეადგენს მცირე ზომის მლრღნელები. იშვიათად თავს ესხმის და ჭამს ბელურებს და მათ მსგავს მცირე ზომის ფრინველებსა და მათ ბარტყებს. შემოდგომის დამ-

ლევს ესკულაპის გველი ზამთრის ძილქუშს ეძლევა, იღვიძებს ადრე გაზაფხულზე.

ივნისის დამლევს ან ივლისში ხის ფულუროში, ფოთლების გროვაში, ნაგავში, კედლის ხვრელში და სხვ. დებს 5—8 კვერცხს კვერცხის სიგრძე უდრის 55 მილიმეტრს.

ოთხზოლიანი მცურავი. *Elaphe quatuorlineata*  
(Lacépède, 1789)

ოთხზოლიანი მცურავი მის მონათესავთა შორის ყველაზე გრძელია. მისი ტანის სიგრძე 160 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა—32—46 სანტიმეტრამდე.


ყბათაშორისი ფარის სიგანე სიგრძეზე მეტია. იგი ზევიდან ოდნავ მოჩანს და ცხვირსშორის ფარებს შუა არაა შეჭრილი. თვალსწინა ფარი ერთია. ზედა ტუჩის მესამე და მეოთხე ფარსშუა და თვალსწინა ფარს ქვემოდან გაწყობილია თვალსქვეშა ფარი. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია (იშვიათად შეიძლება იყოს სამი). შუბლსწინა ფარის სიგრძე მეტია ცხვირსშორისი ფარის სიგრძეზე. შუბლის ფარის სიგრძე სიგანეზე მეტია. ყვრიმალის ფარი რომ. ბულია. ყვრიმალის ფარის ქვეშ 1—2 მცირე ზომის ფარია. საფეთქლის ფარების რაოდენობა პირველ რიგში არის 2—3, ხოლო მეორე რიგში—3—4. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა (იშვიათად შეიძლება იყოს 9). მათ შორის მეოთხე და მეხუთე (ან მეხუთე და მეექვსე) ეხება თვალს. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 25 (იშვიათად 23 ან 27) ქერცლია. მუცლის ფარების რაოდენობა 195—324-მდეა. ანალური ფარი გაყოფილია. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 58—78 წყვილია. თითოეულ ქერცლს ორი აპიკალური ფორი აქვს. მუცლის ფარები გვერდებზე ქდეს არა ქმნიან. მუცლის მხრიდან ზურგის მიმართულებით პირველი 2—7 რიგის ქერცლებს სუსტად განვითარებული ტროპები ემჩნევა, დანარჩენი ქერცლები გლუვია.

მოზარდისა და ზრდასრული ოთხზოლიანი მცურავის შეფერადება განსხვავებულია. მოზარდის საერთო შეფერადება ღია-მურა და ზედ 3—5 რიგად განლაგებული, შავი არშიით შემოვლებული ხალები აქვს. ზრდასრულს ზურგის მხარეზე ემჩნევა რომბული ან ოვალური, მიხავისფერი ან მუქი-მიხავისფერი ხალები, რომლებიც ადგილ-ადგილ ზიგზაგურ ზოლს ქმნიან. ტანის გვერდებზე გასდევს წვრილი ხალებისაგან შექმნილი თითო გასწროვი ზოლი. პირის ხვრელის უქანა კუთხიდან თვალამდე გასდევს მურა-მიხავისფერი ან მიხავისფერი ზოლი. მუცლის მხარე ღია-ჩალისფერია მოყვითალო და ზოგჯერ ზედ მუქი ხალები აყრია (სურ. 47).

საქართველოს ფარგლებში ოთხზოლიანი მცურავი მოიპოვება ქართლ-იმერეთის ქედის აღმოსავლეთით, გვხვდება იგი აგრეთვე წალკაში, თბილისის მიდამოებში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოს მცურავი მოლდავეთში, სამხრეთ უკრაინაში, ყირიმში, რსფსრ-ის ევროპული ნაწილის სტეპის ზონის სამხრეთში, დასავლეთ ყაზახეთში აღმოსავლეთით არალის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე და სამხრეთით მანგიშლაკამდე, აზერბაიჯანში და სომხეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი გავრცელებულია სამხრეთ აღმოსავლეთ საფრანგეთში, იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე, დასავლეთ იუგოსლავიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, მცირე აზიაში, ჩინეთში, ირანში.



სურ. 47. ოთხზოლიანი მცურავი (*Elaphe quatuorlineata*).

ოთხზოლიანი მცურავი ვერტიკალურად ვრცელდება 2500 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

ოთხზოლიანი მცურავი, ჩვეულებრივ, სტეპებსა და ნახევრადულაბნებში ბინადრობს, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება შეგვხვდეს ტყეშიც. თავს აფარებს მღრღნელების სოროებში, ქვის ყორებში, ნიადაგის ნაპრალში, თივის ზენის ქვეშ და ა. შ.

ამ მცურავის ძირითად საკვებს სხვადასხვა მღრღნელები და მცირე ზომის ფრინველები შეადგენენ. ჭამს ზოგჯერ ფრინველების კვერცხებსა და ბარტყებს, რისთვისაც ბუჩქებზე ან ხეებზე აკოცება უხდება ხოლმე. ჭამს ხვლიკებსა და მწერებსაც. მავნე მღრღნელებისა და მწერების განადგურებით ერთგვარი სარგებლობა მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.


შემოღვომის დამლევს თავს აფარებს სამალავს და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს ადრე გაზაფხულზე. ივლისში დებს 6—16 კვერცხს. უკანასკნელის სიგრძე 45—50 მილიმეტრამდე. ნაშიერები იჩეკება სექტემბერში ან ოქტომბრის დასაწყისში.

ოთხზოლიანი მცურავის სახეობის ორ ფორმას არჩევენ, რომელ-თაგან საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში გვხვდება *Elaphe quatuorlineata sauromates* Pallas, 1813.

### სახეებიანი მცურავი. *Elaphe dione* (Pallas, 1773)

სახეებიანი მცურავი საშუალო ზომის გველია. მისი ტანის სიგრძე 96 სანტიმეტრამდე, ხოლო კუდისა—17—28 სანტიმეტრამდე.

ყბათაშორისი ფარის სიგანე სიგრძეზე მეტია. ზევიდან ეს ფარი კარგად მოჩანს. იგი თავისი ზედა ნაწილით კუთხურად შეჭრილია



სურ. 48. სახეებიანი მცურავის (*Elaphe dione*) თავი.

ცხვირსშორისი ფარების შეუ. ცხვირსშორისი ფარების სიგანე სიგრძეზე მეტია. თვალსწინა ფარი ერთია. ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ეს ფარი ქვედა განყოფილებაში ორად იყოს გაყოფილი. ამ ფარის ქვეშ მდებარეობს თვალსქვეშა ფარი. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია, იშვიათად შეიძლება იყოს სამი. შუბლის ფარის სიგრძე სიგანეზე შესამჩნევად მეტია. კურიმალის ფარი ტრაპეციული ფორმისაა. კეფის ფარი თვალსუკანა ქვედა ფარამდე არ აღწევს. საფეხულის ფარების რაოდენობა პირველ რიგში ორია (იშვიათად სამი), მეორე რიგში—სამი. ზედა ტუჩის ფარი რვა (გამონაკლის შემთხვევებში 7 ან 9). მათ შორის მეოთხე და მეხუთე (ან მეხუთე და მეექვე) ეხება თვალს. სხეულის შეუ ნაწილის ირგვლივ 23—25 ქერცლია (იშვიათად—27). ქერცლს ორი აპიკალური ფორი აქვს. მუცლის ფარების რაოდენობაა 171—214, რომლებიც გვერდებზე არ ქმნიან კუთხეს; ანალური ფარი გაყოფილია. კუდის ზედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 51—78 წყვილია.

ზურგის მხარე მორუხო ან მორუხო-მურა ფერისაა. ტანზე გასდევს გასწვრივი მურა ან ოდნავ მურა ოთხი ზოლი, რომელთაგან ორი კუდ-ზეც გადადის. ზურგის თხემზე განივი მოშავო ან მუქი-მურა ნალებია. თავზე თავისებური დამახასიათებელი ნახატი აქვს (სურ. 48). პირის ზერელის უკანა კიდიდან თვალამდე გასდევს შავი არშიით შემოვ-ლებული მურა ზოლი. თვალიდან თვალამდე რკალური მუქი ზოლია. მუცლის მხარე მოყვითალოა და ზედ მურა ან შავი ხალები აყრია. ზოგჯერ გვხვდება ინდივიდები, რომლებიც მუქი შეფერადებისაა.

საქართველოს ფარგლებში სახეებიანი მცურავი გავრცელებულია მხოლოდ ქართლ-იმერეთის ქედის აღმოსავლეთით. აქ იგი ცნობი-ლია ლაგოდეხიდან, სამგორის ველიდან, უდაბნოდან.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს ვე-ლი გვხვდება უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილიდან დაწყებული ჩინე-თამდე და სამხრეთ კიმბირის გავლით შორეული აღმოსავლეთის სამხრეთამდე, ცენტრალურსა და შუა აზიაში, სომხეთსა და აზერ-ბაიჯანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ჩინეთიდან, იაპო-ნიიდან და ჩრდილოეთ ირანიდან.

სახეებიანი მცურავი ბინადრობს როგორც ტყიან აღვილებში, ისე ბალახოვანი მცენარეულობით დაფარულ ველებზე. არ ერი-დება წყლის სიახლოეს. ზოგჯერ ცხვრობს ზღვის სანაპიროებზეც.

სახეებიანი მცურავის ძირითად საკვებს შეადგენს მცირე ზომის მღრღნელები და ბიგები. ზოგჯერ ქამს მცირე ზომის ფრინველებს და მათ კვერცხებს. აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც ამ გველს ზღვაში შეუცურავს და საკვებად თევზი მოუპოვებია. მავნე მღრღნე-ლების განადგურებით სოფლის მეურნეობისათვის. მცირეოდენი სარგებლობა მოქვეთ. ივლის-აგვისტოში დებს 5—16 კვერცხს, რომ-ლის სიგრძე 50—52 მილიმეტრამდეა. საინკუბაციო პერიოდი დახ-ლოებით ერთ თვეში გრძელდება.

### გვარი სპილენძა. *Coronella Laurenti*

ამ გვარში გაერთიანებულია მცირე ზომის წერილტანიანი ვე-ლები, რომელთათვის დამახასიათებელია მოკლე, საკმაოდ გაბრ-ტყელებული თავი, რომელიც კისრიდან მკვეთრად არაა გამოყო-ფილი. დინგი მომრგვალებულია. კუდი ზომიერი სიგრძისაა. თვა-ლები მცირე ზომისაა. გუგა მრგვალია. ქერცლი გლუვია. კუდის-ქვეშა ფარები ორ რიგადაა განლაგებული. ზედა ყბაზე 12—20

კბილია, რომელთა ზომა მატულობს პირის სიღრუის შიგნი მიმართულებით. ქვედა ყბის კბილები ცოტად თუ ბევრად თანაბარი ზომისაა, ზედა ყბაზე უკანასკნელ ორ კბილსა და დანარჩენ კბილებს შორის არა თავისუფალი არე. კბილები გლუვია (დარიალი არა აქვთ). საფეხქლისზედა ძალი ორჯერ (და მეტჯერ) უფრო მოკლეა ქალაზე და მისი უკანა კიდე არ ცილდება ტვინის ქალის უკანა კიდეს. მუცლის ფარები გვერდებზე რამდენადმე გადალუნულია და უმნიშვნელო არშიას ქმნის.

გაფრცელებულია ეგროპაში, დასავლეთ აზიაში, ჩრდ. აფრიკაში.

ეს გვარი აერთიანებს დაახლოებით 20 სახეობას, რომელთაგან 18 ბინატონბს ჩრდ. ამერიკაში, ტროპიკულ აზიაში და აფრიკაში. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელთ ზოგიერთი მკვლევარი ამ გვარიდან გამოყოფს.

საჭართველოს ფარგლებში ამ გვარიდან გვხვდება მხოლოდ ერთი სახეობა.

### სპილენძა. *Coronella austriaca* Laurenti, 1778.

სპილენძას სხეული წვრილი და წაგრძელებულია. ტანის სიგრძე 65 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა — 10—16 სანტიმეტრამდე. თავი კისრისაგან მკვეთრად არაა გამოყიფილი. ნესტო მოთავსებულია ორ ფარს შუა, იშვიათად — ერთ ფარზე. ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლის ტოლია. იგი თავის ზედა მხარეზე ცოტად თუ ბევრად შეჭრილია ცხვირსშორისი ფარებს შუა. შუბლისწინა ფარის სიგრძე მეტია ცხვირსშორისი ფარის სიგრძეზე. ყვრიმალის ფარის სიგრძე სიმაღლეზე მეტია. თვალსწინა ფარი ერთია (იშვიათ შემთხვევაში შეიძლება იყოს ორი). თვალსუკანა ფარი ორია. თუ თვალსქვედა ფარი შეიმჩნევა, მაშინ იგი მეტად მცირე ზომისაა (უმეტეს შემთხვევაში იგი არ მოიპოვება). საფეხქლის ფარების რაოდენობა პირველ და მეორე რიგში ორ-ორია ან პირველ რიგში ორია და მეორეში სამი, იშვიათად კი პირველში — ერთი, ხოლო მეორე რიგში — ორი. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა შვიდია (იშვიათად შეიძლება იყოს ოვა), რომელთაგან მესამე და მეოთხე (ან მეოთხე და მეხუთე) ეხება თვალს. ქერცლი გლუვია. ზურგის ქერცლებზე თითო აპიკალური ფორია, ხოლო გვერდის ქერცლებზე — ორ-ორი. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 ქერცლია. მუცლის ფარების რაოდენობა აღწევს 153—199, ანალური

ფარი გაყოფილია (იშვიათად შეიძლება არ იყოს გაყოფილი), კუდის ქვედა ზედაპირის ფარების რაოდენობა 41—70 წყვილია.

სპილენძას შეფერადება შესაძლებელია იყოს: ზურგის მხრიდან მოწითალო-მურა, მოყვითალო-მურა, რუხი-მოწაბლისფრო, რუხი ან მოწითალო (ეს უკანასკნელი უფრო მეტად მამრებს ახასიათებს).

შეფერადების საერთო ფონზე სხეულის გასწვრივ 2—4 ზოლის სახით ემჩინება მოშავო ან მუქი-მურა მცირე ზომის წინწკლები (რომლებიც თითქმის ქერცლის ტოლია). ზოგ შემთხვევაში წინწკლები შეიძლება არ იყოს. თავის ზედა ნაწილი მუქია (ახალგაზრდებში მოშავო). კისერზე ორი მოშავო-მურა ან მურა ზოლია, რომლებიც ქეფასთან ერთდება. პირის ხვრელის უკანა კუთხიდან იწყება და თვალზე გავლით ნესტომდე აღწევს წვრილი მურა ზოლი. მუცლის მხარე შეიძლება იყოს მურა, ნარინჯისფერ-მურა, წითელი, რუხი, მცირე ზომის მუქი ხალებით ან წინწკლებით.

საქართველოს ფარგლებში სპილენძა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. იგი მოპოვებულია ტებერდის ნაკრძალში, წებელდაში, პიცუნდაში, გაგრასთან, ახალ ათონში, სუხუმთან, კელასურში, სვანეთში, ქუთაისის მიდამოში, ქობულეთში, ჩაქვი, მწვანე კონცხე, ბათუმთან, ბორჯომში, ლიქანში, სურამში, წალკაში, თბილისის მიდამოებში, ბეთანიაში, სამღორის ველზე, შინდისში, თელეთში, რუსთავთან, გარდაბანის მიდამოში, მარნეულში, ლაგოდეხში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს გვილი გვხვდება ევროპულ ნაწილს შუა და სამხრეთ ზოლში, დასავლეთ ყაზახეთში, დასავლეთ ციმბირში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ჩრდილოეთით ჩრდილო სიგანედის  $62,5^{\circ}$  აღწევს.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი მოპოვება ევროპაში (არა პირენეის ნახევარკუნძულზე, ირლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში), მცირე აზიაში, ჩრდილოეთ ირანში.

სპილენძა ვერტიკალურად ვრცელდება 2200 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

სპილენძას ძირითად საკვებს მცირე ზომის მღრღნელები, ზერკიჭამიები და მცირე ზომის ფრინველები, მათი ბარტყები და ხვლიკები შეადგენენ. ზოგჯერ ჭამს გველებსა და მწერებს. თავის მსხვერპლს იგი, ჩვეულებრივ, ეხვევა ირგვლივ, ახრჩობს და შემდეგ მთლიანად ყლაბავს.

აგვისტოს დამრევს ან სექტემბრის დასაწყისში მდედრი შობს 2—15 ნაშიერს. ახლადშობილი გველის წიწილის სიგრძე 15 სანტიმეტრს აღწევს.

სპილენძა უშებამო და უვრცელი გველია, თუმცა ზოგ ადგილთა  
მოსახლეობა მას, თაგისებური შეფერადების გამო, შეცდომით გველად  
გესლას მიაკუთვნებს.

### გვარი კონტია. *Contia Baird et Girard*

ამ გვარში გაერთიანებულია მცირე ზომის გველები, რომელთა  
თავი ტანისაგან არაა მკვეთრად გამოყოფილი. დინგი მობლაგვებუ-  
ლია. ნესტო მდებარეობს ერთ ფარზე, რომელიც უმეტესად მთლია-  
ნია, ხოლო ზოგჯერ ნახევრიდ გაყოფილია ხოლმე. სხეულის შუა-  
ნაწილის ირგვლივ 15—17 ქერცლია. ეს უკანასკნელი გლუვია. ზედა  
ყბაზე 10—12 კბილია, რომელთაგან პირველი 3—4 დანარჩენებზე  
პატარაა. მუცლის ფარები არა ქმნიან კუთხებს. კუდისქვეშა ფა-  
რები ორ რიგადაა განლაგებული.

კონტიას გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია როგორც  
აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნახევარსფეროში.

ამ გვარში გაერთიანებულია ათი სახეობა, რომელთაგან საქარ-  
თველოში გვხვდება ორი სახეობა.

### ქონის სახეობების სარკვევი განვითარება

1 (2) ტანის შუა ნაწილის ირგვლივ 17 ქერცლია. თხემის ფარებს  
უკან კეფაზე მურა ან მოშავო-მურა განივი ზოლია.

**საყელოიანი კონტია. *Contia collaris* (Ménétries)**

(გვ. 134)

2 (1) ტანის შუა ნაწილის ირგვლივ 15 ქერცლია. თვალებს შორის  
აქვს ტეხილი მუქი ზოლი.


**წყნარი კონტია. *Contia modesta* (Martin)** (გვ. 136)

### საყელოიანი კონტია. *Contia collaris* (Ménétries, 1832)

მცირე ზომის გველია; მისი ტანის სიგრძე 36,6 სანტიმეტრს  
არ აღემატება, ხოლო კუდის სიგრძე 6—10 სანტიმეტრს აღწევს.  
თავი თითქმის შეუმნინებლადაა გამოყოფილი კისრიდან. ყბათაშო-  
რისი ფარის სიგანე სიმაღლეს 1,5-ჯერ ჭარბობს. ზევიდან ეს ფარი  
ოდნავ მოჩანს. თვალსწინა ფარი ერთია (ზოგჯერ იგი ნახევრად-  
გაყოფილია), თვალსუკანა ფარი ორია. საფეთქლის ფარების რაო-  
დენობა პირველ რიგში ერთია, ხოლო მეორე რიგში—ორი. ზედა  
ტუჩის ფარების რაოდენობა შეიძია, რომელთაგან მესამე და მე-

ოთხე ეხება თვალს. ქვედა ტუჩის ოთხი ფარი ეხება ქვედა ყბის პირველ ფარის, ომელიც უკანა ფარებზე ოდნავ დიღია. ქვედა ყბის უკანა ფარები, ჩვეულებრივ, ეხება ერთომეორეს. სხეულის შეა-ნაწილები ლის ირგვლივ 17 ქერცლია. თითოეულ ქერცლს თითო აბიკალური ფორი აქვს. მუცლის მხარეზე ფარების ოთოდენობა 147—177-მდეა (მამრებს აქვთ 147—163, ხოლო მდედრებს—165—177). ანალური ფარი ორადაა გაყოფილი. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების ოთოდენობა 44—60 წყვილია.

ზურგის მხარის შეფერადება მერყეობს მწვანე ფერიდან მოწი-თალომდე, ან მუქ-მურა ფერამდე. თითოეული ქერცლის ნაპირები შუაგულზე მუქია. კეფის ფარებს უკან მოიპოვება მოშავო—მურა ან მურა განივი სწორი ზოლი. ამ ზოლის უკან ნათელი არშიაა, ხოლო წინიდან იგი კეფის ფარებისაგან ერთი რიგი ქერცლებითაა დაცილებული. მოზარდებს კეფის ფარებზე თითო მუქი ხალი ემჩნევა. მუცლის მხარე ზურგის მხარის შეფერადებაზე მოყვითალოა, ხალიანობა არ ემჩნევა (სურ. 49).



სურ. 49. საყელოიანი კონტიას (*Contia collaris*) თავი.

საქართველოს ფარგლებში საყელოიანი კონტია მხოლოდ ზოგი ადგილიდანაა ცნობილი. იგი მოიპოვებულია ლაგოდებში, ჭარენის ხეობაში, გორის მიდამოებში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, იგი გვხვდება სამხრეთ დაღესტანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი მოიპოვება ერაუში, აღმოსავლეთ თურქეთში, ირანში.

საყელოიანი კონტია ვერტიკალურად ვრცელდება 1600 მეტ-რამდე ზღვის დონის ზევით.

ბინადრობს ქვიანსა და ლორლიანი მთების კალთებზე, ზოგჯერ ბალებსა და ვენახებში. თავს აფარებს ქვის ყორეში, ქვის ქვეშ.

ამ გველის ძირითად საკეთო შეადგენს ხოჭოები, კალიები, პეპლები და სხვა მწერები, ობობები, ნამის ჭიები, მრავალფერები. ზოგჯერ ჭამის მცირე ზომის ხვლიკებსაც.

შემოღვობის დამლევს თავს აფარებს ქლდის ნაპრალებს, სოროებს, რომელშიც ხშირად საკმაოდ მრავალრიცხოვნად იქრიბებიან ხოლმე, და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. ილვიძებს აღრე გაზიაფხულზე. იგნისის დამლევს და ივლისის დასაწყისში დებს 4—8 კვერცხს. ახლადგამოჩეკილი გველის წიწილის სიგრძე 10 სანტიმეტრამდე აღწევს.

### წყნარი კონტია. *Contia modesta* (Martin, 1838)

მცირე ზომის გველია. მისი სიგრძე არ აღემატება 59 სანტიმეტრს, ხოლო კუდის სიგრძე 17—20 სანტიმეტრამდე აღწევს. თავი კისრისაგან შეუმჩნეველადაა გამოყოფილი. ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეს ჭარბობს. ეს ფარი ზევიდან ოდნავ მოჩანს. თვალსწინა ფარი ერთია. იგი ნახევრადგაყოფილია. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია. შუბლის ფარის სიგრძე თითქმის უდრის მანძილს დინგის წვეროდან შუბლის ფარამდე. უკანასკნელის სიგრძე თითქმის 1,5-ჯერ ნაკლებია თხემის ფარებზე. კვრიმალის ფარის სიგანე გაცილებით ჭარბობს სიგრძეს. ქვედა ყბის უკანა ფარები ერთიმეორისაგან ერთ ან ორ რიგად განლაგებული ქერცლებითაა დაცილებული. საფეხქლის ფარების რაოდენობა პირველ რიგში ერთია, მეორეში—ორი. ზედა ტუჩზე შვიდი ფარია, რომელთაგან მესამე და მეოთხე ეხება თვალს. ქვედა ტუჩის ოთხი ფარი ეხება ქვედა ყბის წინა ფარს. ეს უკანასკნელი ტოლია ან ოდნავ გრძელია უკანა ფარზე. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 15 ქერცლია. ქერცლს თითო აპიკალური ფორი აქვს. მუცლის ფარების რაოდენობა 166—187-მდე (მამრებს აქვს 166—180, ხოლო მდედრებს—181—187). ანალური ფარი ორადაა გაყოფილი. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 55—77 წყვილია (მამრებს აქვთ 64—77, ხოლო მდედრებს—55—64).


ზურგის მხარეს შეფერადება მერყეობს მომწვანო-რუხი ფერიდან მურა-მორუხო ფერამდე. ქერცლს შუა ნაწილზე ემჩნევა ნათელი ლაქა, რაც უფრო მკაფიოდ მოჩანს გვერდებზე. ქერცლის კიდეები მოყვითალოა. სხეულზე მუქი ხალები არ ემჩნევა. კეფაზე რამდენიმე რკალური მოყვანილობის შავი ან მუქი-მურა ფერის ზოლია. მისი სიგანე 3—4 რიგის ქერცლებს შეიცავს. კეფის ზოლს უკანა მხრიდან აქვს ვიწრო, მოყვითალო ან მოწითალო არშია.

თვალებს შორის მდებარეობს ტეხილი (M მსგავსი) მუქი ზოლი. თხემის ფარზე ღიღი ზომის მუქი ხალია, რომელიც წვეტიანი ბოლოთი კეფისკენაა მიმართული. ზრდასრულ ინდივიდებში აღნიშნული სახის ნახატი რამდენადმე მკრთალდება, ზოგჯერ თითქმის შეუმჩნეველიცაა. მუცლის მხარე ღია ფერისაა, ზოგჯერ მკრთალი მოყვითალო; ხალებს მოკლებულია (სურ. 50).

საქართველოს ფარგლებში წყნარი კონტია გავრცელებულია მხოლოდ ქართლ-იმერეთის ქედის აღმოსაფელეთით. აյ იგი მოიპოვება წყნეთში, თბილისის მიდამოებში (ბოტანიკურ ბაღში, მთა-წმინდაზე, ოქროყანაში, ბაგებში, დელისში, ვეძისში, საბურთალოზე), კოჯორთან, შავნაბადას ქედზე, შინდისთან, სამგორის ველზე, გარდაბნის მიდამოში, რუსთავთან, ავჭალაში, მცხეთასთან, ნატახტართან, საგურამოში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს გველი მოიპოვება სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღლესტანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ბინალრობს ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე (კიბრისზე, ხიოსზე, სამოსზე და სხვ.), მცირე აზიაში, ირანში



სურ. 50. წყნარ კონტია (Contia modesta) თავი.

წყნარი კონტია ვერტიკალურად ვრცელდება 1800 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

ბინალრობს მშრალ ადგილებში, სიმშრალისმოყვარულ მცენარეებით დაფარულ მიდამოში, ზოგჯერ ბუჩქნარში, მთების ლოროლიან კალთებზე. თავს აფარებს ქვის ქვეშ, ქვის ყორეში, ზოგჯერ ხის ფეხსვებს ქვეშ, მღრღნელების სოროში, ბელტის ქვეშ და სხვა მსგავსი სახის თავშესაფარში. ხშირად მრავალრიცხოვნად გვხვდება.

კონტიის ძირითად საკვებს მწერები (კალიები, ხოჭოები, პეპლები, ბუზები და ა. შ.) შეადგენენ. კამს იგი აგრეთვე ობობებს, მრავალფეხებს, ჰიებს და რბილსხეულიანებს.

შემოღვიმის დამლექს თავს აფარებს სამალავს და ზამთრის ძილებუშს ეძლევა. იღვიძებს აღრე გაზაფხულზე. თბილისის მიდამოებში ეს გველი აღნიშნულია თებერვლის პირველ ნახევარში.

კვერცხებს დებს ივნისში ან ივლისის დასაწყისში.

ბიოლოგია დამაკაყოფილებლად არაა შესწავლილი.

## გვარი კატის გველი. *Tarbophis* Fleischmann


კატის გველის გვარში გაერთიანებულია მცირე ზომის გველები და თავი მკვეთრადაა გამოყოფილი კისრიდან. სხეული გვერდებიდან ოდნავაა გაბრტყელებული. ყვრიმალის ფარი მეტად გრძელია. იგი ეხება თვალს თვალსქვედა ფარის ქვეშ. თვალის გუგა ვერტიკალურია. ქრეპლი გლუვია. მუკლის ფარები მომრგვალებულია. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარები ორ რიგადაა განლაგებული. ზედა და ქვედა ყბის კბილები წინა ნაწილში გრძელია, ხოლო პირის სილრუის შიგნი მიმართულებით თანდათანობით მცირდება. ზედა ყბის ძვლის ბოლოზე ორი გრძელდარიანი კბილია, რომლებიც დანარჩენებისაგან შესამჩნევი მანძილითაა დაცილებული. ყველა კბილი უკანა მიმართულებით მოხრილია, განსაკუთრებით უკნი კბილები, რომლებიც ლარიანია.

კატის გველის გვარის წარმომადგენლები გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, სამხრეთ-დასავლეთ აზიასი და აფრიკაში.

ამ გვარში გაერთიანებულია დაახლოებით 10 სახეობა, რომელთაგან საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი.

### კატის გველი. *Tarbophis fallax* Fleischmann, 1831

კატის გველი საშუალო ზომისაა. მისი ტანის სიგრძე 70 სანტიმეტრამდე აღწევს, ხოლო კუდისა—12—15 სანტიმეტრამდეა.



სურ. 51. კატის გველის (*Tarbophis fallax*) თავი.

თავი კისრისაგან მკვეთრადაა გამოყოფილი. ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეს ჭარბობს. ზემოდან ეს ფარი ოდნავ მოჩანს. შუბლის ფარის სიგანე სიგრძეს ჭარბობს ორჯერ (მეტჯერაც). ყვრიმალის ფარი ძლიერ გრძელია. იგი ეხება თვალს თვალსქვედა ფარის ქვეშ. თვალსწინა ფარი ერთია. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია (იშვიათად შეიძლება იყოს სამი). საფეთ-

ქლის ფარგები მცირე ზომისაა და მიემსგავსება მეზობლად არსებულ ქერცლებს. მათი რაოდენობა პირველ რიგში ორია (ზოგჯერ სამი), ხოლო მეორე რიგში სამია (იშვიათად ოთხი). ზედა ტუჩის ფარგების რაოდენობა რვაა (იშვიათად შეიძლება იყოს 7 ან 9). მათგან მეოთხე და მეხუთე (ზოგჯერ მესამე, მეოთხე და მეხუთე) ეხება თვალს. ქვედა ყბის უკანა ფარგები თითქმის სრულიად არაა გამოხატული. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19 (იშვიათად 21) ქერცლია. მუც-ლის ფარგების რაოდენობა 186—243-მდეა, ანალური ფარი ორადაა გაყოფილი (ზოგჯერ შეიძლება იყოს მთლიანი). კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარგების რაოდენობა 35—75 წყვილია. თვალის გუგა ვერტიკალურ-ელიფსურია<sup>1</sup>.

კატის გველის ზურგის მხარე რუხი ან მუქი-რუხია. ზურგის თხემზე გასდევს შავი ან მოშავო ხალები, რომლებიც სხეულის წინა-ნაწილში უფრო დიდია, ვიდრე უკანაში. გვერდებზე მოიპოვება მცირე ზომის წინწკლების ერთი ზოლი ან განივი პატარ-პატარა ზოლებია. მუცლის მხარე მოშავო და ზედ მოშავო ან თეთრი მცირე ზომის ხალები ან წინწკლები აყრია (სურ. 51).

საქართველოს ფარგლებში კატის გველი ცნობილია მხოლოდ ქართლ-იმერეთის ქედის აღმოსავლეთით. აქ იგი მოიპოვება ნატან-ტართან, წყნეთში, თბილისის მიდამოებში (ლრმა-ლელე, მლაშე ტბების მიდამოები, დელისი, ვედისი), ლისის ტბასთან, ნაბშირგო-რასთან, ბაგებთან, მდ. ვერას სანაპიროზე, მთაწმინდაზე, ოქონ-ყანაში, შინდისთან, სოლანლულთან, რუისბოლოსთან, რუსთავთან, მცხეთაში, საგურამოსთან, მუხრანში, ახალქალაქთან (კასპის რაიონი), ატენის ხეობაში, სამგორის ველზე, უდაბნოში (საგარეჯოს რაიონი), ზულავერთან, წნორისწყლის მიდამოში, ლაგოდებში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს გველი მოიპოვება აზერბაიჯანსა და სომხეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი გვხვდება ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე, ხელოთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილის ზოგიერთ ქუნძულზე, მცირე აზიაში, ჩრდ. სირიაში, ჩრდ. ირანში. ვერტიკალურად ვრცელდება 1600 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

კატის გველი უმთავრესად შშრალ აღვილებში ზინადრობს, რომელიც ხშირად ბუქენარით ან ბალახითა დაფარული. ზოგჯერ მას ვხვდებით. ქვიან და ღორლიან აღვილებშიც. არ ერიდება აღა-

<sup>1</sup> კატის გველის გუგა დღისით ვიწროვდება და პატარა ნაპრალს მიემსგავსება. ამ გველის სახელწოდება წარმომდგარია მისი თვალის კატის თვალისადმი მიმსგავსების გამო.

მიანის საცხოვრებლის სიახლოებესაც. ზოგ ადგილას იგი ბინავლება ქოხების ჩაღიან სახურავში. თავს აფარებს ქვის ქვეშ, ქვის ყორება, წაჭკეული ხის ქვეშ, მრღველების სოროს. სიცხის დროს ან წევი მის შემდეგ ხშირად ბუჩქებ, მაყვლის ბარდებზე ან მაღალ ბარახოვან მცენარეებზე იცის წოლა. ადვილად ძერება ხებზე. მის ძირითად საკვებს ხვლიკები შეადგენენ, ამასთან მის კუჭში აღმოჩნდია მემინდვრის, ბიგას ნაშებიც. ჭამს იგი აგრეთვე მწერებსაც (კალიებს, ხოჭოებს, ბუზებს).

კატის გველი შემოდგომის მეორე ნახევარში იმაღება და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს ადრე გაზაფხულზე. თბილისის მიღამოებში იგი აღნიშნულია თებერვლის დამლევს.

ეს გველი შეამიანია, თუმცა მისი ნაკეთები ადამიანისათვის არაა სახიფათო, რადგან, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მას შხამიანი კბილები ზედა ყბის უკანა ნახევარზე აქვს განწყობილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მოიპოვება ამ გველის განსაკუთრებული ფორმა *Tarphophis fallax* Eichwald.

### გვარი ხვლიკის გველი. *Malpolon* Fitzinger

სხეული წაგრძელებული და რამდენადმე მომრგვალებულია. თავი ტანისაგან მკეთრადაა გამოყოფილი. თვალები დიდი ზომის და მრგვალგუგიანია. შუბლის ფარი ვიწროა. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების რაოდენობა 17—19 აღწევს. ქერცლები გლუვია, ზრდასრულს ცოტად თუ ბევრად გამოხატული ღარი ემჩნევა. მუცელის ფარები მომრგვალებულია. კუდის ქვედა ზედა პირის მფარავი ფარები ორ რიგადაა განლაგებული. ყბათაშორისი ფარი მოკლეა. ზედა ყბის კბილების რაოდენობა 10—17 აღწევს და თითქმის ყველა თანატოლია. მხოლოდ უკანასკნელი (პირის სიღრუის შიგნით მხარეზე) ერთი ან ორი კბილი დანარჩენებზე გრძელია და ზედ ღარი გააჩნია. ქვედა ყბის წინა კბილები ღიღია, ხოლო უკანა მცირე ზომისა.


გავრცელებულია საბჭოთა კავშირში, სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, ჩრდილო აფრიკასა და მცირე აზიაში.

ამ გვარში გაერთიანებულია ორი სახეობა, რომელთაგან საქართველოში გრძელება მხოლოდ ერთი.

### ხვლიკის გველი. *Malpolon monspessulanus* (Hermann, 1804)

საკმაოდ დიდი ზომის გველია. ზოგიერთი ინდივიდის ტანის სიგრძე აღწევს 170 სანტიმეტრს, ხოლო კუდის სიგრძე დაახლოე-

ბით 42—57 სანტიმეტრამდეა. დინგი გამოწეული, რაშდენადმე მომრგვალებულია. თავი კისრისაგან გამოყოფილია. ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეს უდრის. ზედა მხრიდან ეს ფარი მხოლოდ ოდნავ მოჩანს. შუბლისწინა ფარი ცხვირსშორის ფარზე მნიშვნელოვნად გრძელია. შუბლის ფარის სიგანე თვალის ხაზზე თითქმის ორჯერ უფრო ნაკლებია თვალზედა ფარის სიგანეზე ამავე ხაზზე. ყვრიმალის ფარი ორია, რომლებიც ერთიმეორეს მიყოლებითაა განლაგებული. თვალსწინა ფარი ერთია და დიდი. თვალსუკანა ფარების რაოდენობა ორია, იშვიათად შეიძლება იყოს სამი. საფეთქლის ფარების რაოდენობა პირველ რიგში ორია, ხოლო მეორეში—სამი (შეიძლება მეორე რიგში 4 ფარი იყოს). ზედა ტუჩის ფარების რაოდენობა რვაა (იშვიათად 9). მათ შორის მეოთხე და მეხუთე (ზოგჯერ მეხუთე და მეექვსე) ეხება თვალს. სხეულის შუა ნა-



სურ. 52. ხვლიკის გველის (*Malpolon monspessulanus*) თავი.

წილის ირგვლივ 17—19 ქერცლია. ქერცლებს თითო აბიკალური ფორი აქვთ. მუცლის ფარების რაოდენობა 160—189-მდეა. ანალური ფარი ორადაა გაყოფილი. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 68—102 წყვილია.

ხვლიკის გველის შეფერადება ზრდასრულსა და მოზარდ ინდივიდებში განსხვავებულია. უკანასკნელნი, ჩეულებრივ, მუქი-მწვანე, მიხაკისფერი, მორუხო-მურა. სხეულზე ემნენება მუქი მიხაკისფერი ან შავი წერტილები. თავზე მუქი და ღია ფერის ხალები და ზოლები აქვთ. ყოველივე ეს ზრდასთან ერთად თანდათან იკარგება. ზრდასრული—მურა, მოყვითალო ან მოწითალოა. მუცლის შხარე მოყვითალოა, მომწვანო ან მურა ხალებით, ან ხალები არა და იგი მოყვითალოა (სურ. 52).

საქართველოს ფარგლებში ეს გველი მცირე რაოდენობით მოიპოვება. იგი ცნობილია თბილისის მიდამოებიდან. თუმცა ზოგი ავტორი (ვ. როსტომბეგოვი) აქ ხვლიკის გველის გავრცელების შესახებ ემზადება. სხვა ავტორები (ტერენტიევი და ჩერ-

ნოვი) ამ გველის გავრცელების არეალში „საქართველოს (გარდა აფხაზეთისა და აჭარისა)“ ასახელებენ.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ხელი-კის გველი გავრცელებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ასტრახანის ოლქის სამხრეთ ნაწილში, გროზნოს ოლქშა და სტავ-როპოლის მხარეში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი გვხვდება ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე, ხელი-კის ზოგის აღმოსავლეთი ნაწილისა და ეგეოსის ზღვის ზოგიერთ კუნძულზე, კუნძ. სიცილიაში, იტალიაში, სამხრეთ საფრანგეთში, პირენეის ნახევარკუნძულზე, ჩრდილო აფრიკაში, მცი-რე აზიაში, სირიაში, პალესტინაში, ერაყში, არაბეთში, ირანში.

ხელიკის გველი ბინადრობს მშრალ, ქაუ-ლორლიან, მცენარე-ულობით დაფარულ ნახევრადუდაბნო აღგილებში. ზოგჯერ იგი შეიძლება შეგზვდეს ბალებშიც.

ხელიკის გველის ძირითად საკვებს შეადგენს ხელიკები, სხვადა-სხვა ზომის გველი. ზოგჯერ ჭამს მცირე ზომის მღრღნელებს, ბიგებს, ფრინველებს (ბელურას და მის მსგავსს), მოზარდები უმეტესად მწე-რებით, კერძოდ, ხოჭოებით, კალიებით, ბუჩქებით იკვებებიან.

ზამთრის ძილქუშიდან აღრე გაზაფხულზე იღვიძებს (საქართვე-ლოს პირობებში მათი ბიოლოგია არაა შესწავლილი). პპრილის შეორე ნახევარში დებს 20-მდე კვერცხს.

ხელიკის გველი შხამიანია, მაგრამ ადამიანისათვის პრაქტიკული ზიანის მიყენება არ შეუძლია, შხამიანი კბილების ყბების უკანა ნაწილში გაწყობის გამო. მცირე ზომის ცხოველები, როგორც, მაგალითად, ხელიკი, ზოგი მღრღნელი, ბიგები, ბაყაყები, ამ გვე-ლის შხამით იღუპება. აღნიშნულია კროლიკის დალუპვის შემთხ-ვევა ხელიკის გველის შხამის ზემოქმედების შედეგად. როგორც ჩანს, აღნიშნული სახეობის გველის შხამი ჯერ მოქმედებს სუნთქ-ვაზე, შემდეგ გულის მოქმედებაზე და, ბოლოს, იწვევს მთლიან დაღამბლებასა და სიკვდილს.

## ოჯახი გველგმესლები. Viperidae

გველგმესლების ოჯახში გაერთიანებულია შხამიანი გველები, რომლებისთვისაც დამახასიათებელია უაღრესად განვითარებული შხამის გამოყოფი აპარატი. ზედა ყბები მოკლეა და პირის გახს-ნისას შხამიანი კბილები მიიმართება წინ. ზედა ყბები მოძრავადაა დაკავშირებული გრძელ ჩხირისებურ განივარა და ფრთისებურ ძეგალთან, ხოლო, მეორე მხრივ, ყბათაშორის ძვალთან. ზედა ყბას


მოკუმული პირის შემთხვევაში ვერტიკალური მდგომარეობა უკავია. ზედა ყბის ძეალზე თითო წვეტიანი და მოხრილმილიანი, ქბილია. ქვედა ყბა გვირგვინოვან ძეალს მოკლებულია. ხერხემლის ჟველა მაღალია განვითარებული აქვს ქვედა წვეტიანი მორჩი. უკანა კიდურებისა და სარტყლის რულიმენტები არა აქვთ. სხეული მსხილია, თავი რამდენადმე გაბრტყელებული და სამკუთხოვანია, უმეტეს შემთხვევაში კუდი მოკლეა. ასევე მოკლეა დინგიც. გუგა ვერტიკალურია. ამ გველების ოჯახი გავრცელებულია მხოლოდ აღმოსავლეთ ნახევარსფეროში (არაა მხოლოდ ავსტრალიასა და კუნძ. მაღაგასკარზე). ეს ოჯახი აერთიანებს ათ გვარს, რომელთაგან საქართველოში გვხვდება მხოლოდ ერთი.

### გვარი გველგესლა. *Vipera Laurenti*

გველგესლას გვარის წარმომადგენელთა სხეული უმეტეს შემთხვევაში მსხილია. თავი კისრიდან მკეთრად გამოყოფილი და სამკუთხოვანია. თავი ზევიდან დაფარულია მცირე ზომის ქერცლებით; ზოგჯერ მოიპოვება თვალსზედა, შუბლისა და თხემის მცირე ზომის ფარები. ცხვირს-შორისი ფარები არაა. ასევე არ მოიპოვება შუბლის წინა ფარები. ყბათა-შორისი ფარი ცხვირის ფარისაგან გამოცალკევებულია ცხვირყბათაშორისი ფარით (სურ. 53). თვალი ზედა ტუჩის ფარებისაგან დაცილებულია ქერცლოვანი ფირფიტებით ან ფარებით. ტანის ქერცლებს ახასიათებს მკეთრად გამოხატული ტროპი. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების რაოდენობა 19—31-მდე აღწევს. მუცლის ფარები მომრგვალებულია. გუგა ვერტიკალურია. კუდი მოკლეა. კუდის ქვედა ზედაპირის ფარები ორ გასწროვ რიგადაა გაწყობილი.

გველგესლას გვარის გავრცელების აურეალი თითქმის ემთხვევა ოჯახის არეალს.

გველგესლას გვარში გაერთიანებულია 13 სახეობა, რომელთა-გან საქართველოში ბინადრობს ოთხი სახეობა.




სურ. 53. ველის გველგესლას (*Vipera ursini*) თავი. ზვეტანი. 1—ყბათაშორისი ფარი; 2—ცხვირყბათაშორისი ფარი; 3—ცხვირის ფარი.

## გველგასლას სახეობების სარკვევი ზეგულა

- 1 (5) თავი დაფარულია მცირე ზომის მრავალი ქერცლით, რომელიც ფორმითა და ზომით ტანის მფარავ ქერცლებს ჩიტანს-გავსება.
  - 2 (3) ღინგის წვერზე მოიპოვება პატარა, მცირე რაოდენობის ქერცლებით დაფარული კანის გამონაზარდი, რომელიც ზევითაა აღმართული.
- ცხვირრჯოხანი გველგვესლა. *Vipera ammodytes* (Linnaé)** (გვ. 149)
- 3 (2) ღინგის წვერზე ქერცლებით დაფარული გამონაზარდი არაა.
  - 4 (6) თვალის ზევიდან მცირე ზომის რამდენიმე ქერცლია, რომელიც თვალს უშუალოდ ეხება. თვალსზედა ფარები არაა. თვალსა და ზედა ტუჩის ფარებს შორის ქერცლოვანი ფიტ-ფიტების სამი გასწვრივი რიგია.
- გიურზა. *Vipera lebetina* (Linnaé)** (გვ. 151)
- 5 (1) თავი და ტანი დაფარულია განსხვავებული ზომისა და ფორმის ქერცლებით.
  - 6 (4) ღინგის ზედაპირი თვალებსწინა კიდეების საერთო ხაზის წინ დაფარულია მცირე ზომის, უსწორ-მასწორო ფარებით. ცხვირის ფარი არ ეხება ყბათაშორის ფარს, მათ შორის ცხვირყბათაშორისი ფარია (სურ. 53). თვალსა და ზედა ტუჩის ფარებს შორის ქერცლების 1—2 რიგია.
  - 7 (8) თავი განიერია. მისი უდიდესი სიგანე უდრის ან თითქმის უდრის მანძილს ღინგის წვერიდან პირის ხვრელის უკანა კუთხემდე. ზურგზე გასდევს შავი, კლაკნილი განიერი ზოლი. თავი ზედა მხრიდან შავია. ღინგის წვერი რამდენადმე მოძლავებულია.
- კაგახის გველგვესლა. *Vipera kaznakovi* (Nik)** (გვ. 147)
- 8 (7) თავი არაა განიერი. მისი უდიდესი სიგანე, ჩვეულებრივ, ნაკლებია მანძილზე ღინგის წვერიდან პირის ხვრელის უკანა კუთხემდე. ზურგზე გასდევს მურა ფერის, არაგანიერი კლაკნილი ზოლი. მისი კიდეები შემოვლებულია შავი არშით. თავი არაა შავი. ღინგის წვერი რამდენიმედ წაგრძელებულია.
- ველის გველგვესლა. *Vipera urrsini* (Bonaparte)** (გვ. 145)

ველის გველგველა *Vipera ursini* (Bonaparte, 1835)

მცირე ზომის გველია. მისი ტანის სიგრძე იშვიათად ჭარბობს 55 სანტიმეტრს, ხოლო კუდის სიგრძე 7-9 სანტიმეტრამდეა. ლინგი ზევიდან რამდენადმე გაბრტყელებულია. მისი კიდეები ოდნავ იწეულია. დინგის წვერი წაგრძელებულია. თავი კისრისაგან მკაფიოდა გამოყოფილი. ყბათაშორისი ფარის სიგანე სიმაღლეს უდრის ან მასზე ოდნავ მცირეო. თხემის, შუბლისა და თვალსწედა ფარები მკაფიოდა გამოხატული. შუბლის ფარის წინა მიღამო დაფარულია მცირე ზომის უსწორმასწორო ფორმის ფარებით. შუბლის ფარის სიგრძე სიგანეს შესამჩნევად ჭარბობს. თვალსწედა და შუბ-



სურ. 54. ველის გველგველა (*Vipera ursini*).

ლის ფარებსშორის 1—3 მცირე ზომის ფარია. თვალის ირგვლივ 9—12 ქერცლია. თვალსა და ზედა ტუჩის ფარებს შორის ერთ რიგად გაშეკრის ქერცლებია. ნესტო მდებარეობს ცხვირის ფარის ქვედა განყოფილებაში. ზედა ტუჩზე 8 (იშვიათად 9) ფარია. ქერცლი ტროპიანია. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 19—21 ქერცლია. მუცლის ფარების რაოდენობა 120—152-მდეა. ანალური ფარი მთლიანია. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ქერცლების რაოდენობა 20—38 წყვილამდე აღწევს (მამრებში—30—38, ხოლო მდედრებში—20—30).

ზურგის მხარე ლია-რუხი ან მურა-რუხია. ზურგის ქედზე გასდევს ზიგზაგისებრი გასწროვი მუქი ზოლი (სურ. 54) რომელიც ზოგჯერ შეიძლება იყოს დაშლილი ერთ ზოლად განლაგებული ხალების

სახით. ტანის გვერდებზე ხშირად არა მკვეთრად გამოხატული ხალვა ბია. მუცლის მხარე მოშავთა მცირე ზომის თეთრი ლაქებით, ზოგჯერ კი რუხი ან მოთეთრო მრგვალი შავი ლაქებით.

საქართველოს ფარგლებში ველის გველგესლა მოიპოვება გორის მიდამში, კერძოდ, კვერნაკის ქედის კალთებზე, შირაქის ველზე, ელდარში, უდაბნოში, კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე (ტერენტიევი და ჩერნოვი), თელავის მიდამში, ლაგოდეხთან, კოჯორთან; ზოგი ავტორის გადმოცემით ეს გველგესლა გავრცელებულია საქართველოში (არაა აფხაზეთსა და აჭარის ასსრ).

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს გველგესლა გვხვდება სსრ კავშირის ველებსა და ტყე-ველიანი ზოლის სამხრეთ ნაწილში ყაზახეთის აღმოსავლეთ მხარემდე ჩათვლით, დასავლეთ ჯუნგარიასა და მონგოლეთის აღტაიმდე და აგრეთვე უზბეკეთში, ყირგიზეთში, სომხეთში, აზერბაიჯანში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი მოიპოვება სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, მცირე აზიაში, ირანში. ველის გველგესლა ვერტიკალურად ვრცელდება 3000 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.


ველის გველგესლა ბინადრობს ველებში, მთებზე, ტყეებში, ტუგაიებში, ლერწმიან აღგილებში, ბუჩქნარებში, ჯაგ-ეკლიან ველებზე.

ველის გველგესლას ძირითად საკვებს შეადგენს სხვადასხვა მწერი (კალიები, ხოჭოები, ბუზები), ობობები, მრავალფეხები; ზოგჯერ კამს ხვლიკებს და მცირე ზომის ძუძუმწოვრებს (მემინდვრიებს, ზაფუნებს, ბიგებს).

შემოდგომის დამლევს ველის გველგესლა თავს აფარებს, ზოგჯერ საქმიან შრავლადაც, სოროს, მიწის ნაპრალს და სხვა ხელშემწყობ აღგილებს და ზამთრის ძილებუშს ეძლევა. იღვიძებს გაზაფხულზე, ჩვეულებრივ, მარტ-აპრილში. გველგესლა ცოცხლადმშობია. ნაშიერებს შობს ივლის-აგვისტოში. იგი ერთ ჯერზე შობს 10—17 ნაშიერს, რომელთა სხეულის სიგრძე დაბადებისას 13—14,5 სანტიმეტრამდე აღწევს. როგორც ჩანს, სქესობრივ სიმწიფეს მეორე წლის თავზე აღწევს.

ველის გველგესლა, მიუხედავად იმისა, რომ შხამიანი გველია, მისი შხამის მოქმედება არაა სახიფათო, ყოველ შემთხვევაში ადამიანისათვის მაინც. ცნობილი არაა ველის გველგესლას მიერ ნაკბენის შედევგად გამოწვეული სიკედილიანობა. ჩვეულებრივ, მისი დაკბენის შედევგად გამოიწვევა აღგილობრივი სიმსივნე, წყლული, რაც აღვილად იკურნება.

საქართველოს ფარგლებში გავრცელებულია ველის გველგესლას  
განსაკუთრებული ფორმა—**Vipera ursini renardi Christ**, რომ-  
ლის აღწერილობაც მოცემულია ზემოთ.




### კავკასიის გველგესლა. *Vipera kaznakowi* (Nikolsky, 1910)

კავკასიის გველგესლა მცირე ზომისაა. მისი ტანის სიგრძე არ აღემატება 55 სანტიმეტრს, ხოლო კუდის სიგრძე 8—9 სანტიმეტ-  
რამდე აღწევს. დამახასიათებელია განიერი და სამკუთხოვანი თავი,  
რომელიც კისრილან მეაფიოდაა გამოყოფილი. მისი უდიდესი სი-  
განე უდრის ან ოდნავ ნაკლებია მანძილზე დინგის წევრიდან პირის  
ხვრელის უკანა კუთხემდე. ლოყის მიღამოები ძლიერ გამობერილია,  
რის გამოც თვალსა და საფეთქელს შორის წარმოქმნილია საქმაოდ  
ღრმა ღარი. სხეული შედარებით მსხვილია. დინგის წევრი რამ-  
დენადმე ზევითაა აწეული და მომრგვალებულია. ნესტოები ხშირად  
ცხვირის ფარის შუა ნაწილზეა გაწყობილი. ყბათაშორისი ფარის  
სიგანე სიმაღლეს უდრის. ზედა მხრიდან ეს ფარი ოდნავ მოჩანს.  
შუბლისა და თხემის ფარები დიდი ზომისაა. შუბლის ფარის სიგ-  
რძე სიგანეს შესამჩნევად ჭარბობს. თვალსზედა ფარი კარგადაა  
განვითარებული. შუბლისა და თვალსზედა ფარები ერთიმეორეს-  
ვან გამოყოფილია ორ (ზოგჯერ ერთ) რიგად განლაგებული მცირე  
ზომის ფარებით, თვალის ირგვლივ 9—12 ფარია. თვალსა და ზედა  
ტუჩის შორის ერთ რიგად გაწყობილი ქერცლებია. იშვიათად შეიძ-  
ლება იყოს ამ ქერცლების ორი რიგი. ცხვირის ფარი ერთია. იგი  
თითქმის ტოლია ან ოდნავ მეტია თვალზე. ცხვირის ფარი ყბათა-  
შორისი ფარისაგან დაკილებულია ერთი ცხვირყბათაშორისი ფა-  
რით. საფეთქლის ფარები გლუვია. ზედა ტუჩის ფარების რაოდე-  
ნობა რვაა (ან ცხრა). ქვედა ტუჩის თხი ფარი, ჩვეულებრივ, ეხება  
ქვედა ყბის ფარის. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ 21 (იშვიათად  
19 ან 23) ქერცლია. ქერცლს მკვეთრად გამოხატული ტროპი აქვს.  
განაპირო რიგების ქერცლები გლუვია (ტროპი არა აქვს). მუცლის  
ფარების რაოდენობა 130—143-მდეა. ანალური ფარი მთლიანია.  
კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 22—40  
წყვილია (მამრებში, ჩვეულებრივ, 31—40, ხოლო მდედრებში—  
22—32).

კავკასიის გველგესლას შეუერადება მერყეობს ჩალისფერიდან  
აგურისფერ-წითლამდე. ზურგის თხემზე გასდევს განიერი ზიგზაგი-  
სებრი შავი ზოლი, რომელიც სხეულის ზოგ ადგილას 8—9 ქერცლის  
სიგანეს იკავებს. ეს ზოლი ზოგ ინდივიდს მუქი-მურა ან მოშავო-

მურა აქვს. ხშირად ზურგის ეს ზოლი უკავშირდება შავიად შეფერა-დებულ თავის ადგილს. ზოგჯერ ეს ზოლი არაა მთლიანი და იგი შექმნილია ზურგის თხემზე ზიგზაგურად განლაგებული მოზრდილი მუქი ხალებისაგან. თავი ზედა მხრიდან შავია, ხოლო ქვედა შხრი-დან—თეთრი. დინგის გვერდები წითელია. პირის ხვრელის კიდეების უკანა ნაწილი თეთრია. პირის ღრუს უკანა კუთხიდან თვალებისაკენ მიიმართება განიერი მუქი მურა ზოლი, რომელიც შეძლება უერთდება გვერდების ხალიან რიგს. თვალსწერა ფარების კიდეები



სურ. 55. კავკასიის გველგესლა (*Vipera kaznakovi*).

ლია ფერისაა. ტანის გვერდები შავია, მათზე თითო მწკრივად განლა-გებულია დიდი ზომის ხალები. მუცლის მხარე შავია. მუცლის თი-თოვეული ფარის კიდეში რამდენიმე (4—8) მოვარდისფრო ან მო-თეთრო წინწკალია. ზოგ შემთხვევაში გვხვდება სრულიად შავი ფერის (ტანზე ყოველგვარი წინწკლებისა და ხალების გარეშე); ზოგჯერ სხე-ულის უმეტესი ნაწილი შავი აქვს, გარდა კუდისა, რომელიც ქვედა მხრიდან წითელია; ყელზე მოწითალო ხალები ემჩნევა (სურ. 55).

საქართველოს ფარგლებში კავკასიის გველგესლა გავრცელებუ-ლია მხოლოდ დასავლეთ ნაწილში — აფხაზეთიდან აჭარამდე ჩათვ-ლით. გვხვდება იგი წებელდასთან, გაგრასთან, სუხუმთან, გვანდ-რის ულელტეხილზე, ახალ ათონთან, სვანეთში, ტებერდაში, რიჭა-ში, ქუთაისის მახლობლად, სურამის ქედზე, ციხისძირთან, ჩაქვთან, ბათუმთან.

ვერტერკალურად ვრცელდება 2000 მეტრამდე ზღვის დონის ზე-  
ვით. ზოგ ადგილას გვხვდება ზღვის დონეზეც.


ძირითადად ბინადრობს ტყეში და სუბალპურ ველებამდე 3000 მ.

კავკასიის გველგესლას ბიოლოგია არაა შესწავლილი.

ამ გველგესლას ძირითად საკებას შეადგენს მცირე ზომის მღრღ-  
ნელები და ბიგები. ჭამს ზოგჯერ ბეღურებსა და მცირე ზომის  
ფრინველებსა და მათ ბარტყებს. მისი ნაშიერები ჭამენ მწერებს,  
მცირე ზომის ხვლიკებს. კავკასიის გველგესლა შხამიანია. მისი ნაკე-  
ნი სახითათოა აღამიანისა და მრავალი ცხოველისათვის. ცნობილია  
მის მიერ დაქცენილი ადამიანის სიკედლილი. ამ გველგესლასაგან  
დაქცენილი შინაური ცხოველები ავადდებიან, ხოლო ზოგჯერ  
იღუპებიან კიდეც.

### ცხვირრქოსანი გველგესლა. *Vipera ammodytes* (Linne 1758)

ცხვირრქოსანი გველგესლა მცირე ზომისაა. მისი ტანის სიგრძე  
არ აღემატება 73 სანტიმეტრს, ხოლო კუდის სიგრძე 7—12 სანტი-  
მეტრს აღწევს. დინგის წვერზე მოქმედება პერპენდიკულარულად  
აღმართული მცირე ზომის




სურ. 56. ცხვირრქოსანი გველგესლას (*Vipera ammodytes transcaucasiana*) თავი.

ტროპიანია. დინგის წვერის მფარავი ქერცლები გლუვია. მკაფიო-  
და გამოხატული შუბლის ფარი, ხოლო ზოგჯერ შუბლისა და  
თხემის წყვილი ფარიც. ზედა ტუჩის ფარებსა და თვალს შორის  
ორ რიგად განლაგებული ქერცლოვანი ფირფიტებია. თვალს შორის  
ფარებს შუა 5—7 რიგადაა განლაგებული ქერცლები. თვალს ზედა  
ფარები ღიღი ზომისაა. თვალის ირგვლივ 10—13 ქერცლია. ცხვი-  
რის ფარი მთლიანია. ყბათა შორისი და ცხვირის ფარები ერთიმეო-  
რესაგან გამოყოფილია ცხვირყბათა შორისი ფარით. საფეთქლის  
ფარი გლუვია ან ოღნავ გამოხატული ტროპი აქვს. ზედა ტუჩის  
ფარების რაოდენობაა 9—10 (ზოგჯერ შეიძლება იყოს 8 ან 12).  
ქვედა ყბის მეოთხე ან მეხუთე ფარი ეხება ქვედა ყბის ფარს. სხე-  
ულის შუა ნაწილის ირგვლივ 21—23 ქერცლია. გარეთა რიგების

კარცულები გლუვია ან ოდნავ გამოხატული ტროპით. მუცლის ფარების რაოდენობა 133—162-მდეა. ანალური ფარი მთლიანია. კუდის ქვედა ზედაპირის მფარავი ფარების რაოდენობა 24—40 წყვილია.

ცხვირრქოსანი გველგესლას შეფერადება ცვალებადია; ზურგის მხრიდან მოყვითალო-მურა, მოწითალო-მურა, მურა, მურა-მორუხო, მოთეთრო-რუხია. ზურგის თხემზე ეჩჩნევა მუქი-მურა ან მოშავო ზიგზაგისებრი ზოლი ან მუქი (შავი ან მოშავო-მურა) დიდი ზომის რომბული მოყვანილობის ხალები. ზიგზაგური ზოლის კიდეები მუქი არშიითა შემოვლებული. თვალს უკან შავი ზოლია. მუცლის მხარე მორუხო ან მოვარდისფროა და ზედ მცირე ზომის მოშავო წინწკლები ან თეთრი და შავი ხალები აყრია. კუდის წვერი



სურ. 57. ცხვირრქოსანი გველგესლა (*Vipera ammodytes*).

ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი ან მწვანეა, უფრო ხშირადაა მწვანე კუდიანი განსაკუთრებით საქართველოში გავრცელებულ ინდივიდთა შორის (სურ. 57).

საქართველოს ფარგლებში ცხვირრქოსანი გველგესლა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული. იგი გვხვდება ბორჯომში, აბასთუმანში, ლილომთან) კოჯრის მიდამოში, ბეთანიაში, დ. ტაბარუხთან, ქვემო და ზემო ბოშურთან და ორმოცთან (მდ. ტანას ხეობაში, გორის რაიონი). შესაძლებელია მისი არსებობა აჭარაში.

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, ეს გველგესლა მოიპოვება აზერბაიჯანსა და სომხეთში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან იგი ცნობილია ჩრდილო-აღმოსავლეთსა და სამხრეთ ტიროლიდან, სამხრეთ ავსტრიიდან, იუგოსლა-

ვიიდან, ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან, მცირე აზიიდან, სირი-იდან, ირანიდან, ალეპიდან და ორანიდან.

ცხვირრქოსანი გველგესლა ვერტიკალურად ვრცელდება: 1700  
მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

იგი ძირითადად ქვა-ლირლიან ადგილებში ბინადრობს. თევს აფარებს ზოგჯერ ქვის დიდი ლოდების ქვეშ, ქვის ყორეს, კედლის ნანგრევებს. ამასთან, არ ერთდება იდამიანის საცხოვრებლის სიახლოეს. ასე, მაგალითად, ს. ორმოცთან (გორის რაიონი) ცხვირრქოსანი გველგესლას რამდენიმე ეგზემბლარი მოპოვებულია წის-ქვილის ეზოში, სიმინდის ყანაში, კალოს მიდამოში, საღაც ადამიანის მიმოსკლა საქმაო ხშირი იყო.

შემოდგომის დამლევს თავს აფარებს სამალავს და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს გაზაფხულზე. კოჯრის მიდამოში (ქოროლის კიხის ნანგრევებთან) მოპოვებულია მარტის დამლევს.

ცხვირრქოსანი გველგესლა ცოცხლადმშობია. ჩვენი დაკვირვებით, ნაშიერებს შობს სექტემბრის პირველ ნახევარში. თითოეულ ჯერზე შობს 4—11 ნაშიერს. გველგესლას ახლადშობილი ნაშიერის სიგრძე 18—19 სანტიმეტრამდე აღწევს, წონა—400—1500 მილი-გრამამდე.

ცხვირრქოსანი გველგესლას ძირითად საკედას შეადგენს მცირე ზომის მლრდნელები (მემინდვრიები ზაზუნები, თაგვები), ბიგები, ჭამს აგრეთვე ხვლიკებსა და მწერებს. უკანასკნელით ხშირად მოზარდი ნაშიერები იკვებებიან ხოლმე. თბილისის ზოოპარკის პირობებში ამ გველგესლას სახლის თაგვები ეძლეოდა.

ცხვირრქოსანი გველგესლა საქართველოში გავრცელებულ შხა-მიან გველებს შორის ერთ-ერთი ძლიერი შხამიანთაგანია. მისი ნაკეთი სახითათოა ცხოველთაფვის და ადამიანისთვისაც. მცირე ზომის ძუძუმწოვრები, მაგალითად, სახლის თაგვები მისი დაქმენის 10—12 სეკუნდის შემდეგ იღუბებიან, ვირთაგვები იხოცებიან დაკ-ბენიდან 40—50 სეკუნდის შემდეგ; ამ გველგესლასაგან დაკბენილი ყვავი, ყორანი და კაჭეაჭი იღუბებოდნენ 4—9 წუთის განმავლობაში.


საქართველოს ფარგლებში ბინადრობს ცხვირრქოსანი გველგესლას განსაკუთრებული ფორმა—*Vipera ammodytes transcaucasiana* (Blg) რომლის აღწერილობა და ბიოლოგია განხილულია ზემოთმოცემულ ნარკვევში.

### გაურზა. *Vipera lebetina* (Linne, 1758).

საქართველოში გავრცელებულ შხამიან გველებს შორის გიურზა ყველაზე დიდი ზომისაა. მისი ტანის სიგრძე 160 სანტიმეტრამდე

ლეჭეცს, ხოლო კუდისა — 20—25 სანტიმეტრამდე. ზრდასრული ხეგიერთი ეგზემპლარის სხეულის გარშემოწერილობა (ყველაზე მსხვილ ადგილის) 15—16 სანტიმეტრამდეა. თავი კისრისაგან მკვეთრადა გამოყოფილი და რამდენადმე სამკუთხოვანი მოყვანილობა აქვს. დინგის გვერდები ოდნავ მომრგვალებულია.

თავის ზედა მხარე დაფარულია ტროპიანი ქერცლებით (სურ. 58). ტროპია არა მხოლოდ დინგის წვერის ქერცლებზე, ყაბათაშორისი ფარის სიგრძე სიმაღლის ტოლია ან მასზე ცოტა მეტი. ზოგჯერ



სურ. 58. გიურზას (*Vipera lebetina*) თავი.

კი შეიძლება სიმაღლე რამდენადმე ჭარბობდეს სიგანეს. ეს ფარი ზევიდან ოდნავ მოჩანს. ზედა მხარეზე იგი ეხება ორს ან სამ ქერცლს. თავის ზედა მხარეზე ქერცლი მცირე ზომისაა, რამდენადმე კრამიტიფითაა განლაგებული, ტროპიანია, ხოლო იშვიათად, განსაკუთრებით დინგის წვერზე, გლუვია. თვალებსშორის მიდამოში 7—12 გასწროვ რიგად განლაგებული ქერცლებია. თვალსზედა ფარი არა განვითარებული. თვალის ირგვლივ 12—18 ქერცლია. საფეხქლის ფარები ტროპიანია. ზედა ტუჩის ფარების რაოდენობაა 9—12. ქვედა ტუჩის მეოთხე ან მეხუთე ფარი ეხება ქვედა ყბის ფარის. თვალსა და ზედა ტუჩის შორის ქერცლოვანი ფირფიტებია, რომლებიც სამ რიგადაა განლაგებული. სხეულის შუა ნაწილის ირგვლივ ქერცლების რაოდენობა 25 (იშვიათად 27) აღწევს. მუცლის ფარები 165—181-მდეა. ანალური ფარი მთლიანია. კუდის ქვედა ზედაპირის მფარვე ფარების რაოდენობა 33—53 წყვილია.

გიურზას შეფერადება სხვადასხვაგვარია. ძირითადი მისი ზურგის მხარე ღია-რუხი, მურა-რუხი, მუქი-რუხია, რომელსაც ოდნავ მომწვანო ან მიხავისფერი ელფერი გადაპქრავს. თავის ზედა მხარეზე ემჩნევა ერთგვარი დამახასიათებელი ნახატი (Λ მსგავსი). თვალიდან პირის ხვრელის უკანა კუთხემდე ღია გამობურცული

ზოლია. ზურგის თხემზე გასდევს მცირე ზომის ხალებისაგან შექმნილი მუქი ზოლი (რაც ხშირად მკვეთრად არა გამოხატული). მუცლის მხარე მოთეთროა და ზედ მუქი წინწელები ემჩნევა. ზოგჯერ შეიძლება წინწელები არ იყოს. კუდის წვერი ქვედა მხრიდან ხშირად მოყვითალოა.

საქართველოს ფარგლებში გიურზას გავრცელების არეალი არაა დიდი. იგი გვხვდება ელდარში, შირაქში, უდაბნოში (საგარეჯოს რაიონი), შულავერთან, თბილისის მიდამოში (კერძოდ სოლანლულის ველზე, ს. კრწანისასა და შინდისის მახლობლად), განჩიანში, სანდარასთან, წითელი ხიდის მიდამოში (ბოლნისის რაიონი).

საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გარდა საქართველოსი, გიურზა გვხვდება სომხეთში, აზერბაიჯანში, დალესტანში, შეა აზის რესპუბლიკების სამხრეთ რაიონებში.

კავშირგარეშე ქვეყნებიდან გიურზა გავრცელებულია ჩრდ. აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე (კიბროსი, მილოსი და სხვ.), მცირე აზიაში, სირიაში, პალესტინაში, არაბეთში, ერაყში, ირანში, ავღანისტანში, ჩრდ.-დასავლეთ ინდოეთში.

გიურზა ვერტიკალურად ვრცელდება 1500 მეტრამდე ზღვის დონის ზევით.

გიურზა ბინადრობს მშრალსა და ხრიოვ ადგილებში, ზოგჯერ ქვა-ლიანიან ველებზე, მთის კალთებზე, ბუჩქნარებში, ჯაგ-ეკლიან ადგილებში, იშვიათად გვხვდება ბალებში, ვენახებში, ტუგაიურ ტყეში, გამონაკლისის სახით შეიძლება შევეღდეთ წყალსატევების მახლობლად. ძლიერ დაჭაობებულ ადგილებს არ ეტანება, თუმცა ზოგჯერ წყალშიც ჩაღის. თავს აფარებს ქვის ქვეშ, ქვის ყორეს, მღრღნელების სოროს, ჯაგ-ეკლებს, ზოგჯერ თივის ზეინებსა და ძნის ქვეშ.

გიურზას ძირითად საკვებს შეადგენს მღრღნელები (მემინდვრიები, ზაზუნები, კურდლები), საშუალო ზომის ფრინველები (კაკაბი, მწყერი, გნოლი, ბელურა, ტოროლა და სხვ.) და მათი წიწილები ჭამს აგრეთვე ხვლიკებს, იშვიათად ბაყაყებს. მოზარდები იკვებებიან კალიებით, ხოჭოებით, ობობებით.

მიუხედავად იმისა, რომ გიურზა საკმაოდ ტანმძიმე გველია, იგი საკვების მოსაპოვებლად ზოგჯერ ბუჩქე და ხეზეც კი აღის ხოლმე, სადაც ხეებზე მობუდარ ფრინველებს ან მათ ბარტყებს იჭერს.

შემოღვომის დამლევს იმალება თავშესაფარში და ზამთრის ძილქუშს ეძლევა. იღვიძებს გაზაფხულზე, ჩვეულებრივ, მარტის შუარიცხვებში ან აპრილის დასაწყისში. ზაფხულობით, დიდი სიცხეე-

ბის გამო, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იმაღება და, როგორც ჩანს, ზაფხულის ძილს ეძლევა. ხოლო აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დასაწყისში იგი კვლავ აქტიურ ცხოვრებას ეწევა. საკვების მოსაპოვებლად ძირითადად ღამე გამოდის.

გიურზა ცოცხლადმშობია. შობს იგი, ჩვეულებრივ, აგვისტოს დამლევს ან სექტემბრის დასაწყისში.

საქართველოში გავრცელებულ შხამიან გველებს შორის გიურზა ყველაზე შხამიანია. მისი ნაკბენი სახიფათოა აღამიანისათვის. აღნიშნულია არა ერთი შემთხვევა გიურზას დაკბენის შედეგად გამოწვეული სიკედილიანობისა. გიურზას დაკბენის შედეგად იხოცება ცხენი, ძროხა, კამჩი, აქლემი, ძალლი და სხვ. გიურზას შხამი კურდღელს, ვირთაგვას და სხვ. კლავს 2—3 წუთის განმავლობაში; თეთრ ვირთაგვას კლავს 40—50 სეკუნდში, ზოგი ცხოველი, მაგალითად, ზღარბი, მაჩვი და სხვ., მათში არსებული ბუნებრივი იმუნიტეტის გამო, გიურზას შხამის ზეგავლენას ნაკლებ განიცდიან.

საქართველოს ფარგლებში გავრცელებულია გიურზას განსაკუთრებული ფორმა—*Vipera lebetina obtusa* Dwigubsky, რომლის აღწერილობა და ბიოლოგია განხილულია ზემომოცემულ დახასიათებაში.

საქართველოში გავრცელებული ქვეცარავლების

ს ი პ

REPTILIA

ქვეცარავლები Testudines

რიგი Cryptodira

ოჯახი Testudinidae

- I. გვარი Clemmys R it g e n
  - C. Caspica (G m l.)
- II. გვარი Emys D u m
  - F. orbicularis (L.)
- III. გვარი Testudo L.
  - T. graeca L.

ქვეცარავლები Squamata

რიგი Sauria

ოჯახი I. Gekkonidae

- I. გვარი Gymnodactylus Spix
  - G. kotschyi colchicus Nik

ოჯახი II. Agamidae

- I. გვარი Agama D a u d i n
  - A. caucasica (E i c h w.)
- II. გვარი Phrynocephalus K a u p
  - Phr. helioscopus (P a l l.)

ოჯახი III. Anguidae

- I. გვარი Ophisaurus D a u d i n
  - Oph. apodus (P a l l.)
- II. გვარი Anguis L.
  - A. fragilis L.

ოჯახი IV. Scincidae

- I. გვარი Eumeces Wiegmann
  - E. schneideri (D a u d i n)

ოჯახი V. Lacertidae



- I. გვარი Lacerta Linné  
L. strigata Eichw  
L. media Lantz et Cyrén  
L. agilis Linné  
L. derjugini Nik  
L. praticola Evers  
L. saxicola Evers  
L. s. rufus Bedr  
L. s. obscura Lantz et Cyrén  
L. s. caucasica Méhély  
L. s. mixta Méhély  
L. s. portschinskii Kessl  
L. s. parvula Lantz et Cyrén  
L. s. brauneri Méhély  
L. s. saxicola Evers  
L. chlorogaster Bulenger

II. გვარი Ophisops Méntries

O. elegans Mén

III. გვარი Eremias Wiegmann

E. velox (Pall)

E. arguta (Pall)

სისტემა Chameleontes

ოჯახი — Chaemelontidae

გვარი — Chameleo

Ch. vulgaris Daud.

სისტემა Ophidia s. Serpentes

ოჯახი I. Typhlopidae

I. გვარი Typhlops Oppel

T. vermicularis Mer

ოჯახი II. Boidae

I. გვარი Eryx Daudin

E. jaculus (L.)

ოჯახი III. Colubridae

I. გვარი Natrix Laurenti

N. natrix (L.)

N. tessellata (Laur)

II. გვარი Coluber Linné

C. jugularis Linné

C. najadum (Eichw)



- C. ravergeri Mén  
III. გვარი Elaphe Fitzinger  
E. situla (L.)  
E. hohenackeri (Str.)  
E. longissima (Laur.)  
E. quatuorlineata (Lacép.)  
E. dione (Pall)  
IV. გვარი Coronella Laurenti  
C. austriaca Laur.  
V. გვარი Contia Baird et Girard  
C. collaris (Mén)  
C. modesta (Mart)  
VI. გვარი Tarbophis Fleischmann  
T. fallax Fleisch.  
VII. გვარი Malpolon Fitzinger  
M. monspessulanus (Herm)  
ოჯახი IV. Viperidæ  
გვარი Vipera Laur.  
V. ursini (Bonap)  
V. kaznakovi Nik  
V. ammodytes (L)  
V. lebetina (L)



ପ୍ରକାଶନ କମିଶନରେ ଲେଖନ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛନ୍ତି

- Амбросовский Н. — Укус змей. „Сельская медицина“, 1938, № 17.

Баде Э. — Террариум, его устройство и содержание, 1908.

Барач Г. — К герпетологии Абхазии. „Изв. Абхазского науч. Об-ва“, вып. I, Сухуми, 1925.

Бобринский Н. и Четвериков С. — Сбор и приготовление зоологических коллекций, 1925.

Брем А. — Жизнь животных, т. IV, 1914.

Брем А. — Жизнь животных, т. V, 1914.

Варпаховский Н. и Никольский А. — Наставление к собиранию гадов (программы и наставления для наблюдений и созбиания коллекций, изд. С.-Петербургским О-м естество-испытателей), VII, 1913.

Герд С. — Живой уголок любителя природы, 1925.

Гинтервальднер Н. — Руководство к составлению естественно-научных коллекций, 1892.

Гринберг В. и Сосновский И. — Краткое руководство по содержанию террариумных животных.

Гумилевский Б. — К вопросу о сельскохозяйственном значении гадов в окрест. Новосибирска. „Труды защиты растений Сибири“ I(8), 1931.

Даревский И. — К биологии прыткой ящерицы. „Природа“, № 9 1946.

Дерюгин К. М. — Материалы по герпетологии Юго-Западного Закавказья и окрестностей Трапезунда. „Ежегодн. зоол. музея“, т. VI, 1901.

Елпатьевский В. — Пресмыкающиеся и земноводные (Руководство к зоологическим экскурсиям и собиранию зоологических коллекций, изд. под ред. Г. А. Кожевникова), 1902.

Жарин, М. и Нейланд Ж. — Укусы ядовитых змей и борьба с ним. „Советская ветеринария“. № 5, 1939.

Золотниковский Н. (ред.) — Школьный аквариум и террариум, 1906.

Инушин Г. — Клиническая картина при укусах разными видами ядовитых змей.

Кашкаров Д. — Метод количественного изучения фауны позвоночных. „Труды Севастопольского ун-та“, Серия VIII, т. VII, 1927.

Кашкаров Д. — Основы экологии животных. Москва, 1945.

Князев В. — Тебердинский государственный заповедник, Тбилиси, 1946.

- Кесслер К. — Путешествие по Закавказскому краю в 1875 г. с зоологической целью. Приложение к трудам С.-Петербургского О-ва естествоиспытателей. т. VIII, 1878.
- Комарин В. — К вопросу лечения отравления змеиным ядом. „Советская медицина“, № 24, 1938.
- Красавцев Б. — Биологические наблюдения над прыткой ящерицей. „Вопросы экологии и биоценологии“, т. III, 1936.
- Красавцев Б. — Еще об экологии прыткой ящерицы. „Природа“, № 9, 1939.
- Красавцев Б. — О питании некоторых змей в Дагестане. Изв. Сев. Кавказского педаг. ин-та, т. 2, 1934.
- Кременецкий В. — Оборудование курса зоологии педвузов. Москва, 1938.
- Лауденбах Ю. О. — О действии змеиного яда и антизмеиной сыворотки на сердце и кровяное давление. „Университетские известия“, Киев, 1907.
- Либерман С. и Покровская Н. — Материалы по экологии прыткой ящерицы. „Зоологический журнал“, т. XII, № 4, 1943.
- Лихарев Б. (ред.) — Правила палеозоологической номенклатуры. 1932.
- Лайстер А. — К вопросу об иранском влиянии на фауну Южного Закавказья. Закавк. краеведческий сборник, „Естествознание“, т. I, Тифлис, 1930.
- Лайстер А. — Из наблюдений над кавказскими стеллонами (*Agama caucasica* Eichw.) „Бюлл. Тифлисского об-ва любителей природы“, т. I, 1913.
- Лайстер А. — К вопросу о географическом распространении *Vipera renardi* Christ. и *Vipera berus* L. в пределах Кавказа, Харьков, 1908.
- Лайстер А. — Ядовитые змеи Кавказа. Журнал „Естествознание и география“, № 6, 1910.
- Никольский А. — Гады и рыбы. С.-Петербург, 1902.
- Никольский А. — Пресмыкающиеся и земноводные Кавказа. Тифлис, 1913.
- Никольский А. — Пресмыкающиеся и земноводные Российской империи. Записки АН, 8-ая серия, т. XVII, № 1, 1905.
- Никольский А. — Пресмыкающиеся. т. I. В серии „Фауна России и сопредельных стран“, Петроград, 1916.
- Никольский А. — Пресмыкающиеся, т. II. В серии „Фауна России и сопредельных стран“, Петроград, 1918.
- Новиков Г. А. — Полевые исследования экологии наземных позвоночных животных, Москва, 1949.
- Озоль М. — Материалы к биологии степной гадюки. „Труды Воронцовского педагогич. ин-та“, т. III, 1941.
- Павлович С. А. — Составление коллекций по естествознанию, 1938.
- Павловский Е. — К вопросу об изучении ядовитых змей. „Медицинская мысль Узбекистана“, № 11 — 12, 1930.
- Павловский Е. — Ядовитые животные Средней Азии и Ирана, 1941.

- Павловский Е.—Ядовитые животные СССР, Москва, 1931.
- Попов В.—Природа в комнатах, 1906.
- Порфилюев П.—Опыт изучения действия яда гадюк Радде и степенных гадюк на животных. „Фармакология и токсикология“ № 4, 1941.
- Порфилюев П.—О содержании земноводных и пресмыкающихся в уголках живой природы. Сборн. „Уголки живой природы“, под ред. В. Герда и С. Петрова, 1926.
- Радде Г.—Museum caucasicum, т. I, Зоология. Тифлис, 1899.
- Раслонов М.—К биологии гадюки. „Бюллет. зоопарков и зоосадов СССР“, № 1—2, 1935.
- Ростомбеков В.—Из наблюдений над некоторыми змеями из окрестностей Тифлиса. „Бюллет. музея Грузии“, т. V, 1930.
- Ростомбеков В.—К герпетофауне Абхазии. „Материалы по фауне Абхазии“, Тбилиси, 1939.
- Ростомбеков В.—Материалы по герпетофауне окрестностей Тифлиса: Закавказск. Краеведческий сборник, серия А. Естествознание, т. I, Тифлис, 1930.
- Сатунин К.—О герпетологической фауне Кавказского края. ИКОРГО, т. XVIII, № 3, 1906.
- Сахаров П.—Лабораторные животные, 1937.
- Сергеев А.—Температура пресмыкающихся в естественных условиях. Докл. АН СССР, т. XXII, № 1, 1939.
- Смирновский Б.—Биология ядовитых змей сем. Казахстана. „Труды Алма-Атинского Ветзоонститута“, т. V, 1938.
- Сухов Г. Ф.—Обзор ящериц подрода *Lacerta* (*Sauria*) встречающихся в СССР. „Труды зоологич. ин-та АН СССР“, т. VII, вып. III, 1948.
- Тарнани И. К.—Наши ядовитые животные, С.-Петербург, 1907.
- Терентьев П.—Животные и погода, 1940.
- Терентьев П.—Метод индексов в систематике. „Изв. АН СССР“. Отд. ест. и мат. наук, 1936.
- Терентьев П. В. и Чернов С. А.—Определитель пресмыкающихся и земноводных, Москва, 1949.
- Чернов С.—Геопетологическая фауна Армянской ССР и Нахичеванской АССР: Зоол. сборн. Арм. фил. АН СССР, 1939.
- Чернов С.—Краткий обзор палеарктических видов рода *Contia* (*Serpentes*): Труды зоологич. ин-та АН СССР, т. VII, вып. III, 1948.
- Чернов С.—Определитель змей, ящериц и черепах Армении, Москва—Ленинград, 1937.
- Чернов С.—Пресмыкающиеся и земноводные. „Животный мир СССР“, т. I, 1936.
- Чернов С.—Пресмыкающиеся и земноводные. „Животный мир СССР“ т. II, 1948.
- Черномординков В.—О врожденных и приобретенных пищевых реакциях пресмыкающихся, ДАН СССР, т. I—XIII, № 4, 1944.

- Черномордников В. — О температурных реакциях пресмыкающихся. Зоологич. журнал, т. XXII, № 5, 1943.
- Черномордников В. — Суточный цикл активности пресмыкающихся, ДАН СССР, т. I—VII, № 5, 1947.
- Черномордников В. — Экологические основы содержания рептилий в неволе. „Труды Московского зоопарка“, т. IV, 1949.
- Черномордников В. — Как содержать пресмыкающихся, Москва, 1950.
- Черномордников В. В. и Залежский Г. В. — Земноводные и пресмыкающиеся. Сборник статей „Московский зоопарк“, 1949.
- Шмидт П. — Краткое наставление для собирания коллекций гадов, рыб и беспозвоночных (справочная книга для путешественников), 1905.
- Щугуров А. М. — Заметки о гадах Кавказа: Зан. Новорос. общ.-ва естествоиспытателей, т. XXIX, 1912.
- Шульп Г. и Шамраевский В. — Фенологические наблюдения, 1941.
- Зурабовидзе Л. — Генерис родине Lacertilia-та ფაუნა. „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. XXXVIII, 1950.
- Зурабовидзе Л. — საქართველოში მარდი ფსევნის (Eremias velox Pall) გავრცელების საკითხისათვის. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XII, № 5, 1951.
- Зурабовидзе Л. Lacerata strigata-ს როლი ბიოცენოზში. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ტ. XLVII, 1952.
- ხელაძე პ. — გორის რაიონის გველების (Ophidia) ფაუნის შესწავლისათვის, „სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, ტ. XL, 1950.
- ჯარაშვილი არჩ. — ქვეწარმავლები, თბილისი, 1948.
- ჯანაშვილი არჩ. — მასალები საქართველოში ქვეწარმავლების გავრცელების შესწავლისათვის, „სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, ტ. XLIV, 1951.
- ჯანაშვილი არჩ., ე. მებუკე და ე. ჭელიძე, შენიშვნა საქართველოში აღმოჩენილი ქამელონისა და მისი ზოოპარკში შენაზღის შესახებ. „თბილისის ზოოპარკის შრომები“, ტ. I, 1948.

## ს პ რ ჩ ე 3 0

83.

რედაქტორისაგან . . . . .	3
წინასიტყვაობა . . . . .	5
შესავალი . . . . .	8
მეთოდური მითითებანი . . . . .	8
ცოცხალი კუთხის მოწყობა და მისი მოვლა - შენახვა . . . . .	—
კოლექციების შეგროვება და დამუშავება . . . . .	—
ქვეწარმავლების მოვლა-შენახვა . . . . .	19
დაკვირვებათა ჩატარება . . . . .	21
ქვეწარმავლები . . . . .	23
ქვეწარმავლების ქვეკლასების სარკვევი ტაბულა . . . . .	30
ქვეკლასი კუები . . . . .	—
რიგი ფარულებისრიანი კუები . . . . .	33
ოჯახი ხმელეთის კუები . . . . .	34
კუების გვარების სარკვევი ტაბულა . . . . .	—
გვარი კასპიის კუ . . . . .	35
კასპიის კუ . . . . .	—
გვარი ჭაობის კუ . . . . .	36
ჭაობის კუ . . . . .	37
გვარი ხმელეთის კუ . . . . .	38
საბერძნეთის კუ . . . . .	39
ქვეკლასი ქვრცლიანები . . . . .	42
ქვრცლიანების რიგების სარკვევი ტაბულა . . . . .	—
რიგი ხვლიკები . . . . .	43
ხვლიკების ოჯახების სარკვევი ტაბულა . . . . .	46
ოჯახი გვერნები . . . . .	47
გვარი თითტიტველი გეკონი . . . . .	—
ხმელთაშუა ზღვის თითტიტველი გეკონი . . . . .	48
ოჯახი ჯოჯოები . . . . .	—
ჯოჯოების გვარების სარკვევი ტაბულა . . . . .	49
გვარი ჯოჯო . . . . .	—
კაგასიის ჯოჯო . . . . .	—
გვარი მრგვალთავა . . . . .	51
მრგვალთავა . . . . .	52
ოჯახი ბოხმეტები . . . . .	53
ბოხმეტების გვარების სარკვევი ტაბულა . . . . .	54
გვარი გველთკვერა . . . . .	—
გველთკვერა . . . . .	55

გვარი ბობეგა . . . . .	
ბობეგა . . . . .	57
ოჯახი სცინკები . . . . .	
გვარი ფეხზრძელი სცინკი . . . . .	
ფეხზრძელი სცინკი . . . . .	—
ოჯახი წელიკები . . . . .	61
ხელიკების გვარების სარკვევი ტაბულა . . . . .	62
გვარი ხელიკი . . . . .	—
ხელიკის სახეობების სარკვევი ტაბულა . . . . .	63
ზოლებიანი ხელიკი . . . . .	65
საშუალო ხელიკი . . . . .	67
მარდი ხელიკი . . . . .	69
დერიუგნის ხელიკი . . . . .	70
მდელოს ხელიკი . . . . .	71
კლდის ხელიკი . . . . .	73
კლდის ხელიკის ქვესახეობების სარკვევი ტაბულა . . . . .	74
წერილი კლდის ხელიკი . . . . .	75
მუქი კლდის ხელიკი . . . . .	—
კავკასიის კლდის ხელიკი . . . . .	—
ნარევი კლდის ხელიკი . . . . .	76
პორჩინკის კლდის ხელიკი . . . . .	—
მცირე კლდის ხელიკი . . . . .	—
ბრაუნერის კლდის ხელიკი . . . . .	—
ჩვეულებრივი კლდის ხელიკი . . . . .	—
მუცელყვითელი ხელიკი . . . . .	—
გვარი გველთავა . . . . .	77
მოხდენილი გველთავა . . . . .	78
გვარი ფსვენი . . . . .	79
ფსევნის სახეობების სარკვევი ტაბულა . . . . .	—
მარდი ფსვენი . . . . .	80
ფერადი ფსვენი . . . . .	82
რიგი ქამელეონები . . . . .	84
ოჯახი ქამელეონები . . . . .	—
გვარი ქამელეონი . . . . .	85
ჩვეულებრივი ქამელეონი . . . . .	—
რიგი გველები . . . . .	—
გველების ოჯახების სარკვევი ტაბულა . . . . .	100
ოჯახი ბრუცები . . . . .	100
გვარი ბრუცა . . . . .	101
ბრუცა . . . . .	102
ოჯახი მახრჩობელები . . . . .	103
გვარი მახრჩობელა . . . . .	104
ველის მახრჩობელა . . . . .	104
ოჯახი ანკარები . . . . .	106
ანკარების გვარების სარკვევი ტაბულა . . . . .	107
გვარი ანკარა . . . . .	108

անշարժաս սանեօնքեթիս սարկզեզո լրածովա	115
հցըշուղեմիրոց անշարժա	116
ֆոլուս անշարժա	118
ցարու մուշրագո	120
մուշրագոս սանեօնքեթիս սարկզեզո լրածովա	121
մշպելոցառու մուշրագո	122
մշիշիշանց մուշրագո	123
ցյուրագո մուշրագո	125
ցարու ցուցու մուշրագո	126
ցուցու մուշրագոս սանեօնքեթիս սարկզեզո լրածովա	128
հալուքնան մուշրագո	130
ցարու սենուքնան	131
սենուքնան	132
ցարու կոնքու	134
կոնքուս սանեօնքեթիս սարկզեզո լրածովա	134
սապոլուան կոնքու	134
ֆիբնարու կոնքու	136
ցարու կարուս ցայլո	138
կարուս ցայլո	138
ցարու եպուոյս ցայլո	140
եպուոյս ցայլո	140
ոչաճու ցայլոցիսլութ	142
ցարու ցայլոցիսլո	143
Ցայլոցիսլաս սանեօնքեթիս սարկզեզո լրածովա	144
ցայլուս ցայլոցիսլո	145
կացասուս ցայլոցիսլո	147
ութուրիրյուսան ցայլոցիսլո	149
ցուշրիս	151
սայարտցայլութիս ցայլութեանքեթիս սուս կամացուլութիս սուս	155
ցամոցունեցուլութիս լութերաբուրա (մուտագու)	158

ռազմականութիւն գ. հոս թոմած ցայլոցու

Վ/Թ. Կառջեկանութիւն 6. Տոնարութիւն օդց

կորականութիւն կ. լուսացու

ցադայցա թարմութիւն 29/IX 52 թ. Եյլութիւնունու գասածեցիւ 25/XI 52 թ.  
յու 06086. Առաջի 1000. ցադալունու նոմա  $60 \times 92\frac{1}{16} = 5,125$ . Գորմաւա հառ-  
ցնութիւն: Անձեցու 10,04. Սալունուցու-սացամութեալուն-8,84. Տրամիս Ցայզ. 424.

Սկալունուս սակ. ոճունուս սանում. Շնոցերսությունուս սկրամիս, Շնոցերսությունուս կ. 1.

3060 3 856.

18-1/30-



В. ДЖАНАШВИЛИ, Л. КУТУЗИДЗЕ  
ОПРЕДЕЛИТЕЛЬ ПРЕСМЫКАЮЩИХСЯ  
(на грузинском языке)

Изд-ство Тбилисского государственного  
университета имени Стадион

Зак. тип. 424. Тираж 1000.

Типография издательства  
Т. Г. У. имени Стадиона  
Университетская, 1.

Тбилиси — 1952